

75-9/1
989/3

ISSN—0132—6058



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2 . 1989



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

СЕРИЯ
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1989

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году



გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეჯია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გვიგენი-
შვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე
(რედაქტორის მოადგილე), ვ. მელიქიშვილი (რედაქტორი), ა. რობაქიძე,
ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итони-
швили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе
(зам. редактора), Г. А. Меликишвили (редактор), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили,

პასუხისმგებელი მდივანი ვ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 24.6.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.09.89;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; პირობ. ნაბეჭდი თაბახი 16,8;
პირ. სალ. გატარება 17,5; საალრიცხელო-სავაჭროკომპლ. თაბახი 13,92;
უე 04464; შეკ. 1764; ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

26 მაისი 5

შარიღები

ზ. ჯამბურია, საქართველოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი	9
მ. ჯაფარიძე, ადრეული ყორღანების კულტურა საქართველოში	28
ნ. მგებლაძე, შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმები აჭარაში	41
ბ. გამყრელიძე, მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის საკითხები	59

ცნობები და შენიშვნები

რ. კაშია, მ. სანაძე, ვაქრობა და ვაქართა ფენა XVIII ს. თბილისში	70
ნ. ბელაშვილი, სეფიანთა ირანისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან	86
თ. ტიშაძე, რუსი დიპლომატის ცნობები შაჰ სეფის გამეფების შესახებ	96
მ. ძვანტირიძე, ქრონოლოგიის საკითხები ვარდან არეველცის მსოფლიო ისტორიაში	102
მ. ილუჩიძე, აღჯაყალთა იდენტიფიკაციისათვის	114
ა. რამიშვილი, ცუხარუმთა შრომითი საქმიანობა „კაბადოკიური“ ცხრილების მონაცემების მიხედვით	122
ი. კორელოვი, არაბერძნულენოვანი ბერძნები (ურუმები) საქართველოს ტერიტორიაზე	132
ნ. ალექსიძე, ზონის წმ გიორგის ეკლესიის მოხატულობა	150
ნ. ჩუბინაშვილი, ზოომორფული ხანჭლისმავარი საკიდები	165
ა. ორჯონიკიძე, მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები ჭავჭავთის პლატოდან	172

დისკუსია და განხილვა

ბ. მინდიაშვილი, „არქეოლოგიური ძიებანისა“ და „ზეიანის“ № 2 გორასამარხის“ შესახებ	177
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. სურგულაძე, „სვანეთის წერილობითი ძეგლები“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ	182
მ. შამილაძე, მ. ა. აგლაროვი, „სახოლო“ თემი მთიან დაღესტანში XVII ს-ისა და XIX ს-ის დასაწყისში	184

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. ჯორბენაძე, კონფერენცია შუა საუკუნეების ქალაქებზე	190
ჯ. რუხაძე, ნათელა ბალიაურ-ოჩიაურის გამოსათხოვარი	191

СОДЕРЖАНИЕ

26 мая 5

СТАТЬИ

З. Г. ДЖАМБУРИЯ, Некоторые вопросы социальной истории Грузии (по данным мхетского документа XI в. (гlexи)	9
О. М. ДЖАПАРИДЗЕ, Культура ранних курганов Грузии	26
Н. В. МГЕЛАДЗЕ, Традиционные формы трудовой взаимопомощи в Аджарии	41
Г. А. ГАМКРЕЛИДЗЕ, Митридат Евпатор и некоторые вопросы истории Колхиды и Иберии	59

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Р. Г. КАШИЯ, М. В. САНАДЗЕ, Торговля и торговая прослойка в Тбилиси в XVIII веке	70
Н. Г. ГЕЛАШВИЛИ, Из истории взаимоотношений сефевидского Ирана и Грузии	86
Т. Г. ТАВАДЗЕ, Сведения русского дипломата о воцарении в Иране шаха Сефи	96
© Г. КВАЧАНТИРАДЗЕ, Хронологические вопросы во «Всеобщей истории» «каппадокийский» табличек	102
М. А. ИЛУРИДЗЕ, Для идентификации Агджакал	114
П. Р. РАМИШВИЛИ, Виды трудовой деятельности цухарумов согласно данной Вардана Арвелци	122
И. А. КОРЕЛОВ, Иноязычные греки (урумы) на территории Грузии	133
Н. М. АЛЕКСИДЗЕ, Роспись церкви св. Георгия в Хони	150
Н. Т. ЧУБИНИШВИЛИ, Зооморфные кинжалообразные привески	165
А. З. ОРДЖОНИКИДЗЕ, Новые материалы куро-аракесской культуры из Джавахетского плато	172

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Г. М. МИНДИАШВИЛИ, Об «археологических разысканиях» и «зенайском кургане № 2	177
--	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. К. СУРГУЛАДЗЕ, «Письменные памятники Сванети», текст к изданию подготовил, исследованием и научно-справочным аппаратом снабдил В. И. Силова	182
В. М. ШАМИЛАДЗЕ, «Сельская община в Нагорном Дагестане в XVII—начале XIX вв.»	184

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

В. А. ДЖОРБЕНАДЗЕ, Конференция по средневековым городам	190
Дж. А. РУХАДЗЕ, Н. Д. Балиаур-Очиаури (некролог)	191

26 მაისი

1918 წლის 26 მაისი ქართველი ხალხის ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი ეროვნული დღე. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა ქართული სახელმწიფო, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

ერი თავის თავს სახელმწიფოში გამოხატავს და თუ იგი მას არა აქვს, მაშინ ის იბრძვის მის შესაქმნელად. ქართულ სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველი ხალხი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართულ სახელმწიფოს იცავდა და მისი დაკარგვის შემთხვევაში კი მისი აღორძინებისათვის, იბრძოდა.

1801 წელს რუსეთის იმპერატორის მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და დაიწყო ქართული სამეფო-სამთავროების მოსპობის ხანგრძლივი და რთული პროცესი. ქართველი ხალხი არ შეგუებია ქართული სახელმწიფოების გაუქმებას, პოლიტიკური რუკიდან საქართველოს გაქრობას. ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და უკვე დაკარგულის აღდგენისათვის ქართველმა ხალხმა დიდი ბრძოლები გადაიტანა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებში დამკვიდრებული კონცეფცია ამ დროს მარტოოდენ რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის შესახებ, სიმართლის შენიღბულად თქმის ფორმა იყო. 1802 წლის, 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1819—1820 წლების იმერეთ-გურიის, 1841 წლის გურიის აჯანყებები ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა იყო. 1832 წლის შეთქმულებაში უკვე იჩინა თავი ფიქრმა იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა ქართული სახელმწიფო აღდგინათ ახალი, პროგრესული ფორმით — რესპუბლიკის სახით. ცხადია, გარკვეული ვითარების გამო ყველა ეს ბრძოლა თუ შეთქმულება მარცხით დამთავრდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საზოგადოება სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლას სხვა ხერხებითა და გზებით წარმართავდა. ამ ხანის ისტორიული პროცესები, როგორც საქართველოში, ისე მეფის რუსეთში განსხვავდებოდა წინა ხანის პროცესებისაგან. ეროვნული საკითხისადმი მიდევრად უკვე სხვაგვარი იყო. ილია ჭავჭავაძემ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფორმად ავტონომია დაასახელა. იმ ისტორიულ ეტაპზე მხოლოდ ავტონომიისათვის ბრძოლა იყო შესაძლებელი.

XIX საუკუნის მიწურულიდან ქართული საზოგადოების ისტორიაში განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. გაჩნდნენ პოლიტიკური პარტიები, რაც პროგრესის, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წინსვლის მაჩვენებელი იყო. გავლენიან პოლიტიკურ მიმართულებად ჩამოყალიბდა ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. ქართველი სოციალ-დემოკრატები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ნაწილად აცხადებდნენ თავს. სოციალ-დემოკრატები უმთავრეს ამოცანად კლასობრივ ბრძოლას,

845/1

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ. ბლ. თმბა

ელასობრივი საკითხების გადაწყვეტას ასახელებდნენ და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო საკითხს — ეროვნული თავისუფლების მოპოვებას, სადღეისო პრობლემად არ მიიჩნევდნენ. XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა სოციალისტურ-ფედერალისტური მოძრაობა. მალე ეს მოძრაობა ეროვნულ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა. ეს იყო ეროვნული და ამავე დროს სოციალისტური პარტია. სოციალისტ-ფედერალისტები ქართული ეროვნული საკითხის გადაჭრის ერთადერთ გზად რუსეთის იმპერიის შიგნით საქართველოს ავტონომიური ერთეულის შექმნას მიიჩნევდნენ. ცოტა მოგვიანებით წარმოიშვა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც სათავეს იღია ჭავჭავაძისაგან და მისი თანამოაზრეებისაგან იღებდა. ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა პარტიად ჩამოყალიბდა 1917 წლის ივნისში. ქართული ეროვნული საკითხისათვის ბრძოლა ამ პოლიტიკურ პარტიათა პაექრობის ფონზე მიმდინარეობდა. სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და ყველა სხვა პოლიტიკური მიმდინარეობები, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდნენ მიზნად, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ნაციონალისტებად გამოაცხადეს. ისინი მათ წინააღმდეგ რაზმავდნენ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს. მათ ასეთ მოქმედებას ზოგჯერ წარმატებაც ჰქონდა, რაც ართულებდა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ეროვნული საკითხის აქტუალობა მაინც თავისას აკეთებდა და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ბზარი გაჩნდა: მათმა ერთმა ნაწილმა ქართული ეროვნული საკითხის არსებობა სცნო.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია ქართველი საზოგადოებრიობისათვის თითქოსდა მოულოდნელი იყო. მაგრამ როგორც კი დაემხო მეფის მთავრობა, პატრიოტულად განწყობილი პოლიტიკური ძალები მაშინვე გაერთიანდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საბრძოლველად. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქართული სახელმწიფოს აღდგენა რეალური გახდა. ქართველი საზოგადოება, მისი ყველა პოლიტიკური მიმართულება შემქმნდროვდა, შეიკრა საქართველოს ეროვნული გამოხსნისათვის საბრძოლველად.

1917 წლის აგვისტო-სექტემბერში ეროვნულ და სოციალურ საკითხებში აღრე შეურიგებელი პოლიტიკური მიმართულებები გაერთიანდნენ ინტერპარტიულ საბჭოში, რომლებმაც იმავე წლის ნოემბერში მოიწვია სრულიად საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა. ეს იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა და ქართველი საზოგადოება მას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩია, რომლის აღმასკომის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიანი იყო. 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე ეროვნული საბჭო ფაქტობრივად საქართველოს მთავრობა იყო. ის განაგებდა საქართველოს საქმეებს.

ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ ქართული სახელმწიფო წარმოიქმნა გარე ძალების და გარეგანი მოვლენების ზემოქმედების შედეგად. ამ მოვლენებმა დაშალეს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა და წარმოიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს მოვლენების ზედაპირული ახსნაა. იმ ხანის მთელი ისტორიული პროცესი მიმართული იყო იქითკენ რომ ერს, ქართველ ხალხს თავისი ბუნებრივი მდგომარეობა მოეპოვებინა — შეექმნა სახელმწი-

ფო საკუთარი საზღვრებითა და სხვა ატრიბუტებით. გარეგანმა მოვლენებმა ეს ბუნებრივი პროცესი მხოლოდ დააჩქარეს.

1918 წლის 25 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომმა მოაშვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მეორე დღეს ეროვნულმა საბჭომ დიდი ზეიმით ამცნო ქართველ ხალხს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა. პოლიტიკურ რუკაზე რუსული ადმინისტრაციული ერთეულების ადგილას გაჩნდა ერთიანი ქართული სახელმწიფო. შეიქმნა პირველი, მრავალპარტიული მთავრობა ნოე რამიშვილის მეთაურობით. საკანონმდებლო უფლებანი კვლავ დარჩა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელსაც ოქტომბერში საქართველოს პარლამენტი ეწოდა. მისი თავმჯდომარე იყო საქართველოსა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. მალე მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნ. რამიშვილი ნოე ჟორდანიამ შეცვალა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ — საქართველოს პარლამენტმა დიდი მუშაობა გასწია ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის. მან შექმნა მართვის ორგანოები — სამინისტროები და სხვა უწყებები. შექმნა სახელმწიფოს სიმბოლოები — დროშა გერბი. ჰიმნი, მთავრობის შტანდარტი. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, მისმა შექმნილმა კომისიამ დიდი მუშაობა გასწია ქართული სახელმწიფოს საზღვრების დასადგენად. 1918 წლის სექტემბერში საბჭომ ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოაცხადა. ორივე ამ ფაქტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ქვეყანაში, რომელსაც სახელმწიფო და სახელმწიფო საზღვრები უკვე ჰქონდა; ხოლო თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას, ამაზე დღევანდლობაც კარგად მეტყველებს. საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველოს ჰქონდა მშობლიური ენა სახელმწიფო ენად გამოცხადებული. სომხეთმა და აზერბაიჯანმა ეს მოიპოვეს 1978 წელს. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ამისათვის დღეს იბრძვიან.

1918 წლის თებერვალში აირჩიეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელმაც ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დამოუკიდებლობის აქტი დაამტკიცა და დიდი მუშაობა გასწია საქართველოს კონსტიტუციის შესამუშავებლად. დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრება არ იყო მშვიდი. ქვეყნის შიგნით გლეხთა აჯანყებები ზშირი იყო. ამ აჯანყებების ორგანიზატორი ქართველი ბოლშევიკები იყვნენ. 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო. ეს იყო ლენინური დოკუმენტი, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო. ამავე დროს მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწენი ბევრს იღვწოდნენ, რომ ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ დემოკრატიული რესპუბლიკა.

რევოლუციამდელ საქართველოში აგრარული საკითხი მწვავედ იდგა და საქართველოს მთავრობამაც არ დააყოვნა აგრარული რეფორმა. ამ აგრარულ რეფორმას მისი თანამედროვენი და ისტორიკოსები ერთნაირად არ აფასებდნენ. მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიაში ეს რეფორმა გარკვეული მნიშვნელობის მოვლენა იყო. მენშევიკებმა მიწის საკითხში ხელი აიღეს თავი-



ანთ პროგრამისეულ მოთხოვნებზე — მიწის მუნიციპალიტეტზე. მათ მიერ გატარებულმა რეფორმამ პარცელარული მეურნეობები შექმნა. დღეს ამ საკითხზე საბჭოთა ისტორიულ და ეკონომიკურ აზროვნებაში დამოკიდებულება შეიცვალა.

მრავალი საკითხი ელოდა გადაჭრას, მაგრამ მთავრობამ ეს ვერ შეძლო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დიდხანს არ არსებობდა. ქვეყნად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ამასთან ერთად მენშევიკები სახელმწიფოს მოწყობას უფრო პარტიული დოქტრინით უღვებოდნენ; სახელმწიფოს ამ დოქტრინით მართავდნენ, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა. ზურაბ ავალიშვილი წერდა: „საქართველოს მეთაურებს თავიანთი მთავრობა საბჭოთა წყობილებისაგან გასარჩევად წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც დემოკრატიული. ნამდვილად კი საქართველო ჯერ სრულიად ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნილებებს. უკანასკნელი გარეგანი ფორმები მხოლოდ ჰფარავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიქტატურას“.

საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მიმდინარეობანი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი მოუხედავად ურთიერთდაპირისპირებისა, პარტიული და შიდაპარტიული ბრძოლისა ბევრს იღვწოდნენ ცივილიზებული, ევროპული ყიდიის სახელმწიფოს მოსაწყობად.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ისტორიაში შევიდა როგორც ქართული სახელმწიფოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული დღევანდლობასთან. ამიტომ არის რომ 26 მაისი წელს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღესასწაული.

ზურაბ ჯაფარიძე

საპარტევლოს სოციალური ისტორიის ზოგიერთი საკითხი

(XI ს-ის მცხეთის საბუთის მიხედვით (გლეხი))

XI ს-ის მცხეთის საბუთის — ე. წ. „მელქისედეკის დაწერილის“¹ — ძვირფასი ცნობები თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ სრულად ან სათანადოდ გამოყენებული არ არის, რის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია ძეგლის, როგორც წყაროს, შეუსწავლელია. ჩვენი წერილის მიზანია შეძლებისდაგვარად ვცადოთ ხარვეზის შევსება. ამჯერად შევეხებით სოციალური ხასიათის ცნობებს, კერძოდ, ცნობებს გლეხობის შესახებ.

ძეგლში დაცული სოციალური შინაარსის ცნობები (ისევე, როგორც სხვა რიგის ზოგიერთი ცნობაც) ტერიტორიულ-გეოგრაფიულად ეხება როგორც საკუთრივ მცხეთის სენიორიას, ისე მთლიანად საქართველოს: რამდენადაც მცხეთის სენიორიის მეთაური იმავე დროს ეკლესიურად ქვეყნის უმაღლესი მმართველი — კათოლიკოს-პატრიარქიცაა, ამის გამო მისი მოქმედების ასპარეზი მთლიან საქართველოსაც მოიცავს.

გლეხი ფეოდალური საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე დგას. პირველად „გლეხი“ გვხვდება ნათარგმნ ძეგლებში. ხოლო პირველი დოკუმენტური ძეგლი, სადაც „გლეხი“ იხსენიება, არის IX ს-ის საბუთი — ფანელის დაწერილი². „მელქისედეკის დაწერილი“ არის ქრონოლოგიურად მეორე ქართული დოკუმენტური წყარო, სადაც გლეხია მოხსენიებული.

მელქისედეკის დაწერილში გლეხი მოხსენიებულია შემდეგ კონტექსტში: მელქისედეკ კათოლიკოსი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იკეთებს სასაფლაო-ეკვდარს, დაიდგენს მწირველ ზუცესად იოვანეს, რომელსაც ევალება მელქისედეკის საფლავზე მისი სულის მოსახსენებლად შეასრულოს წირვა-ლოცვა. ამის გარდა, წელიწადში ერთხელ გადაიხადოს ალაპი ქამის წირვით და ა. შ. ყოველივე ამ ხარჯისათვის და თვით ზუცესის გასამრჯელოდ მელქისედეკი მწირველ იოვანეს უბოძებს „გასარომელს“³. სწორედ ამ გასარომელში სხვა ობიექტებთან ერთად შედის გლეხებიც:

„და უჩინე ამა საკურთხეველსა ჩემსა და ქამისმწირველსა და მივსცემ“:

თემს: გლეხნი სამნი ფუძითა სრულითა და ვენაჯი ა, მიწაი ა, წისქვილნი ა და ქალაი.

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 20.

² იქვე, გვ. 16.

³ განრომა, გარომა, თავის რჩენა, აქედან გასარომელი, სარჩო, იხ. ა. შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბ., 1946, გვ. 91; გასარომელი — სარჩო, საჭიროება, სახმარი; იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 91.



და ოტათლოანს გლეხი ა, ციხედიდს გლეხი⁴ ფუძითა სრულითა და ვენახი ა.

მცხეთას სენანი ა, ბოსელი ა, ყანაჲ და ვენახი მცირე ა.

ესე ყოველი თავისუფლობით, შეუვალად ჰქონდის, ყოველი-სა შესავალისა სასეფოჲსაგან, დიდისა და მცირისაგან.

...იოვანე საკურთხეველსა ჩემსა, საფლავთა ჩემთა ზედა ჟამისმწირველად დავადგინე და მიუთვალე ესე გასარომელი... დავიდევ აღაბი თუესა იანვარსა კდ, დღესასწაულსა ყოველთა წმიდათასა, ლამის-თევით და ჟამის-წირვით აღესრულებოდის“⁴.

ამგვარად, ეკვდრის მწირველის, იოვანეს მფლობელობაშია სულ 5 კომლი გლეხი, ხუთივე სრული ფუძის მქონენი, ტერიტორიულად სამ სხვადასხვა სოფელში; ამის გარდა, სამი ვენახი, ერთი მიწა, ერთი ყანა, ერთი წისქვილი და ჭალა; თვით მცხეთაში ერთი სადგომი (სენანი), ერთი ბოსელი, ერთი ყანა და ერთი „ვენახი მცირე“.

როგორც ვხედავთ, გლეხი აქ წარმოდგენილია სხვისი ფლობის ობიექტად. და რაც მთავარია, ისეთ ობიექტებთან ერთად, როგორცაა: ვენახი, ყანა, ჭალა და ა. შ.; იგი არის გასხვისების საგანი: მელქისედეკი გლეხებს ისე, როგორც ყანას, ვენახს... უბოძებს („მივცენ“, „მიუთუალენ“) იოვანე მწირველს. ყოველივე ეს თვალსაჩინოდ ახასიათებს გლეხს, როგორც სოციალური საზოგადოების უმდაბლეს საფეხურზე მდგომ უშუალო მწარმოებელს, რომელსაც პირადი თავისუფლება დაკარგული აქვს.

შევნიშნავთ, რომ „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ მიხედვით, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა (ივ. ჯავახიშვილი⁵, ა. ვაჩიშვილი⁶, ა. დოლიძე⁷) XI ს. ძველად მიიჩნევს, გლეხი წარმოგვიდგება თავისუფლებადაკარგულ, უუფლებო ადამიანად — შეიძლება მისი გასხვისება, სისხლში მიცემა.

ამ პერიოდში გლეხის ბატონთან (ამ შემთხვევაში სასულიერო სენიორთან) დამოკიდებულებაში წინა პლანზე მისი ეკონომიკური ექსპლუატაციაა წამოწეული (და მისი დანიშნულებაც ეს იყო). მელქისედეკის საბუთიდან ეს რელიეფურად ჩანს იმ მხრივ, რომ სადაც გლეხი იხსენიება, ყველგან დამატებულია „სრული ფუძით“.

ვიდრე „სრული ფუძის“ სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს განვიხილავდეთ, საჭიროა შევნიშნოთ იქვე ფიქსირებული შემდეგი ფაქტი: ხუთი შემთხვევიდან არც ერთხელ გლეხთა გვარვინაობა დასახლებული არ არის მაშინ, როცა მათი საცხოვრისი მითითებულია. არც ის არის ნათქვამი, თუ კონკრეტულად რა სახის და რაოდენობის გამოსაღები ადევთ ხსენებულ გლეხებს ეკვდრის სასარგებლოდ და ა. შ. რით უნდა ავსხნათ ეს? ცხადია, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკისა და მწირველ-ხუცეს იოვანესთვის ყველაფერი ეს ცნობილი იყო, მაგრამ ეს არ კმარა ახსნისათვის. ეს უნდა იხსენებოდეს ერთი მხრივ, საბუთის ხასიათით. უეჭველია, რომ ამ „დაწერილზე“ ადრე გამოცემული იყო თვით მელქისედეკის მიერვე ბოძებული ცალ-

4 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1, გვ. 27—28.

5 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 94.

6 ა. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბ., 1946, გვ. 8

7 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 60.

კე საბუთი იოვანე ხუცესისადმი გლეხთა ვინაობისა და ვალდებულებათა დაწერილებითი აღნიშვნით. მელქისედეკს თავის ანდერძში სწორედ აქედან გადმოაქვს მხოლოდ ზოგადი ცნობები, თუ სად რა სახის ობიექტი აქვს, და-ნარჩენის აღნიშვნას კონკრეტულად საჭიროდ არ თვლის. თავისთავად ის გარემოებაც, რომ ამოკრეფის დროსაც გლეხი ისეთივე ობიექტია, როგორც „ყანა“, „ვენახი“ და ა. შ., მეტყველებს გლეხის დაბალ სოციალურ მდგომარეობას.

ამის ანალოგიას ვპოულობთ XI საუკუნისვე ნიკორწმინდის წინამძღვრის „დაწერილში“, რომელიც მონასტრისადმი ნაშრომ-ნაღვაწის ერთგვარ ანგარიშს წარმოადგენს. ამ დოკუმენტში, სადაც ოც შემთხვევაში ლაპარაკია გლეხის შესახებ, როგორც წესი, გლეხი ვინაობით არსად იხსენიება, არამედ უბრალოდ — გლეხი (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ზოგჯერ პატრონის ვინაობის დასახელებით). ნიკორწმინდის წინამძღვარს, მსგავსად მელქისედეკისა, დაეთარში აინტერესებდა, თუ მონასტერს სად, რომელ სოფელში, რა სახის, რა ოდენობის (მათ შორის გლეხისაც) საკუთრება ჰქონდა, ვისგან, რა გზით იყო იგი შექმნილი და ა. შ. ასეთი ობიექტის შეტანისას ნიკორწმინდის ამ საერთო დოკუმენტში ზოგჯერ ბოლოში აღნიშნულია „მოწამე არიან კაცნი“. ცხადია, ეს უკანასკნელი ფრაზა თვალსაჩინო მოწმობაა იმისა, რომ თითოეული ჩაწერილი აქტი ემყარებოდა ცალკეულ წინასწარგაცემულ საბუთებს: წინამძღვრის მიერ გლეხის შეწირულობის, ნასყიდობის, მიწაზე დასახლების, ნასამართლეობის, ბეგრის დადების ან გლეხისგან მონასტრისათვის მიწის შეყიდვის საბუთებს და ა. შ. მოვიტანთ მაგალითებს:

„მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი ა... და მოწამე არიან კაცნი...“

ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნაოთხალი ვენაგისაჲ... და მოწამე არიან კაცნი...“

მლილა დაკოდნა ეკლესიისა კაცნი და მისდა საზღავთ ავიღეთ ველიჭრულსა რაჲცა იყო, მისი კერძი, მოწამე არიან კაცნი...“

ოკრიბას ვიყიდე აჩეჩილსაგან გლეხი ა ბობოთს და მივეც ცხენი ა... მოწამე არიან კაცნი...“⁸

ეჭვი არ არის, რომ როგორც ზემოთ აღნიშნეთ, იმ მოუღწეველ საბუთებში, რომლებიც როგორც მელქისედეკის, ისე ნიკორწმინდის წინამძღვრის მიერ შედგენილ დაწერილებს დაედოთ საფუძვლად, გლეხები პერსონალური ვინაობით მოიხსენიებოდნენ. ამას გვიმოწმებენ როგორც ლოგიკური, ისე ისტორიული არგუმენტები. თუ მაგალითად, ნასყიდობის, შეწირულობის დოკუმენტებში გლეხი მხოლოდ ადგილის (სოფლის) და პატრონის ვინაობით იწმინდებოდა მოხსენიებული, ხომ შეიძლებოდა (და ბუნებრივიცაა), რომ პატრონს ამ სოფელში სხვა გლეხებიც ჰყოლოდა ან შემდეგ შეეძინა? ასეთი ვითარება უმაღლეს გუჯებობას წარმოშობდა, რაც დაინტერესებულ პირს შე-

ედლო მხარეების საზიანოდ გამოეყენებინა. მეორე მხრივ, უფრო მოგვიანო პერიოდის მსგავს საბუთებში გლეხი გამონაკლისის გარეშე ყოველთვის საკუთარი ვინაობით მოიხსენიება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დასახელებულია მისი პატრონი და ა. შ.⁹

მელქისედეკის დაწერილშიც უსახელოდ მოხსენიებული გლეხები თავიანთი სახელებით მოხსენიებული იქნებოდნენ იოვანესადმი მიცემულ საბუთში, რომელიც შემდეგ გაერთიანდა ანდერძთან. ასეთი საბუთი რომ არსებობდა, ამას მოწმობს ოქროპირ ქართლის კათოლიკოსის დამტკიცება, რომელიც, უეშველია, მელქისედეკის მიერ იოვანესადმი მიცემულ საბუთს ეკუთვნოდა და შემდეგ, ანდერძის დაწერის დროს ეს დამტკიცება ანდერძის დამტკიცებებს დაემატა. ეს დამტკიცება რომ იოვანესადმი ბოძებულ საბუთს ეკუთვნოდა, ეს ჩანს თვით დამტკიცების ტექსტიდან: „ქ. ესე ვითა სულდიდებულსა მამასა ჩემსა, მელქიზედეკს ქართლისა კათოლიკოსსა იოვანესა და დაუწერია, და მათისა სულისა მლოცველად, ჟამისმწირველად დაუწესებია და მისი გასარომელი უჩენია... და მტკიცე არს უკუნისამდე იოვანესთუის, და ნებეირი არს იოვანე ყოვლისა ამის მათისა ბრძანებულისა, ვისთუისცა იოვანესუნდეს მიცემად და დატევებად...“¹⁰

როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ოქროპირ კათოლიკოსის ეს დამტკიცება არ შეიძლება ეხებოდეს ანდერძს, რადგან აქ პირდაპირ ლაპარაკია მხოლოდ იოვანეს ჟამისმწირველად დაყენებასა და მისთვის გასარომელის ბოძებაზე. ეს დამტკიცება, როგორც აღვნიშნეთ, ეკუთვნის იოვანესადმი ბოძებულ საბუთს.

„ფუძის“ რაობის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საქმალოდ მყარი, ზოგადი დებულებაა შემუშავებული: ფუძე ის მიწა-წყალი იყო, რომელზედაც გლეხი იჯდა და ეწეოდა მეურნეობას. ფუძეში შედიოდა სახნავ-სათესი მიწა, ვენახი, საცხოვრებელი სახლი ეზო-კარ-მიდამოთი, აგრეთვე სათემო სარგებლობაში მყოფი ტყე და საძოვარი. ფიზიკური სიდიდით ფუძის ერთიანი, საყოველთაო ნორმა არ არსებობდა, მაგრამ ის მაინც გარკვეული ოდენობისა იყო იმ მხრივაც, რომ ნატურალური მეურნეობის პირობებში ფუძის შემოსავალი საკმარისი უნდა ყოფილიყო გლეხის ოჯახის გამოსაკვებად, აგრეთვე ფეოდალური რენტის გადასახდელად და მეურნეობის გასახლებლად. ფუძე, როგორც მიწა-წყლის ერთეული, ერთნაირი არ იყო. იგი ცვალებადობდა ქვეყნის ბუნებრივი დარაიონების, მებატონის შესაძლებლობის და სხვათა კვალდაკვალ. მაგ., მთის ზოლში, სადაც ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, ვენახის ფართობი მცირე, ან სულ არ უნდა ყოფილიყო და სხვა¹¹.

მელქისედეკის დაწერილში მოხსენიებული „სრული ფუძის“ ფიზიკური მოცულობის გამორკვევა სიძნელეს არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ჩვენ

⁹ ჩვენი აზრით, გლეხები იხსენიებოდნენ არა მარტო პატრონის, არამედ აუცილებლად საკუთარი სახელითაც.

¹⁰ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 30—31.

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 1907, გვ. 19; ი. ჭავჭავაძე, კერძო და სათემო მიწისმფლობელობა, თხზულებათა კრებული, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 185—188; მ. ლორთქიფანიძე, გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა: წიგნში: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ.

დაგვეხმარება ამავე ეპოქის დოკუმენტი, საიდანაც ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა დასკვნა ფუძის ოდენობის თაობაზე: შიომღვიმის მონასტერს მისმა მეურვემ ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელმა სხალტბიდან წყაროს წყალი გამოუყვანა მიღებით. 1195—96 წელს თამარ მეფემ ანტონისავე თხოვნით მონასტერს შესწირა სხალტბაში მოსახლე ორი გლეხი, რომლებიც წყაროს სათავესთან ცხოვრობდნენ, რადგან ანტონს ისინი ესაჭიროებოდა წყაროს სათავე ნაგებობის მოვლა-შეკეთებისათვის მუდმივ ხელოსნებად. მეფე ამბობს: „წყლისა... სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსაისძენი, საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად, მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად, მისდა მიგუითავესუფლებია. ჰქონდეს იგი წყალი და გლეხნი ქოსაისძენი, მიწად ერთი და კუამლად ორი, სუიმონ და გიორგი და იაბერი და შვილნი და შვილისშვილნი მათნი...“¹²

იმავე ორი გლეხის შესახებ ანტონის მინაწერ საბუთში შემდეგი იკითხება: „წყაროსა სათავესა იყო კუამლი ორი სასეფოი, სახელით აფხაზთანი... გიორგი და იაბერი, ფუძედ ერთი და კუამლად ორი. და მე გაუჩინე სამსახური მის წყაროისი, რომელ ორსავე სახლისაგან თუითოი შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდეს და ჰკაზმეიდენ მას წყაროსა... ამათ გლეხთა ორთავეს სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას სახელდებით: ბოტკოს და დიდველს დღისა ათისაი და წყაროსა სათავესა ორისა დღისაი და ვენაჯი, რომელ საკრებულოი იღვა სხალტბას“¹³.

მოტანილ ტექსტში ტერმინი „ფუძე“ და „მიწა“ ერთმანეთს ენაცვლება. შესადაამე, ისინი სინონიმური მნიშვნელობით იხმარებიან („მიწად ერთი და კუამლად ორი“ — „ფუძედ ერთი და კუამლად ორი“). როგორც აქედან ჩანს, ამ ორ კომლს ფუძისთვის გამოეყოთ 12 დღიური მიწა და ვენახი (მონასტრის ფონდიდან). რამდენადაც ეს ორი კომლი გლეხი მიწა-წყლის მიცემის შემდეგ ერთ ფუძედ იხსენიება, ცხადია, ერთი სრული ფუძის მიწის ოდენობა 12 დღიურს შეადგენს. ბუნებრივია, რომ ამ ყოფილ „სასეფო“ გლეხებს ახალი პატრონის ხელში გადასვლისა და ახალი ვალდებულებების (წყლის მკაზმობა) დაკისრების გამო, მიწა-წყალიც ახალი პატრონისგან მიუღიათ. თუმცა საბუთიდან არ ჩანს, მაგრამ უეჭველია, რაკი ისინი სხალტბაში იქვე, წყაროს სათავესთან ცხოვრებულან¹⁴ (საიდანაც ანტონმა შემდეგ მიღებით წყალი გაუყვანა მონასტერს), მანამდეც თავიანთი მიწა ექნებოდათ (საბუთში მათ ახალ დასახლებაზე ლაპარაკი არ არის).

ამრიგად, კონკრეტული სურათი ასეთია: სხალტბაში მცხოვრები გლეხის ფუძე 12 დღიურ მიწას და ერთ ვენახს უდრის. ამ საბუთშივე მითითებულია, რომ ტერიტორიულად ეს მიწა-წყალი სხალტბაშივეა: კერძოდ, ათი

20; ბ. ლომინაძე, უშუალომწარმოებელთა საზოგადოება — გლეხობა, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 759.

¹² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 100.

¹³ იქვე, გვ. 102—103.

¹⁴ „წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო... და რომელი სხალტბას მის წყლისა შესგან მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის“.

დღისა ბოტკოსა და დიდგელში, ორი დღისა — თვით წყაროს სათავესთან. ვენახიც, რომელიც აგრეთვე მონასტრის (საკრებულოს) უშუალო საკუთრებაყოფილა, იქვეა სხალტბაში.

მელქისედეკის დაწერილში დასახელებული გლეხების საცხოვრისი: თეძი, ოტათლოანი, ციხედიდი — ტერიტორიულად სწორედ ამ სხალტბასთან ჯალზე ახლოს მდებარეობს. ასე რომ, ეს პუნქტები ერთ სამეურნეო-გეოგრაფიულ რაიონში, მიკრორაიონშიც კი შეიძლება ჩავთვალოთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მცხეთის საეკვდრო სრულფუძიანი გლეხებიც თითოეული ფლობდა 12 დღიურ მიწას და ერთ ვენახს ისევე, როგორც სხალტბაში მცხოვრები სრულფუძიანი გლეხი¹⁵.

ი. გძელიშვილი, რომელმაც შეისწავლა თეთრი წყაროს რაიონში, მდ. ქივჭავას ხეობაში შემონახული ხუთი ნასოფლარი, წერს: „შეიძლება დავუშვათ, რომ XII—XIII სს. ერთ ფუძეში 10 დღიური მიწა მანც შედიოდა“¹⁶. საყურადღებოა, რომ ამ არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზეც თითქმის იგივე დასკვნა გამოტანილი ფუძის რაოდენობის შესახებ.

საინტერესოა აგრეთვე ს. შაკალათიას დაკვირვება ხევსურეთზე, სადაც: „XIX ს-ში შეძლებულს, ან აშენებულს, როგორც მას ხევსურები უწოდებდნენ, ჰქონდა 10—12 დღიურამდის მიწა, ღარიბს, „მდარეს“ კი 3 დღიური“¹⁷.

მელქისედეკის დაწერილში მიწის ფართობის საანგარიშებლად გამოყენებულია ტერმინი „დღისა“: „მიწანი... დღისა ათისაი და წყაროსა სათავესა ორისა დღისაი“. „დღე“ არის ცნობილი სიტყვის — დღიურის შესატყვისი¹⁸. როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს, აქ მიწის სახნავად თუ სავენახედ დამუშავების დრო (ერთი დღე) უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი და ვფიქრობთ, მის განსაზღვრაში პირველადი ესაა.

ნიკორწმინდის დაწერილში ყანის ასეთი ზომებია მოცემული: „მოვიგეყანაი გრივისა ერთისა სათესავი...“¹⁹ მოვიგეყანაი ექუსისა კაბიწისა სათესავი...²⁰ ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაი...²¹ საზღავად ავიღეთ მიწაი ნაკუეთი ბ“²².

„სათესავი“, ანუ დასათესი მარცვლეული რაოდენობის მიხედვით ყანის ფართობის ანგარიში სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ აქ განმსაზღვრელია ფიზიკური დამუშავების მომენტი (ე. ი. ყანა ისეთი ფართობის მიწაა, რომელზეც მარცვლეული მხოლოდ ერთი გრივის რაოდენობით ითესება და ა. შ.). „ნაკუეთი“ მიწის ნაჭერს გულისხმობდა თითქმის დღევანდელი გაგებით („ნაკუეთი“ დღესაც ცოცხალი ტერმინია). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ცნებების მრავალფეროვნებაზე საქართველოს ადგილობრივ-კუთხური მეტყველება ახდენდა გავლენას.

15 გამოიციხულია, რომ დროის აღებულ მონაკვეთში, ე. ი. როცა გაიცა დასახლებული ორი საბუთი, (მელქისედეკისა და თამარ მეფის) ამ მხრივ მომხდარიყო ცვლილება. სოციალურ-ეკონომიკურად არ არის მოსალოდნელი საქართველოში ისეთი ცვლილებები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ ფუძის ოდენობაზე.

16 ი. გძელიშვილი, რუსთაველის ხანის ქართული სოფელი, კრებ.: საქართველო-რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 196.

17 ს. შაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 55.

18 ორივე ვარიანტი საქართველოში დღემდე გავრცელებულია.

19 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 42.

20 იქვე.

21 იქვე.

22 იქვე, გვ. 40.

„დღიურის“ ფართის დღევანდელ ზომებში გადატანის თაობაზე შეიძლება ვთქვათ, რომ XIX ს. საგლეხო რეფორმის წინ 10—12 დღიური 5 დესეტინას უდრიდა²³.

გვიანდელი საუკუნეების საბუთებში ფუძის მნიშვნელობით ჩვეულებრივ იხმარებოდა ტერმინი „საგლეხო მამული“ და „საკომლო მამული“. „ფუძე“ კი თანდათან ხმარებიდან გამოდის.

ჯერ კიდევ XIII—XIV სს. ძეგლებში გვხვდება „საგლეხო ფუძე“, ხოლო მის პარალელურად ზოგჯერ იხმარება „მამულიც“. ამის მკაფიო მაგალითს ბექას კანონების 56-ე მუხლი იძლევა (მოვიტანთ სრულად, რადგან სხვა საკითხთან დაკავშირებითაც დაგვჭირდება):

A „თუ კაცმან კაცსა მიწა მიჰყიდოს, — კაცრიელი თუ უკაციური, — რაც იმ დღეს მსყიდველსა ველთა არა აქუს, სხუასა მიდევნასა არას ემართლებს.

თუ ფუზის მკვდრი გარეთ იყოს და მერმე მამულსა ზედა მოვიდეს, ვისგან ჰქონებოდეს, დაჭირვასა არას ემართლებს, რა გინდა დიდი ხანი დაეყოს.

B თუ კაცმან კაცს საგლეხო ფუძე მიჰყიდოს, — გინა კაცრიელი, — გინა უკაციური, — რაც მას დღეს მიმსყიდველსა ველთა არა აქუს, მის მეტს მსყიდველი მიდევნას არას ემართლებს.

და თუ მის ფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მივა თვისისა გულითა, როგორც ზემოთ სწერია, რა გინდა ხანი დაეყოს, იგი არას ემართლება მის წესისა გაჩენილისა მეტსა“²⁴.

XIV ს-ის ნარატიულ ძეგლში მოხსენიებულია გლეხი „სრული მიწით“ (როგორც აღვნიშნეთ, „მიწა“ „ფუძის“ სინონიმური მნიშვნელობისა იყო). როგორც ცნობილია, მონღოლებმა დაპყრობილი საქართველო აღწერეს 1254 წ. ქართველი ისტორიკოსის, XIV ს. ანონიმი ავტორის, უამთააღმწერლის თხზულებაში ამის თაობაზე შეტანილია დაწვრილებითი ცნობები: „იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენჯამდე, წალკოტით ბოსტნამდე, და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარშავალი კაცი შეადიან. და გამოვდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დღემანი ჰქედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“²⁵.

ამგვარად, აქ ლაპარაკია საქართველოდან 90 000 სული „სრული მიწის“ (ფუძის) მქონე გლეხის სამხედრო ვალდებულებით მონღოლების ლაშქარში მონაწილეობაზე (ჯერის მიხედვით).

ადრეც, დაახლ. 1200 წ. საბუთში შიომღვიმის კრებულის მიერ მწირველ ზოსიმესადმი მიცემულ წერილში იკითხება: „რუეთს საკურთხევლისა საგლეხოსა ვენაჟსა ზედა კაცნი ვინმე სხდომილ იყვნეს არ მემამულენი, მიწაი ვენაჟად აეშენა და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მათისა ნაცვლად, იოვანეს გამზრდელსა გარისელამსქესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მათ კაცთათუს“²⁶. ამ კონტექსტიდან თვალსაჩინოდ ჩანს, რომ „არ მემამულე კაცნი“

²³ საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 455.

²⁴ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 311.

²⁵ უამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 235.

²⁶ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 89.

ფუძის უქონელ გლეხებს ნიშნავს. რაკი მათ ამ ადგილას ფუძე, ე. ი. მამული არა აქვთ, ჩანს, სამუშაოდ მოსულან. ვენახის აშენების შემდეგ გასამრჩელოს იღებენ და მიდიან.

დავებრუნდეთ ფუძის ოდენობის საკითხს.

ი. ჭავჭავაძეს თავისი დროის ვითარების მიხედვით ნათქვამი აქვს: „სხვადასხვა ადგილას ეს „საკომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ორმოცი და სამოციცა... არსად არ შეგვხვედრია „საკომლო“ ათს დღიურზედ ნაკლები ყოფილიყოს და სამოცზედ მეტი“²⁷.

მელქისედეკის დაწერილში გლეხის სრული ფუძით მოხსენიება, როგორც უკვე ვთქვით, მიუთითებს გლეხის ეკონომიურად ნორმალურ მდგომარეობას. მაგრამ ასეთის აღნიშვნა თავისთავად ისეთი გლეხების არსებობასაც გულისხმობს, რომელთაც არასრული ფუძე აქვთ, ან სულაც არ გააჩნიათ იგი (ანუ არიან „არ მემამულენი“). ცხადია, მოწესრიგებულ ფეოდალურ სახელმწიფოში და მეურნეობის განვითარების დაუბრკოლებელ პირობებში ქვეყნის წამყვანი ძალა სრულფუძიანი გლეხია (ანუ საშუალო გლეხი). ამიტომაც გლეხთა ძირითად უმრავლესობას ის შეადგენს²⁸.

ცნობილია, რომ ფეოდალურ-ბატონყმურ საზოგადოებაში მიწა, რომელზეც გლეხი იჯდა და რომელზეც ის მეურნეობას ეწეოდა, სავადასახადო ერთეულიც იყო. მიწას ედო ვადასახადი უშუალოდ ფეოდალ-ბატონის თუ სახელმწიფოს სასარგებლოდ (როგორც ცნობილია, გლეხის მიწა ფეოდალის საკუთრებას შეადგენდა და ამიტომ უხდიდა გლეხი მას რენტას). მოვიტანო მავალითებს:

ზიომღვიმის 1200 წ. ახლო ხანების საბუთში ვკითხულობთ: „შენ ზოსიმეს დედულსა, ზითვად მოცემულსა ზედა სტეფანეთ მამულისაგან, რომელ სამსახური არაჲ ზედა-აც, მისსა ნაცვალსა სტეფანესძე გარდაიკდის და სამეფოსა სამსახურსა: კულუხსა, ღალასა, და ყოველსავე გამოსაღებულსა. ჰაგრე მოცემული არს ესე მიწაი ზითვად“²⁹.

1260 წ. რკონის საბუთი: „თუ მიწაი დაუკაცრდებოდეს, რაისაგანცა ქრთამითა ნუ ვის გარდაერთვის — სამსახური და კულუხი ნუ წაკდების: სხუაი გლეხი დაისუმოდეს ზედა“³⁰.

1545 წ. საბუთი ბაგრატ მეფისა გელათისადმი³¹: „იმ ორ პარტახტისა ასრე იქმნას: სანამდის კაცი დაესახლებოდეს, ან მინდორსა და ან ტყესა, დალასა გამოიღებდეს, და როგორაც კაცი დაესახლოს, რაცა იმ ალავას ბეგარა პართებოდეს, იმას გამოიღებდეს“³².

გვიანდელი ხანიდან ბეგარა-გადასახადების ვრცელ სიებსა და ცალკეულ დოკუმენტებში სავადასახადო ერთეულად დასახელებულია ფეოდალის განკარგულებაში მყოფი მთლიანი მიწა-წყალი სოფლობრივ ან კომლობრივ (ე. ი. ცალკეული გლეხები გვარ-სახელით — ოჯახის უფროსი) ბეგარა-გადა-

27 ი. ჭავჭავაძე, კერძო და სათემო მიწათმფლობელობა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, 1956, გვ. 188.

28 ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 759.

29 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 89—90.

30 იქვე, გვ. 150.

31 ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966, გვ. 186.

32 იქვე.

სახადების აღნიშვნითურთ. ასეთ დოკუმენტებში გლეხის ფუძე-მიწაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ ეს გარეგნული შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში აქ ფუძე-მიწა თავისთავად იგულისხმება გლეხთან ანუ კომლთან ერთად (როგორც მისი განუყოფელი ნაწილი). მელქისედეკის დაწერილის პერიოდშიც ასეთი ერთობლიობა გვაქვს: გლეხი ჩვეულებრივ თავის ფუძიანად იგულისხმება. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ, როგორც ნაგვიანვე ხანაში, მაგალითად, XV—XVI სს., ისე უფრო ადრე პერიოდში — XI—XII სს. ფუძე და კომლი (გლეხი) ცალ-ცალკე ძლიერ იშვიათად გვხვდება (გარდა საგანგებო მდგომარეობისა).

გვაქვს ერთადერთი შემთხვევა მელქისედეკის დაწერილის ახლო პერიოდთან, როცა ტერმინი „ფუძე“ დამოუკიდებლად საგადასახადო ერთეულის აღსანიშნავად იხმარება: 1211—1212 წწ. საბუთში ლაშა-გიორგი წერს: „მოკუაჟანსა... იოვანე ქართლისა მთავარებისკობოსმან, უდაბნოსისა მღუიშისა ზოფლისა აგარისა საქმე და გუეჰაჟა, რომელ ჩუენისა ზროხისა შებმაი ზედ ედვა ფუძესა ზედა, რაითამცა იგი გაუშვით... გაუვიშუია ზროხისა შებმაი, რომელი ზედა ედვა უდაბნოსისა მღუიშისა სოფელსა აგარასა, რაიცა მღუიშისაი არს საკუირაოისა გლეხითურთ. და აბისთუის გუიჩინა მწირველი დ გაგუიკეთა საწირავად ჩუენთვის ათორმეტნი საუფლონი დღესასწაულნი და მარხვათა შაბათ-კუირიაკენი“³³.

ამრიგად, შიომღვიმის მონასტრის კუთვნილ ს. აგარაში თითოეულ ფურეს მეფის სასარგებლოდ დასდებია „ზროხის“ გადასახადი („ზროხის შებმა ფუძესა ზედა“), რომელიც მთავარებისკობოს იოანეს შუამდგომლობით მეფემ მონასტრის ამოუკვეთა („გაუშვა“). სამაგიეროდ გაიჩინა იქ სულის სამსახური. ფუძესთან გლეხის მოუხსენებლობა გამაწვეულია საბუთის ხასიათით — მხარეებისათვის (სამეფო ხელისუფლებისათვის და შიომღვიმის მონასტრისათვის) ამ შემთხვევაში საჭირო იყო იმის აღნიშვნა, რომ „ზროხის“ გადასახადი ედო ს. აგარის თითოეულ ფუძეს, იმის მიუხედავად, ვინ იჯდა იმეამად ფუძეზე, ან იჯდა თუ არა ვინმე საერთოდ.

„ფუძე“ („საგლეხო ფუძე“) რომ შესაძლებელი იყო უკომლო, უგლეხოც, ე. ი. დაუსახლებელიც ყოფილიყო, ამას კარგად გვიჩვენებს ზემოთ ციტირებული ბეჟას სამართლის 56-ე მუხლი და სხვა ცნობები. აქ ლაპარაკია მებატონის მიერ გლეხით დასახლებულ ან დაუსახლებელ „საგლეხო ფუძის“ გაყიდვის შემთხვევაზე: „თუ კაცმან კაცსა საგლეხო ფუძე მიჰყიდოს, გინდა კაცრიელი, გინდა უკაცური...“³⁴ მუხლის შინაარსი ასეთია: იმ შემთხვევაში, თუ გლეხით დასახლებულ ფუძეს იყიდის მყიდველი, გამყი-

³³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 110. „ზროხის შებმა“ მუშა პირუტყვის გადასახადს გულისხმობს (ზროხა ნიშნავს საქონელს, ნახირს, იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 169). საფიქრებელია, რომ აქ მეფის სამეშაობისათვის საჭირო პირუტყვის გამოყვანაზე იყოს ლაპარაკი. ამაზე ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ იქვე „საკვირაო გლეხიც“ არის მოხსენიებული, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში სამუშაო აწევს მეფის სასარგებლოდ, მაგრამ მასაც შეწერილი ჰქონია „ზროხა“. „საკვირაოში“ მთელი კვირა შედიოდა (7 დღე) და არა კვირა დღე (გაეიხსენეთ „მეორე-შაბათე“ გლეხის არსებობა იმავე შიომღვიმის საბუთში, იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 110). ამას ისიც მოწმობს, რომ კვირა დღეს ქრისტიანული წესით მუშაობა აკრძალული იყო. ამას გარდა, კვირა დღის აღსანიშნავად იმავე საბუთში არის სხვა სიტყვა — „კვირიაკე“.

³⁴ ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 311.

2. „მაინე“, ისტორიის სერია, 1989, № 2

საქ. სსრ კ. მარქსის
ხაზ. საბ. რესპუბლ.

დველისგან იმას უნდა დასჯერდეს, რისგანაც ფუძე შედგება იმ დროს. იმ შემთხვევაში, თუ უკაცურ ფუძეს იყიდის, რომლის მკვიდრი წასულია, ფუძის გლეხს უფლება აქვს „მამულსა ზედა“ დაბრუნდეს. მას მეპატრონე, ე. ი. გამყიდველი დაბრუნებას ვერ დაუშლის. მისგან მხოლოდ იმას აიღებს, თუ მიწას რაიმე შეემატა მისი არყოფნის დროს.

„ფუძის“ ამგვარი სტატუსის ფონზე სრულიად კანონზომიერად ჩანს შიომღვიმის 1189—1200 წწ. საბუთში ნახმარი გამოთქმა: „ფუძე გლეხი“³⁵, რაც ნიშნავს ფუძიან გლეხს, ფუძის მქონე გლეხს. კვირიკე კახთა მეფის სამწირველოსათვის შეწირული გლეხების მიმართ ნათქვამია: „გაეჩინა მისისა სულისა სალოცავად ერთი ფუძე გლეხი დაოსთ — ვაჭშამაძსძე და რუგეთს — უშიშარაძსძე... [გამიჩინეთ] სამწირველოჲ, მით ორითა ფუძითა... ორი ესე მისი მიმდგომი ორი ფუძე გლეხი“³⁶.

მოტანილი ადგილი რელიეფურად გვიჩვენებს, რომ აქ ორი „ფუძე“ შეესაბამება ორ გლეხს. აქედან გამომდინარე, ნორმა ყოფილა თითო ფუძეზე თითო კომლი გლეხი.

ამრიგად, საბუთის გამცემს — შიომღვიმის კრებულს — იმის აღნიშვნა სურდა, რომ სამწირველოსათვის განკუთვნილი გლეხები ფუძიანები, ე. ი. სრულფუძიანები არიან. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქმე ეხება ისეთ გლეხებს, რომელთაც მართებთ სულის სამსახურისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე და მათ რომ ეს დაუბრკოლებლად გადაიხადონ, ფუძის (სრული ფუძის) მქონენი უნდა იყვნენ.

მეორე მაგალითს, სადაც აღნიშნულია გლეხის სრულფუძიანობა, ვპოულობთ ზემოთ ციტირებულ XIV ს. ნარატიულ ძეგლში ჟამთაღმწერელთან. (იხ. ზემოთ): „ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქრად წარმავალი კაცი შეავდიან...“ ე. ი. ყოველ ცხრა სრულმიწიან კომლიდან ერთი მოლაშქრე უნდა გამოსულიყო და, როგორც ტექსტშია ნათქვამი, ამ ანგარიშით საქართველოდან გამოდიოდა 90 000 მოლაშქრე. ამ მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ საქართველოში ყოფილა 810 000 (9×90 000) სრულფუძიანი კომლი, რაც თითქმის ავსებს საქართველოს მაშინდელ მოსახლეობას. აქ სრული ფუძის აღნიშვნა იმ საჭიროებამ მოითხოვა, რომ ლაშქრობა გარკვეულ მატერიალურ შესაძლებლობებთან იყო დაკავშირებული (შეიარაღება-აღჭურვილობა), რასაც მხოლოდ ნორმალური ანუ სრული ფუძის მქონე გლეხი შეძლებდა.

მოგვეპოვება აგრეთვე შეწირული გლეხების მიმართ სრულფუძიანობის მითითება მომღვენო, XV ს-დან ერთგვარად განსხვავებული ტერმინოლოგიათ: მაგ. 1451 წ. მცხეთის საბუთი: „შემოგწირეთ და მოგაცხენეთ კრცხილთან ერთი გლეხი ლალასძე მისითა მამულითა უკლებლად“³⁷; 1405 წ. მცხეთის საბუთი: „შემოგწირე ძაგნაკორნათა ჩემი მკუიდრი გლეხი შერგილასშვილი მისითა მამულითა სრულად და უკლებლად“³⁸; 1412 წ. მცხეთის საბუთი: „შეგწირეთ... ატენს თბილელისძენი... შვილნი და მომავალნი მათნი მათითა მამულითა სრულად და უკლებლად“³⁹.

35 ქართული ისტორიული საბუთის კორპუსი, I, გვ. 83.

36 იქვე, გვ. 83—84.

37 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, II, თბ., 1913, გვ. 8.

38 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, თბ., 1913, გვ. 3.

39 იქვე, გვ. 8.

აქ გამოთქმა „გლეხი მამულითა სრულად და უკლებლად“ ანალოგიურია მეღქისედეკის დაწერილის „სრულითა ფუძითა“.

განხილული მასალა გვიადვილებს პასუხი გავცეთ, თუ რას გულისხმობს მეღქისედეკის დაწერილის „ფუძესთან“ დაკავშირებული ეპითეტი „სრული“ სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით (და არა სიტყვის ფილოლოგიური გაგებით).

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ზემოთ ციტირებულ მაგალითებში მეორე სიტყვითვე პირდაპირ განმარტებულია „სრულის“ მნიშვნელობა: „სრულად და უკლებლივ“. ამრიგად, „სრული ფუძე“ ისეთი ფუძეა, სადაც უკლებლივ არის დაცული შემადგენელი მიწები, როგორც სახეობრივი, ისე შათი ფიზიკური ზომების ნორმა (რასაკვირველია, როგორც ზემოთ ითქვა, ადგილობრივი პირობების შესაბამისად).

პირველწყაროების სიმციროს გამო ჩვენ არ ვიცით XI ს-ში არასრული ფუძის მქონე გლეხების წარმოშობის კონკრეტული მიზეზები, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მიზეზად, ცხოვრების ყოველ მომენტში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც სოციალური, ისევე არასოციალური პირობები. მაგალითად, ზემოთ მოტანილი დოკუმენტში მოხსენიებული გლეხები „მეორეშაფეთე“, „გარეთმოსული“, „არ მემამულე“ ისეთი გლეხებია, რომელთაც ადგილზე (სადაც მუშაობენ) ფუძე სულ არა აქვთ, მაგრამ იგულისხმება, რომ არც იქა აქვთ საკმარისი ოდენობის ფუძე, საიდანაც მოვიდნენ (ყოველ შემთხვევაში, ზოგს მაინც).

რაც შეეხება საქართველოს ისტორიის ძნელბედობის პერიოდებს, მაგ.; მონღოლების თითქმის ასწლოვანი ბატონობის პერიოდს XIII—XIV სს., აქ არა ერთი მაგალითი გვაქვს გლეხის ფუძის ხელყოფისა. ქვეყნის საერთო ეკონომიური დაცემა ამ პერიოდში გამოიწვია მონღოლთა სამხედრო ეკონომიკურმა პოლიტიკამ. როგორც ფაქტებით დადასტურებულია, გლეხთა ექსპლუატაცია მონღოლთა გადასახადების გამო და ადგილობრივ ფეოდალთა მხრივ იმდენად გაიზარდა, რომ გლეხი იძულებულია გაყიდოს ან დაავიაროს (ბატონის ნებართვით) თავისი მიწის რომელიმე ნაწილი: ვენახი, ყანა, რომელიც შემდეგ ხშირ შემთხვევაში მევალეს რჩება, ან გლეხი ვეღარ აუღდის გადასახადების სიმძიმეს, იძულებულია სულაც მიატოვოს სამკვიდრო ფუძე და გადაიხვეწოს, ან სხვა ბატონს შეაფაროს თავი.

რესტავრაციის პერიოდში ცენტრალური ხელისუფლება მთელი რიგი ღონისძიებებით ცდილობდა აღედგინა გლეხთა სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ ხაზით ერთადერთი და მთავარი იყო, როგორც წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაშია ნაჩვენები, ზრუნვა გლეხის „ფუძის“ (მამულის) შენარჩუნებისათვის.

ამრიგად, არასრული ფუძე, როგორც აღვნიშნეთ, უნდა გულისხმობდეს მიწის ისეთ ერთეულს, რომელსაც აკლია მისი შემადგენელი რომელიმე ნაწილი, ან ზომა-სიდიდით მცირეა და ა. შ. ტერმინოლოგიურად გვიან შუა საუკუნეებში ასეთის აღსანიშნავად იხმარება გამოთქმები: „ნახევარი საკომლო“, „მერვედი საკომლო“, „ნახევარი მამული“. ამ პერიოდისათვის კი (XI ს.) ასეთი ტერმინები არა გვაქვს. მხოლოდ, როგორც ვუჩვენეთ, არასრული ფუძე შეიძლებოდა წარმოშობილიყო ერთი კომპონენტის გაყიდვით, ან ოჯახის გამრავლებით.



ფვიქრობთ, ფუძის სისრულეზე აგრეთვე გავლენას ახდენდა ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ ირღვეოდა ბუნებრივად დადგენილი შეფარდება იმ ხაზით, რომ ერთი ფუძის მომხმარებელი ხდებოდა არა ერთი, არამედ რამდენიმე კომლი. გვაქვს საამისო შემდეგი მაგალითები: XII ს-ში, როგორც ვუჩვენეთ, შიომღვიმის კუთვნილი გლეხი ქოსაისძენი იყო „ფუძედ ერთი და კუამლად ორი“ (მათ მიეცათ თორმეტი დღიური მიწა და ერთი ვენახი „ორივეს სწორად“, ე. ი. ექვს-ექვსი), ან „კუამლად სამი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია რამდენიმე ფაქტი, როცა ერთ ფუძეზე ორი-სამი, ან რვა კომლი ზის⁴⁰. ავტორები მიზეზად ასახელებენ გლეხის ეკონომიურ სიღარიბეს, გლეხის მცირე მიწიანობას და ა. შ. ამასთან, შიიჩნევენ ამ ფაქტს კანონზომიერ და ჩვეულებრივ მოვლენად. მაგრამ ასეთი შემთხვევები საჭიროებენ ცალკე შესწავლას. იმის გამო, რომ ავტორები არ ეხებიან საკითხს, თუ როგორი ეკონომიური დამოკიდებულება არსებობს ასეთ ფუძესა და მასზე მჯდომ რამდენიმე კომლს შორის, აუსხსნელი რჩება, არის თუ არა ასეთი მოვლენა ყოველთვის ფუძის დაშლა, ან როგორც ზოგი უწოდებს, „ფუძის დაქუცმაცება“.

ჩვენი აზრით, აქ ფაქტობრივად ხდება არა ფუძის, როგორც მიწის ერთეულის დაშლა-დაქუცმაცება, არამედ იგი ინარჩუნებს მთლიანობას, მაგრამ მისი შემოსავალი ნაწილდება მასზე მჯდომ კომლებს შორის. მეორეც, ერთ ფუძეზე მრავალკომლიანობა არ არის საერთო დამახასიათებელი ქართული სინამდვილისათვის. თვით ძნელბედობის დროსაც კი ის უფრო წარმოშობილია არა ქვეყნის საერთო ეკონომიურ-სოციალური დაცემით, არამედ კომლის გამრავლების ნიადაგზე შექმნილი სიძნელეებით. ჩვენ აქ მოვიტანთ ქრონოლოგიურად ყველა ძირითად მაგალითს და განვიხილავთ ფაქტობრივ ეთარებას.

ბაგრატ მეფეს, 1545 წ. საბუთის მიხედვით⁴¹, გელათის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს მხეციძისაგან ნასყიდი „გლეხნი მარდალაშვილები“ და „ორი პარტახტი“ სოფელ ფარსმანაყანევში. ეს მარდალაშვილები, სულ 8 კომლი, ერთ ფუძეზე მჯდარა („ფუძედ ერთი და კომლად რვა“). საბუთშივე აღნიშნულია ამ ნასყიდობასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოებანი (ისე, როგორც ამას ამ ტიპის საბუთებში აღნიშნავდნენ ხოლმე), დასახელებულია რვავე პერსონალურად თავთავიანთი ღვინისა და თეთრის ვადასახადით. ვადასახადის სახეობა და იქვე დართული განმარტება („ვინცა აშენებდეს...“) ცხადყოფს, რომ ერთ ფუძეზე მცხოვრებ რვა კომლს ამ მომენტში საკმარისი ჰქონიათ მხოლოდ ვენახი, ისე, რომ მას ცალ-ცალკე ამუშავებდნენ და ღვინის ბეგარასაც ერთნაირად ცალ-ცალკე იხდიდნენ, თითოეული 40 კოკა ღვინისა და 2 თეთრის ოდენობით.

დამახასიათებელია, რომ ეს რვა კომლი „მართალ ბეგარას“ ე. ი. სრულ ბეგარას ჯერ არ იხდის, რომელშიც, როგორც ეს ამავე საბუთის სხვა ადგი-

⁴⁰ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965, გვ. 36; მ. ლორთქიფანიძე, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა, წიგნში: ნარკვევები დეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, გვ. 21, 23. დ. შეგარელაძე, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში, იქვე, გვ. 93; ო. სოსელია, დასავლეთ საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVI ს-დან XIX ს-ის პირველ ნახევრამდე, იქვე, გვ. 170.

⁴¹ ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 187—188.

ლებიდან დასტურდება, შედის ღომის, საკლავის, ქათმის და სხვა გადასახადი. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ ამ რვა კომლს ცალკეულად საკუთარი ფუძე არა აქვთ (ყანის, ველის, ტყის და ა. შ. შემადგენლობით). ერთი ფუძე კი, რაკი მას რვა კომლი იხმარს, საკმარისი არ არის „მართალ ბეგრისთვის“. ეს კიდევ უფრო რელიეფურად ჩანს იქვე, შემწირველის — ბაგრატ მეფის — მიერ სამომავლოდ დადებული წესიდან: „ვინც აშენებდეს და დაესახლოს...“ (იგულისხმება ამ სოფელშივე ახალი მიწების ათვისება ფუძის გასამართავად, პირველ რიგში, თვით ამ ერთფუძიან მარდალაშვილების მიერ), ის გადაიხდის არა 40-ს, არამედ 20 კოკა ღვინოს, სამაგიეროდ „ბეგარას“ იმდენს გადაიხდის, როგორც „სხვას ემართოს“, ხოლო ვინც „პარტახტიდან“⁴² მიწდორს ან ტყეს მოიხმარს, ის ღალას (იჯარის სახით) გადაუხდის მონასტერს, ხოლო თუ მასზე „დასახლება“, მაშინ „მართალი ბეგარა“ უნდა გადაიხადოს.

მეორე ადგილი, რომელიც სოფელ ნავენახევს შეეხება, კიდევ უფრო რელიეფურ სურათს იძლევა: „ნავენახევი ძველად ორი ფუძე ყოფილიყო და ცოტა ადგილი ჰქონდა, და სასვიმანეთოს შარას აქად ვერ გადმოვიდოდეს“. ! ხვანაირად რომ ვთქვათ, ნავენახევში გამართული იყო ძველად მხოლოდ ორი ფუძე, ამიტომ სოფელს ცოტა ადგილი ეკავა, „აწე აშენდა“, ე. ი. ახლა ახალი ფუძეები გამართა, „ისინიცა დამრავლდეს“, ე. ი. ის ორი ფუძეც გამრავლდა და „სხვა გვარის კაცნიც ბევრი დავასახლეთ“. ერთი სიტყვით, სოფელი ტერიტორიულად გადიდებულა და ნორმალურად (ე. ი. სრულფუძიანი გლეხებით) გამრავლებულა.

ფუძის მრავალკომლიანობა დროებითი მოვლენა ჩანს. მართალია, მოტანილი ცნობიდან არ ირკვევა პირდაპირი მიზეზი, მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ის ოჯახის გამრავლებასთან დაკავშირებული სიძნელეებით იყო გამოწვეული. ივ. ჯავახიშვილს ფუძის „დაქუცმაცების“ მიზეზად კომლების გამრავლება მიაჩნდა: „ფუძის რაოდენობა კომლის რაოდენობაზე არ იყო დამოკიდებული, შეიძლება ერთ ფუძეზე ორი კომლი მჭდარიყო ერთის მაგიერ. ფუძე არ იცვლებოდა. ოჯახი კი, შეიძლება კომლობრივ გამრავლებულიყო“⁴³.

ამ მხრივ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ზემოთ მოტანილ საბუთებში ერთ ფუძეზე მჭდარი კომლები ერთი გვარისანი არიან (ქოსაისძენი, მარდალაშვილები). ამას გარდა, რამდენადაც ფუძე ყველანაირად გამართული სამოსახლო და სამეურნეო მიწა-წყალია, მის შექენა-დაქუშავებას დრო და სათანადო ხარჯები ესაჭიროებოდა. ერთ ფუძეზე გამრავლებული კომლები თითოეული საკუთარი სახლ-კარის მქონეა (ამის აშენება-მოწყობა შედარებით ადვილია). მაგრამ ასეთი კომლი „დასახლებულად“ არ ითვლება, რადგან თავისი „ფუძე“ არა აქვს. ამიტომ ნიშანდობლივია, რომ ასეთი კომლი „მართლ ბეგარას“ არ იხდის. სწორედ ამით აიხსნება, რომ ერთ ფუძეზე მჭდარ რვა კომლ მარდალაშვილებს ბეგრიდან მხოლოდ ღვინის

⁴² „პარტახტი“ ამ შემთხვევაში არის ფუძე იმ განსხვავებით, რომ მასზე გლეხი არ ზის, ან ამოვარდნილია, ან წასულია.

⁴³ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1907, გვ. 16. განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც მიაჩნია, რომ ფუძის დაქუცმაცება იყო გლეხთა ექსპლუატაციის ვაძლიერების შედეგი. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 338.



გადასახადი ადევთ⁴⁴. სხვანაირად რომ ვთქვათ, ასეთ გლენს არა დასაძინებელია, სრულად შეასრულოს თავისი სოციალური ვალდებულება.

ერთ ფუძეზე მრავალკომლიანობა არც მებატონისათვის უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი, რადგან ამით მას შემოსავალი აკლდებოდა. მარდალაშვილების კონკრეტულ მაგალითზე კარგად ჩანს სხვა გარემოებაც: სოფელ ფარსმანაყანეში, სადაც ისინი ესახლენ, ფუძის გასამართავად საუკეთესო რესურსები არსებობდა. მებატონე აყენებს კიდევ პირობებს, თუ როგორ უნდა მოხდეს „დასახლება“. ის, რომ ჩვენ მაინც გვაქვს რვა კომლიანი ერთი ფუძე, ამის მიზეზი გამომდინარეობდა ამ გლენების შინაგანი მდგომარეობიდან, თუ საჭიროებიდან, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო.

1259—1293 წწ. საბუთში იაკობ დეკანოზისა ხაზულის ღმრთისმშობლისადმი ვკითხულობთ:

„მე, დიდის მონასტრისა დეკანოზმან იაკობ გავაჩინე ესე...

ზარათს — ღმრთისა სწორთაგან ჩაქითა ბოძებული, ნასყიდი ხელისძისეული მამული, სასახლე, ზედა ჩემი გაზრდილი დავასახლე და მითურთ გლენი კუამლად შეიღინი: არსენისძისა სახლი ა, გოგლისძისა ა, ტირლილუსძისა ა, ლილუსძისა ა, ჭუარაისა ა, ჭალალუსძისა ა, ეკლესიითა, ტყითა, ველითა, წისქულითა, სანადიროითა, საკმრითა და უჭმრითა ყუელაითა.

არგუეთს...

რაქას... (ჩამოთვლილია გლენები)

ამათ ყუელათა გლენთაგან, სხუასა ბეგარასა აქაით, ოცდაოთხი ლიტრაი ცუილი გამოვალს.

ზარათელთა გლენთა გამოვალს, მონასტრულითა დიდითა კოკითა, თურამეტი კოკაი ღუინოი და ა გრივი ქურომი.

მალლაკელთა და ფარსმანაყანეველთა გლენთაგან გამოვალს სამი ურემი ღუინოი, უბზრტახტოდ, და ტყისაგან მოდი რაიცლა მოვალს: იფქლი, ფეტვი და ღომი. და ამათ ყუელათა ოთხ-ოთხი თეთრი საყაჭობოი ზედა აც⁴⁵.

როგორც ვხედავთ, საბუთის პირველი ნაწილი შეეხება გლენების შეწირულებას, მეორე ნაწილში კი ლაბარაკია მათ გადასახადებზე.

გამოთქმულია აზრი, რომ თითქოს აქ ერთი ფუძე შვიდ კომლს შორის იყოს გაყოფილი, ანუ საქმე ენებოდეს ერთ ფუძეზე შვიდი კომლის დასახლებას, სახელდობრ, ხელისძისეულ მამულზე⁴⁶.

ჩვენი აზრით, აქ ლაბარაკია არა ამ გლენების დასახლებაზე (ერთ ფუძეზე), არამედ მათ შეწირვაზე ხაზულის ღმრთისმშობლისადმი ს. ზარათიდან.

⁴⁴ საგლენო ფუძესა და კომლს შორის დამოკიდებულების საკითხის გარკვევაში დიდად დაგვეხმარებოდა გლენის სახლის სტრუქტურის ცოდნა. სამწუხაროდ, ქართულ ისტორიო-გრაფიაში ეს საკითხი ჭეჩქაროვით შეუსწავლელია. ჩვენი აზრით, სწორედ ეს უნდა იყოს ამოსავალი გლენობასთან დაკავშირებული ამა თუ იმ ინსტიტუტის შესასწავლად. ჩვენი დავებიტებით, გავრის დროს ფუძე არ იშლება. ახალი კომლი ქმნის ახალ ფუძეს თავის გარჯით, ან ბატონის დახმარებით. განაწილება ხდება მხოლოდ მოძრავი ქონების.

⁴⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 142—143.

⁴⁶ შ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

ტექსტის ასეთი გაგება გამომდინარეობს თვით საბუთის შინაარსიდან: იაკობ დეკანოზი საბუთის პირველ ნაწილში ჩამოთვლის, თუ რა შესძინა მან ხელის ღმრთისმშობლის ეკლესიას. მათ შორის ს. ზარათში შვიდ გლეხს. აქედან ერთი გლეხი, თავისი გაზრდილი, „ნასყიდ ხელისძისეულ მამულზე“ დაუსახლებია და ეს ხელისძისეული მამული ისე შეუწირავს ეკლესიისთვის. ამას გარდა, იმავე სოფელში შეუწირავს ექვსი სხვა გლეხი, რომელსაც იქვე ჩამოთვლის „სახლობით“. სულ, როგორც თვითონ აღნიშნავს, იაკობ დეკანოზს გელათის ეკლესიისთვის ს. ზარათში შეუწირავს შვიდი კომლი გლეხი: „...და მითურთ გლეხნი კუამლად შუიდნი“ (სიტყვა „მითურთის“ შემდეგ იგულისხმება „შეწირე“ და არა „დავასახლე“).

გარდა ამისა, საბუთის ავტორი ვერ იტყოდა „დავასახლე არსენისძისა სახლი ა. გოგლისძისა ა...“ რადგან „სახლი“ ნიშნავს უკვე დასახლებულს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავეშვებით, რომ შვიდი კომლი ამ დეკანოზმა „ხელისძისეულ მამულზე“ სახლებითურთ (!) დასახლა, მაშინ ეს მამული საკმაო ფართობად უნდა წარმოვიდგინოთ, რომელზეც შვიდი კომლი გლეხი მოთავსდა და არა ისე, რომ „ხელისძისეული მამული“ ერთი ფუძის ოდენობისად ჩავთვალოთ (მით უფრო, ეს ხელისძისეული „მამული“ ახლაც ფუძედ არ მოიხსენიება). აქ რომ, მართლაც, ლაპარაკი იყოს ამ კომლების დასახლებაზე და არა შეწირვაზე, არც ამ შემთხვევაში იქნებოდა ერთი ფუძე შვიდ კომლს შორის გაყოფილი, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, „დასახლება“ ნიშნავს ფუძის (სრული ფუძის) შექმნას და არა უბრალოდ კომლად გასვლას. მაგრამ ტექსტის ამგვარი გაგება სხვა მხრივაც მიუღებელია, რადგან შეუძლებელია გელათის სენიორიის უფროსს იაკობ დეკანოზს ხელოვნურად შეექმნა მრავალკომლიანი ფუძე, რომელიც ბევარის გადახდისუნარიანი არ იქნებოდა. თანაც ყოველად წარმოუდგენელია, რომ შვიდი სხვადასხვა გვარის გლეხი („არსენისძისა, გოგლისძისა, ტირილილუსძისა...“) ერთ ფუძეზე დაესახლებინათ.

საბუთის ავტორი აღნიშნავს, რომ მან ეს გლეხები შესწირა: „ეკლესიითა, ტყითა, ველითა, წისქვილითა, სანადიროთა, საკმრითა და უკმრითა ყუელაითა“⁴⁷. ეს არის ცნობილი ფორმულა, რომელიც იხმარება გლეხების შეწირვისა თუ ყიდვა-გაყიდვის დროს⁴⁸. არ შეიძლება ეს ფორმულა იხმარებოდეს გლეხის დასახლების დროს. არსად არ გვხვდება; დავასახლე გლეხი ეკლესიითა, ტყითა და ა. შ. ამ ფორმულით აღინიშნება, რომ ეს დასახლებული ობიექტი არის სრული, გამართული ფუძის მქონე. ამავე დროს, რაც მთავარია, როგორც საბუთის მთავარი ნაწილიდან ჩანს, ზარათელი გლეხები იხდიან სრულ ბევარას „სხუა ბევარას“: „ამათ ყოველთა გლეხთაგან, სხუ ასა ბე გარასა აქაით, ოცდაოთხი ლიტრად ცვილი გამოვალს...“⁴⁹, რაც მოწმობს, რომ ამ შვიდივე გლეხს ცალკეულად აქვს სრული ფუძე⁵⁰.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მოტანილი საბუთით არ დასტურდება ს. ზარათში შვიდად გაყოფილი ფუძე. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას,

47 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 143.

48 იხ. ზემოთ და აგრეთვე: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 68, 164.

49 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 143.

50 იხ. ზემოთ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ვისაც სრული ფუძე არა აქვს, ის არ იხდის „მართალ ბევარას“ (მარდალაშვილები).

რომლის თანახმადაც: „ფუძეთა დაქუცმაცება XIII ს. ძალიან სწრაფად ვითარდება. თუ XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის დასაწყისისთვის ჩვენ მხოლოდ ორად გაყოფილი ფუძე ვიცით, იმავე საუკუნის შუა წლებისათვის შეიძლება კომლს შორის გაყოფილი ფუძეც კი არსებობს“⁵¹. ამავე მოსაზრების თანახმად: „ერთი მხრივ აღრეფეოდალურ ხანაში ჩვენ გვაქვს ფუძისა და კომლის ერთიანობის ფაქტი დადასტურებული, მეორე მხრივ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, უკვე XI საუკუნიდან შეიმჩნევა ფუძის სწრაფი დაქუცმაცების დასაწყისი“⁵².

მელქისედეკის დაწერილში ხსენებული გლეხისა და გლეხის ფუძის შესახებ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება ასე შევაჯამოთ:

გლეხი, მწარმოებელი საზოგადოების უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ფენაა. ის არის სხვისი ფლობის ობიექტი, რომლის გასხვისება მფლობელს შეუძლია.

გლეხის პირდაპირი სოციალური ფუნქციაა — ეკონომიურად უზრუნველყოს მებატონე. საამისოდ გლეხის განკარგულებაშია განსაზღვრული ოდენობის მიწა-წყალი მისი შემადგენელი ნაწილებით, რომელსაც ფუძე ეწოდება. ეს არის საგადასახადო ერთეული. ბეგარა ადევს „ფუძეს“.

XI ს. მცხეთის საბუთი ქრონოლოგიურად პირველი დოკუმენტური წყაროა ჩვენამდე მოღწეული, რომელშიც ფიქსირებულია ეს ეკონომიური ერთეული: „გლეხი სრული ფუძით“.

ამ საბუთის ახლო პერიოდში (XII ს., XIII—XIV სს.) თვალსაჩინოდ დასტურდება, რომ გლეხის ფუძის სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა „მიწა“, „საგლეხო ფუძე“, „მამული“, „საკომლო“.

მელქისედეკის დაწერილში მოხსენიებული „სრული ფუძე“ ოდენობით უდრიდა დაახლოებით 12 დლიურ მიწას და ერთ ვენახს ისევე, როგორც ტერიტორიულად იქვე, ახლოს — შიომღვიმის მონასტრის სენიორიაში — ს. სხალტაბაში მოსახლე გლეხის ქოსასძეთა ფუძე.

ნორმალურ პირობებში ერთი „სრული ფუძის“ (ანუ ფუძის) მომხმარებელი არის ერთი კომლი. პირველწყაროები გვიდასტურებენ (და თვით ტერმინი „სრული“-ც გვიჩვენებს), რომ არსებობდა არასრული ფუძის მქონე გლეხი⁵³, ან ერთ ფუძეზე იჯდა (ერთი ფუძის მომხმარებელი იყო) რამდენიმე კომლი. მაგრამ ყველა ეს არის კერძო შემთხვევა. საქართველოს სინამდვილისათვის ფუძის დაქუცმაცება თუ დაშლა არ იყო გლეხის ყოფისათვის დამახასიათებელი და ტიპური, იგი არასოდეს ქცეულა მასობრივ მოვლენად. ყველა მოტანილი მასალა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ეს შემთხვევები კონკრეტულ გარემოებასთანაა დაკავშირებული და დროებითია (გამრავლება, ეპოქის ძნელბედობა და სხვა).

51 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

52 იქვე.

53 ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ ისეთი ფუძე, რომელსაც აკლდა რომელიმე მისი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ, რადგან, ასეთი სახის ფუძეს იმ პერიოდისთვის არ მიუღია საქართველოში ჩამოყალიბებული სახე, მის აღსანიშნავად არც რაიმე სახელწოდება შემუშავებულა.

3. Г. ДЖАМБУРИЯ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СОЦИАЛЬНОЙ ИСТОРИИ ГРУЗИИ ПО
 ДАННЫМ МЦХЕТСКОГО ДОКУМЕНТА XI ВЕКА (КРЕСТЬЯНИН)

Резюме

Мцхетский документ XI века хронологически является первым письменным источником, где зафиксирована экономическая единица: «полный крестьянский двор».

Основываясь на других исторических источниках, а также на существующих в научной литературе выводах, автор заключает, что упомянутый в документе «полный двор» равнялся приблизительно 12-дневной земле и одному винограднику.

В нормальных условиях одним «полным двором» пользуется одна семья (комли), но первоисточники подтверждают (и сам термин «полный» указывает), что существовали крестьяне с «неполным двором» или на одном крестьянском дворе (пудзе) сидело несколько семей. Автор считает, что все вышеуказанные случаи единичны. В Грузии дробление и распад «пудзе» не было характерно и типично для быта крестьянина и никогда не было массовым явлением. Эти случаи связаны с конкретными обстоятельствами и носили временный характер.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
 ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ოთარ ჯაფარიძე

აღრეული ყორღანების კულტურა სამართავლოში*

1) განსაკუთრებით აღსანიშნავია კახეთში, შესწავლილი ყორღანები — ერთი ბაკურციხესთან, ორი წნორთან. ალაზნის ველზე ბედენური ხანის ყორღანები გვხვდება. უფრო ადრეული — მარტყოფისა და სამგორის დროინდელი ყორღანები აქ ჭერჭერობით ცნობილი არ არის. წნორის დიდი ყორღანის სიმაღლე 11,0 მ, დიამეტრი კი 140,0 მ აღწევდა. ყრილი მას მიწისა ჰქონდა; ცენტრალურ ნაწილში ქვის ყრილის ქვეშ აღმოჩნდა რიყის ქვისაგან ნაშენი ნაგებობა, რომლის აღმოსავლეთითაც მოზრდილი სამარხი ორმო მდებარეობდა, რომლის ფართობი 166,0 კვმ უდრიდა. ორმო გადახურული იყო ხეს მორებით, თიხით გადალესილი, რომელზედაც ჭილოფი იყო გადაფარებული. ორმოში ჩადგმული იყო დასაკრძალავი კამერა, რომელიც ვერტიკალურად მდგარი ხის მორებისაგან იყო შეკრული. სამარხში ხუთი მიცვალებული ესვენა. ერთ-ერთ ჩონჩხთან, რომელიც, ჩანს, ძირითადი სამარხი უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა ოქროს მძივები და მილაკები. გარდა ამისა, დასაკრძალავ კამერაში ნაპოვნი იყო ძვლის, კაყისა და ობსიდიანის ისრის პირები, ბრინჯაოს სატევრის პირები, სერდოლიკის მძივები და ბლომად თიხის ჭურჭელი. ყორღანი, ჩანს, გაძარცვული იყო³³.

უფრო მდიდარი მასალა აღმოჩნდა წნორის მეორე ყორღანში. იგი შედარებით უფრო პატარა იყო 2,5 მ სიმაღლისა და 90,0 მ დიამეტრის. ყრილი მას მიწისა ჰქონდა, რომლის ქვეშ ცენტრალურ ნაწილში ამოღებული იყო ოთხკუთხა მოყვანილობის სამარხი ორმო, რომელიც ხის მორებით იყო გადახურული. ორმოს გადახურვაზე და იატაკზე ჭილოფი იყო დაგებული. ორმოში ორი მიცვალებული აღმოჩნდა, ქალი და კაცი. ორივე ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იწვა, მოზრილი ფეხებით. მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა ოქროს მძივები, ვერცხლის სამაჯურები, ვერცხლის ორვოლუტიანი საკინძი და სხვ.

სამარხი ორმოს ცენტრალურ ნაწილში ხის ოთხთვალა ეტლი იდგა, რომელზედაც ელაგა ძირითადი სამარხეული ინვენტარი — ოთხ ათეულზე მეტი თიხის ჭურჭელი, ძვლისა და ობსიდიანის ისრის პირები, ოქროს საკინძი, ოქროს ბოლოებდახვეული ფირფიტა, ოქროს მილაკი, ლომის ოქროს ქანდაკება და სხვ. თიხის მოზრდილი ჭურჭლები ორმოს სამხრეთ კედელთან იდგა. აქვე აღმოჩნდა ცხვრის 460 კოჭი³⁴.

საინტერესოა ყორღანი გაითხარა სოფ. ბაკურციხესთან, რომელსაც 3,0 მ სიმაღლის მიწის ყრილი ჰქონდა, დიამეტრი კი 60,0 მ აღწევდა. ყრილის

* გავრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 4.

³³ Дедзбришвили Ш. Ш. Курганы Алазанской долины, Тб., 1979.

³⁴ იქვე.

ქვეშ აღმართული იყო ხის მორებისაგან ნაგები ოთხკუთხა შენობა, რომელსაც ჭილოფით დაფარული ძელური იატაკი ჰქონდა. იატაკში აღმოჩნდა ცხრა ორშო ხის სვეტებისათვის, რომლებსაც გადახურვა ეყრდნობოდა. ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში ხის ოთხთვალა ეტლი იდგა; ცენტრალური სამარხი საგრძნობლად იყო დაზიანებული, სადაც აღმოჩნდა რამდენიმე შავპირილა ჭურჭელი, ოქროს და პასტის მძივები, კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ორი მიცვალებული იყო მოთავსებული, ფეხებმოკეცილი, ერთი მარჯვენა მეორე კი მარცხენა გვერდზე. სამხრეთის კედლის გასწვრივ მოზრდილი ჭურჭელი ელაგა, უფრო მომცრო ზომის კერამიკა ნაგებობის სხვადასხვა ადგილზე გვხვდება. გარდა ამისა, კამერაში აღმოჩნდა ობსიდიანის შესანიშნავად ნაკეთები ისრის პირები, ბრინჯაოს სატყვერის პირი, შუბისმაგვარი იარაღი გაკვანძული ბოლოთი, ვერცხლის მილაკი, ოქროს გარსაკრავი, სალესი ქვა და სხვ.³⁵

ამვე დროისა უნდა იყოს მანავის მახლობლად ადგილ ზეიანში გათხრილი ერთი ყორღანი, რომლის სიმაღლე 3,0 მ აღწევდა, დიამეტრი კი 40,0 მ უდრიდა; ყრილი მას მიწისა ჰქონდა, რომლის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ ღრმა, ხის მორებით გადახურული ოთხკუთხა ორშო აღმოჩნდა. ორმოში ჩადგმული იყო ხის ოთხთვალა ეტლი. სამარხში ორი მიცვალებული იწვა ერთმანეთის გვერდით, ერთი მარჯვენა, მეორე კი მარცხენა გვერდზე. სამარხი, ჩანს, გაძარცვული იყო და თიხის ჭურჭლის ნატეხებს გარდა აქ მხოლოდ ბრინჯაოს ერთი პირამიდალურთავიანი ისრის პირი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ამ ტიპის ისრის წვერი ბედენური ხანის ყორღანებში თითქმის არ გვხვდება. ამ დროს უპირატესად გავრცელებულია ობსიდიანის და კაჟის შესანიშნავად ნაკეთები ისრის პირები. ხშირია აგრეთვე ძელის ამგვარივე იარაღი. უადრეს ყორღანებში კი, პირიქით უპირატესად ლითონის პირამიდალურ წვერიანი ისრის პირები გვხვდება და თითქმის დამახასიათებელი არ არის კაჟისა და ობსიდიანის მძალი ოსტატობით დამზადებული ისრის პირები.¹

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვემო ქედში გაითხარა ერთი უყრილო სამარხი, სადაც ღრმა სწორკუთხა ორმოში აღმოჩნდა ქვის ლახტის თავი და შავპირილა, თხელკედლიანი კერამიკა კოპებითა და ფაქიზად ნაკაწრი ორნამენტით შემკული. თიხის ჭურჭელი ტიპიური ბედენურია. შესაძლოა ეს ამ დროის საზოგადოების რიგითი წევრის სამარხი იყო.

ბედენური კულტურის ყორღანული სამარხები გარეგნულად და ზომებით თითქმის არ განსხვავდებოდნენ უადრესი ჯგუფის ყორღანებისაგან. საზოგადოების გამორჩეულ წევრებს დიდი ფუფუნებით მოზრდილ ყორღანებში კრძალავდნენ: მაგრამ ყრილის კონსტრუქციაში მანც შეინიშნება გარკვეული სხვაობა. ბედენის ყორღანებისათვის თითქოს აღარ არის დამახასიათებელი სამარხის თავზე ყრილის შუა გულში რიყის ქვის ზვინულის გამართვა. გარკვეული თავისებურება შეინიშნება აგრეთვე დასაფლავების რიტუალშიც. ამ ხანის ყორღანები უპირატესად ორმოიანია, ორმო ჩვეულებრივ ხის ძელებით იყო გადახურული, შედარებით მოზრდილ ყორღანებში ორმოში ზოგჯერ ხის ძელებისაგან ნაგები კამერა იყო ჩადგმული. როგორც ჩანს, ჩვენში ყორღანული კულტურის გავრცელებასთან ერთად წესად შემოდის ხის მორებისაგან დასაკრძალავი ნაგებობის აშენება. ბედენურ ხანაში ხის შენობა ორმოში იდგმე-

³⁵ Пицхелаури К. Н. Исследования Кахетской археологической экспедиции. Полевые археологические исследования в 1980 г., Тб., 1982.

ბოდა. ჩრდილო კავკასიაში ორმოს კედლების ხის მორით შემოფენა მაიკოპის კულტურის ყორღანებში გვხვდება, მაგრამ ხის ძელებისაგან სპეციალური დასაკრძალავი შენობის ორმოში აგება ბედენური ხანისთვისაა დამახასიათებელი. დაღესტანში უტამიშის და ყუბნისპირეთის ყორღანები ხის დასაკრძალავი კამერით რამდენადმე უფრო გვიანია. ბედენის ხანაში შემოდის პირველად ჩვენში მიცვალებულის ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი. დასაფლავების ეს რიტუალი საკმაოდ აღრინდელი დროიდან გვხვდება როგორც კავკასიის სამხრეთით წინა აზიაში, ისე მის ჩრდილოეთით. ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვა წინა აზიაში, ჩანს, უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოდან იწყება და III ათასწლეულის პირველ ნახევარში ეს წესი აქ საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. აქედან შემოდის სამარხში ეტლის ჩატანების რიტუალი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში და აქედან ვრცელდება ალბათ უფრო ჩრდილოეთით³⁶. თუმცა სამხრეთ რუსეთში წინა აზიიდან ეტლის გავრცელების სხვა გზასაც ვარაუდობენ კასპიის ზღვის ჩრდილო არეალზე გავლით³⁷. მაგრამ საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი გზა საიდანაც ეტლმა უფრო ჩრდილო მხარეებში შეაღწია კავკასია იყო. საინტერესოა, რომ სწორედ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველად აისახა დაკრძალვის რიტუალში ჩრდილოური და სამხრეთული ტრადიციები— ყორღანში მიცვალებულის ეტლთან ერთად დაკრძალვა³⁸. დასაფლავების ეს წესი აქ ბრინჯაოს ხანის თითქმის მთელი პერიოდის მანძილზე გავრცელდა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მიცვალებულის ეტლთან ერთად. დაკრძალვის ჩვეულება ფართოდ ვრცელდება კავკასიის ჩრდილოეთით, სამხრეთ რუსეთში³⁹.

ბედენური ხანის ყორღანები გამოირჩევიან სამარხეული ინვენტარის შედარებითი სიუხვით. მართალია, როგორც მარტყოფის ჯგუფის ყორღანებიდან ჩანს, უადრესი ყორღანების მოგვიანო ეტაპზე მიცვალებულს უკვე საკმაოდ ჭარბად ატანენ ნივთებს, მაგრამ ბედენის საფეხურზე ეს წესი კიდევ უფრო დამახასიათებელი ხდება. სამარხეული ინვენტარიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკა, რომელიც ესოდენ თავისებურ სახეს აძლევს ყორღანული კულტურის ამ საფეხურს და რომლითაც მდიდარია ბედენური ხანის სამარხები. სწორედ კერამიკაა ძირითადი, რომელიც ბედენის ტიპის ძეგლებს აერთიანებს. იგი ჭურჭლის ფორმების მრავალგვარობით ხასიათდება, ხელით (უმორგვოდ) ნაძერწია და გამოირჩევა ზედაპირის დამუშავების მალალი დონით. გარეთა პირის სიკრიალე ზოგჯერ მეტალის ბზინვარებამდეა მიყვანილი. მართალია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანისათვის საერთოდ შავბრიალა კერამიკაა დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ დროს ჭურჭლის ზედაპირის კრიალს ისეთ დონემდე არ მიუღწევია, როგორც ბედენურ ხანაში. ოსტატი, ჩანს, სავანგებო ყურადღებას ჭურჭლის გარეთა პირის დამუშავებას უთმობს. კერამიკის ფორმები დიდი ოსტატობითაა გამოყვანილი,

³⁶ Piggott S., The earliest Wheeled vehicles and the Caucasian eviden, Proceedings of the Prehistoric Society, vol. XXIV, London, 1969.

³⁷ Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984.

³⁸ Массон В. М., Экономика и социальный строй древних обществ, Л., 1976.

³⁹ Мерперт Н. Я., დასახ. ნაშრომი.

განსაკუთრებით მომცრო ზომის თხელკედლიანი ჭურჭელი. მათში ყველაზე დამახასიათებელია ორი ტიპის ჭურჭელი — ერთი ცილინდრული, არც თუ რცე მაღალი ყელით, პირგადაშლილი და უპირატესად ბირთვისებრი მოყვანილობის მუცლით, ცალყურა ჭურჭელი — და მეორე ბიკონუსური ტანით, დაბალი ჩაღარული ყელით, პირგადაშლილი ცალი ყურით. ბიკონუსური ჭურჭელი უპირატესად სადაა. ცილინდრულყელიან ჭურჭელს ხშირად მხარზე ამოღარული ხაზები უვლის, ზოგჯერ ერთი ან მეტი მწკრივი კოპებისა — „მარგალიტისებური“ ორნამენტი. გვხვდება ფაქიზად ნაკაწრი გეომეტრიული სახის ორნამენტით შემკული ეგზემპლარები. დამახასიათებელია აგრეთვე ცალყურა ტოლჩები და სასმისები ხშირად ფაქიზად ნაკაწრი მარტივი გეომეტრიული სახეებით შემკული. გვხვდება თხელკედლიანი ჯამისებური ჭურჭელი.

გარდა ფაქიზი კერამიკისა ცნობილია შედარებით ტლანქად ნაძერწი, სქელკედლიანი მოზრდილი და საშუალო ზომის დერგები, ქილები, ქოთნები და სხვ. უყელო და ჩაღარული ყელით, ზოგჯერ კი დაბალი ცილინდრული ყელით. მოზრდილ ჭურჭელს უპირატესად კვერცხისებრი მოყვანილობის ტანი აქვთ, მხარზე მიბმული პატარა ყურებით. ზოგჯერ ჭურჭლები „მარგალიტისებრი“ ორნამენტით ან ნაკაწრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული.

აღსანიშნავია ბედენისა და ალაზნის ყორღანებში აღმოჩენილი „ჩაიდანის“ ტიპის მილიანი ჭურჭელი, ისინი იმეორებენ ბედენური ჭურჭლის ფორმას, ოღონდ ცალ მხარეს მილისებრი წანაზარდი აქვთ. ეს ტიპი ჭურჭლისა საქმოდ აღდრინდელი ხანიდან გავრცელებულა წინა აზიაში. ჩვენში მილიანი ჭურჭელი, ჩანს, პირველად ბედენის ხანაში გვხვდება, მაგრამ არც მერმინდელ პერიოდში მიიღო მაინცდამაინც ფართო გავრცელება. გარდა ამისა, ბედენის დიდ ყორღანში ნაპოვნი იყო ორმაგი ჭურჭელი, აქაც ბედენიური ტიპის ცილინდრულყელიანი ჭურჭელია ერთმანეთთან შეერთებული, რომლებსაც ერთი საერთო ჰორიზონტალური ყური აქვთ. ერთი ორმაგი ტიპის ჭურჭელი ბეშთაშენის ციხის მტკვარ-არაქსულ ფენაში აღმოჩნდა. მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანში სამფეხა ჯამი იღო. ერთი ღრმა ჯამისებური ჭურჭელი შედარებით მაღალ ფიგურულ ფეხებზე ბედენის დიდ ყორღანში იყო ნაპოვნი. აქვე აღმოჩნდა ხისგან გამოთლილი სამ ფეხზე მდგარი ოთხი ჯამი. ფეხებზე შემდგარი ჯამისებური ფორმის ჭურჭელი ჩვენში არც მანამდე და არც შემდეგ დამახასიათებელი არ იყო. საერთოდ ფეხიანი ჭურჭელი, თუ არ ჩავთვლით ერთ სამფეხა ჭურჭელს ამირანის გორიდან⁴⁰, მტკვარ-არაქსის კულტურაში ცნობილი არ იყო. ამირანის გორის ფეხიანი ჭურჭელი თავისი ფორმით ჩრდილო კავკასიის ყორღანებში ნაპოვნ ჭურჭელს უახლოვდება. ჩეჩენ-ინგუშეთში ბამუტის ყორღანულ სამაროვანზე რამდენიმე ოთხფეხა ქილისებრი ჭურჭელი აღმოჩნდა⁴¹. სავსებით ასეთივე კერამიკა აღმოჩნდა აგრეთვე ჩრდილო ოსეთში ჭუარაკაუს ყორღანულ სამაროვანზე, შესწავლილ სამარხებში⁴². უნდა აღინიშნოს, რომ ფეხებზე მდგარი ჭურჭელი ჩრდილო-კავკასიაში მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურების ხანაში თითქმის არ

⁴⁰ ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.

⁴¹ Мунчаев Р. М., Погребальные комплексы с сосудами на ножках из бамутских курганов эпохи бронзы, Новое в археологии Кавказа, М., 1986.

⁴² Николаева И. А., Сафронов В. А., Курганный могильник эпохи бронзы у с. Дауракау, Проблемы археологии Северной Осетии, Орджоникидзе, 1980.

გვხვდება. იგი აქ ჩნდება მაიკოპის კულტურის მიწურულ ხანაში და მას უფრო ჩრდილოეთ გავლენას მიაწერენ, სადაც ძველი ორმოსამარხების კულტურაში საკმაოდ დამახასიათებელია ფეხიანი ჭურჭელი. თუმცა ფეხიანი ჭურჭელი სამხრეთით საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდანაა ცნობილი.

ბედენური საფეხურის კერამიკული კომპლექსი საგრძნობლად განსხვავდება უადრეს ყორღანებში წარმოდგენილ თიხის ჭურჭლისაგან. თუმცა მარტყოფის ზოგიერთ ყორღანში, რომლებიც დროით ბედენურ ხანას უახლოვდებიან, აღმოჩენილ ჭურჭელში ზოგი რამ ისეთი ნიშანი შეიმჩნევა, რომელიც შემდეგში თითქოს უკვე ბედენურ კერამიკაში ჩანს. მარტყოფში ეს კერამიკა, მართალია, ჯერ კიდევ მსხლისებურ ჭურჭელთან და მოზრდილ ტოლჩებთან ერთად გვხვდება, მაგრამ უკვე შეიმჩნევა ტენდენცია კერამიკული ნაწარმის გამდიდრებისა. ჩნდება ახალი ფორმები — ბიკონუსური ჭურჭელი, ფართოპირიანი ყელდაბალი ქილები, ბირთვისებრტანიანი ცალყურა ქილები და სხვა. არ გვხვდება მომცრო, სუფრის ჭურჭელი. ბედენურ ყორღანებში აღარ გვხვდება მსხლისებური ფორმა ჭურჭლისა და არც მოზრდილი ტოლჩისებური ჭურჭელია აქ მაინცდამაინც ცნობილი. ბედენური კერამიკა ფორმათა მრავალგვარობით და შესრულების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება. საერთო, რაც ადრეული ყორღანული კულტურის ამ ორ კერამიკულ კომპლექსს აერთიანებს, ძირითადად ჭურჭლის გარეთა პირის დამუშავებაშია. ორივეგან უპირატესად შავი ზედაპირგაპირიალეებული კერამიკა გვხვდება. მაგრამ ბედენურ კერამიკაზე ზედაპირის დამუშავების ეს წესი უმაღლეს დონემდეა აყვანილი და სიკრიალე თითქმის ლითონისებურ ბზვიწვარებამდეა მიყვანილი. მართალია, ბედენური თიხის ჭურჭელი მკვეთრად გამოსახული თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ ზოგი რამ საერთო ელემენტი, ეგებ შორეული, მტკვარარაქსის კერამიკიდან მომდინარე თითქოს მაინც შესამჩნევია. ყელის ცილინდრული მოყვანილობა, ზოგი რამ საერთო წვრილ ჭურჭელში და ორნამენტის ზისიათში, ზედაპირის გაპირილების ტრადიცია და სხვ. თითქოს ჩამდენადმე აახლოვებს ამ ორ კერამიკულ კომპლექსს. ბედენურ კერამიკას უახლოვდება ნაჩხერის ყორღანული სამაროვნების გვიან სამარხებში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი. პასიეთის სამაროვნის ერთ-ერთ გვიანდელ სამარხში ნაპოვნი იყო. ერთი ჭურჭელი ყურებზე ამოზიდული შვერილით, რომელიც ახლო დგას ბერიკლდეების ბედენური ხანის ნამოსახლარზე აღმოჩენილ ჭურჭელთან, არც კავკასიის შიგნით და არც მის გარეთ ბედენური ჭურჭელი წინარე ხანის სხვა კერამიკულ ჯგუფებთან რაიმე შესამჩნევ სიახლოვეს მაინცდამაინც არ ავლენს.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ბედენის თიხის ჭურჭელი და საერთოდ კულტურა მაიკოპის კულტურასთან დგას ახლოს, განსაკუთრებით მის მოგვიანო ნოვოსვობოდნაის ეტაპთან⁴³. ნოვოსვობოდნაის ყორღანის ერთ შავპირილა ცილინდრულყელიანი ჭურჭელი, ფორმით, მართლაც, წაავგვს ბედენურს, ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ იგი გამოირჩევა ზედაპირის სიკრიალით. საერთოდ ყუბანისპირეთის ამ დროის კერამიკის გარეთა პირი კარგადაა გაპირიალეებული. ოღონდ აქ უპირატესად მოწითალო თიხის ჭურჭელი გვხვდება⁴⁴. ფორმით მაიკოპური კერამიკა მაინც განსხვავებული ხასია-

⁴³ გ. გოგუნიშვილი, დასახ. ნაშრომი.

⁴⁴ Попова Т. Б., Дольмены станицы Новосвободной, М., 1963.

თისაა. ბედენისათვის დამახასიათებელი ტიპური ფორმა ჭურჭლისა, რომელიც ასე მკვეთრად გამოარჩევს მას სხვა კერამიკული კომპლექსებისაგან, ყუბანისპირეთში თითქმის არ გვხვდება. ერთი რაც საერთო ჩანს ნოვოსვობოდნაის და ბედენის კერამიკას შორის, აგრეთვე, ის არის, რომ ორივეგან ჭურჭლები ზოგჯერ „მარგალიტისებრი“ ორნამენტითაა შემკული. საიდან ჩნდება ორნამენტის ეს ხასიათი გარკვევით თქმა ძნელია, ნოვოსვობოდნაის კულტურაში ეს პოტივი თითქოს უფრო დამახასიათებელი ჩანს. იგი გვხვდება ლითონის ჭურჭელზეც და სხვა ნივთებზეც.

წმინდა ბედენური ტიპის ჭურჭელი ჩრდილო კავკასიაში სადღეისოდ მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, დაღესტანშია ცნობილი. ერთი ბედენური სასმისი შემთხვევით აღმოჩნდა მთიან დაღესტანში საქართველოსთან მოსაზღვრე რაიონში⁴⁵. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია დაღესტანში, კასპიისპირეთში სოფ. ველიკენტის კატაკომბურ სამაროვანზე შესწავლილი ერთი კოლექტიური სამარხი, რომელიც მდიდარ ინვენტარს შეიცავდა⁴⁶. მარტო ლითონის ნივთების რაოდენობა თითქმის ათასხუთას შეადგენდა. გარდა ამისა აქ მრავლად აღმოჩნდა ქვისაგან დამზადებული ნივთები — ცული, ლახტის თაგები, მძივები, საკიდარი და სხვ. დიდ ჯგუფს სამარხეული ინვენტარისა შეადგენდა თიხის ჭურჭელი, საკმაოდ მრავალფეროვანი, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ამქავენებს მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ვარიანტის კერამიკასთან. აქვე აღმოჩნდა ტიპური ბედენური თიხის ჭურჭელი, უპირატესად სასმისები. ამ კერამიკას აქ, ჩანს, სამართლიანად, სამხრეთის იმპორტად მიიჩნევენ. იგი, უთუოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან უნდა შესულიყო უფრო ჩრდილოეთით, ალბათ ისევ კასპიისპირეთის გზით. ჩანს, აქ ბედენურმა ჭურჭელმა მომდევნო ხანის კერამიკაზე იქონია გავლენა, ეს განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა გინჩის სამაროვნის თიხის ჭურჭელზე⁴⁷.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბედენის საფეხურზე საერთო აღმავლობა შეინიშნება კულტურაში. საგრძნობლად წინაურდება მეტალურგია, რომელიც აქ მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულისათვის განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. ძველ ფორმასთან ერთად ლითონის ნაწარმის ახალი სახეობები ჩნდება. ბედენის საფეხურისათვის დამახასიათებელი ჩანს, შედარებით ფართოპირიანი ყუადაქანებული ცული. იგი ფორმით საგრძნობლად განსხვავდება ყუადაქანებული ცულისაგან, რომელიც, ჩანს, ამ დროიდან გამოდის ხმარებიდან. ეს ტიპი ცულისა ჩვენში ბედენში ხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო, პირი მას ფართო აქვს, შედარებით მასიურია და, ალბათ, საბუშაოდ უფრო ეფექტურია. ერთი ამ ტიპის ცული ჯერ კიდევ საჩხერეში იყო ნაპოვნი. პირფართო ყუამილიანი ცული აღმოჩნდა თეთრი წყაროს და მარტყოფის ბედენური ხანის ყორღანებში. ერთი ამგვარი ცული, შედარებით მომცრო ზომისა, შულავრის ერთ-ერთ ყორღანში იდო⁴⁸. წითელწყაროს

⁴⁵ Гаджиев М. Г., Северо-Восточный Кавказ как географическая и этнокультурная область, Древние культуры Северо-Восточного Кавказа, Махачкала, 1985.

⁴⁶ Гаджиев М. Г., Кореневский С. И., Металл великентской катакомбы, древние промыслы, ремесло и торговля в Дагестане, Махачкала, 1984.

⁴⁷ Гаджиев М. Г., Из истории культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969.

⁴⁸ ო. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი.



მხარეში შემთხვევით აღმოჩნდა ამ ტიპის მასიური ცული. ჩრდილო კავკასიაში ასეთი ცული ნაპოვნი იყო ჩეჩენ-ინგუშეთში გათინ-კალეს ერთ-ერთ სამარხში⁴⁹. საინტერესოა, რომ მაიკოპის კულტურაში ამ დროს სრულიად განსხვავებული ტიპის ცულები იყო გავრცელებული.

თითქმის ყველა ყორღანში, სადაც ყუამილიანი ცული აღმოჩნდა, მასთან ახლდა ღარიანი სატეხი. თეთრი წყაროს და მარტყოფის ყორღანებში დიდი ზომის საკმაოდ მასიური სატეხები იყო ნაპოვნი, შულავერთან გათხრილ ყორღანში კი უფრო მომცრო ცალი აღმოჩნდა. ერთი მასიური სატეხი ბედენის დიდ ყორღანში იდო. დიდი ზომის სატეხი, შემთხვევით აღმოჩნდა ზეკართან. საჩხერეში ნაპოვნი ამ ტიპის იარაღი შედარებით უფრო წვრილია, ერთი ამ ტიპის პატარა სატეხი მარტყოფის დიდ ყორღანში იყო აღმოჩენილი. ღარიანი სატეხი კარგადაა ცნობილი ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურაში, განსაკუთრებით მის გვიანდელ, ნოვოსვობოდნაის ეტაპზე⁵⁰. აქ ძირითადად ამ იარაღის შედარებით მომცრო ეგზემპლიარები გვხვდებოდა. მოზრდილი, მასიური სატეხი, ჩანს, ძირითადად ბედენის საფეხურისათვის იყო დამახასიათებელი.

ბედენის საფეხურისათვის ისევე, როგორც წინარე ხანისათვის, დამახასიათებელია ბრტყელი ცული. იგი ხშირად გვხვდება ამ დროის სამარხებში. ამ ტიპის იარაღმა საერთოდ ფართო გავრცელება მიიღო ძველ სამყაროში. იგი კარგადაა წარმოდგენილი, ჩრდილო კავკასიაში მაიკოპის კულტურის ხანაში.

საბრძოლო იარაღიდან ბედენის ხანაშიც ყველაზე გავრცელებული ისევ სატევერის პირია. ეს იარაღი პრიმიტიულია ბრტყელი ფოთლისებრი პირით, ყუნწიანი, რომლებიც თავისი ფორმით მაინცდამაინც დიდად არ განსხვავდებოდნენ უადრეს ყორღანებში მოპოვებულ სატევერის პირისაგან. თეთრი-წყაროს ყორღანში ვერცხლის ერთი სატევერის პირი აღმოჩნდა. მას შედარებით მოკრძო პირი და ფართო ყუნწი აქვს და საგრძნობლად განსხვავდება მარტყოფის ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის ამგვარივე იარაღისაგან. აღსანიშნავია ბაკურციხის ყორღანში ნაპოვნი ორი შუბისმაგვარი იარაღი, ისინი წინარე ხანაში გავრცელებულ ამგვარი იარაღისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ ბოლო ყულფისებურად დახვეული აქვთ, რითაც განსხვავდებიან წინა აზიაში და კავკასიაში გავრცელებულ ამგვარი იარაღისაგან. რა დანიშნულებისა იყო ამ იარაღთან აღმოჩენილი ვერცხლის მასრები ძნელი სათქმელია, შესაძლოა ღეროზე წამოკმული სახელურის როლს ასრულებდნენ. როგორც ჩანს, ყორღანული კულტურის ხანაში წინააზიური წარმომავლობის ხიშტი და შუბისმაგვარი იარაღი თანდათანობით ხმარებიდან გამოდის. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ ჩაეთვლით ცულს, რომელიც შესაძლოა ორმაგი ფუნქციის მატარებელი იყო — საბრძოლო და სამეურნეო, საომარი ხასიათის იარაღს, წინარე კულტურასთან შედარებით, წინსვლა მაინცდამაინც არ დატყობია. პირიქით, ისე ჩანს, რომ ზოგიერთი იარაღი თითქოს გამოდის ხმარებიდან. უადრეს ყორღანებში გავრცელებული ლითონის პირამიდისებრთავიანი ისრის პირები ბედენის საფეხურზე თითქმის

⁴⁹ Марковин В.Н., Новый памятник эпохи бронзы в Горной Чечне, Древности Чечено-Ингушетии, М., 1963.

⁵⁰ Попова Т. Б., დასახ. ნაშრომი.

აღარ ჩანს და მათ ადგილს თითქოს იკავებს შესანიშნავად ნაკეთები კაქსისა და ობსიდიანის ისრის პირები. ერთი ანალოგიური ობსიდიანის ისრის პირი ნაპოვნია აღმოსავლეთ ანატოლიაში ნორსუნ-თოფზე აღრებრინჯაოს III ხანის ფენაში⁵¹. ქვის ეს იარაღი ისეთი მაღალი ტექნიკითაა ნამზადი, იმდენად ბრწყინვალე ნახელავია, რომ ძნელი წარმოსადგენია მისი პრაქტიკული გამოყენება და ეგებ უფრო დაკრძალვის რიტუალისთვის ხმარობდნენ ძირითადად სამარხში ჩასატანებლად. იგივე შეიძლება ითქვას ძვლის ისრისა და ხელშობის პირებზე. არც ბრინჯაოს სამკაულის სიმდიდრით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბედნური ყორღანები. მათში უპირატესად ბრინჯაოს სასაფეთქლერგოლები და მძივებია წარმოდგენილი. მაგრამ ამ ხანაში ბრინჯაოს მეტალურგია შემდგომ აღმავლობას განიცდის. ბედნის ყორღანებში პირველად ჩნდება კალიანი ბრინჯაოს ნივთები. მანამდე ჩვენში ძირითადად გავრცელებული იყო დარიშხანიანი ბრინჯაო. ბედნის საფეხურზე დარიშხანიანი ბრინჯაოს გვერდით გამოჩენას იწყებს ნივთები, რომლებიც კალის საკმაოდ მაღალ პროცენტს შეიცავენ⁵². კალა დადებითად მოქმედებს სპილენძზე და მათი შერევის შედეგად მიღებული ნივთი უფრო მაღალი თვისებებით ხასიათდება. კავკასიაში კალა არ მოიპოვება და ამიტომ ვარაუდობენ რომ იგი აქ გარედან, სამხრეთიდან უნდა გავრცელებულიყო, სადაც კალიანი ბრინჯაო უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრიდანაა ცნობილი. თუმცა არ არის გამოირიცხული, რომ კავკასიაში არსებულიყო ადგილობრივი მცირე გამონამუშევრები კალისა. როგორც არ უნდა გადაწყდეს შემდგენისათვის კავკასიაში კალის გავრცელების საკითხი ერთი ცხადია, რომ ბედნის საფეხურზე ადგილობრივმა მეტალურგებმა წარმატებით აითვისეს კალიანი ბრინჯაოს მიღების წესი.

ამიტომ ცოტა უცნაურად გამოიყურება ბრინჯაოს იარაღ-სამკაულის შედარებითი სიმცირე ამ დროის მდიდარ ყორღანებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ეგებ ის იყო, რომ ამ ხანის სამარხებში საგრძნობლად იმატა ძვირფასი ლითონის ნივთებმა. ოქრომჭედლობა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს და ჩნდება მაღალი ოსტატობით შესრულებული ნივთები. თრიალეთისა და ბედნის ყორღანში ოქროს ორგოლუტიანი საკინძები გამოჩნდა. ერთი ამგვარი საკინძი, ოღონდ ვერცხლისა, წნორის ერთ-ერთ ყორღანში იღო. როგორც ჩანს, თავის ფორმას ეს საკინძები მტკვარ-არაქსის კულტურაში გავრცელებული ვოლუტებიან საკინძებისაგან იღებენ. ბედნის საკინძი მასიურია, დაბრტყელებული თავით, ორივე მხარეზე რელიეფურად გამოყვანილი რთული გეომეტრიული ორნამენტია გამოყვანილი. ცალ მხარეს განლაგებული წრეებია სახეებია გამოსახული, მეორეზე კი ორ მწყრივად განლაგებული წრეებია. თრიალეთურ საკანხელდაც ანალოგიური ხასიათის ორნამენტია დატანილი — ცალ მხარეზე ერთი, მეორეზე კი ორი რივის წრეებია გამოყვანილი. თრიალეთის საკინძის ღერო სპილენძისაა, რომელზედაც ოქროს გარსაკრავია გადაკრული. წნორის ყორღანის ვერცხლის საკინძეზე მისი დაზიანების გამო ძნელია რაიმეს თქმა. ამ ტიპის ბრინჯაოს ერთი საკინძი ნაპოვნი იყო გინჩის სამარხის ერთ-ერთ რამდენადმე უფრო მოგვიანო ხანის სამარხში. რო-

⁵¹ Hauptmann H., Die Grabungen auf dem Norsun-Tepe, Keban Project, 1970, Activites, Ankara, 1972.

⁵² ც. აბესაძე, აღრე და შუა ბრინჯაოს ხანის ლითონის ნაწარმი კახეთიდან, სამუშეო-ში ექსპონატების რესტავრაცია კონსერვაცია, ტექნოლოგია, III, თბ., 1980.

3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 2

ვორც აღინიშნა, ამ სამაროვნის კერამიკაც გარკვეულ სიახლოვეს პოულობს ბედენურ ჭურჭელთან⁵³.

ბედენის ჯგუფის ყორღანებში ხშირად გვხვდება სხვადასხვა ფორმის ოქროს და ვერცხლის მძივები, მილაკები, სასაფეთქლე რგოლები, ფირფიტები, წვრილი გრებილი მავთულის და სხვ. თითქმის ყველა ნივთი მაღალი ოსტატობითაა ნაკეთები და ჩანს, რომ საკმაოდ დახელოვნებული ხელოსნის ხელიდანაა გამოსული, რომელიც კარგადაა იმდროინდელი ოქრომჭედლობის წესებს დაუფლებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია წნორის ყორღანში ნაპოვნი ოქროს პატარა მრგვალი ქანდაკება. ეს პირველი შემთხვევაა სკულპტურული გამოსახულების აღმოჩენისა ჩვენში და საერთოდ ამიერკავკასიაში. ქანდაკება ჩამოსხმულია, მას საკმაოდ კარგად გამოყვანილი ტანი, სქელი კისერი, გრძელი ბოლოში დახვეული კუდი აქვს და საკმაოდ მყარად დგას ფეხებზე⁵⁴. გამოსახულების წინა მხარე — სახე, თავი, კისერი და წინა კიდურები რელიეფური ხაზებით და წვრილი კოპებითაა დაფარული, რითაც სტილიზებულიად ძუ ლომის ფაფარია გადმოცემული. მაგრამ მისი სახის ნაკეთობი სრულიად არ გადმოსცემს ამ ცხოველისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც საგრძნობლად განსხვავდება ძველადმოსავლურ სამყაროში კარგად ცნობილი ლომის გამოსახულებებისაგან. დიდი სხვაობაა აგრეთვე მაიკობის ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭლებზე და ოქროს ფირფიტებზე გადმოცემულ ლომის გამოსახულებებისაგან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ადგილობრივი ოსტატის ნახელავია, რომელიც სუსტად იცნობს კავკასიისათვის უცხო ფაუნის წარმომადგენელს და მთელი სისრულით ვერ გადმოსცა ამ ცხოველისათვის დამახასიათებელი ნიშნები⁵⁵. კავკასიაში ჯერ კიდევ მაიკობის ყორღანში აღმოჩნდა ცხოველთა ქანდაკებები და აგრეთვე ვერცხლის ჭურჭლებზეა მოცემული მათი გამოსახულებები. ორივე შემთხვევაში ცხოველების გამოსახულებები იმდენად სრულყოფილადაა გადმოცემული და მაღალი ოსტატობით შესრულებული, რომ მათ ძველადმოსავლური ხელოვნების ნიმუშებს, უფრო კი შუმერულს, უდარებენ. ამიტომ, მით უფრო დამაჯერებელი ჩანს აზრი, რომ წნორის ყორღანში ნაპოვნი ლომის ოქროს ქანდაკება ადგილობრივ უნდა იყოს შექმნილი.

საიუველირო ხელოვნება საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ბედენურ საფეხურზე წინაურდება წინააზიურ სამყაროსთან ურთიერთობის ვაზრდის შედეგად. ოქრომჭედლურ ნაწარმს აშკარად ეტყობა სამხრეთიდან მიმდინარე გავლენები. საიუველირო საქმის აღმავლობას ეგებ ისიც უწყობდა ხელს რომ კავკასიაში ძვირფასი ლითონი, კერძოდ ოქრო, ადგილობრივ მოპოვებოდა. გამოითქვა კიდევ მოსაზრება, რომ აქედან ვაჭონდა ოქრო წინააზიაში⁵⁶. ძვირფასი ლითონის ნივთები პირველად მარტყოფის დიდ ყორღანში აღმოჩნდა, რომელიც დროის მიხედვით ბედენის სამარხებიდან მაინცდამაინც დიდად დაცილებული არ უნდა ყოფილიყო. ბედენის საფეხურზე საიუველირო საქმე კიდევ უფრო წინაურდება ალბათ სამხრეთიდან წამოსული იმპულ-

⁵³ Гаджиев М. Г., *დასახ. ნაშრომი.*

⁵⁴ Дедабришвили Ш. Ш., *დასახ. ნაშრომი.*

⁵⁵ Джапаридзе О. М. *Художественное ремесло в Древней Грузии, Древний Восток и мировая культура*, М., 1981.

⁵⁶ Мунчаев Р. М., *Кавказ на заре бронзового века*, М., 1975.

სების გაძლიერების შედეგად. შესაძლოა ამასთან იყოს დაკავშირებული კულტურის საერთო დონის ამაღლება. გარკვეული ცვლილებები კულტურის თითქმის ყველა სფეროს შეეხო. ეს განსაკუთრებით ნათლად ბედენის კერამიკულ კომპლექსზე შეიმჩნევა. იგი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ხდება, ჩნდება ახალი ფორმები, მაღალი ოსტატობით შესრულებული. შესაძლოა, სამხრეთთან ურთიერთობის ანარეკლი იყოს „ჩაიდანის“ ტიპის და ფეხიანი ჭურჭლების გამოჩენა. გარკვეული სიახლეები მეტალურგიასაც შეეხო, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი საკმაოდ დაწინაურებული იყო, ვრცელდება იარაღის ახალი ფორმები, შემოდის ცულის ერთგვარად თავისებური ფორმა, მასიური ღარიანი სატეხი, რომელიც კავკასიის გარდა ფართოდ იყო გავრცელებული წინა აზიაში. ქრება სამკაულის ზოგიერთი ფორმები და სხვ.; რაც მთავარია ამ ხანაში შემოდის პირველად კალიანი ბრინჯაო. ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები კულტურის ხასიათში რა თქმა უნდა, შესაძლოა ეთნიკური ძვრებითაც აგვეხსნა, მაგრამ სავარაუდოა, ჩრდილოეთთან ურთიერთობის განვითარებას და ძველადმოსავლურ სამყაროსთან ერთხანს შესუსტებული კავშირების აღდენას შედეგად კულტურის ერთგვარი გადახალისება მოჰყვა. ვითარდება და იხვეწება ადგილობრივ ტრადიციებზე დაფუძნებული ხელოსნობის ზოგიერთი დარგი, იწვევს კულტურის საერთო დონე. მაგრამ ამ ძვრებს, როგორც ჩანს, საზოგადოების სოციალურ ურთიერთობაში და საერთოდ ცხოვრებაში მაინცდამაინც შესამჩნევი გადახალისება არ მოჰყოლია. თითქმის არ შეცვლილა დაკრძალვის წესი და საზოგადოების დაწინაურებული ფენა კვლავ, შეიძლება რამდენადმე უფრო მეტი ფუფუნებით, ყორღანულ სამარხებში საფლავდება. ერთი, რაც თვალში საცემია ის არის, რომ მიცვალებულებს ზოგჯერ ხის ოთხთვალა ეტლით ან ხის სარეცელზე კრძალავდნენ. ესეც ალბათ სამხრეთთან ურთიერთობის შედეგი იყო.

როგორც ჩანს, სამხრეთთან ურთიერთობის გამოცოცხლებას ბედენის საფეხურზე, ყორღანული კულტურის ხანაში, ცხოვრების საერთო წესის დარღვევა არ მოჰყოლია. არ იცვლება მაინცდამაინც მეურნეობის ხასიათი. არ ჩანს მყარი, მუდმივი დასახლებების კვალი. ბერიკლდეები ეგებ, მართლაც, უფრო წმინდა, საკულტო ადგილი იყო, ვიდრე ნასახლარი. სხვა მხრივ აუხსენელია კერამიკის სიჭარბე შენობის შიგნით, სადაც თითქმის მთელი ფართობი თიხის ჭურჭელს ეკავა. ეკონომიკაში მესაქონლეობის როლი ეტყობა საკმაოდ მაღალი იყო. ნიშანდობლივია, რომ ბედენის დროის ყორღანებში უფრო მეტად გვხვდება საფლავში ჩატანებული ცხოველების ძვლები. წნორის ერთ-ერთ ყორღანში ხუთასამდე ცხოველის კოჭი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, წინა-რე, მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი, რომელიც თავისი ხასიათით უფრო ახლო იყო წინააზიურთან, საბოლოოდ ვერ აღდგა, კულტურის განვითარების საერთო ხაზი თითქმის უფრო ჩრდილოეთ, ევროპულ გზას უახლოვდება, ვიდრე სამხრეთულს. უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის წინა აზიასთან ურთიერთობა ძვ. წ. III ათასწლეულის განმავლობაში უფრო მეტად შესამჩნევია მეტალურგიასა და საიუველირო საქმეში. კერამიკაში სამხრეთთან კავშირი ნაკლებად შეინიშნება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ დროს სამხრეთიდან მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან გადმოადგილებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა. საერთოდ, როგორც ჩანს, წინა აზიის მოსახლეობა ჩრდილოეთით ექსპანსიას უფრო ნაკლებად ეტანებოდა.

თუ ძვ. წ. III ათასწლეულში ამიერკავკასიაში მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენაზე შეიძლება ლაპარაკი, როგორც ჩანს, ეს ჩრდილოეთიდან მოდიოდა, ამან შეიძლება ერთხანს შეაფერხა კიდეც სამხრეთთან კავშირი, მაგრამ ბედენის საფეხურზე კვლავ ცხოველდება ურთიერთობა სამხრეთთან, რამაც თავისი ასახვა პოვა კიდეც კულტურაში; ამას რაიმე საგრძნობი ცვლილებები ცხოვრების წესში, სოციალურ სტრუქტურაში არ გამოუწვევია. ამიტომ, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ სამხრეთთან კულტურული ურთიერთობის გაზრდა, მნიშვნელოვანი ეთნიკური ძვრების შედეგი იყოს. ბედენის საფეხურზე საბოლოოდ იშლება წინარე, მტკვარ-არაქსული კულტურიდან მომდინარე ტრადიციის ნიშნები. საზოგადოება, ჩანს, საკმაოდ მყარ, სტაბილურ მდგომარეობას აღწევს. მისი დაწინაურებული ფენა ეკონომიურად და უფლებრივად საკმაოდ მომძლავრდა. სწორედ ამ წრის გაზრდილმა მოთხოვნილებამ, ახლის ძიებამ, ხელოსნობის ახალი დარგები წარმოქმნა და მისი საერთო დონის ამაღლება გამოიწვია.

მეთუნეობა, რომელიც ჯერ კიდევ ძირითადად ხელით ძერწვაზე იყო დაფუძნებული, უმადლეს საფეხურს აღწევს. თხელკეციანი სუფრის ჭურჭელი, რომლის ზედაპირის კრიალი ლითონის ბზინვარებამდეა მიყვანილი, ფორმათა მრავალგვარობით, დახვეწილი შემკულობით, ფქაქიზი ორნამენტული სახეებით გამოირჩევა. კერამიკული ნაწარმის გვერდით ჩნდება შესანიშნავად დამუშავებული ხის ჭურჭელი, ზოგჯერ ამოღარული ორნამენტით შემკული. როგორც ჩანს, ამ დროს ხის დამუშავების საქმე საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. ყორღანში ჩადგმული ხის რთული კონსტრუქციები, ხის ოთხთვალა ეტლები, ზოგჯერ სხვადასხვა ორნამენტით შემკული, ხის სარეცელი და სხვ. ამ დარგის დაწინაურებაზე მეტყველებს. საფუძველი ეყრება ახალ დარგს საიუველირო საქმეს, ჩნდება საკმაოდ რთული ტექნიკით დამზადებული პირველი ოქრო-მკედლური ნაწარმი.

ამრიგად, შუაბრინჯაოს ხანის, თრიალეთური კულტურის ზღურბლზე, აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად აიწია კულტურის საერთო დონემ. სწორედ აქაა, საძებარი შემდგომი დროის, თრიალეთური კულტურის საწყისები.

აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილ ადრეულ ყორღანებში მოპოვებული მასალების საფუძველზე შეიძლება გარკვეული სურათის წარმოდგენა საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის შესახებ. როგორც ჩანს, ამ ხანაში საზოგადოების შიგნით წარმოიქმნება დაწინაურებული, არისტოკრატიული ფენა, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას აღწევს. ეტყობა იგი თავდაპირველად ძალაუფლებას იპყრობს ხელთ, შემდეგ კი ეკონომიურადაც წინაურდება. ადრეული ყორღანებიდან ჩანს, რომ ხელისუფლებას მიღწეული წევრი საზოგადოებისა პირველ ხანებში, ქონებრივად ჯერ კიდევ მაინცდამაინც გამორჩეული არ არის. მაგრამ ეტყობა, რომ ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და დაწინაურებული ფენა ეკონომიკურ ძლიერებასაც აღწევს. მარტყოფის ყორღანები თითქოს მოწმობს, რომ საზოგადოების გამორჩეული წევრი თანდათანობით ქონებრივადც მომაგრდა. ბედენის საფეხურზე უფრო ნათლად გამოისახა სოციალური დიფერენციაციის პროცესი, რომელიც მომდევნო, თრიალეთური კულტურის ხანაში კიდევ მეტად ღრმავდება. ადრეული ხანის დიდი ყორღანები შესაძლოა ტომის წინამძღვართა სამარხები იყო.

ზოგიერთ ადრეულ ყორღანში ერთდროულად რამდენიმე მიცვალებულია დაკრძალული. მარტყოფის დიდ ყორღანში სამი მიცვალებული აღმოჩნდა, ერთი ცენტრალურ ნაწილში, სადაც ძირითადი სამარხეული ინვენტარი იყო ნაპოვნი, ორი დასაქრძალავი კამერის ჩრდილო კედელთან. დაახლოებით ახლოგიური სურათი ჩანს ბედენისა და წნორის დიდ ყორღანებში. ახლა ძნელია გარკვევით თქმა რა ურთიერთობა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ მიცვალებულებს შორის. შესაძლოა ისინი, მართლაც, თანმხლები პირები იყვნენ იმისა, ვის პატივსაცემად იყო აღმართული ეს უზარმაზარი ყორღანები. საინტერესოა მარტყოფის, ბედენური ხანის შედარებით მომცრო ყორღანში აღმოჩენილი სურათი. აქ დასაქრძალავი კამერის ცენტრალურ ნაწილში ნაპოვნი იყო მამაკაცის ჩონჩხი, მის ფეხთით კი აღმოჩნდა ძლიერ მოკუნტული ქალის ჩონჩხი. ორივე მიცვალებული ერთდროულად იყო დაკრძალული. მამაკაცის ჩონჩხთან აღმოჩნდა ოქროს მასიური სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოს და სერდოლიკის მძივები, ვიშრის ფართო რგოლი. ძირითადი ინვენტარი ქალის ჩონჩხთან იდო. შესაძლოა აქ ცოლ-ქმარია დაკრძალული და არ არის გამორიცხული, რომ ცოლი ქმარს ჩაატანეს საფლავში.

ადრეყოღანული კულტურის მატარებელი ტომების წარმომავლობის, მათი ეთნიკური ვინაობის გარკვევა, დადგენა იმისა, თუ ვინ დაიმარხნენ ამ ყორღანებში და რა კავშირში იყვნენ ისინი წინარე ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის მოსახლეობასთან, ახლა გარკვევით თქმა ძნელია, არც ისაა მთლად ნათელი შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობა, თუ ყორღანული კულტურის ამოჩენას მაინცდამაინც დიდი ეთნიკური გადახალისება არ მოჰყოლია. ზემოთ აღინიშნა, რომ ახალი მოვლენების შემოსვლას კულტურის საგრძნობი გარდაქმნა არ გამოუწვევია. პირიქით, ისე ჩანს, რომ განაგრძობს არსებობას წინარე ხანის კულტურული ტრადიციები, რაც ეგებ იმის მოწმობა იყოს, რომ მოსახლეობის შემადგენლობაში არ მომხდარა მაინცდამაინც საგრძნობი ცვლილებები. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ზოგი ამ კულტურას ინდოევროპელ ტომებს აკუთვნებს⁵⁷. ვარაუდობენ, რომ ეს კულტურა შესაძლოა ძირითადად კავკასიური წარმომავლობის მოსახლეობას ეკუთვნოდა, მათ შორის ქართველურ ტომებს, რომლებსაც ამ დროისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილები ეკავათ⁵⁸. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩრდილოური გავლენები აქტიურდება, რასაც ალბათ მოსახლეობის გარკვეული მასის სამხრეთით გადმოადგილება მოჰყვა შედეგადად რომლებიც ადგილობრივ ტომებში ითქვიფებინან. ახლა ძნელია გარკვევით თქმა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ეს ახალმოსულები. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ამ დროს კავკასიის ჩრდილოეთით ინდოევროპელი ტომები მოსახლეობდნენ⁵⁹. შესაძლოა, რომ სამხრეთით მოძრაობაში ეს ტომებიც იღებდნენ მონაწილეობას. ქართველურ ენებში შენიშნული ინდოევროპული ელემენტები, ეგებ, სწორედ ამის ანარეკლი იყოს. ეს სულაც არ უშლის ხელს ინდოევროპული ტომების პირველსაცხოვრისის, კავკასიის სამხრეთით

57 გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

58 თ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.

59 Формозов А. А., Проблемы этнокультурной истории каменного века на территории Европейской части СССР, 1977.

არსებობის ვარაუდს. ფიქრობენ, რომ სწორედ ამ დროს ჩრდილო შავიზღვის-პირეთის მიმართულებით ინდოევროპელი ტომების მოძრაობის გზა კასპიის ზღვის ჩრდილოეთით გადიოდა⁶⁰. შესაძლოა, მათი ერთი ნაწილი დასავლეთ კასპიისპირეთის გზით ამიერკავკასიაში ვრცელდებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ტომები ძირითადად ინდოევროპელები ყოფილიყვნენ.

ადრეული ყორღანული კულტურის დათარიღების საკითხში ჯერ კიდევ ყველაფერი ნათელი არ არის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ იგი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ვრცელდება. მაგრამ უფრო ზუსტად როდის, რა ეტაპზე გამოჩნდა ეს კულტურა, რამდენ ხანს გაგრძელდა ჯერჯერობით გარკვევით თქმა ძნელია. როგორც ჩანს, მისი პირველი გამოჩენა ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ სტადიას ემთხვევა. ზოგიერთ ნამოსახლარზე მტკვარ-არაქსისა და უადრეს ყორღანებისათვის დამახასიათებელი კერამიკა ერთხანს თითქოს თანაარსებობს. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის მიღებული ზედა თარიღი, ჩანს, მაინცდამაინც დაშორებული არ უნდა იყოს ყორღანული კულტურის საწყის ეტაპს⁶¹. სადღეისოდ ადრეული ყორღანისათვის რადიონახშირბადის მეთოდით მიღებული რამდენიმე თარიღი არსებობს. უადრესი ჯგუფისათვის მხოლოდ მარტყოფის № 4 ყორღანებისათვის დადგენილი თარიღები გვაქვს (ამერიკის ლაბორატორიის $gx-9252:2083 \pm 155$ ძვ. წ., თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიის თარიღია — $TB 325:2028 \pm 80$ ძვ. წ.; არქეოლოგიურ ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ლაბორატორიის — $AE-2198:1690 \pm 40$ ძვ. წ., გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ლაბორატორიის $Ben-291:1930 \pm 60$ ძვ. წ.). მართალია, თარიღები საგრძნობ სხვაობას იძლევიან და ამიტომ ასაკის მეტ-ნაკლებად ზუსტი განსაზღვრა ჭირს. არსებობს აგრეთვე აზერბაიჯანში გათხრილ უჩ-თეფეს ყორღანისათვის მიღებული თარიღი. მართალია, ამ ყორღანისათვის რადიონახშირბადის მეთოდით შედარებით მაღალი თარიღებია დადგენილი — 2539 ± 120 და 2867 ± 230 , მაგრამ გამთხრელი ამ ყორღანს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარს აკუთვნებ⁶². მარტყოფის უადრეს ყორღანებს შესაძლოა დროით რამდენადმე წინ უსწრებენ თრიალეთისა და სამგორის ყორღანები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოთრევიან სამარხეული ინვენტარის სიუხვით. მარტყოფის ყორღანები კი უფრო მდიდარი იყო, თანაც აქ კერამიკაში ისეთი ნიშნები შეიმჩნევა, რომლითაც ბედენურ ჭურჭელს უახლოვდებიან. ამიტომ, ეგებ უფრო მართებული იყოს უადრესი ყორღანების თარიღი ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებით განისაზღვროს.

ბედენის საფეხურის ყორღანებისათვის სულ რამდენიმე რადიონახშირბადის მეთოდით განსაზღვრული თარიღი გვაქვს. წნორის ერთ-ერთი დიდი ყორღანის ორი თარიღი არსებობს, ერთი — ლოს-ანჯელოსის უნივერსიტეტის ლა-

⁶⁰ Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Ив., დასაბ. ნაშრომი.

⁶¹ გ. ჯაფარიძე, საქართველოს ენეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ., 1981.

⁶² Иессен А. А., Раскопки большого кургана в урочище Уч-Тепе, Труды Азербайджанской экспедиции, МИА, 125, М.-Л., 1965.

ბორატორიაში მიღებული 2170 ± 90 და მეორე — თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიისა — 2155 ± 60^{63} . მარტყოფის ბედენური საფეხურის ყორღანის № 3 თბილისის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში განსაზღვრული — ТВ-317: 1800 ± 50 ძვ. წ. ბედენის საფეხური, შესაძლოა ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნება და ეგებ II ათასწლეულის დასაწყის ხანებშიც გადადის.

О. М. ДЖАПАРИДЗЕ

КУЛЬТУРА РАННИХ КУРГАНОВ ГРУЗИИ

Резюме

Во второй половине III тыс. до н. э. в Восточном Закавказье усиливаются северные влияния. Возможно, с этим связано появление характерного для более северных областей погребального обряда — единичных подкурганных захоронений. В характере культуры эти явления отразились в значительно меньшей степени. Проникшие с севера отдельные инокультурные группы нарушают традицию хозяйственной жизни местного населения. Старые местожительства были покинуты, и все еще неясным остается вопрос — где и в каких условиях протекала жизнь племен-носителей культуры ранних курганов.

Для старшей группы ранних курганов характерны крупные курганы с просторными могильными ямами или наземными погребальными камерами, главным образом, из крупных деревянных стволов. Керамика почти исключительно чернолощенная, преобладают крупные сосуды грушевидной формы, которые часто сопровождают кружки с резким уступом в нижней части. Эта керамика все еще сохраняет ряд признаков, унаследованных от куро-араксской посуды. Курганы старшей группы известны на Цалкском плато в Триалети и близ Тбилиси в окрестностях с. Марткопи и Самгори.

Курганы младшей группы относятся к т. н. «беденской культуре», охватывающей почти всю Восточную Грузию. В это время в значительной мере меняется характер культуры. Правда, курганный обряд не претерпел сколько-нибудь заметных перемен, но в погребальном инвентаре наблюдаются значительные изменения. Тонкостенная, чернолощенная керамика, поверхность которой доведена до металлического блеска, отличается богатством форм и высоким мастерством исполнения. Дальнейшего развития достигает металлургия, впервые появляются предметы из оловянистой бронзы. Особого подъема достигает ювелирное искусство. Появляются также и новые черты в погребальном ритуале — наличие в захоронениях четырехколесных колесниц и деревянных лож. По всей вероятности, в период беденского этапа ослабевают северные влияния и несколько усиливаются южные. Этим, видимо, объясняется наблюдаемый общий культурный подъем.

В ранних курганах отражена сложная картина социальных отношений внутри общества, упрочняется экономическое состояние передового члена. Неясен вопрос этнического состава населения Восточного

⁶³ Дедабришвили Ш. Ш. ღასახ. ნაშრომი.

Закавказья, в частности, Грузии эпохи ранних курганов. Вероятно, во второй половине III тыс. до н. э. с севера проникают определенные племенные группы, возможно, индоевропейского происхождения, которые смешиваются с местным населением. Этим, вероятно, можно объяснить наблюдаемые в картвельских языках индоевропейские заимствования. Если допустить, что основной путь проникновения индоевропейских племен с юга в Северное Причерноморье шел в основном севернее Каспийского моря, то, возможно, одна волна их во второй половине III тыс. до н. э. распространяется в Восточное Закавказье.

Примерную дату старшей группы ранних курганов Грузии вероятнее всего можно отнести к середине второй половины III тыс. до н. э. Курганы беденского этапа датируются последними веками III тыс. и, возможно, охватывают начало II тыс. до н. э.

შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმები აზარაში

XIX ს-ის მეორე ნახევრის აზარაში არსებობდა ურთიერთდახმარების ორი ძირითადი ტრადიციული ფორმა: 1. **შრომითი** (მემინდვრეობასთან ან შესაქონლეობის წლიურ ციკლთან თუ მატყლის რთვა-ქსოვასთან დაკავშირებული საქმიანობის პერიოდში) და 2. **მატერიალური** (საქონლის გაწყვეტის, საცხოვრებლის დაწვის თუ სტიქიური უბედურების დროს დაზარალებული ოჯახისადმი გაწეული მატერიალური დახმარება. ასევე, ქორწილის, მიცვალებულის დაკრძალვის ან სისხლ-მესისხლეობის დროს ნათესავის ან მეზობლის ოჯახისადმი მატერიალური მხარდაჭერა).

კავკასიის მოსახლეობაში ქონებრივი დიფერენციაციის პარალელურად და მონათესავე ოჯახების ეკონომიკური ერთობის შესუსტებასთან ერთად, წარმოიშვა მეურნეობაში კოლექტიური ორგანიზაციის ახალი ფორმების გაპოყვნების აუცილებლობა¹. სოფლის თემში ნათესაური ორგანიზაციის ეკონომიკური სტრუქტურის საფუძველი ტერიტორიულ-სამეურნეო კავშირების წარმოქმნამდე თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე დამყარებულ ურთიერთობებში იყო გამოხატული. შრომითი ურთიერთდახმარების კოლექტიური ფორმების გენეზისი გენეტიკურად პატრიარქალური გვარის საოჯახო თემებად დაშლისა და პატრონომიების წარმოშობის პერიოდთან ჩანს დაკავშირებული. სხვათა შორის, ჯერ კიდევ ადრე შრომის ორგანიზაციის აღნიშნული ფორმები განვითარების მოცემულ ეტაპთან დააკავშირა კ. ბიუსენმა. მისი თქმით, დახმარების ანუ რუსული „პომოშჩის“ წარმოშობა უკავშირდება გვაროვნული ჯგუფების რღვევას, რომელიც შედარებით პატარა საოჯახო კავშირებით შეიცვალა. ამ ოჯახებს ინდივიდუალური ძალებით არ შეეძლოთ გამკლავებოდნენ გაზრდილ მოთხოვნებს². აღნიშნული თეზისის ხაზგასმა საჭიროა იმდენად, რამდენადაც ადრე ურთიერთდახმარება გაგებულ იყო, როგორც მეზობლურ თემში პირველყოფილი წყობისა და ურთიერთობის გადმონაშთი, მაშინ, როცა დახმარების გაცვლა შრომით პირველყოფილ კომუნას არ ახასიათებდა. იგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მომდევნო ეტაპის წარმონაქმნია. გვარის კოლექტიური საკუთრების პირობებში წევრის შრომას ყოველთვის ჰქონდა საზოგადოებრივი ხასიათი იმისგან დამოუკიდებლად, გვარის წევრები ერთობლივად შრომობდნენ თუ ინდივიდუალურად³. გვაროვნულ საზოგადოებაში შრომითი და მატერიალური ურთიერთდახმარების აუცილებელი პირობები არ არსებობდა, რადგან ასეთ შემთხვევაში დახმარების ობიექტად უნდა ქცეულიყო მთელი გვარი. აქ, დახმარებას შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხო-

¹ Кисляков Н. А., Очерки по истории семьи и брака у народов Средней Азии и Казахстана. — Л., 1969, с. 121.

² Бюхер К. Возникновение народного хозяйства, Петроград. 1923, т. 2, с. 11.

³ Семенов Ю. И., Первообитная коммуна и соседская крестьянская община.— В сб.: Становление классов и государства, М., 1976, с. 25, 65.

ლოდ სისხლ-მეისისხლეობის ან სხვა სახის შუღლის დროს დასახიჩრებული და ავადმყოფობის შედეგად დავარდნილი გვარის წევრისადმი⁴. გვარი მფარველობდა მათ, მაგრამ მოცემული მფარველობა დახმარების მხოლოდ მორალურ ასპექტს შეიცავდა. სისხლის აღებისას მოქმედებდნენ არა ცალკეული წევრები, არამედ მთელი გვარი. მსგავს სიტუაციაში გვარი ერთიანი, მთლიანი სოციალური ორგანიზმის ყველა ძირითად თავისებურებას ავლენდა. აღნიშნული შეხედულებიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურაში გამოთქმული ყველა ის მოსაზრება, რომელიც მატერიალური და შრომითი ურთიერთდახმარების ფორმებს გენეტიკურად პირველყოფილ-თემურ წყობილებას უკავშირებს ან აღნიშნულ ინსტიტუტებს მის გადმონაშთად თვლის. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ტერმინი ურთიერთდახმარება ზშირად გამოიყენება პირველყოფილი საზოგადოების საწარმოო ურთიერთობის დახასიათებისათვის⁵. მაგალითად, ნ. ბუტინოვი გვაროვნულ თემში დასაშვებად მიიჩნევდა შრომითი ურთიერთდახმარების კოლექტიურ ფორმათა არსებობას⁶. „გვაროვნული ურთიერთდახმარების“ (მ. კოსვენის ტერმინოლოგიით) თაობაზე დაახლოებით ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებდნენ მ. კოსვენნი, ს. აბრამზონი, ა. პოტაპოვი⁷ და სხვა ავტორები. ი. სემიონოვი აზუსტებს ურთიერთდახმარების სტადიური განპირობებულობის თავისებურებებს და ამ სახის ეკონომიკურ ურთიერთობას მისაღებად მიიჩნევს მხოლოდ განკერძოებული საკუთრების მატარებელ უჯრედებს შორის. ასეთი სოციალური და სამეურნეო-ეკონომიკური უჯრედებით კი პირველყოფილი კომუნა არ ხასიათდებოდა⁸.

პატრიარქალური გვარის საოჯახო თემებად⁹ რღვევის პერიოდში მეურნეობრივი ინტერესების თანხვედრილობა დახმარების გაცვლითი ფორმების სრულყოფილ ჩამოყალიბებას მაინც არ უწყობდა ხელს, რამდენადაც საოჯახო თემის სტრუქტურა და მრავალრიცხოვნობა საშუალებას იძლეოდა დამოუკიდებ-

⁴ Энгельс Ф., Происхождение семьи, частной собственности и государства; — Маркс К., Энгельс Ф., Избранные произведения в 2-х т. М., 1952, т. 2, с. 230, 241.

⁵ Семенов Ю. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57.

⁶ Бутинов Н. А., Папуасы Новой Гвинеи (хозяйство, общественный строй) — М.; 1968, с. 80.

⁷ Косвен М. О., Из истории родового строя в Юго-Осетии. — «СЭ», М.—Л., 1936, № 2, с. 17; Абрамзон С. М., Потапов А. П. Значение идейно-теоретического наследия В. И. Ленина для советской этнографии. — «СЭ», М.: 1970, № 2, с. 11.

⁸ Семенов Ю. И., დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57; შრომითი ურთიერთდახმარების გენეზისის თაობაზე აღნიშნულ ავტორთა კონცეფციები, როგორც ჩანს, გამომდინარეობენ საბჭოთა ეთნოგრაფიაში ჩამოყალიბებული ორი მიმართულებიდან — „გვაროვნული“ (ი. სემიონოვი) და „სათემო“ (ნ. ბუტინოვი). აღნიშნულ თეორიათა არსი დაწვრილებით იხ., Ю. В. Бромлей, Современные проблемы этнографии, М., 1981, с. 181.

⁹ ნაშრომში საოჯახო თემი წარმოდგენილია პატრიარქალური გვარის რღვევის პროდუქტად, ხოლო დიდი ოჯახი საოჯახო თემის გადმონაშთურ ფორმად. მართალია, კავკასიის მთიელებში საოჯახო თემის კლასიკური ნიმუში არ დასტურდება, მაგრამ ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდისათვის ფიქსირებულ ოჯახის ფორმათა სტრუქტურის, სამეურნეო-ეკონომიკური საფუძვლებისა და სოციალურ ნორმათა შესწავლითა და რეტროსპექტული ანალიზით, შესაძლებელი ხდება საოჯახო თემისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი საყურადღებო ნიშნის რეკონსტრუქცია.

შელი ძალებით გადაჭრილიყო მემინდვრეობასთან თუ მესაქონლეობასთან დაკავშირებული ყველა სახის სამეურნეო სამუშაო. მართალია, საზოგადოებრივი განვითარების ამ ეტაპზე პატრონიმიული ტიპის სოციალურ ორგანიზაციაში¹⁰ (აჭარაში პატრონიმიის შესატყვისი ტრადიციული ტერმინია ნოგრო¹¹) გაერთიანებულ ოჯახთა შორის არსებული ძლიერი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები (წარმოების ზოგიერთი ობიექტის თუ წარმოების ცალკეულ საშუალებათა პატრონიმული სარგებლობა, მათი ერთობლივი დამუშავება-მოძიება, მოსავლის სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის ოჯახებზე ძიებით განაწილება და სხვ.) თავისებური შრომის ორგანიზაციით ხასიათდებოდა, მაგრამ ეს შრომითი ურთიერთდახმარების ფორმა კი არ იყო, არამედ იგი წარმოადგენდა საზოგადოებრივი სარგებლობის მიწების მომხმარებელ პატრონიმიის წევრთა სამეურნეო-შრომით გაერთიანებას. პატრონიმიულ სამეურნეო-ნათესაურ ჯგუფში საერთოს გარდა არსებობდა დიდი ოჯახების განკერძოებული საკუთრება წარმოების ობიექტთა გარკვეულ ნაწილზე. ამდენად, განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი ოჯახი ხდება. დამოუკიდებლად აწარმოებს რა მეურნეობას, პატრონიმიის სხვა ოჯახებთან ერთად ფლობს საერთო, კოლექტიურ სარგებლობაში მყოფ წარმოების მხოლოდ ზოგიერთ ობიექტს. მოცემული უჯრედი ანგარიშს უწევს მონათესავე ოჯახებს და საჭიროების შემთხვევაში შრომითაც ეხმარება მათ. ამ სახით, შრომითი ურთიერთდახმარების წარმოშობა სტადიურად ისეთი საზოგადოების პროდუქციაა, როცა არქაული სოციალური ფორმები ოჯახებად და პატრონიმიებად იწყებენ დიფერენციაციას. თავდაპირველად ჩნდებოდა შრომითი ურთიერთდახმარების გარკვეული ნიშნები, რაც ოჯახების რიცხოვნობრივი შედგენილობის შემცირების პარალელურად მყარად მკვიდრდებოდა და სრული ფორმით ყალიბდებოდა. სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებით გაძიწვეული აუცილებლობა ბუნებრივად იბადებოდა. ეს აღნიშნული პროცესის ლოგიკური გზა ჩანს, რამდენადაც სამუშაო ძალის შემცირებასთან ერთად, ოჯახს აღარ შესწევდა ძალა დამოუკიდებლად გაძლოლოდა რთულ მეურნეობას, მით უმეტეს ისეთ სამეურნეო-გეოგრაფიულ რეგიონსა და ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოში, სადაც მეურნეობის ფორმათა მრავალფეროვნებასთან გვევლინდა საქმიე.

¹⁰ Косвен М. О., Семейная община и патронимия, М., 1961; Робакидзе А. И. Особенности патронимической организации у народов горного Кавказа (в связи с вопросом о соотношении патронимии, рода и семьи) — «СЭ», М., 1968, № 5; Давыдов А. Д., Афганская деревня (сельская община и расслоение крестьянства), М., 1969.

¹¹ ვლ. მგელაძე, გვარი და ნათესაობის სისტემა; — წიგნში: ზემო აჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973, გვ. 74—100; ალ. რობაქიძე, მსალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, — კრებ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, თბ., 1974, 2, გვ. 25—49; ნ. მგელაძე, ნოგრო-ის სამეურნეო ერთიანობის ნიშნები აჭარაში, — კრებ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1986, XII, გვ. 66—77; ნოგრო ზოგადი სახელწოდებაა, საერთო წინაპრიდან მომდინარე სისხლით მონათესავე ოჯახთა ერთობისა. აჭარაში გამოიყოფა ნოგროს რამდენიმე ისტორიული ფორმა (ბიძაშვილობა, მოძმინაობა და მამაშვილობა), რომელთა ძირითადი მსგავსი და განმსხვავებელი სტადიური ატრიბუტები და ტიპოლოგიური ნიშნები შემდგომ კვლევა-ძიებასა და ფორმულირებას მოითხოვს — Мгеладзе Н. В., Система кровного родства в Аджарии (историко-этнографическое исследование). — Автореф. дисс. канд. ист. наук, Ереван; 1986.

აჭარაში ნოვროთა ოჯახებს შორის ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმების გამოყენებას ადგილი ჰქონდა მესაქონლეობის წლიურ ციკლთან დაკავშირებული მეურნეობის სფეროშიც. ურთიერთდახმარების ერთ-ერთ ასეთ ფორმად აბარების წესი ითვლებოდა. პირუტყვის ამბარებელი ოჯახი საზაფხულო საძოვრებზე საკუთართან ერთად უვლიდა ნათესავთა საქონელსაც. აბარების ანალოგიური ჩანს ამანეთი-ც. ტერმინი ამანეთი ბეჭა-ალბულას სამართალშიც იხსენიება¹² და ნიშნავს მიბარებულ ნივთს¹³. ჩვენს საკვლევ რეგიონში, მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში ამანათი საქონლის მიბარებასთანაა გათანაბრებული. ასეთი შრომითი გაერთიანება ავალდებულებდა მასში შემავალ ნოვროს ან მეზობლის ოჯახებს მორიგეობით მომსახურებოდნენ ერთმანეთს. იგი არ წარმოადგენდა სავალდებულო ან სანაცვლო ხასიათის დახმარებას. აბარება საპირობების მიხედვით ხდებოდა. თუ საძოვარზე საქონლის მოვლა-პატრონობასა და რძის პროდუქტების დამზადებაში მოძმის ოჯახს გარკვეული მიზეზით წლების განმავლობაში ეშლებოდა ხელი, მაშინ ამბარებელი თავის მოვალეობად მიიჩნევდა ყოველგვარი საზღაურის გარეშე მისთვის ხელი გაემართა. შესაძლოა ასეთი დახმარებისათვის შემთვერი¹⁴ ანუ ის ქალი, რომელიც საზაფხულო საძოვრებზე საქონლის შოვლით იყო დაკავებული ან რძის ნაწარმს ამზადებდა, კაბით ან სხვა რაიმეთი დაესაჩუქრებინათ. ლიტერატურაში მითითებულია, რომ საქონლის აბარებას აჭარაში ოჯახის ეკონომიკური პირობები განსაზღვრავდა. ეკონომიკურად სუსტი ოჯახი იძულებული ხდებოდა საქონელი შედარებით შეძლებული მეზობლისათვის აებარებინა¹⁵. აბარებას ადგილი ჰქონდა მაშინაც, როცა ოჯახს საკუთარი მემთვერი არ ჰყავდა. მემთვერად გამოყოფილ პირს კარგად უნდა სცოდნოდა საქონლის მოვლა-პატრონობა და რძის პროდუქტების დამზადება¹⁶. ალბურ საძოვრებზე საცხოვრებელს ჰქონდა სპეციალური ოთახი, რომელშიც მემთვერი რძის პროდუქტების დამზადებით იყო დაკავებული. იგი მიმბარებლისა და თავისი ოჯახის რძეს აერთიანებდა, ხოლო შემდეგ პროდუქტს ყოფდა ან ჯერ რძეს ცალ-ცალკე სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ გობებში ასხამდა და მიღებულ ნაწარმს ცალკე ჭურჭელში ანუ კაპიწში ინახავდა. საქონლის ბარში ჩამორეკვისას მონაწილესა და მიღებულ პროდუქტს მებატრონეთ უკლებლივ აბარებდა.

აჭარაში, ისევე როგორც საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეში¹⁷ დიდი ოჯახის დაშლის შემდეგაც ერთი კერიდან ნაყარი ოჯახები შრომის ორ-

12 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 87, 88, 147, 348.

13 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 135.

14 ვ. შამილაძე, ალბური მესაქონლეობა საქართველოში (აჭარის მესაქონლეობის ენოგრაფიული შესწავლა), თბ., 1969; თ. ჩიქოვანი, მთური ჯარგვალი ქართულ-კავკასიური ენოგრაფიული მასალის შუქზე, — კრებ.: „იკე“, თბ., 1964, I, გვ. 8.

15 ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115; ვლ. მგელიძე, ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი, — კრებ.: აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1965, გვ. 157.

16 ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში, — კრებ.: საქართველოს ენოგრაფიის საკითხები (ახალგაზრდა მეცნიერ მეუშაეთა ნაშრომები), თბ., 1964, გვ. 248; ი. სივ, ალბური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 115.

17 ბ. გამყრელიძე, სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი პანკისის ხეობაში, — მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1977, № 2, გვ. 45.

განიზაციაში კვლავ ინარჩუნებდნენ ერთიანობის ნიშნებს. მათ ერთად მიჰყავდათ საქონელი სამეურნეო ბაზებზე. საქონლის აბარებას პირველ რიგში მონათესავე ოჯახების ფარგლებში ჰქონდა ადგილი. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ შრომის ორგანიზაციის სწორედ ეს ფორმები განაპირობებდა და ხელს უწყობდა ოჯახის გაყოფისას ყიშლებზე და იაილებზე მდებარე სამეურნეო ბაზების მონათესავე ოჯახთა საერთო სარგებლობაში მოქცევას. ირკვევა, რომ სამეურნეო ბაზების მონათესავე ოჯახთა საერთო სარგებლობაში დატოვება დროებით ხასიათს ატარებდა, რადგან შემდეგში ერთ-ერთი მოწილე მას თავის სასარგებლოდ დაიხსნიდა ხოლმე, სხვები კი ახალს აგებდნენ. მიუხედავად ამისა, საჭიროების შემთხვევაში მოძმეთა ოჯახებზე საქონლის აბარებას განაყოფი ძმა-ბიძაშვილები შემდეგაც არ წყვეტდნენ. მეურნეობრივი ინტერესების თანხვედრილობა განაპირობებდა განაყოფართა სამეურნეო ბაზების კომპაქტურობასა და ერთმანეთის გვერდით განლაგებას¹⁸. ხშირად, მთის საცხოვრებელი მოძმეთა საერთო სარგებლობაში ექცეოდა არა ოჯახის სემენტაციისა და საოჯახო ქონების განაწილების საფუძველზე, არამედ გაყრის შემდეგ. განაყოფი ძმა-ბიძაშვილები შეთანხმების ნიდავზე ურთიერთხელშეწყობისა და ურთიერთდახმარების მიზნით იაილებზე სპეციალურად აგებდნენ საზიარო სახლებს და აბარებას მორიგეობით მიმართავდნენ.

ქვემო აჭარაში აბარებას ქესუმად ანუ მოჭრით აყვანა¹⁹ ეწოდება. თავისი მნიშვნელობით იგი განსხვავდებოდა აბარების ტრადიციული წესისაგან. ქესუმად მიცემის დროს საქონლის პატრონი თავისუფალი იყო სამენახიროს, აგრეთვე საძოვრებზე დაწესებული სხვა გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან²⁰, ე. ი. საქონლის პატრონი თავისუფალი იყო ყველა იმ მოვალეობისაგან, რომლის შესრულება მას დაევალებოდა ჩვეულებრივი აბარების დროს²¹. აბარების ამ უკანასკნელ ფორმაში ჩნდება ქირის ელემენტები. ამბარებელი საქონლის მოვლა-შენახვაში გასამრჯელოს ლეზულობდა, რაც გასულ საუკუნეში თვალნათლივ ჰქონდა შენიშნული თ. სახოკიას²². საქონლის აბარების ანალოგიური ფორმები საქართველოს სხვა კუთხეშიც დასტურდება²³.

¹⁸ ბ. გამყრელიძე, სამეურნეო ბაზების საკითხისათვის აჭარაში (აჭარული ჯარგვალი). — კრებ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, 1973, I, გვ. 62; შიშიძე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალბური მესაქონლეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1982, გვ. 169.

¹⁹ აჭარაში დამოწმებულია ტერმინი მოჭრით დაჭირვა-ც (იხ., ვლ. მგელაძე, ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი, გვ. 157). ქესუმში თურქული სიტყვაა (იხ. Турецко-русский словарь, М., 1977, გვ. 535).

²⁰ ვ. შამილაძე, ალბური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 116.

²¹ ვ. შამილაძე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები აჭარაში. — კრებ.: ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 1966, III, გვ. 155, 166.

²² თ. სახოკია, მოგზაურობა (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950, გვ. 119.

²³ ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). — კრებ.: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1951, V, გვ. 14; ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში. — კრებ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და

აჭარაში შრომითი ურთიერთდახმარების ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო ნადი. ნადი არაა ქართული წარმოშობის სიტყვა, მაგრამ მისი ტრადიცია ადგილობრივ ნიადაგზე და ქართულ ეთნიკურ გარემოშია შექმნილი და განვითარებული. შრომითი ურთიერთდახმარების ეს ფორმა თავდაპირველად ემყარებოდა თავისუფალ პრინციპს, ყოველგვარი ვალდებულებებისა და შრომა-მიგების გარეშე²⁴. ტერიტორიულ-სამეზობლო ურთიერთობების პირობებში ნადში მოიწვეოდა ნათესავები, მოყვრები, ახლო და შორი მეზობლები. ადრე მსგავსი ურთიერთდახმარება ნოვროს სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის ფარგლებში თავსდებოდა. მოგვიანებით მასში მეზობლებიც ჩაერთვნენ. მონათესავე ოჯახების ნადური შრომითი გაერთიანება ჩვენი ანგების ნადის//ჩემი ანგების ნადის ან შინაურული ნადის სახელწოდებითაა ცნობილი. განაყარი ძმა-ბიძაშვილები თავის ვალდებულებად მიიჩნევდნენ საჭიროების შემთხვევაში მოძმეს მიხმარებოდნენ ყოველგვარი საზღაურისა და სანაცვლო დახმარების გარეშე. სახელწოდება ჩვენიაანგების ნადი გაჩენილი ჩანს განვითარებული ტერიტორიული თემის შიგნით, მაშინ, როცა პოლიგენურ განსახლებაში შეიქმნა აუცილებლობა მეზობლური ნადისაგან შინაარსობლივად და ფუნქციურად გამოყოფილიყო ნადი, რომლის ორგანიზაციაც თემში წარმოდგენილ მონოგენურ უბნებში დასახლებულ ნოვროთა ფარგლებში მიმდინარეობდა. თემში ცალკეული ოჯახების ქონებრივი მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის ამალგება განაპირობებდა ნათესაური ორგანიზაციის წევრთა მიერ ძველი ერთობისა და სოლიდარობის შენარჩუნების მცდელობასა და მის გახანგრძლივებას. გურიაშიც არსებობდა ნადის ფორმა, რომელშიც ნათესაური ფაქტორი გადამწყვეტი იყო. ასეთ ნადს მოყვრის ნადი ერქვა²⁵.

ნადური გაერთიანება აჭარის არაერთ ხეობაშია დამოწმებული²⁶. მაქაბლოს ხეობაში ნადს უშუალოდ ოჯახის პატრონი იწვევდა ან მის შეკრებას რომელიმე ახლობელს დაავალბდა. „ნადის წევრთა რაოდენობა მთლიანად იყო დამოკიდებული სამუშაოს ოდენობაზე. ამის მიხედვით ნადი იყო პატარა და დიდი²⁷. მართალია, ნადის საშუალებით ნოვროს შემადგენელი ოჯახები შრომით დახმარებას ღებულობდნენ ყოველგვარი საზღაურის გარეშე, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში დახმარების მიმღები ნებისმიერ დროს შეიძლებოდა აღმოჩენილიყო დამხმარის ადგილზე. დასაშვებია, ასეთი ურთიერთობის მთავარ თავისებურებად ჩავეთვალა შრომის გამცემი და მიმღები ოჯახების თანაბარ ქონებრივ და სოციალურ კავშირში ყოფნა, მაგრამ ეს უკანასკნელი გარაუდო ნათესაური ნადის (სოლიდარობაზე დაფუძნებული პრინციპების

კულტურა, თბ., 1976, IV, გვ. 38, 42; მისივე, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии (историко-этнографическое исследование), Тб., 1979, с. 77, 79.

24 ნ. ჩიჭავაძე, შემინდრეობა აჭარაში. — კრებ.: აჭარის სოფელი, თბ., 1969, გვ. 43.

25 თ. გელაძე, კოლექტიური შრომის ფორმები გურიაში. — კრებ.: მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980, გვ. 46.

26 ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, ბათუმი, 1961, გვ. 13; ა. მსხალაძე, აჭარის ხალხური შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგიერთი საკითხისათვის. — კრებ.: ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 1962, 2, გვ. 45—53.

27 ნ. კახიძე, მაქაბლის ხეობა, ბათუმი, 1974, გვ. 40.

არსს ეწინააღმდეგება. იგი უფრო მეზობლური ნადის მახასიათებელი ჩანს. ნოვროს თითოეული ოჯახი, ქვერვის იქნებოდა ის თუ შეძლებული ან ღარიბი მოძმის, მუდამ დახმარებას ექვემდებარებოდა, თუმცა სოლიდარობის ტრადიციული საფუძველი მოგვიანებით ხშირად ირღვეოდა და დახმარებაც ფორმალურ შინაარსს იძენდა. იგი გამოიყენებოდა მონათესავე ოჯახების ექსპლუატაციის მიზნით იმ ოჯახების მიერ, რომლებიც შენიღბულნი იყვნენ ნათესავის, პატრონიზმის წვერის სახელით. ნოვროს ეკონომიკურად შეძლებული ოჯახები ხშირად იწვევდნენ დიდ ნადს, მაშინ, როცა მცირემიწიანი და მცირერიცხოვანი ღარიბი მოძმის ოჯახს ამისათვის არც ეკონომიკური სახსრები და წარმოების საშუალებები ჰქონდა და არც მიწის ისეთი დიდი ნაკვეთები, ნადის მოწვევა რომ დასჭირებოდა. მოგვიანებით, პატრონიზმის მონათესავე ოჯახთა ერთ ნაწილს შეეძლო მხოლოდ უსასყიდლოდ გაეცა შრომა, ხოლო მეორე ნაწილს მიეღო. ეს ნადური შრომითი გაერთიანების სტრუქტურისა და განვითარების არსებითად პრინციპული მხარეა, რადგან იგი ნოვროს შრომის გამცემ და მიმღებ ოჯახებს შორის იწვევდა ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავებას. დახმარების ასეთი თავისებურება განვითარების მოცემულ ეტაპზე სოციალური ურთიერთობების გვიანდელი ფორმებით ხასიათდებოდა. იგი სრულად გამოირიცხავდა ისეთი ნათესაური ჯგუფის სოლიდარულ ბუნებას, რაც მის წევრებს შრომამოვიც ერთიან სამეურნეო ორგანიზმად წარმოაჩენდა. ნადის სტრუქტურა ფორმით დემოკრატიულ იერსახეს ინარჩუნებდა, ხოლო შინაგანად აშკარად გამოხატულ კლასობრივ შინაარსს იძენდა. იგი თანდათანობით ღარიბი მეთემეების ექსპლუატაციის მძლავრ საშუალებად ჩამოყალიბდა და ტრადიციულად ძველთაგანვე მომდინარე სოლიდარობაზე დაფუძნებული ნოვროს ეკონომიკურად ძლიერი ოჯახების შემოსავლისა და იაფი მუშახელის შოვნის წყაროდ იქცა. ნადი შემოსავლის წყაროდ იქცა განსაკუთრებით ადგილობრივი ფეოდალების (ბეგები) და სოციალურად დაწინაურებული (აღებები) ოჯახების ხელში. როდესაც ბეგის მამულეები დამუშავებას თხოულობდა, ისინი სოფლებში მოხელეებს დაგზავნიდნენ და მოსახლეობას ნადზე იწვევდნენ. ბეგი ხშირად კვირაში სამ-ოთხჯერაც კი იწვევდა ნადს²⁸. ბეგის ნადზე წასვლა ყველასათვის სავალდებულო იყო²⁹. ამრიგად, შეძლებულ ოჯახებს ჰქონდათ ნადის მოწვევის ეკონომიკური საშუალება. ჰქონდათ სამყოფი სამეურნეო ინვენტარი და სხვ. მაშინ, როცა ღარიბი მეთემე ასეთს მოკლებული იყო. საშუალო მდგომარეობის მეთემეც სოციალური უთანასწორობის მიზეზით დაწინაურებული ოჯახების ნადში მოწვევას ერიდებოდა. ნადის ეს ფორმა დახმარების თვალსაზრისით ცალმხრივ ხასიათს ატარებდა.

აჭარაში ნადი 15—20 ადამიანსაც აერთიანებდა. ნადის მოწვევა იცოდნენ თიბვის, მკის, სახლის მშენებლობის, სახლისა და სამეურნეო ნაგებობისათვის მასალის მოჭრისა და დამზადების³⁰, ახოსა და მოსავლის აღების, ზენათესვის, შუშის მოჭრისა და მოზიდვის დროს. შუა საუკუნეების აჭარის სინამდვილის ამსახველ აბუსერისძე ტბელის ნაწარმოებში მინიშნებულია თანასოფელთა ურთიერთდახმარებისა და შრომითი კოოპერაციის გარკვეული

28 აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, № 28.
 29 იქვე, № 250.
 30 ა. მსხალაძე, აჭარის ხალხური შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგიერთი საკითხისათვის, გვ. 49—51.

ფორმის არსებობის ფაქტი მშენებლობის პროცესში³¹. რადგან საცხოვრებლის აგება მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო იყო, ამიტომ მისი მშენებლობა ნოგროს საერთო შრომითი ძალებით მიმდინარეობდა. ოჯახის უფროსი ნაღს შეძლებისდაგვარად უმსახინძლდებოდა სადილით³². თ. ჩიქოვანის ცნობით, აჭარაში ნადში „გამორიცხული იყო ყოველგვარი ანგარიშსწორება. მე-ნადე ვალდებული იყო მხოლოდ საქმლით გამსპინძლდებოდა ნადის წევრებს. ნადში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ პირველ რიგში მაინც მენადის მოგვარეები გამოდიოდნენ“³³. საცხოვრებლის აგებისას პატრონიმისა და ნათესავ-მეზობლების შრომით დახმარებას საქართველოს სხვა კუთხეშიც საკმაოდ ფართო გავრცელება ჰქონდა³⁴.

ნადის მოწვევის აუცილებლობა განსაკუთრებით მაშინ დგებოდა, როცა ნაკვეთი ახოობას უნდა დაქვემდებარებოდა. საქართველოს იმ მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობაში, სადაც ახოობას გარკვეული ადგილი ეჭირა სამიწათმოქმედებო სისტემაში, წარმოდგენილი იყო აჭარული ნადის ანალოგიური შრომითი გაერთიანებანი³⁵. აჭარაში ახოს აღებასთან დაკავშირებული სამუშაოები მხოლოდ ნადის ორგანიზაციულ ფორმასთან არაა დაკავშირებული. ხშირად ასეთი მიწების გაწმენდა-მოსუფთავება და დასამუშავებლად მომზადება ნოგროს ან ტერიტორიულად ახლოს მცხოვრები რამდენიმე ოჯახის შრომითი გაერთიანების ე. წ. მოზიარნობის ძალებით სრულდებოდა. ნ. ჩიჯავაძის შენიშვნით, მოზიარნები ერთად კაფავდნენ ტყეს, რის შემდეგაც ნაკვეთს გაყოფდნენ თანაბარ ნაწილად და ყველა თავისთვის იწყებდა თესვას. მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ შრომითი გაერთიანება მოსავლის აღებამდე რჩებოდა ძალაში, ე. ი. ახო ერთად იღებოდა და ერთიანი ძალებით ათესებოდა, მოსავალი კი სათანადოდ ნაწილდებოდა. შრომის გაერთიანების

31 აბუ სერიძე ტბელი, ბოლკა-ბასილის მშენებლობა შუარტყელში და აბუსერის-ძეთა საგვარეულო მათიანე (1233 წ.). ტექსტი გამოსცა ლ. მუხსელიშვილმა, თბ., 1941, გვ. 15, 57, 60.

32 ვ. შამილაძე, კინტრიშის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. — კრებ.: ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 1962, 2; ჯ. მიქელაძე, მასალები აჭარული სახლისა და კარმიდამოს შესახებ, — კრებ.: სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1978.

33 თ. ჩიქოვანი, ზემო აჭარული სახლი (1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წინასწარი სამეცნიერო ანგარიში). — კრებ.: ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ბათუმი; 1960, 1, გვ. 95—102; ჯ. მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი; 1982, გვ. 43.

34 ჯ. რუხაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი კახეთში, — კრებ.: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1959; ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, საცხოვრებელი ნაგებობანი ძველ და ახალ ხევიში, თბ., 1967, გვ. 10—11; გ. ჯალაბაძე, შემინდრებობა სვანეთში, — კრებ.: სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970, გვ. 19; გ. ვანლიში, ლაზური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (სართვის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). — კრებ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1978, გვ. 121—122; აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა დაწერილებით იბ. რობაკიძე A. И., Пути развития грузинской советской этнографии, Тб., 1983, с. 33—36.

35 აღ. რობაკიძე, რაჭის ეთნოგრაფიული მივიწინების ანგარიში. — კრებ.: „ენიმკის მოამბე“, თბ., 1940, IV, გვ. 315; გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963, გვ. 47—48; Г е л ა ძ ე Т. Ш., Трудовые объединения в земледелии Восточной Грузии (по этнографическим материалам), Тб., 1983, с. 39.



ეს ფორმა საკმაოდ ძველი ჩანს³⁶. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით მონაწილეობაში მებზობლები ჩაერთვნენ, თავისი თავდაპირველი ბუნებით იგი პატრონიმის შრომითი გაერთიანება იყო. მონაწილეობას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ახოს ადებისას, არამედ მეურნეობრივი ურთიერთობის სხვა სფეროშიც. სხვათაშორის, დასავლეთ საქართველოს არაერთ კუთხეში და მათ შორის იმერეთშიც სათემო ტყეში ახოს ადებას ბაბუიშვილობის (პატრონიმია), დიდი ოჯახისაგან წარმოქმნილი სამეურნეო-ნათესაური გაერთიანებებიც მიმართავდნენ. ამ გზით მოპოვებულ ნაკვეთს ნატეხობა ერქვა. ნატეხობით ნაკვეთის მოპოვების შემდეგ ბაბუიშვილები მიწას ან ერთმანეთში გაყოფდნენ ან ერთად ფლობდნენ, კოლექტიურად ამუშავებდნენ და მოსავალს ინაწილებდნენ³⁷. აჭარის ზოგიერთ ხეობაში გამოვლენილი მონაცემებით, სათემო მიწებში ზიარ, პატრონიმიულ სარგებლობაში მყოფ ნაკვეთებს განაყოფი ძმა-ბიძაშვილები ანუ მონაწილეები სამი-ოთხი წლის განმავლობაში ამუშავებდნენ, შემდეგ რვა-ცხრა ან ათი-თხუთმეტი წელი ასვენებდნენ და კენჭისყრის საფუძველზე ახალ ნაკვეთებზე გადადიოდნენ. დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ დასვენებული ნაკვეთების დამუშავებას კვლავ ის ძველი ახ სხვა გვარეულობის პატრონიმიათა მონაწილეები იწყებდნენ, რომელთაც ნაკვეთი კენჭისყრით შეხვდებოდა. მიწის ასეთ პერიოდულ ცვლასა და განაწილებას ყურუმი ეწოდებოდა. ამ შემთხვევაში მონაწილეობა ნოგროს შრომით გაერთიანებად, სამეურნეო ბირთვად გამოიყურება. ხოლო ნადი — ურთიერთდახმარების ფორმად. მონაწილეობის შრომითი გაერთიანების გარკვეულ ანალოგიად ხევსურული ალღუმი გვესახება, რომლის სტრუქტურა შეესატყვისებოდა მამად³⁸ ანუ პატრონიმიებად დაყოფას. რ. ხარაძის მიხედვით, მონაწილეობა ოჯახებს გააჩნდათ საერთო საკუთრება მიწაზე. ასეთი მიწები მონაწილეობით ალღუმის შიგნით ცალკეულ ოჯახებს შორის გადანაწილდა³⁹. ალღუმი პატრონიმის შრომითი გაერთიანება და საზოგადო საკუთრების მატარებელი ბირთვია. აჭარულ ნოგროშიც მონაწილეობა შრომითი გაერთიანება ამ ფუნქციის შემსრულებელი ჩანს. შეიძლება ითქვას, რომ თუ სხვადასხვა ფორმის ნოგრო (ბიძაშვილობა, მოძმეობა, მამაშვილობა) ნათესაობის სტრუქტურის გამომხატველი ცნება და სოციალური გაერთიანებაა, მონაწილეობა პირიქით, ეკონომიკური სტრუქტურისა და პატრონიმის სამეურნეო-შრომით გაერთიანებას წარმოადგენს, ხოლო საძმო მოცემული სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის საკუთრების შინაარსის შემცველია. ასეთი საკუთრება თაობათა გასვლის გარკვეულ საფეხურზე მოქმედა ოჯახებზე თანაბრად ნაწილდებოდა. მოძმე-ბიძაშვილები, რომლებიც მონაწილეობის წევრებად ითვლებოდნენ, ზოგჯერ სათემო კატეგორიის საძმო-პატრონიმიულ სარგებლობაში მოქცეულ მიწებს ნადის საშუალებითაც კი ამუშავებდნენ. მას განსაკუთრებით მაშინ მი-

36 ნ. ჩიჭავაძე, ახლობა აჭარაში. — კრებ.: აჭარის მოსახლეობის ყოფა და კულტურა, თბ., 1967, გვ. 70—71.

37 თ. გელაძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში. — კრებ.: მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1978, გვ. 49.

38 რ. ხარაძე, ხევსურული „ბირი“ და „გვარი“, — მიმომხილველი. თბ., 1949, I; გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, გვ. 49.

39 Харадзе Р. Л. Хевсурское аглумы — древняя форма общественно-экономического объединения. — В сб.: Кавказский этнографический сборник, Тб., 1964, с. 47—52.

მართავენ, როცა ნაკვეთი ტერიტორიულად მოზრდილი და რთული დასა-
 მუშავებელი იყო ან უამინდობა თუ სხვა სახის კლიმატური ხელისშემშლელი
 ფაქტორი მის სასწრაფო დამუშავებას მოითხოვდა. ნაღში იწვევდნენ ნოგროს
 ამ წევრებსა და მეზობელ-მოგვარეებს, რომელთაც სამო ნაკვეთში ული
 არ ედოთ. თავად სამო მიწებით მოსარგებლე ოჯახები კი თანაბრად უკლებ-
 ლივ ლებულობდნენ მონაწილეობას ნაკვეთის დამუშავებაში. ისინი ნადის
 ორგანიზატორები იყვნენ. ნაღზე თითოეულ მომხმარებელს საკუთარი სა-
 მუშაო-სამეურნეო იარაღი გამოჰქონდა. სადილს მოზიარნეთა ჯერ ერთი მო-
 ძმის ოჯახი ამზადებდა, ხოლო მეორე დღეს სხვა ან დღის განმავლობაში
 სადილს ერთი მოძმის ოჯახი დაამზადებდა, ხოლო ვახშამს მეორე და ა. შ.
 ნადის მოცემული ორგანიზაციული ფორმა ნათესაურთან ერთად სამეზობლო
 თემის საზოგადოებრივი სტრუქტურის თავისებურებებსაც ასახავს.

ნაღური შრომითი გაერთიანება სქესობრივი დაყოფის თვალსაზრისით
 თვალისწინებდა შესასრულებელი სამუშაოს სიძნელესა და მეურნეობრივ
 თავისებურებებს, რასაც ისტორიულად ტრადიციული წარმოებითი გამოცდი-
 ლება ედო საფუძვლად. არა მარტო აჭარაში, არამედ საერთოდ ქართულ-კავ-
 კასიურ მთურ მიწათმოქმედებაში ქალის შრომა საკმაოდ ფართოდ გამოიყ-
 ნებოდა. მოსახლეობის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებული
 კოლექტიური შრომის ორგანიზაციული სტრუქტურა და შრომის საზოგადო-
 ებრივი სქესობრივ-ასაკობრივი დაყოფა თუ ერთობლივი დასაქმება მძიმე
 შრომის საგრძნობლად უმსუბუქებდა მეურნეს, უმაღლებდა შრომით აქტიუ-
 მასა და მას ვაცილებით ნაყოფიერსაც ხდიდა. ამდენად, შესასრულებელი სა-
 მუშაო სამუშაო შემსრულებლის ფიზიკურ-სქესობრივ და ასაკობრივ შე-
 საძლებლობებსაც წინასწარ ითვალისწინებდა. ცხადია, ქალისა და ბავშვის
 დატვირთვა ვერ გაუთანაბრდებოდა მამაკაცის რთულსა და შრომატევად
 მძიმე სამუშაოს, მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში ქალების მეურნეობაში
 დასაქმებასა და მასთან დაკავშირებულ შრომის კოლექტიურ ორგანიზაციას
 საკმაოდ ფართო გავრცელება ჰქონდა. ქალების ნაღს უმეტესად მატყლის
 ჩეჩვისა და რთვის დროს იწვევდნენ. მამაკაცებით მრავალრიცხოვანი დიდი
 ოჯახი, რომელიც, ბუნებრივია, სამოსისათვის შედარებით დიდი რაოდენობის
 მატყლის დამუშავებას მოითხოვდა, ნაღს ვაცილებით ხშირად მიმართავდა.
 დანარჩენ შემთხვევაში ჩეჩვას ოჯახის ქალებიც ადვილად აუდიოდნენ⁴⁰. დიდი
 ოჯახის მანდილოსნები მატყლს ჩეჩდნენ არა უშუალოდ თავიანთი პირადი
 ოჯახის წევრთათვის (ქმრებისათვის ან ვაჟებისათვის), არამედ ისინი საერთო
 საოჯახო ნართს ამზადებდნენ. ამის შემდეგ კი თითოეული თავისი ქმრისთვის
 ან შვილებისათვის ზრუნავდა და ქსოვდა, თუმცა ეს სრულებითაც არ გამო-
 რიცხავდა ქალების მიერ ნაქსოვის დამზადებას მასლებისათვის, მასლიშვი-
 ლებისათვის ან მამამთილისათვის. ოჯახის ყველა წევრის შემოსავლისათვის მა-
 ტერიალური საშუალება და შრომაც კი თანაბრად ნაწილდებოდა. ლიტერა-
 ტურაში მითითებულია, რომ აჭარაში ქალების „ნაღი ადრე ვახშობიდან
 მამლის პირველ ყივილამდე (საშუალოდ 5—6 საათს) მუშაობდა. იმის მი-
 ხედვით, თუ რომელ ნაღზე იყო დაბატიებული ქალი, თან უნდა წაედო

40 ნ. კახიძე, ხელოსნობა მაკახლის ხეობაში, — კრებ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-
 ლოს ყოფა და კულტურა, თბ., 1975, III, გვ. 104.

სახეწელი ან ხერთალი (ხელტარი)“⁴¹. ქალების ნადის მოწვევა მატყლის რთვა-ქსოვის შრომატევადი სამუშაოთი იყო განპირობებული. ასეთ შრომით გაერთიანებას აჭარის სხვადასხვა ხეობაში და მათ შორის მაჭახლის ხეობაში ხერთლის ნადი ეწოდება⁴². აჭარაში ძირითადად გამოყოფილია ქალების ორგანიზაციის ნადი: 1. ნადი, რომელსაც მოძალებული სამუშაოს დროს იწვევდნენ და 2. ნადი, რომელსაც იწვევდნენ შრომით გაერთიანებაში საკუთარი სამუშაოს შესრულების, ვართობისა და, ამდენად, შრომის შემსუბუქებისა და გაადვილების მიზნით⁴³. დამოწმებულია ასევე რთვაში ურთიერთდახმარების მეტად საინტერესო ფორმის არსებობა, რაც ნათესავეებსა და მეზობლებზე წინასწარ, ნაღზე მისვლამდე „თითო ხერთალი მატყლის“ ჩამორიგებაში გამოიხატებოდა⁴⁴.

საქორწინო ურთიერთობის პერიოდში სასურველი იყო საპატარძლოს ბავშვობიდანვე შეთვისებული შრომითი ჩვევები, ხელსაქმისა და ხელგარჯილობის (ჭრა-კერვა, ქსოვა-ქარგვა და სხვ.) საფუძვლიანი ცოდნა გამოეყვლინა. ეს მას ქმრის ნოვროსა და მეზობლობაში ავტორიტეტს უმაღლებდა, როგორც მომავალ კარგ და გამრჯე დიასახლისს. თუ ქმრის ოჯახში პატარძალი სურსათის მომპირნედ ხარჯვის, კარგი სადილ-ვახშმის მომზადების, ბავშვების სათნოებით აღზრდისა და სხვა დადებით თვისებებს გამოაველნდა, მაშინ იგი ოჯახის წევრთა საერთო სიყვარულს იხვეჭდა და ნოვროს მანდილოსნებს შორის საპატიო ადგილს იმკვიდრებდა. ქალიშვილი ვასათხოვად მომწიფების ასაკიდანვე ცდილობდა სანიმუშო ნაქსოვ-ნაქარგები დაეგროვებინა. სასურველი იყო საპატარძლოს თავისი შრომისმოყვარეობის დასაბუთების მიზნით ასამდე წინდა მოექსოვა საჩუქრად საქმროსა და მისი ნოვროს წევრთათვის. ბუნებრივია, ასეთი რაოდენობით წინდის მოქსოვა საკმაოდ შრომატევადი სამუშაო იყო. ამიტომ, პატარძალი უახლოესი ნათესავეების დახმარებით ცდილობდა მის დაძლევას. დაურიგებდა დართული მატყლის ძაფს ან უშუალოდ მატყლს განაყოფი ოჯახების ახალგაზრდა ქალებს, რომელთაც ისინი ნართის ან ნაქსოვის სახით რამდენიმე დღეში უბრუნებდნენ. უშუალოდ საქმროსათვის, მაზლისათვის ან მამამთილისათვის ვადასაცემ ნაქარგ-ნაქსოვს საპატარძლო თავისივე ხელით ამზადებდა. საპატარძლოსადმი ნათესავ-მოყვარე ქალების ასეთ მხარდაჭერასა და შრომით დახმარებას აჭარაში საკმაოდ ფართო გავრცელება ჰქონდა. ქალიშვილი ხშირად საქორწინო ნაქარგ-ნაქსოვების დროულად მომზადების მიზნით მამისეულ ოჯახში ნაღსაც კი იწვევდა. შრომითი ურთიერთდახმარების სხვადასხვა ფორმასთან დაკავშირებული ნაღური გაერთიანება საქართველოსა და კავკასიის არაერთ კუთხეშია დადასტურებული, სადაც ნადი სქესობრივი დიფერენციაციის პრინციპებსაც ეფუძნებოდა⁴⁵.

41 ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზემობრიტყვიერებაში, გვ. 76.

42 ჯ. ნოღაიდელი, ჯ. ჩხეიძე, აჭარული სამიწათმოქმედო შრომის ლექსებისა და სიმღერების ზოგადი დახასიათება, — კრებ.: ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ბათუმი, 1960, I, გვ. 169; ნ. კახიძე, ხელოსნობა მაჭახლის ხეობაში, გვ. 103—104.

43 ჯ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

44 ნ. კახიძე, ხელოსნობა მაჭახლის ხეობაში, გვ. 104.

45 აბ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1961, გვ. 65; ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში (კოლექტიური ნადირობის გადმონათხები რაჭაში), თბ., 1941, I, გვ. 17; გ. ჩაჩავილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ზევსურეთში (შატალის საფხენო), — მასალები საქართველოს ეთ-

ქართულ-კავკასიური შრომითი ურთიერთდახმარების ფორმებს ხშირად შეზობლურ გავრთიანებებთან კავშირითიერობაში განიხილავენ, მაგრამ აფხაზური სოფლის მაგალითზე ლიტერატურაში მოცემული მართებული შენიშვნით, თუ გავითვალისწინებთ XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ზოგიერთი რეგიონის დასახლების ფორმის მონოგენურ ბუნებას, მაშინ ნათელი გახდება ასეთი გავრთიანებების თავდაპირველი არსი და ძირითადი სტრუქტურა⁴⁶. როგორც ჩანს, კავკასიის ხალხთა პატრონიმული ორგანიზაციის წევრთა კომპაქტური დასახლება ის ერთ-ერთი საყურადღებო წინაპირობა იყო, რომლებიც მის შიგნით უსასყიდლო ნათესაურ-სამეურნეო შრომითი ერთობისა თუ კავშირების და ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმების შენარჩუნება-შემონახულობას უწყობდა ხელს. მიუხედავად ამისა, დასახლების პოლიგენურად განვითარების ტენდენცია და ტერიტორიული გავრთიანების ფორმირება ურთიერთობათა ამ სფეროში შეზობლობაზე დაფუძნებულ კავშირებს აყალიბებდა, რაც სამეურნეო-შრომითი გავრთიანებებისა თუ ურთიერთდახმარების ფორმათა სტრუქტურისა და ფუნქციების ცვლილებებს იწვევდა. ღრმავდებოდა ექსპლუატაციის ის ფორმები, რაც ადრე მონათესავე ოჯახებს შორის შეფარვითი სახით მიმდინარეობდა. აჭარული ნადის მსგავსად იმერული ნადის ფუნქციის შესწავლისას გარკვეულია, რომ მისი ხასიათი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. თუ ერთ ვითარებაში იგი წარმოადგენდა ურთიერთდახმარებას, სადაც ქონებრივ მდგომარეობას ჯერჯერობით გავლენა ვერ მოეხდინა შრომის ორგანიზაციაზე, სხვა შემთხვევაში პირიქით, მას ფაქტობრივად ჩამოშორდა ურთიერთდახმარების აუცილებელი პირობა, რამაც იგი გადააქცია სოფლის მოსახლეობის შეძლებული ნაწილის მუქი მუშახელის შოვნის საშუალებად⁴⁷. ანალოგიური ვითარება შეინიშნება მეგრული ნოდო-ანუ ნოდალა-ს განვითარებაშიც. კავკასიის ხალხთა სოციალურ სტრუქტურაში, განვითარების გარკვეულ დონეზე მდგარი ურთიერთდახმარების ფორმები, როგორც წესი, ატარებდა არაექვივალენტურ ხასიათს, განსხვავებით იმ ნათესაური ორგანიზაციის წევრთა კოაბერაციული შრომისაგან, რომელთაც საფუძვლად პარიტეტული (თანასწორუფლებიანი) საწყისი ედოთ⁴⁸.

Егографического, тб., 1955, VII, гв. 253; მ. ჩიკოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., I, გვ. 240—241; Инал-па Ш. Д., Некоторые черты абхазского патриархального общества,—Краткие сообщения Института этнографии, М., 1959, с. 58; е го же, Абхазы, Сухуми: Алашара, 1965, с. 400; Чиковани Т. А., Формы взаимопомощи у цалкских урумов,—Кавказский этнографический сборник, Тб., 1972, т. 4; მ. ქანთარია, ერთობლივი შრომის ფორმები შთა ოსეთში, — „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1971, № 4, გვ. 71; მისივე, ყაბარდოს სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 188; გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში, გვ. 18; თ. გელაძე, კოლექტიური შრომის ფორმები გურიაში, გვ. 145; მისივე, შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში, გვ. 55; მისივე, შრომის ორგანიზაციის ფორმები სამეგრელოში, — კრებ.: შასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1979, გვ. 52; მისივე, Трудовые объединения в земледелии Восточной Грузии, с. 27.

⁴⁶ Окруашвили-Бахиа С. И., Абхазская «Абипара» — патронимия (историко-этнографическое исследование), Тб., 1983, с. 100.

⁴⁷ თ. გელაძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში, გვ. 56.

⁴⁸ თ. გელაძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები სამეგრელოში, გვ. 52—57.

⁴⁹ Робакидзе А. И., Особенности патронимической организации у народов горного Кавказа, с. 94.

კავკასიის უმეტეს კუთხეებში, მონათესავე ოჯახებს შორის შრომითი ურთიერთდახმარება თავდაპირველად წარმოადგენდა აუცილებელ ნორმას, რომელიც გამოიხატავდა ყოველგვარი სახის ანგარებას. როგორც აღინიშნა, პატრონი-მთელი ორგანიზაციის ეს თავისებურებაც გენეტიკურად დაკავშირებული იყო დიდ ოჯახთან, რომლის სეგმენტაციის შემდეგ ყალიბდებოდა ახალი დიდი ან ინდივიდუალური ოჯახები, რომელთაც მეურნეობრივი და ნათესაობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე ურთიერთდახმარების სწორედ ასეთი ფორმები ესაჭიროებოდათ. პატრონიზმების ფორმებისა და განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ნათესაური ურთიერთობების ტრადიციული ფორმირების მჭიდრო კავშირის მეშვეობით წარმოიქმნებოდა ურთიერთვალდებულებათა ურღვევი ნორმები⁵¹, რაც თანდათანობით ცვალებადობასა და ტრანსფორმაციას განიცდიდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისად.

აჭარაში შრომითი გაერთიანების ერთ-ერთი მარტივი სახეობაა მოდგამი. ასეთ კოოპერაციულ მომუშავეთა ჯგუფის შექმნა დაკავშირებული იყო წარმოების აუცილებელ საშუალებათა უქონლობასთან, ამიტომ დამოდგამებს ა-ს ეკონომიკურად სუსტი და ცალხარა ხელმოკლე ოჯახები მიმართავდნენ. დამოდგამა ხდებოდა როგორც ნოვოს ოჯახებს, ასევე მეზობლებს შორისაც. მხარეთა შეთანხმებას ადრევე ჰქონდა ადგილი. მოდგამი ურთიერთდახმარების ერთ-ერთი ფორმა იყო და იგი ანაზღაურების რაიმე სახეს არ შეიცავდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა სახანჯ-სათესი ნაკვეთის მეტ-ნაკლებობას და თითოეული მხარე იმდენს ხნავდა, რამდენიც გათვალისწინებული ჰქონდა დასამუშავეებლად⁵². დიდი ოჯახის ინდივიდუალურ ოჯახებზე დაყოფა-სეგმენტაციის პირობებში მოძმეები საერთო სარგებლობაში იტოვებდნენ მუშა საქონელს ან ხარვეზს დაიზიარებდნენ გაყრის შემდეგ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ხშირად განაყოფი ძმა-ბიძაშვილები თითო ხარისაც ატოვებდნენ მოსაყვლად. მოძმეთაგან ვინც პირველი „გასწევდა გუთანს“, იგი მოიხმარდა საზიარო ხარებასაც. მცირერიცხოვანი ოჯახების მიერ წყვილი ხარის შენახვას ხანგრძლივ ზამთარსა და ცივ კლიმატურ პირობებში, ბავურ კვებაზე საქონლის მოვლა-პატრონობის სირთულეც ემატებოდა. თითო ხარის მოვლა კი ოჯახისათვის ეკონომიკურად მისაწვდომი იყო და იაფიც ჯდებოდა. საჭიროების შემთხვევაში მათ შეაერთებდნენ და კუთვნილ ნაკვეთებს ხარების მოზიარე ოჯახები მორიგეობით ამუშავებდნენ. აჭარული მოდგამის მეტ-ნაკლებად ანალოგიური ფორმები საქართველოსა და კავკასიის სხვა კუთხეებშიცაა დამოწმებული⁵³.

⁵¹ Робакидзе А. И., *დასახ. ნაშრომი*, გვ. 102.

⁵² ნ. ჩიჭავაძე, *მემინდვრეობა აჭარაში*, გვ. 41.

⁵³ Хаханов А., *Мехи*, — «ЭО», М, 1981, с. 25; Читая Г. С., *Этнографические исследования в Грузинской ССР*, — «СЭ», 1984, № 4, с. 63; ალ. რობაქიძე, *მოდგამი, როგორც ექსპლუატაციის ერთ-ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში*, — *მიმოხილველი*, თბ., 1951, 2; მისივე, *ტრადიცია და ცხოვრების წესი*, თბ., 1981, გვ. 29—30; გ. ჯალაბაძე, *აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან*, თბ., 1960, გვ. 19; ლ. ბერიაშვილი, *მიწათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)*, თბ., 1973, გვ. 166—173; ი. ქუონია, *მოდგამობა ხენაში, „მატე“*, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 159—166; მ. ქანთარია, *ყაბარდოს სამეურნეო ყოფის ისტორიიდან*, გვ. 173—191.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მოდგამი არის „მეკომე, ჯილის მოზიარე“⁵⁴. თავდაპირველად ასეთი მოზიარეები მონათესავე ოჯახები იყვნენ, რაზედაც სხვა მონაცემებთან ერთად თვით ტერმინი მოდგამი უნდა მიანიშნებდეს. ქართულში ამ ტერმინს ბევრი მონათესავე სიტყვა მოეპოვება. მაგალითად, როგორცია მიმდგომი, მიდგომა, თანადგომა და სხვ.⁵⁵, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი კავშირი ნათესაობის აღმნიშვნელ ნომენკლატურასთან. წერილობით წყაროებით დადგენილია, რომ მოდგამი არის „ნათესავე-მოდგამ-გვარ-ტომი“⁵⁶. მოდგამი საქართველოში კარგად ცნობილ ჩამომავლობის აღმნიშვნელ ტერმინს მოდგამ-ს უკავშირდება, რითაც იგი უპირველესად შრომის ორგანიზაციის თავდაპირველი ნათესაური სტრუქტურის არსებობას გვისახულებს.

თანდათანობით, განვითარების გვიანდელ ეტაპზე, მოდგამი ნათესაური ურთიერთდახმარების ძველი ტრადიციული ფორმიდან გადავიდა ექსპლუატაციის გარკვეულ ფორმაში⁵⁷. ჯერ კიდევ ადრე ვ. ლენინს შენიშნული ჰქონდა მარტივ შრომით კოოპერაციაში ტრანსფორმაციისა და ცვლის შესაძლებლობა, რამაც იგი ექსპლუატაციის გარკვეულ ფორმამდე მიიყვანა⁵⁸. საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, სადაც 8—10 წყვილი მუშა პირუტყვით მიწის დამუშავების აუცილებლობა⁵⁹ ხელს უწყობდა წვრილი გლეხური მეურნეობის ექსპლუატაციას შეძლებული გლეხის მიერ⁶⁰, აჭარულ მოდგამს არ გააჩნდა ექსპლუატაციის რამდენადმე გამოკვეთილი ნიშნები⁶¹. ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს მოვლენა თავის მხრივ დაცვირებული უნდა იყოს იმ გარემოებასთან, რომლის თანახმადაც აჭარის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე სახნავ-სათესად 1—2 წყვილი ხარიც საკმარისი იყო⁶². ბუნებრივია, ეს ფაქტი ხელს უწყობდა მოდგამის თავდაპირველი ტრადიციული ბუნების კონსერვაციასა და ძველი ფორმით შემონახულობას. აჭარული მოდგამი, შინაგანი ბუნებით ახლოს დგას მესხურ მოდგამთან. ალ. რობაქიძის დასკვნით, ახალციხური ვარიანტის მსგავსი მოდგამი საქართველოს სოფლის მოსახლეობაში შრომითი გაერთიანების ჩვენთვის ცნობილ ფორმათა შორის ყველაზე არქაული უნდა იყოს. ქონებრივ

54 სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა (ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), თბ., 1949, გვ. 217.

55 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930, ქართული წგნის, I, გვ. 251; აღნიშნული სიტყვებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ტერმინი თანადგომა და იგი ასახავს მოდგამის შინაარსობრივ ბუნებას, რამდენადაც მნიშვნელობითაც დახმარებას, მხარდაჭერას. ანუ თანადგომას გამოხატავს.

56 ი. ჭყონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 159—166.

57 Шамиладзе В. М., Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, с. 81.

58 Ленин В. И., Развитие капитализма в России (процесс образования внутреннего рынка для крупной промышленности). — Полн. собр. соч., т. 3, с. 183—185, 192—224.

59 Харадзе Р. Л. Грузинская семейная община, Тб., 1961, т. 2, с. 30.

60 ალ. რობაქიძე, მოდგამი, როგორც ექსპლუატაციის ერთ-ერთი ფორმა რევოლუციამდე საქართველოში, გვ. 407—420.

61 ვ. შამილაძე, ალბური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 69.

62 Ачугба Т. А., Семья и семейный быт в Аджарии (вторая половина XIX начала XX вв.) Тб., 1983, с. 78.

უთანასწორობას ალოების განაწილებაზე აქ ჯერ კიდევ არ მოუხდენია გავლენა. ავტორის აზრით, ამ შემთხვევაში მოდგამით ხენა ფაქტობრივად მოთხოვნების მიხედვით წარმოებდა და არა მოდგამის წევრთა მონაწილეობის პროპორციულად. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი წარმოადგენდა მოდგამის ინსტიტუტის განვითარების იმ პირველ ფორმას, რომელიც დიდი ოჯახის რღვევის შედეგად წარმოიქმნებოდა, მაგრამ ამ საფეხურიდან ჯერ კიდევ შორს არ იყო წასული⁶³.

საქართველოში მოდგამა განვითარების პროცესში გარკვეული ცვალებადობა და შრომითი გავრთიანების ახალ ფორმაში გარდაქმნა განიცადა. აჭარაში ურთიერთდახმარებისა და შრომის ორგანიზაციის ცვალებადობის ამ თავისებურებათა გამოჩნტველი ტუმიწინებია მანიდი და ბედლობა. ეს ორი სიტყვა ფუნქციურად თანაბარი მნიშვნელობისაა. მანიდში ერთიანდებოდა ორი ან მეტი გლეხი და მას საფუძვლად ედო შრომითი დახმარების აუცილებელი ანაზღაურება⁶⁴. აჭარაში, ერთი შეხედვით, მოდგამი თითქოსდა უთანაბრდება მანიდს ან ბედლობას და მისი ეკვივალენტური ჩანს, მაგრამ როგორც ლიტერატურაშია შენიშნული, დამოდგამება შეიძლებოდა მუშა პირუტყვისა, მაშინ, როცა მუშახელზე დამანიდებას იტყოდნენ⁶⁵. ეს მაინც არაა შრომითი გაერთიანების ამ ორი ფორმის გამიჯვნის სრული კრიტერიუმი. ისინი ერთმანეთისაგან უპირველესად განსხვავდებოდნენ იმით, რომ თუ მოდგამი არ იყო ანაზღაურებითი ხასიათის, მანიდი თუ ბედლობა პირიქით, სანაცვლო დახმარების პრინციპს ემყარებოდა. მანიდისა და ბედლობის დროს, ოჯახი მიღებული დახმარების საფასურად ვალდებული იყო სანაცვლო დახმარებით აენაზღაურებინა და გაეთანაბრებინა მომხმარებლისათვის დახარჯული შრომა. მაგალითად, თუ ერთი გლეხი მეორეს ახოს გატეხვაში რამდენიმე დღეს შეელოდა, მისი მე მანიდი/ბედელი ვალდებული იყო ამდენსავე დღეს მოხმარებოდა იმავე ან სხვა სახის სამუშაოში, ვთქვათ. ტყეში მასალის დამზადებაში. ეს ორი სამუშაო შრომატევადობის თვალსაზრისით თანატოლად თვლებოდა⁶⁶. შეამხანაგებული ოჯახები დათქმული და წინასწარ განსაზღვრული ვადით ეხმარებოდნენ ერთმანეთს. მთხრობელთა გადმოცემით, მოხმარება ხენის დროს „დღეობით ხდება“ და მიწას ნაკლებს დამუშავებთ თუ მეტს „არ ეიწონება“. ხშირად, მანიდსა ან ბედლობას არა მარტო ეკონომიკურად სუსტი, არამედ ძლიერი ოჯახებიც კი მიმართავდნენ. ამას განაპირობებდა მოსალოდნელი კლიმატური პირობების წინასწარი გათვალისწინება. ლიტერატურაში მითითებულია, რომ აჭარაში სანაცვლო დახმარებაზე დამყარებული, დამანიდებულ ოჯახთა ორივე მხარე ვალდებული იყო შეესრულებინა წინასწარი ჯარიგება. მოხმარების საფასურში დამანიდება ფულად ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა. ფულადი ანაზღაურების მიცემა მარტო მუშახელის და-

63 ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 408—409; მისივე, Особенности патронимической организации у народов горного Кавказа.

64 ნ. ჩიჯავაძე, მემინდვრობა აჭარაში, გვ. 43; ტერმინი ბედელი აჭარაში თურქულიდან ჩანს შემოსული (bedelen), სადაც იგი აღნიშნავს გაცვლას, სანაცვლოს (იხ. Турецко-русский словарь, с. 104).

65 ვ. ჩხეიძე, შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში (აჭარული მასალების მიხედვით), ბათუმი, 1973, გვ. 30.

66 ნ. ჩიჯავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

ქირავების შემთხვევაში ხდებოდა⁶⁷, ე. ი. შრომითი დახმარების ამ ფორმას საფუძვლად ედო შრომითი დახმარების ანაზღაურება არა ფულთ, არამედ რამეე ან სხვა სახის სამუშაოს შესრულებით⁶⁸.

აჭარაში დამანიღება-ბედლობას ნოვროს შიგნით იშვიათად მიმართავდნენ. ამ სახის შრომითი გაერთიანება სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის განაყოფი ოჯახების ბირთვისაგან ნაკლებად დგებოდა. იგი შრომითი დახმარების განვითარების გვიანდელი წარმონაქმნია. აღნიშნული გაერთიანება აჭარის თითქმის ყველა ხეობაში მსგავსი სტრუქტურით ხასიათდება. მაჭახლის ხეობაშიც მანიღი სანაცვლო-სავალდებულო დახმარებას ითვალისწინებდა. აჭარის სხვა ხეობების მსგავსად, მაჭახლის ხეობის სინამდვილეშიც მნიშვნელობა არ ჰქონდა სავალდებულო-სანაცვლო დახმარება თოხნაში გამოიხატებოდა თუ სხვა სახის სამუშაოს შესრულებაში⁶⁹. შრომით კოოპერაციაში სანაცვლო-სავალდებულო დახმარების თვალსაზრისით ანალოგიები საქართველოსა და კავკასიის არაერთ კუთხეში დასტურდება⁷⁰. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმა თანდათანობით სანაცვლო დახმარების ფორმაში და სესხში გადაიზრდებოდა, თუმცა ეს უკანასკნელი გარეგნულად დახმარების ფუნქციას ინარჩუნებდა. დახმარების გაცვლითი ურთიერთობა ძირითადად თანაბარი ეკონომიკური მდგომარეობის ოჯახებს ახასიათებდათ, ე. ი. შრომას გასცემდა ის ოჯახი, რომელსაც სანაცვლო დახმარება შრომის თანაბარი ხარისხის დონეზე სჭირდებოდა. თანდათანობით ეს ურთიერთობა ღრმავდებოდა და სესხითი, კერძოდ „სესხით დახმარების“ ჩამოყალიბებულ სახეს ლებულობდა. საბოლოოდ იგი კაბალის ფორმირებამდე მიდიოდა. ამდენად, შინაგანი განვითარების კვალობაზე და ქონებრივი განსხვავებულობის წარმოქმნის საფუძველზე დახმარება-გაცვლითი ურთიერთობა თანდათანობით გარდაიქმნებოდა დახმარება-სესხით და სესხით-კაბალურ მდგომარეობაში⁷¹.

⁶⁷ გ. ჩხეიძე, შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, გვ. 13.

⁶⁸ ნ. ჩიჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

⁶⁹ ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, გვ. 40.

⁷⁰ Хаханов А., Обычай в Грузии при пахании, — „ЗО“, 1891, № 4; აბ. წულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109; ალ. რობაქიძე, მოღვაში, როგორც ექსპლუატაციის ერთ-ერთი ფორმა რევოლუციამდელ საქართველოში, გვ. 409, 419—420; მ. ქანთარია, მიწისმფლობელობისა და სარგებლობის ფორმების საკითხისათვის ყაბარდოში XIX—XX სს. მიჯნაზე. — კრებ.: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1959, X, გვ. 116; გ. ჯალაბაძე, შემინდგრობა სვანეთში, გვ. 18; მისივე, მიწათმოქმედება ფშავესურეთში, გვ. 25; ჯ. რუხაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი კახეთში, გვ. 51; თ. გელაძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები გურიაში, გვ. 68; მისივე, შრომის ორგანიზაციის ფორმები იმერეთში, გვ. 54; მისივე, შრომის ორგანიზაციის ფორმები სამეგრელოში, გვ. 49—50.

⁷¹ Семенов Ю.И. დასახ. ნაშრომი, გვ. 58—62; საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის მაგალითზე სანაცვლო ურთიერთდახმარების შემდგომი ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე გაფართოვდება წყაროთმცოდნეობითი ბაზა და შეუქმი მოედლებზე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მეტად საყურადღებო მხარეებს. საქართველოში აღნიშნული ორგანიზაციულ-ეკონომიკური გაერთიანებების ეთნოსპეციფიკური (ლოკალური) და ზოგად თავისებურებათა გამოვლენა კონკრეტულად წარმოაჩენს ამ ტიპის შრომითი ურთიერთდახმარების ადგილისა და როლის მნიშვნელობას ქართველი ხალხის ისტორიაში, დაადგენს დახმარების ცალკეულ ფორმათა სტადიური ურთიერთმიმართებისა და განვითარების პროცესს, მის ადრეულ საფეხურებს გვიანდელ ფორმებთან შედარების საფუძველზე. საზოგადოებრივი განვითარების ის ეტაპი, როცა სანაცვლო ურთიერთდახმარების

ამრიგად, აჭარის ეთნოგრაფიული მონაცემებისა და ქართულ-კავკასიური პარალელების ანალიზის საფუძველზე განვითარების სხვადასხვა საფეხურზე წარმოქმნილი შრომითი გაერთიანებებისა და შრომის ორგანიზაციის რამდენიმე ფორმა გამოიყოფა, რომლებიც დანიშნულება-ფუნქციითა და ეკონომიკური სტრუქტურით მეტ-ნაკლებად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. კოლექტიური შრომის ორგანიზაციის წევრთა უფლებრივი დამოკიდებულებისა და შრომის განაწილების შესწავლა-დახასიათებამ საშუალება მოგვცა ვაგვერკვია ურთიერთდახმარების ფორმათა სტრუქტურა-განვითარების ძირითადი და სპეციფიკური თავისებურებანი. აჭარაში პატრონიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ნოგროს ტიპის სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის ცალკეულ ისტორიულ ფორმებს ჰქონდა განსაზღვრული სახის წარმოება, შესატყვისი სამეურნეო ბირთვი და შრომის ორგანიზაცია. ნოგროს სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის შრომითმა გაერთიანებებმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალელურად სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები განიცადა. ნათესაური შრომის ორგანიზაციის ფორმები გადაიზარდა მეზობლურში, რაც დასახლების ფორმაში მონოგენური განსახლების პოლიგენურში გარდაქმნის თანხლები პროცესი იყო. ერთი სოფლის ან უბნის შიგნით ნოგროს მონათესავე ოჯახებს შორის სამეურნეო კავშირებისა და შრომითი გაერთიანებების მდგრადობას ხელს უწყობდა ამ ორგანიზაციის კომპაქტური დასახლება, ტერიტორიული და სოციალური ერთობა.

ღორმათა ძირითადი ნიშნები იწყებდა წარმოქმნას, ხასიათდებოდა რთული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურითა და მეტ-ნაკლებად ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობებით, რომლებშიც თავს იყრიდა არა მხოლოდ ახალი, არამედ ძველი, ტრადიციულ ფორმათა ტრანსფორმირებული ისტრუქტურები. ასეთ პირობებში ურთიერთდახმარებაც სტრუქტურულად ახალ თვისებებს იძენდა, რომელთა მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებით გამოყოფა-ელასიფიკაცია და ამასთან ტიპოლოგიური ნიშნების ჯენეტიკურ მხარეებზე ყურადღების გამახვილება უთუოდ მათი ისტორიულ ქრილში შესწავლის ერთ-ერთ წინაპირობას შექმნიდა. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალებში ზანგასულია საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფის, ევროპოდ შესაქონლეობის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების დეტალური ანალიზის სადღეისო საჭიროება, რაც უპირველესად ითვალისწინებს მეურნეობის ამ დარგის (ისევე, როგორც მიწათმოქმედების) გაძლიერების სამეურნეო-ორგანიზაციული და ეკონომიკური მხარეების წარმოჩენას, შრომის ორგანიზაციის კოლექტიურ და რედივიდუალურ ფორმათა გამოვლენას, თანაბარუფლებიანობის პრინციპსა და დამკვიდრებულ შრომაზე აღმოცენებული ამხანაგობა-გაერთიანებთა ეკონომიკური სტრუქტურისა და დამკვიდრება-ექსპლუატაციის პირობების ძირითადი ტიპოლოგიური თავისებურებების დადგენას (იხ., ვ. შამილაძე, შესაქონლეობა საქართველოში, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალები, თბ., 1986, გვ. 4).

შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიციულ ფორმათა დეტალური გამოკვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვეობის პრობლემატიკის, თანამედროვე სოფლის სოციალურ-მეურნეობის სწორი ორგანიზაციის თვალსაზრისითაც. შრომის ორგანიზაციის ტრადიციულ ფორმებში უნდა გამოიყოს ძირითადი პროგრესული ელემენტები, შემუშავდეს რეკომენდაციები შრომითი ურთიერთდახმარების კოლექტიურ ფორმათა ტრადიციულ საფუძველზე გამოყენებისათვის, ქართული სოფლის სამეურნეო ყოფაში მათი ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებისა და შრომის შემსუბუქების მიზნით პრაქტიკაში დანერგვისათვის.

Н. В. МГЕЛАДЗЕ

ТРАДИЦИОННЫЕ ФОРМЫ ТРУДОВОЙ ВЗАИМОПОМОЩИ В АДЖАРИИ

Резюме

В статье освещены традиционные формы трудовой взаимопомощи: шещевна, абареба, нади, модгами, маниди и бедлоба:

Коллективные формы трудовой взаимопомощи генетически восходят к периоду распада патриархального рода на семейные общины и возникновения патронимий.

Все основные особенности трудовой взаимопомощи соответствуют дифференцированному по категориям родства социальному организму патронимии. Вначале, на раннеклассовой ступени развития, появлялись лишь определенные признаки взаимопомощи, поскольку структура и многочисленность общины давали возможность осуществлять совместными силами все полевые и скотоводческие работы. При распаде многочисленной семьи на малые хозяйство все еще сохраняло былой комплексный характер и появилась потребность в трудовой взаимопомощи.

В работе показано, что в Аджарии основные формы трудового объединения хозяйственно-родственной группы типа ногро (патронимия) параллельно с социально-экономическим развитием подвергались структурным и функциональным изменениям. Основные и специфические особенности структуры форм трудового объединения и родственной организации труда переросли в соседские и этот процесс сопровождал преобразованием моногенной формы поселения в полигенную.

Таким образом, формы трудовой взаимопомощи — это новое явление общественного развития, в основном характерное для территориально-соседской общины и соответствующего семейного уклада.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა

გელა ბაყრაღლიძე

მითრიღაბე ეპკაბტორი ღა კოლხეთ-იბერიის ისტორიის
ზოგინერთი საკითხი

ძვ. წ. IV ს-ის მიწურულიდან ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიის სამეფოს შორის კოლხეთის ზღვისპირეთში განვითარდა ბუფერული „ქალაქ-სახელ-მწიფოები“ — „დიოსკურია-სოხუმის ქვეყანა“¹, „გიენოსი-ოჩამჩირის ქვეყანა“², „ფასისი-ფოთის ქვეყანა“³, „ქობულეთ-ფიჭვნარის ქვეყანა“⁴, ხოლო შიდა კოლხეთი (resp. ეგრისი) იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაე-ქვემდებარა⁵. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მყოფი შიდა კოლხეთის სტრატონისეული სკვებტუხები (XI, II, 18) — „საირხის ქვეყანა“⁶, „ქუთაისის ქვეყანა“⁷, „ვარდციხის ქვეყანა“⁸, „ნოქალაქევის ქვეყანა“⁹, „ვიანის ქვეყანა“¹⁰ და სხვები გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ (ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა პირველ რიგში ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიაკიური მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დაწინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ „ქვეყნად“ საქალაქო ცენტრით. შემდგომ სწორედ ეს „ქვეყნები“ და-

¹ არქ. მასალა იხ. М. М. Трапш, Труды, II, Сухуми, 1969; Ю. Н. Воронов, Диоскуриада-Севастополис-Цхум, М., 1980; Г. К. Шамба, [Эшерское городище, Тб., 1980.

² არქ. მასალა იხ. !Д. Д. Качаравა, Город Гиенос в античную эпоху (автореферат канд. диссертации), Тб., 1972.

³ არქ. მასალა იხ. მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969; ი. შიქელაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.

⁴ არქ. მასალა იხ. ა. ეახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ქალაქები, თბ., 1971.

⁵ იხ. დაწვრილებით — გ. გამყრელიძე, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1985, № 3, გვ. 86—97 და იქ დასახელებული ლიტერატურა.

⁶ არქ. მასალა იხ. — ვ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975; მისივე, საირხის საგანძური, „კომუნისტი“, 1986, X, 1; მისივე, საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი, „კომუნისტი“, 1985, XI, 21.

⁷ არქ. მასალა იხ. ი. ლანჩავა, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, თბ., 1975; ლ. ჯიქია, „ქუთაისის ქვეყნის“ არქეოლოგიური რუკა, კრებ. ძეგლის მეგობარი, 1977, № 46, გვ. 26—30.

⁸ არქ. მასალა იხ. ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლა, კრებ. ფეოდალური საქ. არქ. ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 84—101; მისივე, ძველი ვარდციხე („ვარდგორა“), კრებ. ძეგლის მეგობარი, 1977, № 46, გვ. 43—50.

⁹ არქ. მასალა იხ. კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი (რედ. პ. ზაქარაია). თბ., I, 1961, II, 1987.

¹⁰ არქ. მასალა იხ. კრებ. „ვიანი“ (რედ. ით. ლორთქიფანიძე), თბ., I—1972, II—1976, III—1977; IV—1979, V—1981, VI—1981, VII—1983.

ედო საფუძვლად სკეპტუხიებად დანაწილებას). ეტყობა, იმიტომაც აგებდა იბერია შორაპნის და დიმნის ციხე-ფორპოსტებს¹¹, რომ ეს სეპარატისტული გამოვლინებები დაეთრგუნა. ზემოთ ჩამოთვლილი „ქვეყნების“ გარდა, კოლხეთში მეომარი, დაბალგანვითარებული ტომებიც მოსახლეობდნენ. ასეთ მდგომარეობა ვაგრძელდა ძვ. წ. II—I სს. მიჯნამდე, როცა კოლხეთის პოლიტიკურ პორიზონტზე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა. მითრიდატეს დროის პონტო-კოლხეთის ურთიერთობის საკითხებს მრავალი მკვლევარი შეეხო, მაგრამ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა¹².

პონტოს სამეფოს კოლხეთში, პირველ რიგში ზღვისპირა კოლხეთში, თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. სწორედ აქ იყო ვანლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის, ქობულეთ-ფიჭვნარის „ქალაქ-ქვეყნები“, რომლებიც შიდა კოლხეთისაგან ბერძნული ეთნიკური ელემენტის სიჭარბით გამოირჩეოდნენ. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის — მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების გრანდიოზული იდეის თანმიმდევრული განხორციელება¹³. ზღვისპირა კოლხეთის ქალაქები მითრიდატემ პონტოს სამეფოს ძვ. წ. II—I სს. მიჯნაზე შეუერთა¹⁴. ხსენებული ქალაქები ერთი მხრივ, საზღვაო ვაჭრობის — მათი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენის არასტაბილურობით, ხოლო მეორე მხრივ — კოლხეთის მთიანეთში მცხოვრები მეომარი ტომების თავდასხმებით იყვნენ შეწუხებული (სტრაბონი XVII, III 24; პლინიუსი VI, 15). ისეთი ძლიერი ხელისუფალის მფარველობაში შესვლა, როგორც მითრიდატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. აქ, შესაძლოა, წარმოიშვა დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა, როგორც იყო დიოფანტეს ლაშქრობის შედეგად პონტოს სამეფოსთან ბოსფორის სამეფოსა და ხერსონესის შემოერთე-

¹¹ О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979, с. 213.

¹² ისტორიოგრაფია იხ. Th. Reinach, Mitridate Eupator, roi de Pont, Paris, 1890; Я. А. Манандян, Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду, ВДИ, 1940, № 3—4, გვ. 89—100; М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М., 1956; Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тб., 1959, с. 301—310; М. П. Инадзе, Причерноморские города Древней Колхиды, Тб., 1968; Г. А. Лордкипанидзе, К истории Древней Колхиды, Тб., 1970; Е. А. Молев, Митридат Евпатор, Саратов, 1976; Н. Ю. Ломоури, К истории Понтийского царства, I, Тб., 1979; Д. Б. Шелов, Колхида в системе Понтийской державы Митридата VI, ВДИ, 1980, № 3, с. 28—43; А. И. Немировский, сб. «Кавказ и Средиземноморье», Тб., 1980, с. 154—160; Ю. Н. Воронов, Диоскуриада-Сébastopolis-Цхум, М., 1980; Т. Т. Тодуа, Колхида в составе Понтийского царства (авторреферат канд. диссертации), Тб., 1985; Г. Д. Дондуа, Г. А. Лордкипанидзе, Грузия и Митридат VI, сб. Причерноморье в эпоху эллинизма (Симпозиум) III в Цхалтубо, Тб., 1985, с. 601—608. ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, თბ., 1956; გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბ., 1965; გ. დუნდუა, იბრებოდა თუ არა მონეტა ვანში? „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 146—159. და მათში მითითებული ლიტერატურა.

¹³ Д. Б. Шелов, Колхида в системе..., с. 31.

¹⁴ იხ. Г. А. Лордкипанидзе, К истории Древней Колхиды, с. 20.

¹⁵ Th. Reinach, Mithridate Eupator, გვ. 78.

ბს დროს¹⁵. საყურადღებოა ცნობა იმის შესახებ, რომ მითრიდატეს კოლხეთი მემკვიდრეობით ერგო (იუნიანუს იუსტინუსი XXXVIII, 7, 10).

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტ-ნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი — ეშერა, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი — არ არის დადასტურებული ძვ. წ. II—I სს. მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქალაქებში, რევე როგორც ბოსფორსა და ხერსონესში, მითრიდატე გარკვეულ წინააღმდეგობას არ წააწყდა. მაგალითად, მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ იმით დაიმორჩილა ფასისის მიდამოები (მდ. ფასისის ქვემო წელი — გ. გ.); ჭობულეთ-ფიჭვნარის ქალაქი დარბეულია ძვ. წ. II ს. ბოლოსათვის¹⁶.

შიდა კოლხეთი მითრიდატეს არ შეუერთებია პონტოს სამეფოსთვის. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ იგი იქ შეიჭრა მაშინ, როცა პომპეუსს გამოეცქა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა (ამის შესახებ ქვემოთ ვეჭქნება საუბარი). ნიშანდობლივია ისიც, რომ არც ერთ წერილობით წყაროში არ აისახა მითრიდატეს მიერ შიდა კოლხეთის დაპყრობა-შემოერთება.

მითრიდატულ ისტორიოგრაფიაში¹⁷ არსებობს მოსაზრება, რომ იბერია მუდამ პონტოს მოკავშირე იყო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკა ცვალებადი რამ არის, მით უმეტეს, მითრიდატე ევპატორის ეპოქაში (მაგ., მითრიდატე და ტიგრანი ჯერ მოკავშირეები იყვნენ, ხოლო შემდეგ ზოსისხლე მტრები; ანდა, მითრიდატეს მამა ჯერ რომის „მოკავშირე და მეგობარი“ იყო, ხოლო შემდეგ მტერი; ან კიდევ — მახარებ უღალატა მამას და რომაელების მხარეზე გადავიდა და სხვ.), იბერიის სამეფოს პოლიტიკაც პონტოს მიმართ ცვალებადი უნდა ყოფილიყო. თუ გადავხედავთ ქართულ წერილობით წყაროებს და ახალ არქეოლოგიურ მონაცემებს, იბერიის სამეფოს უსათუოდ უნდა ჰქონოდა გარკვეული პოლიტიკური ინტერესი კოლხეთში¹⁸.

მემნონი (30), აპიანე (15)¹⁹, იუსტინუსი (XXXVIII, 7, 10), სტრაბონი (XI, II, 18; XII, III, 28) გვამცნობენ, რომ მითრიდატემ შეიერთა კოლხეთი, მაგრამ სახელდობრ კოლხეთის რა ნაწილი, არ არის აღნიშნული. თუ სტრაბონისავე ცნობას დავუჯერებთ, კოლხეთი მეტწილად ზღვასთან მდებარეობს (XI, II, 17); შემდეგ იგი გადმოგვემს „მთელი ეს სანაპირო ეპყრა

¹⁵ Д. А. Хакхутайшвили, А. Ю. Кахидзе, Пичвари в эллинистическую эпоху, сб. Причерноморье в эпоху эллинизма, (Симпозиум) в Цхалтубо, Тб., 1985. с. 517—519.

¹⁷ Th. Reinach, *Mithridate Eupator.*, 1890, გვ. 383—392; ს. ჯანაშია შრომები, I, თბ., 1949, გვ. 178—179; საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რედ. გ. მელიქიშვილი), ტ. I, თბ., 1970, გვ. 501; ლ. სანთკიძე, პონტოს სამეფო, თბ., 1956, გვ. 28; გ. გოზალიშვილი, მითრიდატე წმინტოელი, თბ., 1965, გვ. 299; Г. А. Лопухин и Панидзе, К истории Древней Колхиды, Тб., 1970, с. 21; Н. Ломоури, К истории Понтийского царства, Тб., 1979, с. 185.

¹⁸ იხ. Г. А. Лордкипанидзе, К истории..., с. 21—22; გ. გამყრელიძე, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, გვ. 86—97.

¹⁹ აპიანეს ისტ. წყაროდ გამოყენების სანდოობის შესახებ იხ. Д. Б. Шелов, Аппиан—историк Митридатых войн, кн. Проблемы античной культуры, М., 1986, с. 113—117.

ევპატორს, კოლხეთიდან პერაკლეამდე...“ (XII, III, 2) შესაბამისად, სტრაზონის მიხედვით მითრიდატეს ძირითადად სანაპირო ზოლი უნდა დაეკავებინა. სტრაზონის ცნობებიდანვე ჩანს, რომ მითრიდატე ძირითადად დაინტერესებული იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას მისდიოდა მეტი წილი ძალეებისა სანაოსნო სამსახურისათვის, ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი — გემების ასაგებად (XI, II, 17, 18).

კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილო შვიი-ზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ მითრიდატემ, დაიკავა რა კოლხეთი (დასავლეთი კოლხეთი), მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია, რომელსაც მისცა მონეტის მოჭრის უფლება²⁰. სწორედ აქ დასვა მითრიდატემ მის მიერ გამოგზავნილი მმართველი (სტრაბონი XI, II, 18). სწორედ აქ, თავის კოლხურ რეზიდენციაში დაიზამთრა პომპეუსისგან დევნილმა მითრიდატემ (აპიანე 101).

დასავლეთ კოლხეთის დაკავების დროს პონტოს სამეფო სამხედრო-ეკონომიკურად ძლიერი იყო. სწორედ ეს იყო, ალბათ, ძირითადი მიზეზი იმი-სა, რომ იბერიის სამეფო მოლაპარაკების შემდეგ (მემნონი, 30) გაჩუმდა და მითრიდატემ კოლხეთის სანაპიროზე ბუფერული „ქალაქ-სახელმწიფოები“ შეიერთა²¹. იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშე კი შიდა კოლხეთი დარჩა. ანგარიშგასაწევია აგრეთვე პლუტარქეს ცნობა: „იბერთა ტომი პონტომდე აღწევსო“ და იბერები ალბანებთან ერთად „ყველაზე უფრო უდიდესნი“ არიანო (პომპეუსი, 34). მემნონი (30) აღნიშნავს, რომ მითრიდატემ მოკავშირეებად შეიამხანაგა პართები, მიდიელები, ტიგრანე არმენიელი, ფრიგიელი მეფეები და იბერი მეფე, საიდანაც ჩანს, რომ მითრიდატეს და იბერთა მეფეს შორის ადგილი ჰქონდა რაღაც მოლაპარაკება-შეთანხმებას. მითრიდატეს და ტიგრანის ჯარში მყოფი იბერი მეომრები, ეტყობა, დაქირავებული იყვნენ და იბერიის მეფის სამხედრო ძალას არ წარმოადგენდნენ. ისინი ომობდნენ „საჩუქართა მიღების სურვილით“ (პლუტარქე, „ლუკულუსი“, 26, 31)²².

პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის, როცა მითრიდატემ პარტები განიცადა საბერძნეთში, მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია კოლხეთშიც. აქ იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მითრიდატეს კოლხეთში მეფედ შვილი დაენიშნა. მითრიდატე იძულებული გახდა შეესრულებინა აჯანყებულების მოთხოვნა და კოლხეთის მეფედ გაამწესა შვილი — მითრიდატე ფილოპატორი ფილადელფი.

სავარაუდოა, რომ დასავლეთ კოლხეთის ამ აჯანყება-არეულობაში იბერიის ხელისუფალთა ხელიც ერია; ისარგებლეს რა მითრიდატეს წარუმატებლობებით, ისინი შეეცადნენ დასავლეთ კოლხეთში მისი გავლენა დაესუსტებინათ და ამით თავისთვის მომგებიანი მდგომარეობა შეექმნათ. დარდანოსის (ძვ. წ. 85 წ.) ზავის შემდეგ მითრიდატემ მოიცალა კოლხეთისათვის: ურჩი შვილი, რომელიც მამის საწინააღმდეგო ინტრიგებში (კოლხეთში მითრიდა-

²⁰ მონეტების შესახებ იხ. Г. А. Лордкипанидзе, К истории..., с. 18; Ю. Н. Воронцов, Диоскуриада..., с. 68—69.

²¹ გ. გამყრელიძე, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, გვ. 95.

²² იხ. Н. Ю. Ломоури, К истории Понтийского царства, Тб., 1979, с. 183.

ტეს მოწინააღმდეგეები; იბერიის სამეფო) ჩაება, სიკვდილით დასაჯა და დასავლეთ კოლხეთში უწინდელი მდგომარეობა აღადგინა (აპიანე „მითრიდატ.“ 64).

რომთან ომების დროს მითრიდატე, ბუნებრივია, ეცდებოდა საიმედო ზურგი ჰქონოდა (მემნონი, 30). ამიტომ ის მუდამ ერიდებოდა იბერიის საჰეფოსთან ურთიერთობის გამწვავებას. იბერთა ხელისუფალიც, ალბათ, კარგად იყენებდა მითრიდატეს ამგვარ განწყობას. ხან სამოკავშირეო ხელშეკრულებას უდებდა (მემნონი, 30), ხან დასავლეთ კოლხეთში ხალხს უჯანყებდა (აპიანე, „მითრიდატ.“ 64), ხანაც პომპეუსისაგან დევნილ მითრიდატეს ებრძოდა (აპიანე, „მითრიდატ.“ 101).

გაუმართლებლად გვეჩვენება აზრი, რომ იბერებს ეშინოდათ — მითრიდატეს დამარცხების შემდეგ რომი ჩვენ მოგვდგებოდა, და მხოლოდ ამიტომ მიემხრნენ მითრიდატეს. პონტო-რომის პირველი ომის დროს იბერია რომის პოლიტიკური ინტერესების არეალში არ იმყოფებოდა.

პლუტარქეს („პომპეუსი“ 34) ფრიალ მიაძიტურად აქვს გადმოცემული იბერიის და მითრიდატეს ურთიერთობა — იბერებს „ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუეჭკიათ“. მით უმეტეს, რომ პლუტარქე იქვე დასძენს — „იბერნი არც მიდიელების მორჩილებაში ყოფილან, არც სპარსელებს ექვემდებარებოდნენ და, თავის დროზე, მაკედონელთა მმართველობაც აიცილნეს თავიდან...“²³ მაშ, რად უნდოდათ ასეთ დაუმორჩილებლებს დამარცხებული „მითრიდატესთვის ეამებინათ“? „პომპეუსის“ ცხოვრების ეს ადგილი არაღამაჯერებლად გამოიყურება, მით უმეტეს, რომ სხვა წერილობითი წყაროები ამავე ამბის თხრობისას იბერების მიერ მითრიდატეს მამებლობის ცდას არ აღნიშნავენ (აპიანე „მითრიდატ.“ 103; დიონ კასიოსი „რომის ისტ.“ XXXVII, 1, 2; სტრაბონი XI, I, 6).

დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი შეუფერხებლად გადავიდა კოლხეთში (პლუტარქე „პომპეუსი“ 34). როგორც ჩანს, იბერიისაგან განსხვავებით, კოლხეთში ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. შესაძლოა რძიტომაც, რომ სკვებტუხიებად დანაწილებული შიდა კოლხეთი პოლიტიკურად იბერიას ექვემდებარებოდა და მათ მეფე არტაგის მსგავსი²⁴ ჯარი არ ჰყავდათ (არტოკეს ჯარის შესახებ — აპიანე, „მითრიდატ.“ 103; დიონ კასიოსი, „რომის ისტ.“ XXXVII, 1, 2; პლუტარქე „პომპეუსი“ 34).

„ამის შემდეგ, როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი არ არის შორს, გადაწყვიტა მის გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო“ (დიონ კასიოსი „რომის ისტ.“ XXXVII, 3)²⁵. ამ ნაწყვეტიდან ისე ჩანს, რომ კოლხეთი მდ. ფასისის ქვემო წელზე, ზღვასთან იგულისხმებოდა. პომპეუსი „დაიძრა განზრახული პიმართულებით და გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით“²⁶ და ბრძოლით.

რომი-პონტოს მესამე ომის დასასრულს პომპეუსისაგან დევნილი მითრიდატე სამი ათასი მეომრით მიდის ქალაქ სინორიაში (სინორევა), რათა

²³ პლუტარქე (თარგმანი და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ), თბ., 1957, გვ. 117.

²⁴ იხ. ქართლის ცხოვრება (ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ), თბ., 1955, გვ. 30.

²⁵ დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნული ტექსტი თარგმანი ნ. ლომოურმა), თბ., 1966, გვ. 62.

²⁶ იქვე, გვ. 62.

სული მოითქვას და მხედრობას აღჭურვილობა შეუღესოს (აპიანე, „მითრიდატ“. 101). აქედან მითრიდატე ჯარითურთ თავისი სიძის ტიგრანისკენ გაემართა, „მაგრამ ტიგრანმა იგი არ მიიღო და თანაც ასი ტალანტი ჯილდოდ შეჰპირდა მას, ვინც მის თავს მიუტანდა. ამიტომ მითრიდატემ ევფრატის სათავეს გზა აუქცია და კოლხეთში გადავიდა“ (პლუტარქე „პომპეუსი“ 32). ამასვე ადასტურებს დიონ კასიოს კოკეიანოსი — „თავის იმედებში მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ...“ („რომის ისტ.“ XXXVI, 50).

მითრიდატე გადავიდა მდინარე აფსაროსზე (ჭოროხ-ოლთუ) და იქიდან მდ. მტკვრის ხეობაში. იგი ზღვის სანაპირო გზით არ წასულა, რადგან იცოდა, რომ აქ პომპეუსის ბრძანებით ჩასაფრებული იყო სერვილიუსი სამხედრო-საზღვაო ფლოტით (პლუტარქე „პომპეუსი“ 34). სერვილიუსს, ეტყობა, წინასწარ ზღვას შორის ვიწრო სანაპირო²⁷ ჰქონდა ბლოკირებული და მითრიდატეს რაზმებს ელოდებოდა.

მითრიდატე შეიჭრა ხოტენეში, ბრძოლით გაიკაფა გზა (აპიანე, „მითრიდატ.“ 101) და შემდეგ დაუყვა მდ. მტკვრის ხეობას, აქედან ფოცხოვი-ქვაბლიანი-ჭუბრაულის ხეობებში გადაინაცვლა რადგან მტკვართან იბრებთან შეტაკება მოუხდა (აპიანე, „მითრიდატ.“ 101), ეტყობა, მათთანაც, როგორც ტიგრანთან, საქმე გართულებული ჰქონდა, და გაემართა „მფეისწყაროს გადასასვლელისაკენ“. ეს გზა შემდეგ მდ. სულორის წყალგამყოფ ქედამდე აღწევს და ხეობაში ეშვება²⁸. იგი არცთუ ძნელად სავალია და სირთულით დაახლოებით ლიხის ქედის გადასასვლელების მსგავსია. ადგილობრივი მცხოვრებლები მას ახლაც იყენებენ სასიარულოდ (ამ გზაზე სოფ. სულორის ზემოთ (საკაკილე) ძვ. წ. IV—II სს., მდ. ყუმურის ხეობაში სოფ. გაილოურთან (მსხალთა) ძვ. წ. III—I სს. არქეოლოგიური მასალებია დადასტურებული)²⁹. ამ ადგილებზე მიუთითებს ალბათ სტრაბონი, როცა გადმოგვცემს, რომ მითრიდატე „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა“ (XII, III, 28).

დევნილ მითრიდატეს ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროება. მას ხომ ისევ რომთან ბრძოლის დიდი გეგმები უტრიალებს თავში (აპიანე, „მითრიდატ.“ 102), რაც უზარმაზარ თანხებს მოითხოვს. მითრიდატეს გზაზე კი მდ. სულორის ხეობაში მდიდარი ქალაქი სური (ვანი)³⁰ მდებარეობს.

გაიუს პლინიუს სეკუნდუსი აღნიშნავს: „...ფასისს, რომელსაც ერთვის დიდი მდინარეები ჰიპოსი (ცხენისწყალი, გ. გ.) და კიანეოსი; ახლა არსებობს მხოლოდ სურიჟმი, რომელსაც სახელი ჰქვია მდინარის (რომელთანაც მდებარეობს).

²⁷ აფსაროსის ვიწრო გადასასვლელის შესახებ იხ. Известия о Скифии и Кавказе (В. В. Латышев), Записки классического отделения имп. русского арх. общества, т. II, вып. II, Санктпетербург. 1904, с. 447.

* შესაძლოა, რომ მითრიდატე გადავიდა ზეკარის გადასასვლელზე და შემდეგ ხანისწყალ-რიონის გზით მიადგა „ვანს“.

²⁸ იხ. გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982, გვ. 32—35.

²⁹ იქვე, გვ. 33—36.

³⁰ ვანი-სურის შესახებ იხ. Н. В. Хоштария, Археологические раскопки в Вани в 1959 г. Научная сессия, Тб., 1960, 47—50; თ. ყაუხჩიშვილი, ვანის ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, კრებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987, გვ. 131—143.

რეობს მდ. სულორი, — გ. გ.) მიხედვით. ეს მდინარე ფასისს ერთვის იქ, სადამდეც შეიძლება დიდი გემებით ნაოსნობა³¹.

კოლხეთის გარდა სურიონის მსგავს (Σούριον) ტოპონიმს კლავდიოს პტოლემეოსის³² იბერიაშიც ახსენებს. იბერიის „გეოგრაფიაშიც“ Σουρ-α ისეთივე დაწერილობით არის გადმოცემული, როგორც „ვანის“ ნაქალაქარის ახლად აღმოჩენილ ძვ. წ. III ს. საკანონმდებლო წარწერაში (Σάρφ-ει)³³.

„ვანის“ ნაქალაქარის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვაგვარი მოსაზრებები³⁴. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ სური (ვანი — „ვანის ქვეყანა“) ყოფილიყო თეოკრატული მმართველობის ქალაქი — „სკეპტუხის“ ცენტრი³⁵, სადაც დიდი როლი ენიჭებოდა კულტმსახურებს, რადგან რელიგიადეოლოგია კიდევ ერთი დამატებითი ძალა იყო, რომელიც ხელისუფალი არისტოკრატისთვის მძლავრ ბერკეტს ქმნიდა დაბალი ფენების სამართავად.

ნაქალაქარზე აღმოჩენილ რელიგიური ხასიათის საკანონმდებლო წარწერადადგენილებაში მითითებულია რა უნდა აკეთონ ქურუმებმა (რა მსხვერპლ-შეწირვა აწარმოონ, მისტერიები როგორ შეასრულონ) და რა არის აკრძალული (უსამართლობის ჩადენა, კულტმსახურების დარღვევა და ა. შ.) „არამედ მისდიონ დაწერილს და დასდონ ფიცი ქურუმმა ქალებმა და ქურუმმა (კაცებმა), რომ მოიქცევიან დადგენილებისამებრ. ფიცის ერთგული ვიყო ისე, როგორც ღვთისმოსავთ ეკუთვნით, ხოლო ფიცის გამტეხს ამის საწინააღმდეგო დამემართოს“³⁶. საყურადღებოა, რომ წარწერაში აღმოჩნდა საერთო ქართული მასალისათვის (წერილობითი, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვ.) დამახასიათებელი ტრიადა — დედამიწა, მზე, მთვარე. წარწერის ამოკეითხველი იმოწმებს ლეონტი მროველს — „და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატვისცემდნ მზესა და მთოვარესა და ვარსკულათა ხუთთა და ჰმსახურებდნ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 18).

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია საზოგადოებრივი, სატაძრო-საკულტო და ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები. ქალაქს ჰქონდა მძლავრი სამშენებლო პოტენციალი: კრამიტის, ალიზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლევები; სამშენებლო-საინჟინრო ცოდნა; მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა. შ. რაც მთავარია,

³¹ SC, Плиний секунд (В. В. Латышев) დასახ. ნაშრომი, გვ. 178—179.

³² ბ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეოსის, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქ. და კავკას. ისტ., ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 40—65.

³³ თ. ყაუხჩიშვილი, ვანის ახლადაღმოჩენილი..., გვ. 138.

³⁴ იხ. Н. В. Хоштариа, დასახ. ნაშრომი, გვ. 50; ს. კაკაბაძე, უძველესი ქართული ქალაქი, ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 5, გვ. 35; ალ. ბოხოჩაძე, კოლხეთის სამეფოს დედაქალაქის ადგილმდებარეობისათვის ძვ. წ. IV—III სს. „მოამბე“ XV, 1967, № 2, თბ., გვ. 547—552; თთ. ლორთქიფანიძე, „ვანის ქალაქი“, ეურნ. „ციცქარი“, 1968, № 7, გვ. 133—143.

³⁵ შეადარე, О. Д. Лордкипанидзе, К локализации *τὸ νῆ Λευκωμίνεζ κερου*, ВДИ, 1972, № 2, с. 106: „ვანი“, სატაძრო ქალაქად პირველად მიიჩნია პროფ. თთ. ლორთქიფანიძე; იხილეთ აგრეთვე მ. ინაძე, სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში „მაცნე“ ისტორიის სერია, 1986, № 4, გვ. 32—53.

³⁶ თ. ყაუხჩიშვილი, ვანის ახლადაღმოჩენილი..., გვ. 137.

5. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, № 2

ყველაფერი ამის ამოქმედება მოითხოვდა გარკვეულ ორგანიზაციულ გამოცდილებას.

ნაქალაქარის კულტურულ ფენებში დიდძალი ადგილობრივი წარმოების (ქვევრები, ამფორები, ქოთნები, ღოჭები, ჯამები და სხვ.) და შემოტანილი უცხოური (სინოპეს, როდოსის, ქიოსის, კნიდის, კოსის კერამიკული ტარა; მცირეაზიული, შავი და წითელლაკიანი კერამიკა და სხვ.) კერამიკა ნანახი, რაც კარგად დაყენებულ სავაჭრო საქმიანობაზე მიუთითებს. ნაპოვნია აგრეთვე ტერაკოტების გასაყეთებელი ყალიბები. გვხვდება დიდი რაოდენობის ვერტიკალური საქსოვი დაზგების საწაფები; ადგილობრივად დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილი ოქრომჭედლობის ნიმუშები³⁷.

ქალაქი „ვანი“ ეკონომიკურად ძლიერი იყო; ხელოსნობა და ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული. მას, „საყანჩიასთან“ ერთად, ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწები — დაბლაგომი, მთისძირი, შუამთა, ვაილოური, კეჭინარა, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი (საკაკილე), ძულუხი, ბულნარი, ბზვანი (და სხვ.) და მათ ურბანისტულ ცენტრს წარმოადგენდა³⁸.

ქალაქს მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა და, ბუნებრივია, დამცველი რაზმებიც ეყოლებოდა. ეს რაზმებიც ახორციელებდნენ ალბათ სასოფლო-სამეურნეო მიწების ზედამხედველობას³⁹ „საყანჩიას“⁴⁰ ნამოსახლარსე თავდაცვითი ნაგებობები დადასტურებული არ არის. ომიანობის დროს მოსახლეობა, ეტყობა, ვანის საფორტიფიკაციო ნაგებობებს აფარებდა თავს.

საფიქრებელია, რომ სურის (ვანის) „ქვეყანა“ („სკეპტუხია“) გეოგრაფიულ-ეკონომიკურ საფუძველზე განვითარებული თეოკრატიული ურბანისტული ერთეული იყო, რომელიც გარკვეული თვითმმართველობით სარგებლობდა. დაახლოებით ძვ. წ. III ს. დასაწყისიდან იგი იბერიის სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა.

ამდგვარი მსხვილი ე. წ. პოლისური საკულტო კერები იყო მცირე აზიასში — პონტოს კომანა, ანისა, ტიანა, ოლბა, ზელა⁴¹. (სამწუხაროდ, ეს ქალაქები არქეოლოგიურად თითქმის არ არის შესწავლილი). თეოკრატიული პოლისები გარკვეულწილად ექვემდებარებოდნენ მსხვილ „ელინისტურ“ სახელმწიფოებს⁴².

გადალახა რა მთები („მეფისწყაროს“ ან „ზეკარის“ გადასასვლელი) სამი ათას ერთეულ მეომართან ერთად, მითრიდატემ (აპიანე, „მითრიდატ.“. 101; სტრაბონი XII, III, 28) დაარბია და გაძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი. არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, რომ ქალაქი ძვ. წ. I ს. შუა ხანებში (60-იანი წლები) ხანმოკლე დროის განმავლობაში დანგრეულია ორჯერ. საფიქრებელია, რომ პირველად ის დაანგრია და გაძარცვა მითრიდატემ,

³⁷ არქ. მასალა, იხ. კრებ. „ვანი“ (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), თბ., I—1972, II—1976, III—1977, IV—1979, V—1981, VI—1981, VII—1983.

³⁸ იხ. გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები... გვ. 36, 55.

³⁹ იქვე, გვ. 36, 55 და შემდეგ.

⁴⁰ ვ. ლიჩელი, ახალდმოხენილი ნაქალაქარი საყანჩიას ველზე, ვანი III, თბ., 1977, გვ. 52—57.

⁴¹ იხ. А. Г. Периханиян, Храмовые объединения Малой Азии и Армении, М., 1959, с. 156, 170 — 175, 185; მ. ინაძე, მცირე აზიის სატაძრო ქალაქების წარმოქმნა-განვითარების საკითხისათვის სტრაბონის ცნობების მიხედვით. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 136—144.

⁴² იხ. А. Г. Периханиян, დასახ. ნაშრომი, с. 154—157.

ხოლო მეორედ პომპეუსმა⁴³, რომელმაც დაამარცხა იბერიის მეფე არტოკი და შეიჭრა კოლხეთში. პომპეუსმა „ვანის“ მიმართ „იმოქმედა დაშინებით“ (დიონ კასიოსი, „რომის ისტ.“ XXXVII, 3) და ბრძოლით.

მეორე ნგრევის კვალი ყველაზე კარგად ჩანს ვანის ნაქალაქარის შუა ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც თავდაცვითი კედლები სასწრაფოდ, სახელდახელოდ, საძირკვლის ყოველგვარი მოშადების გარეშე აგებული თხნარ ფენაზე. ეს ფენა კი პირველი ნგრევისაგან არის წარმოშობილი⁴⁴. პირველი ნგრევის ფენაში ძირითადად გვხვდება არქიტექტურული დეტალების ნატეხები, კერამიკული მასალა, მონეტები⁴⁵. პონტოს მონეტები, ეტყობა, მითრიდატეს მემორებისაა, ანდა აქ შვიზოლისპირა ურბანისტული ცენტრებიდანაა მოხვედრილი. საყურადღებოა, რომ ზუსტად ასეთი მონეტა აღმოჩენილი ეშერის ნაქალაქარზე⁴⁶. ნაქალაქარზე სხვა მონეტებთან ერთად აღმოჩნდა პართული ფულიც, რომელიც აქ იბერიის გზით შემოდოდა⁴⁷.

ქალაქის გაძარცვის შემდეგ მითრიდატე თავისი მეომრებით ვადავიდა შდ. ფასისზე და გაემართა ქალაქ დიოსკურიისაკენ⁴⁸. მან აქ რომის წინააღმდეგ ახალი გეგმების შემუშავებაში გაატარა ზამთარი (აპიანე, „მითრიდატ.“ 101), ხოლო შემდეგ „ხმელეთის გზით“ წავიდა ბოსფორში (დიონ კასიოსი, „რომის ისტ.“ XXXVI, 50), რადგან საზღვაო გზა რომაელებს ჰქონდათ ბლოკირებული. „დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა. მდინარე ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა“⁴⁹. პომპეუსმა კოლხეთში დაამარცხა და ტყვედ იგდო სექატუსი ოლთაკე (Σηπάκης (აპიანე, „მითრიდატ.“ 117). საინტერესოა, რომ ამდაგვარივე სახელის (Otaces) იბერთა რაზმის წინამძღოლს იხსენიებს რომელიც ავტორი ვალერიუს ფლაკუსი⁵⁰.

მითრიდატეს მიერ ქალაქის გაძარცვის და დიოსკურიისაკენ წასვლის შემდეგ, ქალაქის მესვეურებმა დაიწყეს მისი თავდაცვითი სისტემის სახელდახელო აღდგენა-გამაგრება. ისინი ჩქარობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ როცა პომპეუსი იბერებს და ალბანებს დაამარცხებდა, კოლხეთში გადმოვიდოდა და არტოკეს მომხრე ქალაქებს დაესხმოდა თავს.

პომპეუსს, ეტყობა, არ გასჭირვებია მითრიდატეს მიერ გაძარცული ქალაქის ხელმეორედ აღება. მეორე ნგრევის ფენა არცთუ დიდია და მხოლოდ ზოგიერთ უბანზე დასტურდება⁵¹. ნაქალაქარზე ნაპოვნი ბრინჯაოსგან ჩამო-

⁴³ შეიქარე Н. В. Хоштария, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

⁴⁴ იხ. ით. ლორთქიფანიძე, „ვანის ქალაქი“, ჟურნ. „ისტორიკი“, 1968, № 7, გვ. 141.

⁴⁵ შეიქარე, გ. დონდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან, ვანი, III, თბ., 1977, გვ. 119—152; გ. დონდუა, იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 146—159; Г. Д. Дондуа, Г. А. Лордкипанидзе, Грузия и Митридат VI, сб. !Причерноморье в эпоху эллинизма (Симпозиум) III в Цхалтубо, Тб., 1985, с. 601—608; ამავე კრებულში იხ. !ნ. ლომოურის გამოსვლა, გვ. 671, რომელსაც ჩვენ ვეთანხმებით.

⁴⁶ იხ. С. М. Шамба, Монеты Эшерского городища, „Машне“ серия истории..., 1980, № 3, გვ. 142—145; წებელის ასეთივე მონეტები.

⁴⁷ გ. დონდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან... გვ. 124.

⁴⁸ იხ. Г. А. Лордкипанидзе, К истории Древней Колхиды, Тб., 1970, с. 19.

⁴⁹ პლუტარქე (თარგმნა და განმარტებები დაურთო ა. ურუშაძემ), თბ., 1957, გვ. 117.

⁵⁰ Известия о Скифии и Кавказе..., с. 210.

⁵¹ ით. ლორთქიფანიძე, „ვანის ქალაქი“... გვ. 141.

ქალაქი არსებობას პომპეუსის დალაშქვრის შემდეგაც აგრძელებს, მაგრამ მისი ეკონომიკური საყრდენი უკვე საფუძვლიანადაა მოშლილი. შესაძლოა, რომ ის ამის შემდეგ გარკვეულ ხანს არსებობს მხოლოდ, როგორც ტაძარი (სტაძარო მეურნეობით) და სამისნო⁵⁴.

ასე გვესახება ჩვენ მითრიდატესა და კოლხეთის ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი მომენტი.

Г. А. ГАМКРЕЛИДЗЕ

МИТРИДАТ ЕВПАТОР И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ КОЛХИДЫ И ИБЕРИИ

Резюме

С конца IV в. до н. э. между античными странами и Иберийским царством в Колхидском Причерноморье развивались буферные «города-государства» — Диоскурия-Сухуми, Гиэнос-Очамчире, Фасис-Поти, Кобулет-Пичвнари, а внутренняя часть Колхиды подверглась политическому и экономическому влиянию Иберийского царства. Под влиянием Иберийского царства находились скептухии (по Страбону XI, II, 18) — Саирхе, Кутаиси, Нокалакеви, Вани, Вардцихе. С конца II в. до н. э. на политическом горизонте Колхиды появился Понтийский царь Митридат VI Евпатор, который прибрал к рукам прибрежные города. Политика Иберийского царства, под влиянием которого находилась внутренняя Колхида, по отношению к Понтийскому царству по всей вероятности была переменчива (груз. письменные источники и новейшие археологические материалы).

Между царями Понта и Иберии существовал какой-то договор, по которому они поделили Колхиду на сферы влияния (Мемнон, 30).

В конце третьей войны между Римом и Понтийским царством преследуемый Помпеем Митридат со своими войсками «сбежал через горы в Колхиду» (Страбон, XII, III, 28). По дороге он разграбил и разрушил город «Вани» (Суриум). Предположительно, «скептухия» Вани являлась теократической урбанистической единицей, которая развивалась на географическо-экономической основе и которая пользовалась определенным самоуправлением.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

⁵⁴ იმპერიის ხანის რომაული მონეტები იხ. გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები..., გვ. 127; ქვედა ტერასაზე გვიანანტიკური ე. წ. იტალიკური (?) ამფორების ნატეხები, იხ. О. Д. Лордкипанидзе и др. Ванская археологическая экспедиция, полевые арх. исследования в 1981 г., Тбилиси, 1984, გვ. 50.

რუსულან კაშია, მანანა სანაძე

ვაჭრობა და ვაჭართა ფენა XVIII ს. თბილისში

(ქალაქის დუქნები)

XVIII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავაჭრო-სახელოსნო ობიექტების — დუქნების ყოველმხრივ შესწავლას; დუქანთმფლობელთა და მედუქნეთა სოციალური კუთვნილების, მათ შორის არსებული ქონებრივი დიფერენციაციის, მათი სავაჭრო ინტერესების, დუქანთა შინაგანი სტრუქტურის, მათზე დაწესებული გადასახადების, მათი შემოსავლიანობის და სხვა საკითხების განხილვას. წინამდებარე სტატიაში ჩვენ მიზანს შეადგენს XVIII ს-ის თბილისის დუქნების და მათთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლა.

აღნიშნულ პერიოდში თბილისის დუქნები იქცევიან გაცხოველებული აღებ-მიცემობის ცენტრებად. დუქანთმფლობელობა განსაკუთრებით შემოსავლიანი ხდება და, ამდენად, კაპიტალის, დაგროვების ყველაზე რეალურ წყაროდ იქცევა.

მეფესა და ეკლესიას მრავალი სავაჭრო ობიექტი ჰქონდა თბილისში. ქართული არისტოკრატის ზოგიერთი წარმომადგენელიც აქტიურად იყო ჩაბმული ქალაქის სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის პროცესში.

დუქნებისაგან მიღებული დიდი მოგება განაპირობებდა იმას, რომ აღებ-მიცემობის ეს ობიექტები ამ პერიოდში თვითონ იქცნენ გაცხოველებული ყიდვა-გაყიდვის საგნად. ამავე დროს დუქნებს ამზითებენ, აჭირავენ, ეკლესიას სწირავენ და ა. შ.

ამდენად, ჩვენი აზრით, XVIII ს-ში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თბილისის დუქნების ზვედრითი წონისა და აგრეთვე მათდამი ცალკეული სოციალური ფენის დამოკიდებულების შესწავლა საშუალებას მოგვცემს ვავეცნოთ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ აღმ. საქართველოში XVIII ს-ში. მით უფრო, რომ ამ პერიოდის ვაჭრობა ძირითადად სწორედ დუქნებში იყო კონცენტრირებული და აღნიშნული ეპოქისათვის დამახასიათებელი ახალი მოვლენებიც უპირველეს ყოვლისა ამ სავაჭრო-სახელოსნო ობიექტებში იჩენენ თავს.

I. ადგილმდებარეობა, როგორც დუქნის მომგებიანობის
შენიშვნად

დუქნის შემოსავლიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მისი მომგებიანი ადგილმდებარეობა იყო. ამიტომ საინტერესოა იმ უბნების გან-

ხილვა, სადაც XVIII ს-ის თბილისში განლაგებული იყო სავაჭრო-სახელოსნო ობიექტები.

XVIII ს-ის დასაწყისში, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით, თბილისში 200 სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობა არსებობდა, XVIII ს-ის II ნახევარში კი მათი რაოდენობა 500-მდე გაიზარდა².

ქართული დოკუმენტური მასალის განხილვა ნათელს ხდის, თუ ქალაქის რომელ უბნებში იყო ვაჭრობა ძირითადად კონცენტრირებული.

„XVIII ს-ის თბილისის ძირითად ნაწილში (ე. წ. ქალაქში) ორი მოედანია ცნობილი: ბატონის მოედანი და თათრის მოედანი... ბატონის მოედანი, დოკუმენტებში ხშირად იხსენიება „ზემო მოედნის“ სახელით, თათრის მოედანი კი „ქვემო მოედნად“³.

ბატონის მოედანი გაცხოველებული აღებ-მიცემობის ცენტრი იყო, მას უკავშირდებოდნენ იმდროინდელი თბილისის ყველაზე ხალხმრავალი სავაჭრო ქუჩები: რასტაბაზარი (სწორი, ანუ ერთ სწორ ზაზზე განლაგებულ სავაჭროთა რიგი“ და ჩორსუ (ოთხკუთხა, გზაჯვარედინის) ბაზარი⁴.

საბუთებში იხსენიება „ზემო“⁵ ანუ „დიდი“⁶ და „ქვემო“ ჩორსუ⁷.

„რაკი ჩორსუ სავაჭრო ქუჩათა გზაჯვარედინზე მდებარეობდა... აქ დუქნები უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ქალაქის სხვა ადგილებში... ჩორსუში თავმოყრილი იყო მრავალი სხვადასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსანი, მაშინ როცა სხვა რიგებში ერთი დარგის ვაჭარ-ხელოსნები იხსნდნენ ერთად“⁸.

ქალაქის ერთ-ერთი ხალხმრავალი სავაჭრო უბანი იყო ავლაბარი.

თბილისის სხვა უბნებში, ძირითადად ერთი ხელობის ხელოსნები იხსნდნენ და ვაჭრობდნენ. აქედან წარმოიშვა ამ უბნების სახელწოდებანი: ჭონხანა, ხარაზხანა, ურდვარხანა, სირაჯხანა, ბაზაზხანა, ალაფანა, ჩითხაზხანა, ყასაბ-ხანა, წულდაუბანი, სამღებროს უბანი და ა. შ.

ზოგ უბანს სახელი დაერქვა ქალაქის ცენტრიდან მისი მდებარეობის მიხედვით: ვარეთუბანი, ზემოუბანი, ქვემო უბანი, მეიდნის პირი, ციხის მეიდნის პირი, ზემო ბაზარი და ა. შ.

ქალაქის ცენტრალურ ადგილებში დუქნის აშენება მომგებიანი ვაჭრობის საწინდარი იყო. „ალაგის“ უფლების მისაღებად საჭირო იყო მეფის ნებართვა.

საფიქრებელია, რომ მოქალაქეები, ხშირ შემთხვევაში, გარკვეული გასამრჯელოს — „ქრთამის“ ფასად იღებდნენ დუქნის აშენების უფლებას. ჩვენ ვართუდს ეთანხმება 1777 წ. სიგელი, რომლის თანახმად მოქალაქე აძლევს ნასყიდობის წიგნს ერევნელ მარკოზას, და დასძენს: „მოგვიდე... ბედნიერ ხელმწიფისაგან ჩემის ფასათ ნაწყალობევი ორი დუქანი“⁹.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1955, № 89, გვ. 282.

² Бурнашев, Картина Грузии или описание царств карталинского и кахетинского, Тб., 1898, с. 3.

³ შ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (რასტაბაზარი, ჩორსუ), მსკი., ნაკვ. 3 გვ. 1960, გვ. 177.

⁴ იქვე.

⁵ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, თბ., 1962, № 167, გვ. 198.

⁶ სცია, ფ. 1450, ს. 18—52.

⁷ სცია, ფ. 1450, ს. 44—138.

⁸ შ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

⁹ საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 1910.

ხალხმრავალ ადგილზე სავაჭრო ნაგებობის მოპოვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღებ-მიცემობის შემდგომი წარმოებისათვის.

მოვაჭრე ხელოსანი იხდიდა იმ „ადგილის ქირას“, რომელზედაც სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობა იყო აგებული.

II. ფუძნები, როგორც აღებ-მიცემობის ობიექტები,
და მათი ფასები

XVIII ს-ის დოკუმენტების მიხედვით, ინტენსიურად მიმდინარეობს ღუქნების ყიდვა-გაყიდვა. რაც უფრო შემოსავლიანი იყო ესა თუ ის სავაჭრო პუნქტი, რაც უფრო ხელსაყრელი ადგილმდებარეობა ეკავა, ცხადია, იგი, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ობიექტი, მეტად ფასობდა.

ამრიგად, მოცემულ პერიოდში ქალაქის ღუქნები ამოძრავებულა. სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობანი იყიდება, ქირავდება, ღუქნებს ატანენ მზითვად, სწირავენ ეკლესიას და ა. შ.

ქართული დოკუმენტური მასალის განხილვა იძლევა შემდგომ სურათს: თბილისში გაყიდული ღუქნების მაქსიმალური ფასი დაახლოებით 200 თუმანია. 1789 წლის საბუთით, ამ ფასად შეაფასეს თბილისის შექმლებულმა მოქალაქეებმა ღუქანი ბაზაზხანაში, ხოლო მეორე ღუქანი, იმავე საბუთით, 60 თუმნად გაიყიდა¹⁰.

გასაყიდი ღუქნების საშუალო ფასი 25 თუმნიდან 40—60 თუმნამდე აღწევს.

40 თუმნად ყიდის ღუქანს 1800 წელს, ვალში ჩავარდნილი სახასო ყმის აბრამას ქვრივი¹¹.

1788 წ. საბუთით 32 თუმნად გაყიდა დაბალმა სტეფანემ თავისი კუთვნილი ღუქანი, რომელიც მკალავ მერაბასთან ჰქონდა დაგირავებული 27 თუმნად¹².

25 თუმნად დაფასდა მოქალაქე მარტიროზას ღუქანი¹³ (XVIII ს-ის შუა ხანებში) და ა. შ.

ვალში ჩავარდნილი ვაჭარ-ხელოსანი აგირავებდა თავის ღუქანს.

XVIII ს-ის დოკუმენტური მასალის გაცნობა დაგირავებული ღუქნების ფასების შესახებ იძლევა დაჯგუფების საშუალებას: ღუქნის გირაოს მაქსიმალური ფასი ჩანს 30—40 თუმანი.

40 თუმან ვალში (1800 წ. საბუთით) გაიცა ღუქანი გირაოდ¹⁴.

დაგირავებული ღუქნის საშუალო ფასი უდრის დაახლოებით 12—25 თუმანს.

1789 წ. საბუთით, ღუქანი, რომელიც 20 თუმნად იყო დაგირავებული, გაიყიდა 60 თუმნად¹⁵.

1788 წ. ნასყიდობის წიგნით მექვაბე ხელოსანს ღუქანი დაგირავებული აქვს 27 თუმნად. შემდეგ პატრონი სავაჭროს 32 თუმნად ყიდის¹⁶.

¹⁰ ხელნაწერთა ინსტ. იქვე, Hd — 13032.

¹¹ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985, № 614, გვ. 609.

¹² სცია, ფ. 1450—ს8—16.

¹³ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 211, გვ. 252—4.

¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, № 643, გვ. 631—2.

¹⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 13032.

¹⁶ სცია, ფ. 1450 ს8—16.

XVIII ს-ის II ნახევრის დოკუმენტური მასალა გვამცნობს, თბილისის შეძლებულ მოქალაქეებს, რომლებიც ათობით ღუქანს ფლობდნენ, თავიანთი სავაჭროები გაჭირავებული (იჯარით გაცემული) ჰქონდათ სხვადასხვა დარგის ხელოსანზე და მათგან ღუქანში ვაჭრობის უფლებისათვის ჭირას იღებდნენ. ჭირის სიდიდეში, რა თქმა უნდა, ღუქნის შემოსავლიანობა ასრულებს გადაწყვეტ როლს, საშუალოდ კი ხელოსანი ღუქნის პატრონს უხდის 28 მანეთიდან¹⁷ 8 აბაზამდე¹⁸. მაგ., 12 თუმნად ჭირავდება სირაჯხანის ღუქანი¹⁹.

III. ღუქნის შინაგანი სტრუქტურა და მიღუქნითა მფლობელობის წესი

ქალაქის სავაჭროების შემოსავლიანობისა და ქვეყნის სასაქონლო ფულად ურთიერთობებში მათი როლის შესასწავლად საინტერესოა XVIII ს-ის ღუქნების სტრუქტურის გაცნობა. უპირველეს ყოვლისა შევეცდებით ვაჩვენოთ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობის გარეგნული სახე.

დოკუმენტურ მასალაში ზოგჯერ გასაყიდი ღუქნის ზუსტი ზომებია აღნიშნული. ენახთ ზოგიერთი მათგანი: 1782 წელს ერეკლე მეფის მიერ აუშტარიშვილ იაკობისადმი ნაწყალობევი ღუქნის ადგილის ზომაა: „11 ადლი სიგრძე და 4 ადლ-ნახევარი განი“, ხოლო „მეიდანზე ციხის ადგილში“ მდებარე ღუქნის — „სიგრძე ადლი თერთმეტი, სიგანე ადლი სამი და სამი ჩა რეკი“²⁰.

1794 წ. „მეიდანის პირში“ გაყიდული ღუქნის სიგრძე უდრის 17 ადლნახევარს, ხოლო სიგანე — 12 ადლს²¹.

6 ადლი სიგრძისა და 4 1/2 ადლი განის მოცულობის ღუქანი უწყალობა მეფემ 1796 წ. მოქალაქე თაყუაშვილს მეიდანის ბაზართან, ზარაფხანის ქუჩაზე²².

ამდენად, მოცემული პერიოდის თბილისური ღუქნები ძირითადად მცირე ზომის სავაჭრო სახელოსნო ობიექტებს წარმოადგენდნენ.

წმირ შემთხვევაში, ვაჭარ-ხელოსნის ოჯახი იქვე სავაჭროსთან ცხოვრობდა, ან ღუქანს ახლდა პატარა ოთახი, რომელსაც საბუთებში „უქანა.ოთახს“ უწოდებენ.

ჩვეულებრივად, ღუქანი შეიძლებოდა გაყიდულიყო მასში მჯდომი ყმა მელუქნე-ხელოსნით და მისი ოჯახითურთ მაგალითად, 1759 წ. ერთი საბუთით თბილისელი შეამხანაგებული ხელოსნები ჰყიდიან ღუქანს გარეთუბანში „თავისი შიგნით ერთი ოჯახითა“²³ — ასეთ შემთხვევებში ყმა მელუქნის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი არ იცვლება. ის უბრალოდ თავისი ღუქნითურთ გადადის ერთი ღუქანთმფლობელის ხელიდან მეორის ხელში.

¹⁷ მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის (ქვემოთ ყველგან მსეი), III, თბ., 1955, № 221, გვ. 327.

¹⁸ ხელნაწერთა ინსტ., Sd — 886.

¹⁹ მსეი, II, თბ., 1953, № 82, გვ. 52—3.

²⁰ სცია, ფ. 1449—ს. 1126.

²¹ სცია, ფ. 1450, ს. 18—9.

²² სცია, ფ. 1450, ფ. 18—17. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის.

²³ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 235, გვ. 284—5.

კვირა დღე, ჩვეულებისამებრ, უქმე დღე იყო და ამ დღეს, დუქნები იკეტებოდა²⁴.

მედუქნე ხელოსნები თავიანთ პროფესიულ ამქრებში იყვნენ გაერთიანებული. 1800 წლის ბაზაზების ამქრის არზაში ვკითხულობთ: „ორმოციოდ დუქანი დარჩომილვართ... ახლა კიდევ სამოც თუმანს გვთხოვენ“²⁵. მაგრამ ერთი პროფესიის ვაჭარ-ხელოსანთა ამქრული გაერთიანება ამ პერიოდისთვის კარგავს თავის გავლენას და შინაგან სიმტკიცეს. მას ძლიერ კონკურენციას უწევს და აშკარაა, რომ ჯაზნის კიდევ ვაჭარ-ხელოსანთა ახალი ტიპის გაერთიანება-სავაჭრო ამხანაგობები. სავაჭრო ამხანაგობა ეს უკვე ერთგვარი ცდაა კაპიტალის ცენტრალიზაციისა. ამხანაგობაში შედის ორი ან მეტი ვაჭარ-ხელოსანი და აერთიანებენ თავიანთ კაპიტალს. ამხანაგობის წარმოქმნის შემდგომ მეპაიეები თანაბრად იყოფენ მოგებას და ზარალს, თუმცა ხშირ შემთხვევაში საერთო კაპიტალში ისინი არათანაბარი წილის მფლობელებად გვევლინებიან (მაგ., ერთი „მთავნის“ მფლობელია, დანარჩენი უფრო წვრილი თანხების)²⁶.

ამხანაგობაში გაერთიანებული მედუქნე-ხელოსნები თავის გაზრდილ კაპიტალს ახალი დუქნების შექმნას ახმარენ, ყიდვა-გაყიდვის აქტებში ამხანაგობა მოქმედებს როგორც იურიდიული პირი, შესყიდულ დუქნებში ამხანაგები თანაბარი წილის მფლობელები არიან და შეუზღუდავად შეუძლიათ იმოქმედონ თავისი წილის ფარგლებში (გაყიდონ თავისი წილი, დააგირაონ, გააჩუქონ და სხვ.). რაც შეეხება დუქნებიდან მიღებულ შემოსავალს, ის მედუქნეებს შორის თანაბრად ნაწილდება.

საამხანაგო დუქნების გაცნობის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს შეძლებული ვაჭრების ოსეფასა და გიორგის გაყრის წიგნი (1773 წ.). სხვა სავაჭრო ობიექტების შუაზე გაყოფასთან ერთად ძმები იყოფენ ასევე: „ავეტიქასთან საამხანაგო ნახევარ ჩარეჭ წისქვილს. ჰავლაბრის ქარვასლის ადგილისა... ნახევარი, ტერ-შიმოვანთან საამხანაგო გარეთუბნის დუქნების ჩვენი წილი ნახევარი“ და ა. შ.²⁷.

ამ პერიოდის „ამხანაგობები“ ჯერ კიდევ არ გამოირჩევიან სტაბილურობით (განსხვავებით დუქანთმფლობელთა ამხანაგობებისაგან) ხშირად ისინი მოქმედებენ მხოლოდ რამდენიმე წელიწადს და იშლებიან მეპაიეთა შორის მომხდარი უთანხმოების ან სხვა ფაქტორების შედეგად. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ერთი ამხანაგი მეორის ფინანსურ დამოკიდებულებაში ექცევა და იძულებულია მიჰყიდოს ან ვალში მისცეს მას დუქნების თავისი წილი. მაგალითად, 1741 წ. პეტროზას მიერ თავის „ამხანაგ“ გიორგისადმი გაცემულ ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „მოგყიდე, ზემო ბაზარში მე და თქვენ რომ საამხანაგოდ დუქანი გვეყიდა, იმისი ნახევარი ჩემი წილი...“²⁸.

²⁴ საქართველოს სიძველენი, III, 1910, № 339, გვ. 327.

²⁵ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, № 701, გვ. 673.

²⁶ XVIII ს-ში საქართველოში არსებული სავაჭრო ამხანაგობების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: რ. კაშია, ვაჭართა ამხანაგობები დასავლეთ საქართველოში XVIII ს-ში; ზელნაწ. ინსტ. კრებულ-გულანი.

²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, IV, № 505, გვ. 648—652.

²⁸ დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 155, გვ. 183—4.

ანალოგიური შინაარსისაა 1796 წ. ნასყიდობა ავეტიქასი სტეფანასადმი: „საზიარო ერთი დუქანი გვექონდა ჩოთახაზნანაში და ოდეს აღამამდნანი დუქანი დასწო და იმ ჟამად რომ დუქნებს აშენებდნენ, შენც აშენება, მოინდომე... ჩვენი ნახევარი დუქნის ადგილი მოგაციდე...“³⁰.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისელი მოქალაქეები თავიანთ დუქნებს ხშირად მზითვეში ატანდნენ ქალიშვილებს.

გასათხოვარი ქალის „ბირის სანახავია“ ჩორსოს დუქანი (1771 წ.)³¹: „მევალე შევიქენი... მოგაციდე ჩემი ძმებისგან ჩემ მზითვეში მოცემული დიღმის კართან ჩემი დუქანი“, — ვკითხულობთ 1789 წლის საბუთში³².

როგორც XVIII ს-ის მასალა გვიჩვენებს, ეკლესიის მფლობელობაში ბევრი შეწირული დუქანი იყო³³.

XVIII ს-ის დოკუმენტების განხილვა გვიჩვენებს, რომ ხშირად შვილები მშობლებს აძლევდნენ დუქანს „სამარხად“. ამ დუქნის ფასი გარდაცვლილის დამარხვას უნდა მოხმარებოდა. მაგალითად, ზუთი ძმის გაყოფის დროს შვილები დედას აძლევდნენ რასტა ბაზარში მდებარე დუქანს — „სამარხად“³⁴.

ასევე, გაყრის შემდეგ დედას აძლევდნენ სამარხად ორ დუქანს ზალინას შვილები³⁵.

„სამარხი“ დუქანი მოხუცის საკუთრება იყო. 1770 წლის ნასყიდობის წიგნით ტონის ქვრივი მარიამი ყიდის თავის „სამარხ“ დუქანს³⁶.

როგორც მოტანილი მასალა ნათელყოფს, ოჯახის სხვა უძრავ ქონებასთან ერთად იყოფოდა დუქნებიც. — „ცალ-ცალკე დუქნად დაჯდომილი ვართ“, — ვკითხულობთ 1712 წ. გასამყრელო საბუთში³⁷.

1706 წ. დაწერილი ქაიხოსროსა და ოსეფას გასამყრელო წიგნის თანახმად, ოსეფას ერგო „ერთი დარბაზი, კიდევ ერთი დუქანი, თავის ქუეშო ოთახი“³⁸.

რამდენიმე დუქნის მფლობელ ვაჭარს, სავაჭროები სხვადასხვა პირზე აქვს გაქირავებული. 1716 წ. ბაინდურას შვილების — არუთინასა და გიორგის გაყრის წიგნში ვკითხულობთ: „გიორგის ერგო... საქაო რომ ზის ის დუქანი, და გარეთა უბანში ზეითა ნაბირას... დუქანი“, არუთინას დარჩა ის დუქანი, სადაც თვითონ იჯდა და თავისი სახელოსნო ნაწარმით ვაჭრობდა³⁹.

რამდენიმე დუქნის პატრონ ოქრომჭედელ გარსოას თავისი 9 სავაჭრო გაქირავებული ჰქონდა სხვადასხვა დარგის ხელოსნებზე. 1714 წლის დოკუმენტით, ოქრომჭედლის დუქნები მისმა სამმა ვაჟმა გაიყო⁴⁰.

ასევე თბილისის შეძლებული მოქალაქეები: ოსეფა და გიორგა (1773 წ. ზემოთ მოხსენიებული საბუთით), თანასწორად ინაწილებენ მამისეულ ქონებას: სახლებს, აგურხანას, ხელოსნებზე გაქირავებულ რამდენიმე დუქანს⁴¹.

30 სცია, ფ. 1450, ს. 8—57.

31 სცია, ფ. 1450, ს. 8—134.

32 ხელნაწერთა ინსტ., Hd — ფ. 1734.

33 ხელნაწერთა ინსტ., Sd — ფ. 302, ს. —2161.

34 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის № 66, გვ. 74—6.

35 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 84, გვ. 99—100.

36 იქვე, № 269, გვ. 333—4.

37 იქვე, № 81, გვ. 95—6.

38 ქართული სამართლის ძეგლები, IV, № 146, გვ. 219—220.

39 იქვე, № 185, გვ. 269.

40 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 111, გვ. 131—2.

41 ქართული სამართლის ძეგლები, IV, № 505, გვ. 648—52.

IV. საპაპრო ოპიკაჰაის აღმნიშვნელი სხვა ტერიტორიები

განსახილველი ხანის ისტორიული დოკუმენტური მასალის გაცნობა ნათელიყოფს, რომ XVIII ს-ში არსებობდა სხვადასხვა სახის სავაჭრო ობიექტები. გარდა სიტყვა — დუქნისა (ხულა დას. საქართველოში), ხშირად სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობა იხსენიება სიტყვით — ქულაბაქი, რაც დოკუმენტებში ბაზრის დუქანს ნიშნავს, გვხვდება აგრეთვე სიტყვა — ტახტი⁴².

საბუთებიდან აშკარაა, რომ დუქანი და ტახტი, როგორც სავაჭრო პუნქტები, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ტახტი (მომდინარეობს სპარსულიდან. ნიშნავს ხის ფიცარს, თაროს), როგორც ჩანს, დახლის მნიშვნელობით იხმარებოდა.

V. საპაპრო საქონელი, რომლითაც თბილისური დუქანები ვაჭრობენ

საბუთებში, სიტყვა — დუქანი და ტახტი, ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა სახელოსნოსთან, მაგალითად: „სამღებროს დუქანი“⁴³, „ყაბაზების ოთხი ტახტი“⁴⁴, „მეხაშეების... ორი დუქანი“⁴⁵ და ა. შ.

მედუქნეები, ხშირ შემთხვევაში, ხელოსნები იყვნენ. „თბილისში, როგორც ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრში განვითარებული იყო ხელოსნობის ოთქქმის ყველა სახე (რაც იმ ხანებში იყო ცნობილი)“⁴⁶.

კაპიტან იაზიკოვის ცნობით, „თბილისში ყოველი დარგის ხელოსნები საქაოლ ბევრია და ყოველ დარგს თავისი ცალკე უბანი უჭირავს... ვაჭრობენ ფარჩის, თავთისა და ბამბეულის ქსოვილებით“⁴⁷.

გასაყიდი საქონელი, ვაჭრობის საგანი, ძირითადად ადგილობრივ, თბილისელ ხელოსანთა ნაწარმი იყო. ამიტომ ბევრი დუქანი საბუთებში მედუქნეების ხელობის აღმნიშვნელი სახელით იხსენიება.

ჩვენს ცოდნას თბილისის დუქნებში მბრუნავი საქონლის შესახებ ავსებს ნარატიული მასალა.

საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ამ მხრივ უცხოელი მოგზაურები. მართალია ცნობები დაფანტული ხასიათისაა და არასრული, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XVIII ს-ის თბილისში საქონლის მიმოქცევის შესახებ,

გიულდენშტედტი თავის მოგზაურობის წიგნში აღნიშნავს, რომ თბილისში „ბევრი არიან ვაჭრები, ანუ, უფრო უკეთ, წვრილი მედახლეები, რომლებთანაც შეიძლება შეიძინოს კაცმა გასავლიანი საქონელი, სურსათი, სანელებელი... მედიკამენტები“⁴⁸.

თბილისის აღწერის დროს, პოლკოვნიკი ბურნაშევი აღნიშნავს, რომ აქ ბევრი სავაჭრო დუქანია, სადაც იყიდება ხელოსნობის ნაწარმი, საკვები, „მე-

⁴² ხელნაწერთა ინსტიტ., Hd—13135, ხელნაწერთა ინსტიტ., Hd—13006; სცია, ფ. 1450, 18—26; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 211, გვ. 252—4.

⁴³ სცია, ფ. 1450, ს. 45—124.

⁴⁴ სცია, ფ. 1450, ს. 18—26.

⁴⁵ ხელნაწერთა ინსტიტ., Hd — 13761.

⁴⁶ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 041.

⁴⁷ Цагарели А. Грамоты и другие исторические документы XVIII с., С—II, 1891, с. 188.

⁴⁸ გიულდენშტედტის მოგზაურობა, გვ. 3, 93.

ვაჭრები მიდიან სპარსეთსა და ინდოეთში... იქედან მოაქვთ ქარავნებით აბრეშუმის, ქალაღის ნაწარმი, სპარსული და ინდური ქსოვილები, ასევე ფაიფურის ჭურჭელი⁴⁹. თბილისიდან ირანში გააქვთ: „სპილენძის ჭურჭელი, ბამბეული, ცხენის მოსართავები, იარაღი, კაბები, ქუდეები და ფეხსაცმელი“⁵⁰.

„ბეწვეული თბილისის ერთ-ერთი საექსპორტო საგანი იყო. მას თბილისელი ხელოსნები ამუშავებდნენ“⁵¹.

იმდროინდელ თბილისში შემოტანილი საქონლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVIII ს-ის საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალის აგენტი — პეი-სონელი, „თბილისში ხანდახან არის ყოველგვარი სპარსული საქონლის შექმნის შესაძლებლობა“⁵². პეი-სონელი ჩამოთვლის სხვადასხვა საქონელს, რაც იმპორტის საგანს შეადგენდა — შემახიდან შემოდის საუკეთესო ხარისხის კარგი აბრეშუმი... თვითიკი ანუ ცხვრის შავი მატყლი... აბრეშუმის მატერიები... ძაფი აბრეშუმ-ნარევი, აგრეთვე დიდ მოთხოვნილებაშია... მოდის ჰოლანდიიდან... დრადი წარმოადგენს სპარსეთის საქართველოს ერთ-ერთ მთავარ საიმპორტო ობიექტს...“⁵³.

როგორც ვხედავთ, თბილისის დუქნებში გარდა ადგილობრივ დამზადებული ხელოსნური ნაწარმისა, მრავლად იყიდებოდა იმპორტული (ძირითადად ირანიდან) შემოსული საქონელი, რომელსაც მედუქნეები ბითუმად იძენდნენ და შემდეგ თანდათან ჰყიდდნენ თავიანთ დუქნებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსხვილ დუქანთმფლობელთა გარკვეული ნაწილი თვითონ იყო სავაჭრო ამხანაგობების წევრი და მათი მითითებებით ამხანაგობის სხვა წევრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თუ უცხო ქვეყნებიდან ჩამოჰქონდათ საქირო საქონელი.

პეი-სონელი აღნიშნავს, რომ თბილისში ბლომად იყიდება „ცვილი... ახლო-მახლო მდებარე სოფლები იძლევიან მას დიდი რაოდენობით...“⁵⁴.

ამდენად, როგორც ჩანს, მედუქნეებს თუ დუქანთმფლობელებს კონტაქტი ჰქონდათ სოფლებთან: ცხადია, ნედლეულის წყაროდ ხშირად სოფლის მეურნეობის პროდუქტს იყენებდნენ. აღსანიშნავია, რომ მსხვილი ფეოდალური ოჯახები, რომლებიც ამავე დროს მსხვილ დუქანთმფლობელებად გვევლინებიან (მაგ., თუმანიშვილები, ხიმშიაშვილები და სხვ.) თავიანთ დუქნებში ჰყიდიან საკუთარი მამულებიდან გამოსულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (პური, ღვინო, ხილი, ცვილი და სხვ.) XVIII ს-ის II ნახევარში განსაკუთრებით იზრდება ასეთ ოჯახთა დაინტერესება საკუთარ მამულებში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ქარბწარმოებით, იღვმება გარკვეული ნაბიჯები ფეოდალური მეურნეობის მოდერნიზაციისაკენ⁵⁵.

⁴⁹ Бурнашев, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

⁵⁰ იქვე, გვ. 3.

⁵¹ შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 230.

⁵² ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში. — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1941, გვ. 118.

⁵³ იქვე, გვ. 117—118.

⁵⁴ იქვე, გვ. 117.

⁵⁵ ამ მხრივ საინტერესოა თუმანიშვილთა საქმიანობა იხ. ა. აკოფაშვილი, მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. II ნახ. — XIX ს. დამდეგი), — კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 405.

VI. მეღუპეთა⁵⁶ სოციალური შემაჯინლობა

მედუქნეთა ძირითად ნაწილს ყმა-მედუქნეები შეადგენდნენ: ვაჭარ-ხელოსანთა დიდი ნაწილი მეფისა და ფეოდალური არისტოკრატის ყმები აყენენ.

სახასო ყმა-ხელოსნებს მეფე ერთგულებისა და სამსახურისათვის უწყალობებდა სავაჭრო ობიექტს⁵⁷.

მეფის ხელისუფლება ხელს უწყობდა და ეხმარებოდა მედუქნეს, რომელიც ახალ დუქანს იძენდა და ვაჭრობას იწყებდა.

1782 წელს გიორგი დათუნაშვილი მიმართავს თხოვნით დარეჯან დედოფალს: „რადგან თქვენნი ყმანი გახლავართ, ავლაბარში ერთი სადუქნე და ერთი სახლის ადგილი გვებოძოს, რომ ჩვენც ბინა იქ მოვიკიდოთ“. დედოფლის ბრძანებით, მოახალშენე ვაჭარი ორი წლით თავისუფლებდა სახელმწიფო გადასახადისაგან⁵⁸.

ამავე დროს, ხელისუფლება სჯის სახასო ყმას, რომელიც შეეცდებოდა სახელმწიფო გადასახადს თავი აარიდოს. 1798 წლის სიგელით, გიორგი მეფემ ჩამოართვა თავის ყმას პენტელაშვილ იოანეს ნაწყალობევი დუქნები, რადგან ვაჭარს „სარქრის საქონელი შეეპაჟა“. მეფემ დუქნები გადასცა ექიმ ანტონას შვილ ექიმბაშ იოსებას⁵⁹.

1799 წ. საბუთით, გიორგი მეფე კვლავ წყალობის წიგნს აძლევს იოსებ-ექიმბაშს, რითაც უახლებს ერეკლე მეფის მიერ მეიდანზე ნაწყალობევი ოთხ დუქანს⁶⁰.

სამეფო მედუქნეები მოვალენი იყვნენ, პირველ რიგში ისევ სახასო ყმაზე გაეყიდათ დუქანი და თუ არავინ ასეთი არ გამოჩნდებოდა მხოლოდ შემდგომ სხვა პირზე.

1800 წლის საბუთით, ვალში ჩავარდნილი სამეფო ყმა — მედუქნის ქვრივი ითხოვს დუქნის გაყიდვის ნებართვას. მეფეც ნებას რთავს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს: „თუ ჩვენს ყმას უნდოდეს ვისმე, იმას უნდა მიჰყიდოს... თუ ჩვენს ყმას არავის უნდოდეს, მასუკან სხვას მიჰყიდე“⁶¹.

ასევე ფეოდალურ დამოკიდებულებაში იყვნენ საბატონო და საეკლესიო ყმა-ხელოსნები და ვაჭრები. ისინი თავიანთი უშუალო ბატონისაგან (სასულიერო ან საერო ფეოდალური არისტოკრატია) იღებდნენ ვაჭრობის უფლებას.

წერილი ხელოსანი ზოგჯერ ვალის გამო ავირავებდა და თავის სახელოსნო დუქანს, ხშირ შემთხვევაში თვით მევალესთან. 1709 წ. ვალის ხელწერილით

⁵⁶ უპირველეს ყოვლისა გვინდა დავაზუსტოთ, რომ ტერმინ „მედუქნეს“ ჩვენ ვხმარობთ იმ ვაჭარ-ხელოსნის აღსანიშნავად, რომელიც უშუალოდ დგას დახლთან და ვაჭრობს. რაც შეეხება პირებს, რომლებიც დუქნებს ფლობენ, მაგრამ უშუალოდ დუქანში არ ვაჭრობენ, მათ „დუქანთმფლობელებს“ ვუწოდებთ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XVIII ს-ის II ნახევარში ზღვარი მედუქნეებსა და დუქანთმფლობელებს შორის ერთგვარად იშლება, ვინაიდან ნაწილი მედუქნეებისა თვით იქცევა მსხვილ დუქანთმფლობელად.

⁵⁷ ხელნაწერთა ინსტ., Qd — ფ. 1651; სცია, ფ. 1450 — ს. 47—8, ქართული სამართლის ძეგლები, VII, თბ., 1981, № 305, გვ. 395—6.

⁵⁸ ქართული სამართლის ძეგლები, VII, № 573, გვ. 542—3.

⁵⁹ ხელნაწერთა ინსტ., Hd — 5682.

⁶⁰ ხელნაწერთა ინსტ., Hd — 13170.

⁶¹ სცია, ფ. 1448 — ს. 2755; თბილისის ისტორია, გვ. 282—3.

შოქალაქე ავთანდილა თავის მევალე ზალინას აძლევს სავაჭროს გირაოდ: „სანამდინ ეს დუქანი შენთან გირაოთ იყოს, არც შენ თეთრის სარგებელი ითხოვო, და არც მე დუქნის ქირა“⁶², — ვკითხულობთ საბუთში.

ანალოგიური შინაარსისაა 1795 წ. გირაოს წიგნი, რომლის თანახმად, შაქარასშვილმა ხეჩატურამ რვა თუმან ვალში მევალეს მიაგირავა დუქანი⁶³.

1788 წლის ნასყიდობის წიგნით, დაბალმა სტეფანემ გაყიდა თავისი დუქანი (ქალიშვილი გაამზითვა), რომელიც დაგირავებული იყო მკალავ მერაბასთან — 27 თუმანად. ამდენად, ხელოსანმა გაყიდა არა ის დუქანი, სადაც თვითონ ეწეოდა სადაბალო საქმეს, არამედ სხვა სავაჭრო⁶⁴.

წვრილი ხელოსნები, რომელთაც თავიანთი დუქნები არ ჰქონდათ, ქირით იღებდნენ სავაჭროებს ქალაქის ფეოდალური არისტოკრატის ან რამდენიმე დუქნის მფლობელ თბილისის შეძლებული მოქალაქეებისაგან.

ამ მხრივ, საინტერესოა „ტფილისის სიონის მამულების აღწერა“, სადაც ჩამოთვლილია ხელოსნები, რომელთაც იჯარით ჰქონდათ აღებული სიონის კელესისი კუთვნილი დუქნები⁶⁵.

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე 1749 წ. ბებუთაშვილების გასამყრელო წიგნი, რომელშიც ჩამოთვლილია სხვადასხვა ხელობის მოქალაქეები, რომელთაც ქირით ჰქონდათ აღებული მელიქ აშხარბეგ ბებუთაშვილის დუქნები. საბუთში ჩამოთვლილია ასევე ბებუთაშვილების ყმა მედუქნეები⁶⁶.

XVIII ს-ის II ნახევრის ისტორიულ დოკუმენტებში არააშვიათია შემთხვევა, როდესაც პიროვნება, რომელსაც ქირით უჭირავს დუქანი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, თვით ყიდულობს მას და ხდება მისი მფლობელი⁶⁷.

ამ ფაქტს გვიდასტურებს 1780 წ. ნასყიდობა. ვაჭრის ქვრივის მიერ როსტომასადმი მიცემულ საბუთში ვკითხულობთ: „მოგვიდე ჩემი ქმრისეული ორი დუქანი, რომ ერთში შენ ზიხარ და ერთში მესანთლე“⁶⁸.

ამრიგად, XVIII ს-ის II ნახევარში აშკარა ხდება, რომ ყმა მედუქნეთა გვერდით სულ უფრო მატულობს რიცხვი წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა, რომლებიც იჯარით იღებენ დუქანს მსხვილ დუქანთმფლობელთაგან, განსაზღვრულ ქირას უხდიან მის პატრონს და სხვა მხრივ მასზე არ არიან დამოკიდებული: ასეთი პირები რიგ შემთხვევაში სყიდულობენ იჯარით აღებულ დუქანს, იძენენ რიგ სხვა დუქნებსაც და თავის მხრივ ხდებიან მსხვილი დუქანთმფლობელები. არ არის გამორიცხული, რომ მედუქნე, რომელიც იჯარით იღებს დუქნებს და თვითონაც ფლობს ათობით დუქანს, ამავე დროს სამეფო ან რომელიმე მსხვილი ფეოდალის ყმა იყოს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ (ვინაიდან გააზატება ჩვენში ვახტანგის სამართლით პრინციპულად დაშვებული იყო და ყმასა და ბატონს შორის მოლაპარაკებაზე და გარკვეული თანხის გადახდაზე იყო დამოკიდებული), ასეთი გამდიდრებული ყმა-მედუქნეები იოლად შეძლებდნენ თავის დახსნას.

62 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 67, გვ. 76.

63 სცია, ფ. 1450, ს. 14—53.

64 სცია, ფ. 1450, ს. 8—16.

65 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, ტფ., 1913, გვ. 55—60.

66 ხელნაწერთა ინსტ., Qd — 506.

67 სცია, ფ. 1450, ს. 8—24; ფ. 1450, ს. 26—30.

68 ხელნაწერთა ინსტ., Qd — 872.

VII. „ფუჰანთოფლოგალოზა“ და „ფუჰანთოფლოგალოზი“

თბილისში სავაჭრო ობიექტების ყველაზე მსხვილი მფლობელია სამეფო ოჯახი. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ქალაქის ყმა-მედუქნეებს შორის ყველაზე ღიდი იყო სახასო ვაჭრების ხეედრითი წილი. სამეფო დუქნები განლაგებული იყო ძირითადად ქალაქის ცენტრალურ სავაჭრო ადგილებში: მეიდანზეც, რასტაბაზარში, ჩორსუში, ავლაბარში და ა. შ.⁶⁹

სავაჭრო-სახელოსნო ობიექტებს ფლობდნენ სამეფო სახლის წევრები: მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები. „დავით ბატონიშვილს 18 დუქანი და ქარვასლა ჰქონდა თბილისში ერეკლესაგან ნაბოძები. მართო „თათრის მოედანზე“ 12 დუქანი ჰქონია, რომელიც წლიურად 400 მანეთზე მეტ შემოსავალს აძლევდა“⁷⁰.

ეკლესია ქალაქის სავაჭრო-ნაგებობების ერთ-ერთ მსხვილ მესაკუთრედ გვევლინება.

თბილისში არსებულ ყველა ეკლესიას თავისი კუთვნილი სავაჭროები აქვთ. მაგალითად, თბილელის მფლობელობაში იყო ქალაქის სხვადასხვა უბნებში მდებარე დუქნები⁷¹.

აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ თბილისში მცხოვრები იტალიელი კათოლიკე პატრების მონაწილეობა ქალაქის აღებ-მიცემობაში. ისინი ფლობენ დუქნებს, ეწევიან მეფახეობას, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ისაკუთრებენ დაგირავებულ დუქნებს და სხვ.⁷²

XVIII ს-ში იზრდება ფეოდალური არისტოკრატის სწრაფვა თბილისში სავაჭრო-სახელოსნო ობიექტების შეძენისადმი. თავადაზნაურობის ზოგიერთი წარმომადგენელი აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ფულად-სასაქონლო მიმოქცევის პროცესში.

როგორც დოკუმენტური მასალა ცხადყოფს, ძმები თუმანიშვილების (ლაშქარნივისის სახელის მფლობელი მანუჩარი და სულხან მდივანი) შემოსავლის ერთ-ერთი წყარო გაქირავებული დუქნებიდან მიღებული თანხები იყო⁷³.

საბუთების მიხედვით, თბილისში დუქანთმფლობელებად გვევლინებიან ხიმშიაშვილებიც.

1798 წლის საბუთით გიორგი მეფემ დაისაკუთრა დიმიტრი ხიმშიაშვილის მკვიდრი სოფელი დილომი, სამაგიეროდ დაპირდა სხვა მამულების წყალობას ქართლში, ასევე თათრის მეიდანზე ახალი დუქნების ბოძებას⁷⁴.

⁶⁹ ხელნაწერთა ინსტ., Qd — 1651. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 231, გვ. 280—1. ქართული სამართ. ძეგ., VIII, № 335 (1796 წ.); Hd — 13170 (1799 წ.) ქართ. სამართლის ძეგლები, VII, № 305, გვ. 295—6.

⁷⁰ ფ. კ. ი. ი. ვ. ა., ქართლ-კახეთის ფინანსები VIII ს. II ნახ. — ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1954, გვ. 326.

⁷¹ თბილისის ისტორია, გვ. 254. ისტორიული საბუთები, V, გვ. 55—60; ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, № 299, გვ. 825—6; სცია, ფ. 1450, ს. 8—111.

⁷² ქართული სამართლის ძეგლები Ad—13032, Ad—1009; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის № 147, გვ. 174—5; № 184, გვ. 222—3; მსეი., III, № 132, გვ. 166—7.

⁷³ ხელნაწერთა ინსტ., Sd — 4313; მსეი., III, № 221, გვ. 327.

⁷⁴ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, № 488, გვ. 506—7.

იგივე დიმიტრი ხიმშიაშვილი 1799 წ. არზით მიმართავს გიორგი მეფეს. საბუთში ჩამოთვლილია ქალაქში მისი მფლობელობა. „სამიოდ დუქანი გარედან გახლავთ, თორმეტი დუქანი შიგნით გახლავთ“.

XVIII ს-ის ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში გამოიყოფა რამდენიმე სავაჭრეულო, რომლებიც ქალაქის ვაჭრობასა და საერთოდ მის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული.

სხვადასხვა სავაჭროებს, დუქნებსა და ყმა-ხელოსნებს ფლობდა თბილისის მელიქ-მამასახლისის აშხარბეგ ბებუთაშვილის ოჯახი და მისი შთამომავლობა. მაგალითად მისი შვილი ალა, მირშიქარბაშის სახელის მფლობელი და ქალაქის შეძლებული მოქალაქეა. ქალაქის სხვადასხვა უბანში მდებარეობს ალას კუთვნილი სავაჭროები, ამავე დროს ახალ დუქნებს იძენს⁷⁶.

შეძლებული მოქალაქის, ქალაქის მოხელის საკუთრებას მეფის ხელისუფლება მფარველობს. 1753 წლის სითარხნის წიგნით, ალა და მისი ოჯახი თავისუფლდება ბაყისაგან, მხოლოდ მისი ყმები (ჩამოთვლილია ვაჭარ-ხელოსნები: ბაყალი, ფეიქარი, და ა. შ.) იხდიან სამეფო ბაყს⁷⁷.

XVIII ს-ის საბუთებში ჩანს დუქანთმფლობელთა ახალი ტიპი: თბილისის შეძლებულ მოქალაქეთა რიცხვს ავსებენ წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა წრიდან გამოსული პირები, რომლებიც მოცემული ხანისათვის დუქნებისა და ყმა-ხელოსნების მფლობელები კი გამხდარან.

მაგალითად, 1724 წლის საბუთის თანახმად გარსია ოქრომჭედელს ქალაქის სხვადასხვა უბანში (ხარაზხანა, მეიღანი, მეზანდუკეები, რასტაბაზარი) აქვს სავაჭრო-სახელოსნო ობიექტები.

ამ დუქნებს აქირავენ სხვადასხვა ხელობის მედუქნეებზე. მათ შორისაა: მექვაბე, მეზანდუკე ხელოსნები და ა. შ.⁷⁸

საინტერესო მასალას გვაწვდის, ასევე ზემოთ მოხსენიებული ოსეფასა და გიორგის გასამყრელო წიგნი. საბუთში ჩამოთვლილია თბილისელი შეძლებული ვაჭრების უძრავი ქონება: „პავლაბრის ქარვასლის წილი“, გარეთუბნის, ჰელიქ ავეტიქასთან საამხანაგო წისქვილი, სახლები, აგურხანა და რამდენიმე ქირით გაცემული დუქანი⁷⁹.

XVIII ს-ის ქართული დოკუმენტები გვაცნობენ მდიდარ თბილისელ ვაჭრებს — თაყუაშვილებს მიკირტუმასა და მის შვილს — ისაიას.

მიკირტუმა თაყუაშვილს ერეკლე მეფემ გვარჯილის გაყიდვა დაავალა. ასევე უწყალობა „გორჯილის“ ქარხნის გაკეთების უფლება — „ავლაბრის ციხის კარის გარეთ“, შემდგომ საბუთში კვითხულობთ: „ოცდახუთი აღლი ალაგი გვთხოვე... შენ და შენს შვილებს სამკვიდრო მამულათ გიბოძეთ, დუქნები დააკეთე და წამალიც იქ გააყიდვინე“⁸⁰.

XVIII ს-ის II ნახევარში გვარჯილის წარმოების მონოპოლია ისაია თაყუაშვილს ეკუთვნის. 1795 წ. ქალაქის დაწვესთან ერთად ეს საწარმოც დაინგრა, მაგრამ მომდევნო წელს ისაიას უკვე მოუხერხებია მისი აღდგენა⁸¹.

75 ქართული სამართლის ძეგლები, № 541, გვ. 549—550.

76 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის № 180, № 259:

77 იქვე, № 212, გვ. 256—7.

78 იქვე, № 111, გვ. 131—2.

79 ქართული სამართლის ძეგლები, IV, № 505, გვ. 648—52.

80 სცია, ფ. 1450, ს. 18—14.

81 Месхиа Ш., Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 128.

თბილისელი ვაჭარი ისაია თაყუაშვილი ასევე მრავალ ღუქანს ფლობდა⁸². მის შემოსავლის წყაროს მეფეაშეობაც შეადგენდა.

თბილისის შეძლებული მოქალაქეები, ქალაქის მოხელეებთან ერთად არკვევდნენ ალებ-მიცემობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს.

1779 წ. ახპატის ეკლესიის მამულების განჩინების დროს მიკირტუმა თაყუაშვილი მიწვეულია საქმის გასარკვევად, როგორც ამ ღუქნების „ამშენებელი და საზღვრების მცოდნე“⁸³.

1789 წლის საბუთით, ისაია თაყუაშვილი, ქალაქის მელიქთან და შეძლებულ ვაჭრებთან ერთად აფასებს ბაზახანაში გაყიდულ ღუქნებს⁸⁴.

დოკუმენტების მიხედვით აშკარაა, რომ წვრილ ხელოსანთა თუ ვაჭართა ოჯახებიდან გამოსული გამდიდრებული მოქალაქეები ათობით სავაჭრო ობიექტების მფლობელები ხდებიან. ისინი უკვე თაკილობენ კიდევ უშუალოდ დახლოდ ღვომას და ქირით გასცემენ თავიანთ ღუქნებს თუ დახლებს. აფინანსებენ „სავაჭრო ამხანაგობებს“, რომლებშიც ხშირად „მთავნის“ მფლობელნი ბევითონვე არიან. ეწევიან მსხვილ საკრედიტო სავაზმო ოპერაციებს. ჩანს, პირველი ცდები კაპიტალის წარმოებაში დაბანდებისა (აგურის ქარხნები, გვარჯილის წარმოება, სამღებროები და სხვ.) ამდენად, ჩვენი აზრით, სწორედ XVIII ს-ის II ნახევარში შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმ ხანად როდესაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ქართული ბურჟუაზიის ფორმირების პროცესი.

სამეფო ხელისუფლება იცავს მეღუქნეებისა და ღუქანთმფლობელების უფლებებს და მფარველობს მათ ქონებას⁸⁵. ღუქნის მფლობელობაზე დავას არკვევს უზენაესი ხელისუფლება⁸⁶.

ღუქნის ადგილზე საჩივრის დროს მეფე ავალებს თავის მოხელეს საქმის გამორკვევას⁸⁷.

1795 წ. ალა მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად, სავაჭრო ობიექტები თითქმის მთლიანად განადგურდა. მაგრამ XVIII ს-ის მიწურულის დოკუმენტური მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ მალევე დაიწყო ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობების აღდგენა.

„ერთი ღუქანი გვექონდა ჩითხაზხანაში და ოდეს აღამამდხანი ქალაქი დასწო, ის ღუქანიც დაიწო და იმ უამად რომ ღუქნებს აშენებდნენ, შენც აშენება მოინდომე“, — ვკითხულობთ 1796 წ. ნასყიდობის წიგნში⁸⁸.

ღუქნების აღდგენაზეა ლაპარაკი 1796 წ. ერეკლე მეფის წყალობის წიგნში თაყუაშვილისადმი: „ციხის მოედანზე, ჩვენს სახასო ადგილში... მტრისგან... ღუქანი დამწვარიყო... ამ ადგილას ჩვენთვის ღუქნად ვაშენებდით“, — ვკითხულობთ საბუთში⁸⁹.

ანალოგიური ხასიათისაა 1797 წლის განჩინების წიგნი მელიქ დარზოასი

82 სცია, ფ. 1450, ს. 18—17.

83 სცია, ფ. 1450, ს. 4—11.

84 ხელნაწერთა ინსტ., Hd — 13032.

85 საქართველოს სიძველენი, III, № 326, გვ. 313, Ad—1353.

86 ხელნაწერთა ინსტ., Hd—161 (1788 წ.).

87 სცია, ფ. 1448 — ს. 1159 (1788 წ.).

88 სცია, ფ. 1450 ს. 18—17.

89 სცია ფ. 1450 ს. 18—17.

ლუქნების საქმეზე: „მეფეს ირაკლის, აქიმბაშის იოსებისათვის, თავის ახალს ლუქნებიდან... ორი ლუქანი გვებოძებინა“, — გვამცნობს საბუთი⁹⁰.

როგორც ვხედავთ, ქალაქის სავაჭროების აღდგენა მალევე დაიწყო. 1803 წლის მონაცემებით, თბილისში 574 ლუქანია⁹¹. ამდენად, ლუქნების რიცხვი შვირდელი გაიზარდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ალა მაჰმად-ხანმა ქალაქი მთლიანად დაანგრია, სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები თითქმის განადგურდა, ხოლო ბევრი მეღუქნე „დატყვევდა“⁹², შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღდგენითი სამუშაოები საოცრად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რაც რა თქმა უნდა, მიგვანიშნებს თბილისის ბურჟუაზიის გარკვეულ შეძლებზე, მის ხელში საკმაო ოდენობის კაპიტალის თავმოყრახე.

VIII. ვაჭარ-ხელოსნობა და ღუშნობა უძვერელი გადასახადები

ლუქნის მფლობელი ან ლუქანში მოვაჭრე ხელოსანი დაბეგრული იყო სხვადასხვა გადასახადით. როგორც აღვნიშნეთ, მეღუქნე იხდიდა „ადგილის ქირას“. ლუქნის „ადგილის ქირის“ გადახდა ევალეზოდან სახასო ყმა-მეღუქნეებს. ეს თანხა მეფის სარქარში მიდიოდა⁹³.

ერეკლე მეფის დროს შემოღებულ იქნა სახელმწიფო გადასახადი — „მახტა“, რომელსაც იხდიდნენ თბილისის მოქალაქეები. ყოველწლიურად ქალაქის ხაზინაში შედიოდა — 400 თუმანი მახტა. ეს გადასახადი ნაწილდებოდა მოქალაქეებზე მათი სიმდიდრის მიხედვით⁹⁴.

თბილისის მოქალაქეები იხდიდნენ სულადობრივ ფულად გადასახადს „მაღს“. მაღის ოდენობა განისაზღვრებოდა თითო სრულწლოვან სულზე აბაზით. „მაღის“ აღება გარკვეულ მომგებიან საქმიანობასთან იყო დაკავშირებული და მისი ამოკვეთაც მოგების შემცირებით (ხანდაზმულობის გამო) იყო განპირობებული⁹⁵.

თვით ლუქნის ქირას მეღუქნე უხდიდა უშუალო პატრონს. სახასო მეღუქნეები, რა თქმა უნდა, მეფეს უხდიდნენ ლუქნის ქირას.

XVIII ს-ის დასაწყისში „დასტურლამაღის“ მიხედვით, ყოველი მეღუქნის სამეფო გადასახადი იყო „ლუქნის თავს თვეში ერთხელ თითო შაური“⁹⁶.

სამეფო ყმა-ვაჭარი ფარსადანი (1775 წ. საბუთი), ჩვეულებრივ, იხდის ადგილისათვის სახელმწიფო გადასახადს, ასევე უხდის „ლუქნის ქირას“⁹⁷. სახასო ყმის მიერ ლუქნის გაყიდვის შემთხვევაში გარკვეული წილი აღებული თანხიდან სამეფო ხაზინის სასარგებლოდ ირიცხებოდა⁹⁸.

სახელმწიფო გადასახადი შეწერილი აქვთ ამკრებს. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს გვაწვდის 1800 წელს დაწერილი ბაზაზების არზა გი-

⁹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, VI, თბ., 1977, № 1, გვ. 3.

⁹¹ Месхиа III., დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

⁹² მსეი, III, № 195, გვ. 287—8.

⁹³ ქართული სამართლის ძეგლები, VII, № 305, გვ. 295—6, VI, № 106; იქვე, VIII, № 335, გვ. 357.

⁹⁴ Месхиа III., დასახ. ნაშრომი, გვ. 193, 123.

⁹⁵ მ. ქიქოძე, ვაკრობა XVIII ს. I მეთოხედის ქართლის სამეფოში. — 1965, „მაცნე“, I, გვ. 187.

⁹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, II, № 89, გვ. 282.

⁹⁷ იქვე, VII, № 305, გვ. 295—6.

⁹⁸ ხელნაწერთა ინსტ., Hd—13134.

ორგი მეფისადმი: „ათი დღე არ არი, ორმოცი თუმანი გვიმსახურნია საქვეყნო გამოსაღებ გარდა... ორმოციოდ ღუქანი დავრჩომილვართ... ახლა კიდევ სამოც თუმანს ვგთხოვენ... ჩვენ საღ შევიძლებთ“. ბაზაზების თხოვნას მეფე გიორგი შემდეგი ბრძანებით პასუხობს: „იასაულო! მერმე როგორც ბაზაზ-ბაშმა გასწეროს, ესლავ დადექი და ყველას გამოართვი. თეთრით ფარჩას ვყიდულობთ, ამაში თარხანი არავინ იქნება“⁹⁹. საერთოდ, მეღუქნეები ღუქნის გადასახადს (ღუქნის ქირას) უხდიან უშუალოდ ღუქანთმფლობელებს¹⁰⁰.

მეღუქნეს შეეძლო ღუქნის ქირა საქონლითაც გადაეხადა, მაგალითად, ერთ საბუთში ვკითხულობთ: „დავითავ ლომინაშვილო, ამ ლურჯს ლეინს და სამოხელეოში რვას აბაზს ღუქნის ქირაში გიანგარიშებ“¹⁰¹.

გარდა სამეფო და საბატონო გადასახადისა, მეღუქნე იხდიდა სამოხელეო გადასახადებს.

ქალაქის მოურავი თბილისის ვაჭარ-ხელოსნებისაგან იღებდა სარგოს, რომლის ოდენობაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ იყო განსაზღვრული.

რაც მეტ ფასად იყიდებოდა ღუქანი, უფრო დიდი წილი ერგებოდა მოურავს. მაგალითად, 25 თუმნად გაყიდული ღუქნიდან, მოურავს დარჩა I მანეთი, I აბაზი და I შაური, 6 თუმნად გაყიდული ღუქნიდან 14 შაური, 20 თუმნიდან — I მანეთი და ა. შ.¹⁰².

სამოურავო გადასახადი მოხსენიებულია ალა ბებუთაშვილის სითარხნის საბუთში, სადაც ნათქვამია: „სამოურავო ამათს ყმებზე თითო შაური ყოფილა და კიდევ თვითო შაური უნდა გამოერთვასთ“¹⁰³.

როგორც ვხედავთ, თბილისის ყველა ვაჭარი თუ ხელოსანი, მოვალე იყო ქალაქის მოურავისათვის გადასახადი გადაეხადა.

სამოურავო გადასახადს იხდიდნენ როგორც ცალკეული ხელოსნები, ასევე ამქრები. განსაზღვრული იყო თითოეული ღუქნიდან მოურავისათვის მისართმევი „ძღვენი“: „აღდგომას ყოველი ასნაფი თითო ბატკანს მოართმევენ მოურავს, და ბაზაზები ან სამს, ან ორს, ყასბები ორს გამოჩეულს ცხვარს, და მოურავის ნაცვალს ბატკანზე თითო აბაზს და ქეთხდელეებმაც უნდა მოართვან ბატკნები, ერთიანად ხუთი იქნება, თუ ექუსი. სირაჯების ნირჩანა — 12 შინალთუნი წელიწადში ერთხელ... ყასბებმა უნდა მიართვან მოურავს წელიწადში ერთხელ ღუქანზე სამი ლიტრა კარგი ქონი“¹⁰⁴.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა გვამცნობს, რომ მეღუქნეები გადასახადს უხდიდნენ ასევე სხვა სახელმწიფო მოხელეებს: სახლთუხუცესს, ნაცვალს, მინბაზს და ა. შ.¹⁰⁵.

ამრიგად, XVIII ს-ის II ნახევარში თბილისის ღუქნეები, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ობიექტები, არა მარტო ხდებიან გაცხოველებული აღებ-

⁹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, VIII, № 701, გვ. 678.

¹⁰⁰ იქვე, III, № 299, გვ. 825—6; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 67, გვ. 76 ხელნაწერთა ინსტ., Sd—883.

¹⁰¹ ხელნაწერთა ინსტ., Sd—886.

¹⁰² დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 211, გვ. 252—4.

¹⁰³ იქვე, № 212, გვ. 256—7.

¹⁰⁴ ქართული სამართლის ძეგლები, №, № 138, გვ. 497—9.

¹⁰⁵ Бурнашев, დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6; შ. მესხია. მასალები ქართლ-კახეთის სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მსკი, I, 1948. გვ. 100—101; ხელნაწერთა ინსტ., Ad—1353.

მიცემობის პუნქტებად, არამედ გავრდილი შემოსავლიანობის და მომგებიანობის გამო, თვითონ იქცევიან სარფიანი ყიდვა-გაყიდვის საგნად.

მეფის ოჯახისა და ფეოდალური არისტოკრატის (მათ შორის ეკლესიის) გვერდით, რომლებიც ტრადიციულად ფლობდნენ თბილისში სავაჭრო-სახელოსნო ობიექტებს (დუქნებს), მსხვილ დუქანთმფლობელებად იქცევიან წერილი ვაჭარ-ხელოსნები, რომლებიც ქმნიან კიდევ ქართული ბურჟუაზიის პირველ თაობებს. თბილისის წერილ ვაჭარ-ხელოსანთა შუასაუკუნეობრივ-ამჟრულ ორგანიზაციას უპირისპირდება ვაჭარ-ხელოსანთა გაერთიანების ახალი ტიპი — ვაჭარ-ხელოსანთა „ამხანაგობა“. „ამხანაგობებს“ ქმნიან, როგორც წერილი ვაჭარ-ხელოსნები, ასევე მსხვილი დუქანთმფლობელები. ამ უკანასკნელთა „ამხანაგობები“ გამოირჩევა მეტი სტაბილურობით. ამხანაგობების შიგნით მიმდინარეობს კაპიტალის ცენტრალიზაციის და კონცენტრაციის პროცესი.

დუქნების ექსპლუატაციის ფეოდალური ფორმების (ყმა მედუქნეების) გვერდით, სულ მეტ გაქანებას იძენს უფრო პროგრესული ფორმები: დუქნების და სხვა სავაჭრო ობიექტების იჯარით გაცემა. განვითარების ტენდენცია აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ყმა მედუქნეს ენაცვლება მეიჯარე.

ამდენად, თბილისის სავაჭრო-სახელოსნო ობიექტების — დუქნების შესწავლამ, მათი ექსპლუატაციის ფორმების, მედუქნეთა და დუქანთმფლობელთა სოციალური შემადგენლობის, სხვა საკითხების განხილვამ დაგვარწმუნა იმაში, რომ XVIII ს-ის თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში აღდგლი აქვს ძველი ფეოდალური ურთიერთობების რღვევისა და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარების პროცესი.

Р. КАШИЯ, М. В. САНАДЗЕ

ТОРГОВЛЯ И ТОРГОВАЯ ПРОСЛОЙКА В ТБИЛИСИ В XVIII ВЕКЕ (городские духаны)

В статье изучены торгово-ремесленные объекты г. Тбилиси XVIII века — тбилисские духаны (лавки). Рассмотрены вопросы прибыльности духанов, формы владения ими, права и обязанности духанщиков-крепостных, отношения духанщиков с духановладельцами, социальный состав духановладельцев, налоги, взимаемые с духанщиков и т. д.

На основе документального материала показано, что XVIII в., а особенно во второй половине XVIII в. духаны не только превратились в пункты бойкой торговли, но и благодаря возросшим доходам сами стали объектами выгодной купли-продажи.

Наряду с феодальной аристократией, которая традиционно являлась духановладельцем в г. Тбилиси, из слоев мелких ремесленников-торговцев вырастает новое поколение крупных духановладельцев, которое и является первым ростком молодой грузинской буржуазии.

Традиционная феодальная форма эксплуатации духанов (духанщик-крепостной) постепенно вытесняется более прогрессивной формой — духанщик-арендатор. Возникают нового типа объединения торговцев-ремесленников, а также крупных духановладельцев — «амханагоба» (букв. товарищество), внутри которых происходит централизация и концентрация капитала.

Все эти явления в экономической жизни города явствуют о разложении старых феодальных и о быстром насаждении новых капиталистических отношений.

ნანა გელაშვილი

სეფიანთა ირანისა და სპარსეთელთა ურთიერთობის ისტორიიდან

(ყადი აჰმედ ლაფარის ცნობათა შუქზე)

ყადი აჰმედ ლაფარი XVI ს-ის სპარსული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დაიბადა ჰიჯრის 920 წ. (1515 წ.) თეირანში. ყადი აჰმედი ცნობილი შაფიტი კანონმდებლის აბდ ალ-ლაფარი ალ-ყაზვინის შთამომავალია. მისი მამაც ქ. რეის ყადი იყო. ლაფარი დიდად განათლებულ პიროვნებად, ნიჭიერ მემკვიდრედ და პოეტად იყო ცნობილი. იგი მუდამ სამეფო კარის გარემოცვაში ტრიალებდა, ერთხანს შაჰ ისმაილ I-ის (1501—1524) გაყვანის შემთხვევაში მსახურობდა და მის სასახლეში ცხოვრობდა, ლაფარი გარდაიცვალა ჰიჯრის 975 წ. (1567/68 წ.) დაიბუღებულ შუქზე, როდესაც მექის მოხილვის შემდეგ შინ ბრუნდებოდა¹.

ყადი აჰმედ ლაფარი ავტორია ორი ნაშრომისა: „ნეგარისთან“ („სურათების გალერეა“) და „თარხ-ე ჯაჰან-არა“ („ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია“), ან როგორც უფრო ხშირად იხმარება ისტორიოგრაფიაში „ნოსახ-ე ჯაჰან-არა“ („ქვეყნის შემამკობელი ნუსხები“). როგორც სამეფო კარზე დაახლოვებულ პირს, საფიქრებელია, რომ ყადი აჰმედისათვის ხელმისაწვდომი იყო ისტორიული დოკუმენტები, სასახლის არქივი. ამასთანავე, ის იყო თვითმხილველი, ალბათ მონაწილეც, მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენისა. ამდენად, მის თხზულებებში დაცული ცნობები ფრიალ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი.

ჩვენი მიზანია „თარხ-ე ჯაჰან-არას“ ზოგიერთი ცნობის გაშუქება. კერძოდ იმ ცნობებისა, რომლებიც უშუალოდ სეფიანთა ირანისა და საქართველოს ურთიერთობას ეხება².

„თარხ-ე ჯაჰან-არა“ მსოფლიო ისტორიის ქანრის თხზულებაა, თუმცა იგი ძირითადად ეძღვნება შაჰ თამაზ I-ის ზეობას (1524—1576). მოვლენათა იხრობა მასში მიყვანილია ჰიჯრის 972 წლამდე (1564/65). თხზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პირველწყაროს ირანისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიის შესასწავლად, ამასთანავე იგი შეიცავს მასალებს ლოკალური და სხვა წყაროებით ნაკლებად ცნობილი როგორც ისლამამდელი, ისე ისლამური დინასტიების შესახებ.

¹ 83. تاريخ جهان آراء، مؤلف قاضی احمد غفاری قزوینی، تهران، ۱۳۴۳، ب.

4. А. Стори, Персидская литература, Библиографический обзор, Переработан и дополнен Ю. Э. Брегель, М., 1, 1972, с. 408.

² შესწავლილი გვაქვს „თარხ-ე ჯაჰან-არას“ სტრუქტურული აღნაგობა (იხ. ნ. გელაშვილი, XVI ს. სპარსულენოვან ისტორიულ თხზულებათა სტრუქტურის საკითხისათვის, სამეცნიერო სესია, „წერილობითი ისტორიული წყაროების შესწავლისა და გამოცემის აქტუალური პრობლემები, მოხსენებთა თეზისები, ბათუმი, 1965, 17—19.X).

„თარხ-ე ჯაჰან-არა“-მ, როგორც ჩანს, იმთავითვე მოიბოვა პოპულარობა; ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ისეთი თვალსაჩინო ისტორიკოსი, როგორცაა ჰასან რუმლუ თავისი ნაშრომის შედგენისას იყენებდა ყადი აჰმედ ლაფარის ამ თხზულებას³. პოპულარობით აიხსნება ის ფაქტიც, რომ შემონახულია „თარხ-ე ჯაჰან-არა“-ს მრავალი ხელნაწერი, რომლებიც დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა სიძველეთსაცავში: ბრიტანეთის მუზეუმში, ბოდლის ზიბლიოთეკაში, სტამბოლის, თეირანის ბიბლიოთეკებში და სხვა. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია თხზულების სტამბოლის ხელნაწერის საფუძველზე განხორციელებული თეირანისეული გამოცემა ჰასან ნირაყის რედაქციით.

„თარხ-ე ჯაჰან-არა“ დაწერილია სადა სასაუბრო ენით, იგი განტვირთულია ზედმეტად ღვარჰნილი ფრაზებისაგან, რაც საერთოდ დამახასიათებელია შუა საუკუნეების ისტორიკოსთათვის. „თარხ-ე ჯაჰან-არა“-ს ტექსტის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ლაფარისათვის დამახასიათებელია ლაკონურობა. ყველა მოვლენას ის აღწერს სხარტად, მოკლედ, მაგრამ ამასთანავე საოცარი სიზუსტით, ამომწურავად და, რაც მთავარია, ზუსტი ქრონოლოგიის ჩვენებით. ლაფარის თხრობის სტილი XVI საუკუნის სხვა სპარსელ ისტორიკოსებთან შედარებით (მაგალითად, ხონდემირის, შაჰ ისმაილ I-ის ანონიმის, ჰასან რუმლუს, შერეფ-ხან ბითლისის, მაჰმუდ ნათნაზის თხზულებები) რამდენადმე შორალად წარმოგვიდგება. გადმოცემის ჩვეულ სტილს ავტორი მხოლოდ იმ შემთხვევაში ღალატობს, როდესაც იგი უშუალოდ შაჰის პიროვნებაზე და მის წინაპრებზე საუბრობს, ანდა იქ, სადაც ამას რელიგიური მოსაზრებანი მოითხოვენ. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ლაფარი შეძლებისდაგვარად ობიექტურად აშუქებს მისი დროის ისტორიულ მოვლენებს.

„თარხ-ე ჯაჰან-არა“ შედგენილია შუა საუკუნეების აღმოსავლური ისტორიოგრაფიის კანონების მიხედვით. ისევე როგორც XVI საუკუნის საისტორიო თხზულებათა უმეტესობა, იგი შედგება შესავლისაგან, სამი ძირითადი თავისაგან (თითოეული, თავის მხრივ, დანაწევრებულია კიდევ სხვადასხვა ქვეთავად, რომელთაც თავისი დასახელებები აქვთ) და დასკვნისაგან.

ჩვენთვის საინტერესო საკითხები თავმოყრილია ნაწარმოების მესამე თავში, რომელსაც ეწოდება „სეფიანები“. აქ ავტორი თავდაპირველად გვაცნობს სეფიანთა დინასტიის გენეალოგიას, შემდეგ კი შაჰ ისმაილ I და შაჰ თამაზ ზეობის პერიოდს.

სეფიანთა გენეალოგიის შესახებ არსებული ცნობებიდან შევჩებით ერთს, რომელიც დაკავშირებულია ქართველების მიერ ქ. არღებილის დარბევასთან XIII საუკუნის დამდეგს⁴.

ყადი აჰმედ ლაფარის გადმოცემით, „სეფიანი ყოთბ-ედ-დინი იმ სოფელში (გელბურანში — **ვ. გ.**) ცხოვრობდა მანამ, სანამ ქართველთა ლაშქარი იმ ვილაიეთის სატახტო ქალაქში მივიდოდა. მისმა უდიდებულესობამ თანამზრა-

³ ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუფურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 9.

⁴ არღებილზე ქართველთა თავდასხმის და ქრონოლოგიის შესახებ აზრობს სხვადასხვაობაა. რ. კიკნაძის აზრით, ეს მოხდა ჰიჯრის 601 წლის შავალის თვეში (1205 წ. 22 მაისი) ქ. არღებილის გამგებლის მიერ ანისის აოხრების საპასუხოდ (დაწერ. იბ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975, გვ. 121—129).

ზევლებთან ერთად ქალაქს მიაშურა და იქ მიიმალა. ქართველმა აზნაურებმა ზოცვა-ჟღერტვა გააჩადეს. უცებ, ერთ-ერთი იმ წყეულთაგანი სეიდს შეეფეთა, ხმალი კისერზე დაჭრა მის უწმინდესობას და იგი გვამებს შორის დაეცა. ღამით ერთ-ერთმა მუსლიმმა ნახა იგი და სახლში შეიყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ სეიდი იმ ჭრილობისაგან განიკურნა. გარკვეული ხანის შემდეგ კი სამოთხეში მოხვდა⁵.

აღნიშნული შემთხვევა მოთხრობილია სხვა სპარსულ წყაროებშიც (იბნ ალ-ბაზაზის „საფვათ ას-საფა“, ხონდემირის „ჰაბიბ ას-სიიარ“, ზეინ ალ-აბედინ ალის „თაქმილათ ალ-ახბარ“, ანონიმური „ალამ-არაიე შაჰ ისმაილ“, ი.ქანდერ მუნშის „თარიხ-ე ალამ-არაი-ე აბასი“), სადაც ძირითადად ერთნაირადაა წარმოდგენილი ქართველთა მიერ არღებების დარბევისა და შეიხის დაჭრის ამბავი. გამონაკლისია ამ მხრივ შაჰ ისმაილ I-ის ანონიმის თხზულება. მასში მოტანილი ვერსიის თანახმად, ქართველთა მიერ მიყენებული ჭრილობა შეიხისათვის სასიკვდილო აღმოჩნდა⁶. სხვა სპარსულ წყაროთა მიხედვით კი დაჭრილი ყოთბ-ედ-დინი მალე გამოჯანსაღდა.

აღნიშნულ თავში („სეფიანები“) ესაა ერთადერთი ცნობა საქართველოს შესახებ, რომელიც ეხება ავტორის მოღვაწეობის წინარე ხანას, დანარჩენი მასალა — XVI საუკუნის ისტორიულ სინამდვილეს; ყადი აჰმედ ლაფარი უწინარეს ყოვლისა მოგვითხრობს ყიზილბაში მთავარსარდლის დიე-სულთან რუმულს ლაშქრობის შესახებ საქართველოში 1521 წელს. იგი ვადმოგვცემს: -გველის 927 წლის რაბი ალ-ალავის 2 რიცხვში, ორშაბათს⁷ დიე-სულთანი ნახჭევანში დაბანაკდა (და შემდეგ) ლაშქრით საქართველოსკენ გაემართა. (ძან) იქაური სარდლები, როგორიცაა ლევანი, ყვარყვარე და დაუდი⁸ ბეილ-ქანში ქვეყნიარების საფარველთან მიიყვანა⁹. ანალოგიურად, მაგრამ გაცილებით ვრცელადაა მოთხრობილი ეს ამბავი სხვა სპარსულ წყაროებში (ხონდემირის, ბუდა ყაზვინის, შაჰ ისმაილ I-ის ანონიმის, შერეფ-ხან ბითლისისა და ზეინალ-აბედინ ალის თხზულებებში)¹⁰. მთვან, ქართველ მეფე-მთავართა ჩამოთვლისას, რომელნიც შაჰს მორჩილებისათვის ეახლნენ, მხოლოდ ხონდემირთანაა მოხსენიებული სამცხის ათაბაგი მანუჩარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარსელი ისტორიკოსები, ჰასან რუმულს გარდა, ხსენებულ ფაქტს ათარილებზე ჰიჯრის 927 წლით, ე. ი. 1512 წლით, სინამდვილეში კი ქართველმა მეფე-მთავრებმა შაჰ ისმაილ I-ს მორჩილება აღუთქვეს 1518 წელს¹¹.

მოკლედ შევხებით დიე სულთნის 1518 წლის ლაშქრობას საქართველოში. ეს იყო მისი მეორე შემოსევა, როდესაც იგი ათაბაგ ყვარყვარესთან ერთად გაემართა საქართველოსკენ, რათა შაჰის ბრძანების თანახმად, ამ უკანასკნელის

⁵ თარიხ-ე ჯაჰან-არა, გვ. 258—259.

⁶ عالم آرای شاه اسماعیل ۱، مقدمه و تصحیح و تعالیف اصغر منتظر صاحب، تهران، ۱۳۴۹.

⁷ აღნიშნული თარიღი შეესაბამება ევროპული წელთაღრიცხვის 1521 წ. 10 თებერვალს.

⁸ ივულისხმებიან: კახეთის მეფე ლევან II (1518—1574), სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი ყვარყვარე III (1516—1535) და ქართლის მეფე დავით X (1505—1525).

⁹ თარიხ-ე ჯაჰან-არა, გვ. 279.

¹⁰ დაწვრ. ყიზილბაშთა 1518, 1521 წწ. ლაშქრობათა შესახებ იხ. დ. კაციტაძე, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (შაჰ ისმაილ I საქართველოში ლაშქრობის საკითხისათვის), თსუ შრომები, ტ. 108, 1966, გვ. 385—394.

¹¹ ჰასან რუმულს ცნობები, რ. კიენაჰის შენიშვნა 45, გვ. 54—55.

მართველობა განემტკიცებინა სამცხეში. როგორც ცნობილია, ყვარყვარეს ზეღისუფლებაში ეცილებოდა მისი ბიძა მანუჩარი¹². მართალია, ყვარყვარემ, ყიზილბაშთა დახმარებით, გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ 1518 წ. იგი შაჰ ისმაილთან გამოცხადდა.²³ ისტორიკოსი ამის მიზეზს არ ასახელებს. სამწუხაროდ, ვერც ქართული წყაროებით ხერხდება აღნიშნული ფაქტის შემოწმება. როგორც ჩანს, მიზეზი მაინც დახმარების თხოვნა იყო, ვინაიდან შაჰ ისმაილმა ყვარყვარე დიე-სულთანთან ერთად გამოისტუმრა საქართველოში. ამჯერად ყიზილბაშებმა გორი და სურამი აიღეს. იმავე პერიოდში დავით მეფემ ქართლის აოხრებისაგან გადარჩენის მიზნით ირანის მბრძანებელს თავისი ვაჟის რამაზის ხელით ძღვენი გაუგზავნა. ქართული წყაროების თანახმად, შაჰმა ქართლის უფლისწული დაასაჩუქრა და გამოისტუმრა, ქართლის მეფეს კი ზავი აღუთქვა¹⁴.

ასე რომ, ყიზილბაშთა 1518 წლის ლაშქრობის შედეგად „ქართლი და საათაბაგო (აგრეთვე კახეთი XVI საუკუნის დამდეგიდან) ირანის ვასალები გახდნენ. ეს ვასალური დამოკიდებულება იმაში გამოიხატებოდა, რომ ყიზილბაშები მათ შინაურ საქმეებში არ ჩაეროდნენ, მაგრამ ქართველ მეფე-მთავრებს ხარკი უნდა ეხდათ შაჰისათვის. ამასთანავე, საქართველოს ახლომახლო ადგილებში ომის შემთხვევაში, ისინი ლაშქრით უნდა გამოსულიყვნენ ყიზილბაშთა დასახმარებლად¹⁵.

ქართველი მეფე-მთავრები, ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ანტიირანული ბრძოლის წამომწყები ლევან მეფე გახდა. 1521 წელს იგი დიდი ლაშქრით შაქზე თავდასასხმელად გაემართა. იქაურმა გამგებელმა, რომელიც ირანის ვასალი იყო, დახმარებისათვის შაჰ ისმაილს მიმართა. ამ უქანასკნელმა არ დააყოვნა და დიე-სულთან რუმლუ გაგზავნა ლევანის წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი დამარცხების შემდეგ შაქში ყიზილბაშთა სარდალი უკვე მესამედ გამოემართა საქართველოსკენ, სწორედ ამ წლის (1521 წ.) ლაშქრობაზეა საუბარი ლეონტი მთხვარის თხზულებაში (ისევე როგორც დანარჩენ სპარსულ წყაროებში), მხოლოდ სხვა მოვლენებთან კავშირში. ამ მხრივ დამაჯერებელია მხოლოდ ჰასან რუმლუს ცნობა, რომლის თანახმად 1521 წლის ლაშქრობა გამოწვეული იყო ლევან მეფის შაქზე თავდასხმით და იქაური გამგებლის მიერ შაჰ ისმაილისათვის დახმარების თხოვნით. დიე სულთანმა გადალახა იორი, ალაზანი, დაარბია ზაგემი და გრემი. ლევან მეფე იძულებული გახდა მტერს დამორჩილებოდა. ქართლი კი დავითის მეთაურობით ბრძოლას განაგრძობდა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის¹⁶. მისი დამორჩილების მიზნით 1522 წელს ვახუშტის სიტყვით, „წარმოემართა შაჰ ისმაილ ყაენი“. შეშფოთებულმა დავითმა მას დაზავება სთხოვა. ისმაილმა სამაგიეროდ სჯულის გამოცვლა მოსთხოვა მას, რაზეც უარი

¹² დაწვრი. მათი ქიშპობის შესახებ იხ. ქრ. შარაშვიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 99—101, 134—138.

¹³ ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 21.

¹⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 569; ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 492.

¹⁵ ვ. ვაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958, გვ. 261—262.

¹⁶ ვ. გუჩუა, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 100.

შილო¹⁷. რადგან შეთანხმება არ შედგა, ყიზილბაშები წამოვიდნენ და თბილისის ციხისთავის მოსყიდვით ქალაქი ხელთ იგდეს, თბილისის აოხრების შემდეგ ყიზილბაშებმა სამცხე-საათაბაგო დაარბიეს და უკან გაბრუნდნენ¹⁸.

ასეთი იყო დივ-სულთან რუმელს 1521 წლის საქართველოში ლაშქრობის შედეგები. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არსებული სპარსული წყაროებიდან მხოლოდ შაჰ ისმაილ I-ის ანონიმთან არის აღწერილი პირადად შაჰ ისმაილის მიერ კახეთის დარბევის ფაქტი¹⁹.

საქართველოს შესახებ არსებული სხვა ცნობებიდან ლაფარის თხზულებაში თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი შაჰ თამაზ I ოთხივე შემოსევა ზუსტი თარიღების მითითებით.

947 წლის (ხარის წლის) ამბების თხრობისას ლაფარი აღნიშნავს, რომ „გაზაფხულზე ძღვევამოსილი დროშები თბილისისაკენ დაიძრნენ. იქაურობა და ქალაქის სანახები დაიპყრეს, რის შემდეგაც თავრიზში დაბრუნდნენ“²⁰.

ხსენებული შემოსევის შესახებ ვრცელადაა მოთხრობილი როგორც სპარსულ, ისე ქართულ საისტორიო თხზულებებში²¹. შაჰ თამაზის ამ ლაშქრობის მთავარი შედეგი ის იყო, რომ ყიზილბაშები თბილისს დაეუფლნენ. მართალია, ქართლის მეფე ლუარსაბი (1527—1556) ხელთ ვერ იგდეს, მაგრამ თბილისს აღება უკვე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

რაც შეეხება ამ ლაშქრობის თარიღს, სპარსულ წყაროებში (ჰასან რუმელუ, ისქანდერ მუნში) მითითებული ჰიჯრის 947 წ. (1540/41), ლაფარისთან დაკონკრეტებულია: 1541 წ. გაზაფხული. ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ 1541 წელია მიღებული შაჰ თამაზის პირველი შემოსევის თარიღად. ქართულ საისტორიო წყაროებში კი სხვადასხვაგვარადაა მითითებული ეს თარიღი (მაგალითად — ვახუშტი ბატონიშვილთან — 1536 წ, ქართლის ცხოვრების გეგმელებში — უთარილოდაა; კინკლოსებში კი, სპარსულ წყაროთა შესაბამისად — 1541 წ.)²².

შაჰ თამაზის მეორე შემოსევის შესახებ ლაფარი მოგვითხრობს, რომ „ცხენის 953 წ. (1546/47 წ.) ძღვევამოსილი დროშები საქართველოს მიმართულებით აფრიალდნენ და საქართველოში მივიდნენ, ზამთრის უმეტესი ნაწილი იმ ქვეყნის დაპყრობასა და ურჯულოთა თავიდან მოცილებას მოანდომეს. შემდეგ ყარაბაღში ინებეს წაბრძანება“²³.

ხსენებული ლაშქრობის დროს ყიზილბაშებმა დაარბიეს ჯავახეთი. შემდეგ ქვემო ქართლს შეესივნენ. უკან მიმავალ შაჰ თამაზს იმერეთის მეფე ბაგრატ

¹⁷ ვახუშტი, გვ. 397.

¹⁸ ვახუშტი, გვ. 398—399; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, 1959, თბ., გვ. 356; ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი III, გვ. 495.

¹⁹ ბ. გელაშვილი, ცნობები საქართველოს შესახებ სპარსულ ისტორიულ თხზულებაში „ალამ-არაი-ე შაჰ ისმაილ“, მაცნე, ისტორიის სერია, 1984, 3, გვ. 18—31.

²⁰ თარიხ-ე ჯაჰან-არა, გვ. 294.

²¹ ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, გვ. 496—497; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1925, გვ. 212—213; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუფურიძემ, თბ., 1969, გვ. 15—16.

²² ვახუშტი, გვ. 402; ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, გვ. 496; მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჟ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 38.

²³ თარიხ-ე ჯაჰან-არა, გვ. 296;

(1510—1565) და კახეთის მეფე ლევანი ეახლნენ. ჰასან რუმლუს გადმოცემით, რომელიც თავად მონაწილეობდა ამ ლაშქრობაში, შაჰმა ქართველი მეფეები უხვად დააჯილდოვა და თავ-თავიანთ სამეფოებში გაისტუმრა²⁴. ანალოგიური ცნობებია სხვა სპარსულ წყაროებშიც (შერეფ-ხან ბითლისის, ისქანდერ მუნშის საისტორიო ნაწარმოებებში) და აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში²⁵.

ამრიგად, იმერეთისა და კახეთის მეფეებმა შაჰს მორჩილება აღუთქვეს. ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლას კი მხოლოდ ქართლის მეფე ლუარსაბი განაგრძობდა; 1551 წ. შაქში მყოფ შაჰ თამაზს ათაბაგ ქაიხოსროსაგან (1545—1573) ცნობა მოუვიდა იმის თაობაზე, რომ ლუარსაბმა სამცხის ბევრი ადგილი დაიპყრო და შველას ითხოვდა. „რა სცნა ესე შაჰ თამაზ, შაქისი რომ დაიპყრო, ჯარი ისევე ჰყვანდა მოუშლელად, წარმოემართა და მოგება ათაბაგი ქაიხოსრო წინა, წარუძღვა და მიიყვანა სამცხედ“²⁶. შაჰ თამაზის ამ მესამე ლაშქრობაზე საქართველოში ლაფარი ჩვეულებებისამებრ მოკლე ცნობას გვაწვდის, კერძოდ: „ღორის 958 წ. (1551 წ.) უმაღლესი ლაშქარი საქართველოსკენ გაემართა და თმოგვის ციხე²⁷ დაიპყრო. სწორედ იმ დროს ლაშქარში ზოგიერთებს შავი ჭირი აღმოაჩნდათ და ბრძანების თანახმად ისინი გაავადეს. მისმა უდიდებულესობამ ყარაბაღის ყარაღაჯში გამოიზამთრა“²⁸. ანალოგიურად, მაგრამ გაცილებით ვრცლად და ხატოვნად აღწერილია ეს ლაშქრობა ჰასან რუმლუს და ისქანდერ მუნშის მიერ. სწორედ მაშინ ააოხრეს ყიზილბაშებმა ვარძიის ციხე-სიმაგრე, უამრავი სიმიდრე, ოქრო-ვერცხლი, ხატები მტრის ხელთ აღმოჩნდა. მონასტრის რკინისა და ოქროს კარებიც კი ჩამოხსნეს და შაჰის ხაზინაში გაგზავნეს. გამარჯვებულმა შაჰ თამაზმა (თუმცა დიდი ზარალის საფასურად). საათაბაგო ქაიხოსროს დაუმორჩილა. მასვე გადასცა ლორე და ბამბეკი, რის შემდეგაც უკან გაბრუნდა²⁹.

შაჰ თამაზს მოსვენებას არ აძლევდა მეფე ლუარსაბის დაუმორჩილებლობა და 1554 წ. კიდევ ერთხელ, ამჯერად საბოლოოდ ილაშქრა საქართველოში. ლაფარის გადმოცემით, „ჯიქის 961 წ. შაბანის თვის ბოლოს ხონთქარი³⁰ ნახჭევანში მივიდა, 2 დღის შემდეგ, იმავე თვის 27 რიცხვში³¹ იგი უკან გაბრუნდა, ძლევამოსილ დროშებს კი საქართველოსკენ წასვლა ებრძანათ. შათ დაახლოებით ერთ თვეს დაჰყვეს ყვარყვარესა და შავშეთის³² მხარეში, მთელი რამაზანი³³ ურჯულოთა ხოცვა-ჟლეტვით იყვნენ დაკავებულნი. ხონთქარი ამ დროს არზრუმში იმყოფებოდა. ამირთა ერთი ჯგუფი, რომელიც

24 ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 26.

25 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 213.

26 ბერი ეგნატაშვილი, გვ. 364.

27 ტექსტში ګ مو; ჰასან რუმლუსთან ګ مو ისქანდერ მუნშისთან. ګ مو

28 თარის-ე ჯაჰან-არა, გვ. 300.

29 ბერი ეგნატაშვილი, გვ. 364; ახალი ქართლის ცხოვრების III ტექსტი, გვ. 586; ვახუშტი, გვ. 716.

30 ოსმალეთის სულთანი სულეიმან კანუნი (1520—1566).

31 961 წ. შაბანის 27 შეესაბამება 1554 წ. 17 ივლისს.

32 ტექსტში ګ شاد; საფიქრებელია, რომ ლაფარის მხედველობაში აქვს შავშეთი — ს.მხრეთ საქართველოს ისტორიული პუნქტი.

33 რამაზანი ჰიჯრის 961 წ. = 1554 წ. 20, VII—18, VIII.

ოლთისის ციხეზე³⁴ მიემართებოდა, ეს [ლაშქრობა] მიუღებლად ჩათვალა და ყანლუჩემანში დაბრუნდა. სინანბეგი, ხონტქრის დაახლოებული პირი [ყიზილბაშებმა] შეიპყრეს და სასახლეში გაგზავნეს. მისმა უდიდებულესობამაც სპა ყანლუჩემანში გაგზავნა. ვინაიდან რუმის დიდებულებმა იმ დროს ურთიერთობის გაუმჯობესების ინიციატივა გამოიჩინეს, ამის საფუძველზე მისმა უდიდებულესობამ სინან-ბეგი შეიწყალა და შაჰყული-ბეგ ყაჯართან ერთად ხონტქართან გაგზავნა. იქიდან [ყიზილბაშები] საქართველოში ლუარსაბის სამფლობელოსკენ გაემართნენ. დაახლოებით 30 ათასი მცირეწლოვანი და სრულწლოვანი ტყვედ იგდეს და იქვე გამოიზამთრეს³⁵.

ჰასან რუმლუსა და ისქანდერ მუნშის ცნობით, ამ ლაშქრობის დროს ყიზილბაშებმა ჯერ საბარათიანო დაიკავეს, შემდეგ გორის, მძორეთის და ატენის ციხეებს შეესივნენ. ვრცლად მოგვითხრობენ ისინი ლუარსაბ მეფის დატყვევების შესახებ ატენის ციხის ალყის დროს³⁶.

ლაფარი, როგორც ვნახეთ, ზემოაღნიშნულ ციხეებს არ მოიხსენიებს. სამაგიეროდ სხვა საყურადღებო დეტალებს უმატებს. ჯერ ერთი, იგი გვაძლევს ზუსტ თარიღს შაჰ თამაზის მიერ საქართველოს დარბევის შესახებ — 1554 წ. ივლის-აგვისტო. ამასთანავე ნაჩვენებია ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომის (1514—1555 წწ.) უკანასკნელი ეტაპის მომენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლაფარის ეს ცნობა ანალოგიას პოულობს ოსმალთა ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის (1574—1651) საისტორიო თხზულების შესაბამის ადგილებთან, კერძოდ, იმავე თარიღებით მოთხრობილია სულთან სულეიმანის მიერ ყარაბაღის და ნახჭევანის დარბევა, შემდეგ მისი უკან გაბრუნება, სამხრეთ საქართველოში ყიზილბაშთა შეჭრა და ოლთისის ციხეზე ლაშქრობა³⁷. რაც შეეხება ყიზილბაშთა მიერ ოსმალთა სინან-ბეგის შეპყრობის ამბავს, მის შესახებ თვით შაჰ თამაზი მოგვითხრობს „თეზქერე“-ში იქ, სადაც გაცკრით მოიხსენიებს საქართველოში მეოთხე ლაშქრობის შესახებ. მისი სიტყვით: „სინან-ბეგი შაჰყული აღას გავაყოლე, ზავის თაობაზე დიდებულ ხონტქარს წერილი მიგწერე. ვწერდი, რომ, მართალია, დიდებულმა ხონტქარმა ჩემს მიმართ სიკვამლე ჩაიდინა, მაგრამ ჩვენ სამაგიეროს სიკეთით ვუხდით და ზავს ვიღებთ მეოთხე ელჩები რომ გავისტუმრე, ლუარსაბის გურჯისტანზე გავილაშქრეთ“³⁸.

ქართულ საისტორიო წყაროებში შაჰ თამაზის უკანასკნელი შემოსევა დათარიღებულია 1556 წ.³⁹, რაც სიმაართლეს არ შეესაბამება. მართალია, ყიზილბაშებმა ილაშქრეს აღნიშნულ წელს საქართველოში, მაგრამ მაშინ სულ სხვა მოვლენებს ჰქონდა ადგილი.

³⁴ ტექსტში **الطی**-ეს უნდა იყოს ოლთისი — იმიერ ტაოში მდებარე ძველი ქართული ჭალაქი, გაშენებული ორივე ნაპირზე ოლთისის (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი, III, თბ., 1958, გვ. 595). ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

³⁵ თარიხ-ე ჯაჰან-არა, გვ. 302.

³⁶ ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 32; ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 20.

³⁷ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 28—30.

³⁸ შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976, გვ. 53.

³⁹ ბერი ეგნატაშვილი, გვ. 365; ახალი ქართლის ცხოვრების III ტექსტი, გვ. 506; ვახუშტი, გვ. 405.

ირანისა და ოსმალეთთან გაუთავებელმა ომებმა საქართველო უკიდურესად დაასუსტა. მიიმე იყო საქართველოსათვის 1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში დადებული ირან-ოსმალეთის ზავის შედეგები⁴⁰. ქვეყანა გაჩანაგდა და გაპარტახდა და, რაც მთავარია, თბილისი ყიზილბაშთა ხელთ იყო. ქართლის ახალი მეფის სიმონ I-ის (1556—1569; 1578—1600) უპირველეს ამოცანას სწორედ თბილისის განთავისუფლება წარმოადგენდა. მაგრამ იმ დროისათვის მას ფაქტობრივად მართო უხდებოდა ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, ვინაიდან ლევან მეფე თავისი ჩვეული მიხერხებული დიპლომატიით მოქმედებდა და ბრძოლაში არ ერეოდა. უფრო მეტიც, ვინაიდან ლევანს მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული ქართლში ყიზილბაშთა შემოსევებში, ეშინოდა შაჰს ეს წიხეზად არ გამოეყენებინა და შური არ ეძია. ამიტომ ერთგულების დასაწტიცებლად, ლევანმა 1556 წ. თავისი ვაჟი იესე გაგზავნა შაჰთან დიდი ძღვენით. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, იესე შაჰ თამაზს ეახლა „ძღუენითა და ტყვეთა ქალ-ყრმითა და აუწყა თვისი არა რისა შეცოდება“⁴¹. შაჰ თამაზმა იგი მძევლად დაიტოვა და ცოტა მოგვიანებით რჯულიც შეაცვლევინა. საამისო ცნობები მოიპოვება ლაფარის თხზულებაში: „მიამუნის 967 წ. ჯომადი ალ-ავალის 15 რიცხვში, სამშაბათს⁴², საქართველოს მბრძანებლის ლევანის ვაჟი ისა-ხანი ისლამის მიღებით გაბედნიერდა და ქვეყნიერების საფარველმა მას წყალობის თვალთ დაუწყო მგერა. იმ დროს ამბობდნენ: „იესე ლევანის ძე მუსლიმი გახდა გულწრფელადო“⁴³. საფიქრებელია, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა ლაფარიმ ბუღა ყაზვინის თხზულებიდან ამოიღო. რ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ ხსენებული ფრაზა ეკუთვნის ბუღა ყაზვინს. ავტორს იგი გამოყენებული აქვს იესეს გამუსლიმების დასათარიღებლად. კერძოდ, ამ ფრაზის ცალკეული ასოების (სპარსული) რიცხვითი მნიშვნელობის შეკრება იძლევა იგივე თარიღს, რომელიც ჰასან რუმელუს თხზულებაშია — 967 წ. (1559. 3.X—1560.21.IX)⁴⁴. ანალოგიური ცნობებია იესეს გამუსლიმებაზე სხვა სპარსულ წყაროებშიც⁴⁵. მაგრამ ზემოხსენებული ციტირებული ლექსიდან მხოლოდ ყაზვინისა და ლაფარის თხზულებაშია.

საქართველოში ამ დროს სიმონ მეფე ვადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ. დახმარებისათვის მან ლევან მეფეს მიმართა. ამ უკანასკნელმა ჩვეული სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინა: ქართლის მეფეს დასახმარებლად თავისი ვაჟი გიორგი გაუგზავნა, რათა საჭიროების შემთხვევაში შაჰის წინაშე გასასამართლებელი საბუთი ჰქონოდა⁴⁶. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ დროისათვის ლევანის ვაჟი უკვე გამუსლიმებული იყო. ალბათ, ამიტომ აღარ მოერიდა იგი ყიზილბაშებს და გიორგი მიაშველა ქართლის მეფეს. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, შეუტყობინებელი არ დარჩებოდა

40 დაწვრ. ამ ზავის შესახებ იხ. ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 335—336; აგრეთვე დასახელებული ქართული თუ სპარსული წყაროები.

41 ვახუშტი, გვ. 575.

42 ევროპული წელთაღრიცხვით 1560 წ. 12 თებერვალი.

43 თარიხ-ე ჯაჰან-არა, გვ. 306.

44 ჰასან რუმელუს ცნობები, რ. კიკნაძის შენიშვნა 88, გვ. 64.

45 იქვე, გვ. 35; შერეფ-ხან ბთილისის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ასოლოლოგოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 171; ისქანდერ მუწუშის ცნობები, გვ. 28.

46 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1947, გვ. 262.

იწინააღმდეგებოდა მყოფ იესეს. მან, როგორც ჩანს, შაჰის შურისძიების შიშით გაქცევა სცადა. მაგრამ იგი შეიპყრეს და შაჰის ბრძანებით ალამუთის ციხეში წაიყვანა. ამის შესახებ ვრცლად მოგვითხრობენ ბუღა ყაზვინი და შერაფ-ხან ბითლისი⁴⁷. ლაფარის თხზულებაში კი არაფერია თქმული იესეს შემდგომი ბედის შესახებ.

რაც შეეხება ლევანის მეორე ვაჟს გიორგის, ყიზილბაშებთან ბრძოლა მისთვის საბედისწერო გამოდგა. ყიზილბაშებმა დროულად გაიგეს ქართველთა განზრახვა თბილისის განთავისუფლების თაობაზე, ყარაბაღის მმართველი შაჰ-ვერდი ზიიად ოღლი დიდი ჯარით გამოემართა თბილისში მყოფ ყიზილბაშთა დასახმარებლად. მტერმა მოახერხა დამით თბილისის ციხეში შესვლა და 1561 წ. 6 აპრილს აღდგომის დილას მოულოდნელად თავს დაესხა ქართველებს. ხელჩართულ ბრძოლაში მოკლეს კახეთის უფლისწული გიორგი, რამაც კახელთა რაზმში არეულობა გამოიწვია. ამით ისარგებლეს სპარსელებმა და გამარჯვება ადვილად მოიპოვეს. სიმონ მეფე იძულებული გახდა გორში გადასულიყო⁴⁸.

გიორგის დაღუპვის შესახებ მოკლე ცნობას გვაწვდის ლაფარი: „ქათმის 968 წელს შაბანის 16 რიცხვში⁴⁹ ლევან ქართველის ვაჟი გიორგი შაჰვერდი სულთან ზიიად-ოღლისთან ბრძოლაში მოკლულ იქნა. იმ დროს, როდესაც რუმის ელჩები სამოთხისებურად მოკაზმულ მეჯლისზე იყვნენ, თავები და რჩეული ქართველი ტყვეების სხეულები მის უმაღლესობას წარუდგინეს“⁵⁰. ანავე თარიღით მოგვითხრობენ ჰასან რუმლუ და ისქანდერ მუნში შაჰვერდი სულთანის მიერ სიმონის დამარცხებასა და უფლისწულ გიორგის მოკვლის შესახებ⁵¹.

ციხედიდის ბრძოლაში გამარჯვებული ყიზილბაშები თბილისში დაბრუნდნენ და იქ გამაგრდნენ. სიმონ მეფე იმედს არ კარგავდა და გორიდან (სადაც ის დამარცხების შემდეგ გადავიდა) ბრძოლას განაგრძობდა დამპყრობელთა წინააღმდეგ. შექმნილ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ სიმონ მეფის ძმა დავითი, რომელიც სამეფო ტახტის დაუფლებას ცდილობდა, მეფეს ვაზუდგა და თავის მომხრე თავადებთან ერთად 1562 წ. შაჰ თამაზს ყაზვინში ეახლა. მან იქ სარწმუნოება გამოიცვალა და დაუდხანად იწოდა. ჯილდოდ შაჰმა მას შვილის წოდება უბოძა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამაგებლობა მისცა და საქართველოში გამოისტუმრა⁵². მსგავს ცნობებს ვხვდებით ლაფარის თხზულებაშიც. ავტორის ვადმოცემით, „965 წლის რაბი ალ-სანი 20 რიცხვში⁵³ დავუდ-ბეგი, საქართველოს მბრძანებლის ლუარსაბის ვაჟი, შაჰს ეახლა და გამუსლიმდა. სამაგიეროდ თბილისის მმართველობა და ხანის წოდება მიიღო“⁵⁴. ანალოგიური ცნობებია ჰასან რუმლუს-

47 კ. ტაბატაძე, შერაფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 170-172; ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 37.

48 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 217-218; ბერი ეგნატაშვილი, გვ. 367 ვახუშტი, გვ. 407; მცირე ქრონიკები, გვ. 44.

49 ქრისტიანული წელთაღრიცხვით: 1561 წლის 1 მაისი.

50 თარიხ-ე ჭაჰან-არა, გვ. 306.

51 ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 36; ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 23.

52 ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 218.

53 ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1561 წლის 28 დეკემბერი.

თან⁵⁵ და ისქანდერ მუნშისთან. ეს უკანასკნელი უმატებს, რომ დავითმა შვილის წოდება მიიღო⁵⁶.

ფარსადან გორგიჯანიძე და ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის ავტორი აღნიშნავენ, რომ დავითმა შვილის წოდება მიიღო⁵⁷, ბერი ეგნატაშვილის ვადმოცემით კი — ძმისა⁵⁸. ქართლის სამეფო დინასტიის წარმომადგენლის ზომბრობა, შაჰ თამაზმა ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა და ქართლის მიმართ პოლიტიკა შეცვალა. შვილის წოდების ბოძება ნიშნავდა იმას, რომ დავითი შაჰის მოხელე ხდებოდა. ეს იყო სეფიანების მიერ ქვემო ქართლის სახანოდ გადაქცევის პირველი ცდა, რომელიც მალე მარცხით დასრულდა⁵⁹.

ასეთია ის ცნობები სეფიანთა ირანისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, რომელთაც ლაფარის თხზულება შეიცავს. შესაძლებელია, ეს მასალა ნაკლებად ორიგინალურია, მაგრამ იგი საყურადღებოა ირანისა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ცალკეული მომენტების გაშუქების თვალსაზრისით; „თარიხ-ე ჯაჰან-არა“ გარკვეულად აცხადებს, ზოგ შემთხვევაში აზუსტებს კიდევ სხვა სპარსული თუ ქართული წყაროების მონაცემებს XVI ს-ის საქართველოს ისტორიის შესახებ.

Н. Г. ГЕЛЛАШВИЛИ

ИЗ ИСТОРИИ ВЗАИМООТНОШЕНИЙ СЕФЕВИДСКОГО ИРАНА И ГРУЗИИ

(в свете сведений Кади Ахмеда Гаффари)

Резюме

Статья посвящена изучению некоторых вопросов исторического сочинения видного представителя персидской историографии XVI века Кади Ахмеда Гаффари «Тарих-и джахан-ара» («Мироукрашающая история»). В частности, в работе освещены важные моменты из истории взаимоотношений сефевидского Ирана и Грузии. Сведения, почерпнутые из указанного сочинения, сопоставлены с данными, содержащимися в других источниках.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებამ

⁵⁵ ჰასან რუმლუს ცნობები, გვ. 37.

⁵⁶ ისქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 23—24.

⁵⁷ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 218; ახალი ქართლის ცხოვრების III ტექსტი, გვ. 512.

⁵⁸ ბერი ეგნატაშვილი, გვ. 367.

⁵⁹ ვ. გაბაშვილი, ქართული მიწისმფლობელობის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1955, გვ. 198; მისივე, ქართული ფეოდალური წყობილება, გვ. 31.

თამარ ბიჰაძე

რუსი დიპლომატის ცნობები შაჰ სეფის გამეფების შესახებ

წინამდებარე წერილი თემატურად ეხმიანება იმ მასალას, რომელიც ჟურნალ „მაცნეს“ 1987 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ სათაურით: „რუსული ცნობები 1632 წელს ქართველთა ანტიირანული გამოსვლის შესახებ“.

რუსეთის არქივებში დაცულმა საქართველოს ისტორიის ამსახველმა ცნობებმა კარგა ხანია მკვლევართა ინტერესი და ნდობა დაიმსახურეს, რითაც ჩვენი ქვეყნის წარსულის მთელი რიგი საკითხების დაზუსტებისა და გაშუქების საშუალება მისცეს მათ. ყოველთვის აღვნიშნავდით და აქაც გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ როგორც ნებისმიერ სხვა წყაროს, ისე რუსული საარქივო მასალის კრიტიკული ანალიზის გარეშე გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. სამეცნიერო ბრუნვაში მათ შეტანას წინ უნდა უსწრებდეს რმ თავწყაროს მიუყვებლობის დადგენა, საიდანაც ჩვენთვის საინტერესო ცნობები მომდინარეობს.

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ირანში დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ალექსი რომანჩუკოვის მოხსენებით ბარათში შემორჩენილ ცნობებთან, რომლებიც აშუქებენ შაჰ აბას I-ის გარდაცვალებისთანავე ისფაჰანში დაწყებულ შინაშლილობასა და ახალი შაჰის, სეფის, გამეფების საქმეში ჩრანელი ცნობილი სპასალარის როსტომ-ხან სააკაძის წვლილს.

მითითებული საკითხის ირგვლივ სპარსულ, თურქულ, ქართულ და ევროპულ ენებზე არსებობს არაერთი მითითება. უნდა ითქვას, რომ ყველა მათგანი შაჰ სეფის გამეფების ინიციატორად ასახელებს ისფაჰანის ტარულას, ქართველ ზატონიშვილს ხოსრო-მირზას, რომელიც მოგვიანებით, 1632 წლის გვიან შემოდგომაზე, მადლიერი შაჰ სეფის მიერ ქართლის ტახტზე იქნა დასმული როსტომ მეფის სახელით¹.

რუსი დიპლომატის ჩანაწერებში სხვა ვერსიას ვხვდებით. მისი მიხედვით შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ ახალი შაჰის გამეფების ინიციატორი იყო ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე. შეიძლება გვეფიქრა, რომ ალექსი რომანჩუკოვს, რომლისთვისაც, ბუნებრივია, უცხო იყო ირანის საშინაო ცხოვრების ლაბირინთებში გარკვევა, ინფორმაციის სიმრავლის გამო აერია ერთი და იმავე პერიოდში მოღვაწე ორი როსტომი: როსტომ-ხან სააკაძე და როსტომ მეფე (იგივე ხოსრო-მირზა). ჩვენი დაკვირვებით ეს ასე არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ტექსტში მითითებულია, რომ ლაპარაკია იმ როსტომ-ხანზე, რომელიც შაჰ აბასის გარდაცვალების დროს (ე. ი. 1629 წლის იანვარში) ფარაბატის ტარულა იყო, ხოლო რომანჩუკოვის ისფაჰანში ყოფნისას, 1637

¹ Н. Г. Гелашвили, И. К. Павлова, К вопросу о назначении Ростом-хана на картлийский престол, «Мацне», № 4, 1987, с. 88—94.

წელს, თავრიზის ბეგლარბეგი და ყველაზე ძლიერი სპასალარი? მეორეც, ხოსრო-მირზა ანუ როსტომ მეფე, ისფაჰანის ტარულა და ყულარაღასი იყო და თანაც 1637 წელს მკვიდრად იჯდა ქართლის ტახტზე, რაც არ შეიძლებოდა არა სკოღნოდა რუსეთისათვის საყურადღებო ინფორმაციის შეკრებით დაინტერესებულ რუს დიპლომატს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით შაჰ სეფის გამეფების საქმეში როსტომ-ხან სააკაძის როლი სხვა წყაროებით არ დასტურდება, ა. რომანჩუკოვის მოხსენებითი ბარათის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი გამოქვეყნება, თუნდაც იმიტომ, რომ მკვლევართათვის ცნობილი გახდეს განსხვავებული აზრის არსებობა მითითებულ საკითხზე. რუსული მასალის მოტანამდე მოკლედ შევეხებით რუსეთის მთავრობის მიერ 1636 წელს ირანში გაგზავნილი ა. რომანჩუკოვის მისიას.

1633 წელს მოსკოვს ეწვია ჰოლშტინის ელჩობა ფილიპ კრუხესა და ოტო ბრუგემანის მეთაურობით. მათ ევალეზოდან ეწარმოებინათ მოლაპარაკება რუსეთის გავლით ჰოლშტინიაში ირანული აბრეშუმის გატანის საკითხებზე. გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემდეგ ელჩობა თავის ქვეყანაში გაბრუნდა ხელშეკრულების სარატიფიკაციოდ. 1635 წლის ოქტომბერში კრუხე და ბრუგემანი მეორედ ჩამოვიდნენ მოსკოვში მეფისათვის გაფორმებული სიგელის გადასაცემად და ირანში გასამგზავრებლად. მართლაც, 1636 წლის ივნისის ბოლოს ჰოლშტინის ელჩობა ვოლგით ირანს გაემგზავრა. სექტემბერში მათ ასტრახანში დაეწია ცნობილი რუსი დიაკის, სავა რომანჩუკოვის ვაჟი, ალექსი რომანჩუკოვი „მცირე ელჩის“ რანგით, რომელსაც ჰოლშტინის ელჩობის თანხლების გარდა შაჰისათვის რუსეთის მეფის წერილების გადაცემა და სათანადო ცნობების შეგროვება ევალებოდა².

ირანში ჩასვლისთანავე ა. რომანჩუკოვი ავად გახდა და დიდი ხნით მიეჯავა ლოგინს, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია თავისი მოვალეობის წარმატებით შესრულებაში. მან ისარგებლა იმით, რომ მისთვის საცხოვრებლად გამოყოფილი ბინა შაჰის კანცელარიის დიდმოხელის სახლის მეზობლად მდებარეობდა და ფარულად კავშირი დაამყარა მის ვაჟთან. ეს მოხელე აღმოჩნდა ის, „...ვისაც საგარეო საქმეები ეკითხებოდა, სახელად შარიფ-მირზა. მას ჰყავდა ვაჟი ულგულუ-ბეგი. სწორედ ეს ულგულუ-ბეგი მოდიოდა ხოლმე ავადმყოფი ალექსის სანახავად... ხოლო ალექსიმ, როგორც კი გაიგო, რომ იგი მირზას შვილი იყო (ხოლო ეს მირზა საელჩო საქმეებს განაგებდა), მისი ჯულის მოსაგებად და მომავალში კეთილურთიერთობის დასამყარებლად მას ომვეშაპის ეშვები აჩუქა და 4 წყვილი სისამურის ბეწვი, თითო ოც მანეთად ღირებული. მან (ულგულუ-ბეგმა — თ. ტ.) მიიღო ეს საჩუქრები, ალექსის თაყვანი სცა და უთხრა: როგორც კი შენი საქმე ჩემამდე ან მამაჩემამდე როვა მიბრძანე და რასაც გინდა, იმას გავაკეთებ...“-ო³.

² ძაიკსა, ფ. 77/1, 1636, № 1, ფურ. 109. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, წ. 11, თბ., 1925, გვ. 32; ვ. ფუთურიძე, ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, იხ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 292.

³ ვეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დამდ., თბ., 1940, გვ. 160, 171; პარიზის ქრონიკა, ზ. ვიჟინაძის გამოც., გვ. 49, 50.

⁴ М. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, с. 151.

⁵ ძაიკსა, ფ. 77/1, 1636, № 1, ფურ. 2, 4.

7. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1989, №2

რუსმა დიპლომატმა მას აგრძობინა, რომ თუ კი მისგან საჭირო ცნობებს მიიღებდა, არაფერს დაიშურებდა და თან ფიცი მისცა-საიდუმლოს არ გავაძეღანებო. რომანჩუკოვს ძვირი დაუჯდა დიდმოხელის ვაჟის მოსყიდვა, მაგრამ დანახარჯს თავისი გამართლება ჰქონდა. ულგულუ-ბეგი იპარავდა კანცელარიაში შესულ დოკუმენტებს, მოჰქონდა რუსეთის ელჩთან, იქ მათ მისი თანდასწრებით რუსულად თარგმნიდნენ და უკან მიჰქონდა ისინი. ყოველივე ეს იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ მკითხველისათვის ნათელი გამხდარიყო ინფორმაციის წყარო და მისი სანდოობა.

ოფიციალური დოკუმენტების გადაცემის გარდა ულგულუ-ბეგი ზეპირ ინფორმაციასაც აწვდიდა ა. რომანჩუკოვს, რომელთა უმეტესობის შემოწმება ადვილად ხერხდება სხვა წყაროებით, უმთავრესად პოლშტინიის ელჩობის წდივინს ადამ ოლეარიუსის ნაშრომით⁷.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს რუსული წყაროს განსხვავება დღეისათვის მეკლევართა ხელთ არსებული ქართული, სპარსული თუ ევროპული წყაროების მონაცემებისაგან, შეძლებისდაგვარად დავიმოწმებთ მათ.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ფ. გორგიჯანიძე წერდა: „ქორონიკონსა სამასცამეტსა (1625) შაჰ აბას ყაენი მიიცვალა და ისფ(ა)ჰ(ა)ნს როსტომ ჰეფის ცდით შაჰ სეფი ყაენი გახელმწიფდა და ქართველთ დრო დაიცეს და უპატრონობა თქვეს და ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“⁸.

ფარსადან გორგიჯანიძისვე მიხედვით: „...შააბაზ მაზანდარას მიიცვალა და როსტომ მეფემ ისფაჰანში შაჰ სეფი გააყაენა და ჰამადანის ქვეყანაში ხონთქარის ვეზირ აზამს ხოსროვ ფაშა შეება და გაემარჯვა...“⁹.

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „...შემდგომად მოკულა შაჰ-აბაზ ყეენი ქს. ჩქკმ, ქრ. ტივ, თათრულსა ჩლმ, დაიწყეს ყიზილბაშთა შფოთებად, მაშინ ხოსრო-მირზამ შემოიკრიბნა ყულნი, გამოიყვანა შაჰ-სეფი და დასვა ყეენად და მოსრნა წინა-აღმდგომნი: მიერით-გან უწოდებდა ყეენი მამად ხოსროს...“¹⁰.

შაჰის კარის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ასე გადმოგვცემს ამ ფაქტს: „...ამ სამეფო სახლის რამდენიმე უხუცესმა, რომლებიც აქ სახლებლად იყვნენ განწესებულნი, განსაკუთრებით აბდულ-ყასემ-ბეგ-ეივა ოღლიმ, რომელიც წმინდა რწმენის სუფიების ჯგუფიდან ერთგული ეშიაღასიბაში იყო, საქართველოს ვალის ბაგრატ-ხანის ძმასთან, ხოსროვ-მირზასთან ერთად, სატახტო ქალაქ ისფაჰანის ჰაქიმი რომ იყო, ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად და იმ უზარმაზარი ქალაქის სიწყყნარის შენარჩუნების მიზნით... უავგუსტოსობის ტახტზე აყვანა, ამ გარდაუვალი მოვლენის გამო, გლოვასა და მწუხარებაზე

⁶ ძაცსა, ფ. 77/1, 1636, № 1, ფურ. 7.

⁷ Подробное описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах, составленное секретарем посольства Адамом Олеариум. Перевел с немецкого Павел Барсов, М., 1870.

⁸ ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 48.

⁹ იქვე, გვ. 61.

¹⁰ საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, თბ., 1913, გვ. 69.

უმნიშვნელოვანეს და უპირატეს საქმედ მიიჩნიეს...¹¹. იმავეს ადასტურებს შაჰ აბასისა და შაჰ სეფის კარის მოხელე მუჰამედ მასუმი¹².

კარმელიტების ქრონიკა ეხება რა შაჰ აბასის გარდაცვალებას, მიუთითებს, რომ „ხოსრო მირზა „კრიტიკულ მომენტში“ მშვიდად და დიდი მოხერხებით მარათვდა ისფაჰანს“, „იგი პირველი იყო, რომელმაც ახალი მმრძანებელი დასვა ტახტზე“¹³. ავითბილეს თქმით, როსტომ-ხანმა ანუ ხოსრო-მირზამ „...ეს შაჰი... დასვა სპარსეთის სამეფო ტახტზე, თუმცა ზოგიერთი წინააღმდეგობა შეხვდა სპარსელებისაგან, რომელთაც სხვა შაჰის დასმა უნდოდათ...“¹⁴.

ახლა მოვუსმინოთ ალექსი რომანჩუკოს:

«Генваря ж в 8 день пришли из Софы и начевали на крымсарае Шоскере¹⁵, а делала тот крымсарай шах Басова сестра именем Шоскер¹⁶, 66 сажень длиннику, а поперешинику тож, и бани каменные, и воды приводные. А нынешней шах Сефий у той своей бабы (sic) убил трех сынов до смерти, а её сослал в Кашан по насоре матери своей¹⁷. Мать его насорила на неё, что бутто отец его убит от шах Баса по её совету потому, что шах Бас во всём её совета слушал¹⁸. А как шах Баса не стало и она шесть недалъ смерть его таила. А в те поры был дарагою в фарабате что ныне

¹¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართულ თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურაძემ, თბ., 1969, გვ. 146.

¹² მუჰამედ მასუმის მიხედვით: „...ასეთი სასწრაფო კორონაციის მიზეზი იყო როსტომხანის შიში შიდა არეულობა არ დაწყებულყო დედაქალაქში არსებული დაჯგუფებების გამო (Н. Г. Гелашвили, И. К. Павлова, დასახ. ნაშრომი, გვ. 89).

¹³ კ. კუცია ა. ისფაჰანის ქართველი ტბრულები (1618—1722), იბ. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, II, თბ., 1972, გვ. 96.

¹⁴ დონ პიეტრო ავიტაბილი, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეკან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ. 46.

¹⁵ ივლისხებება ხოშქარუს ქარვასლა, რომელშიც პოლშტინიის ელჩობა და მისი თანმხლები ა. რომანჩუკოვი ორჯერ შეჩერდნენ, ირანში წასვლისას 1637 წ. ივლისში და გაჰობრუნებისას, 1638 წ. იანვარში. შესაძარებლად მოიყვანათ ოლეარიუსის მიერ ქარვასლის აღწერას: „...ეს ქარვასლა საკმაოდ ფართოა, ძალიან კარგადაა გარკვეული წესით აგებული ოთხკუთხედი ქვებისგან, მრავალი თალიანი ოთახით და თავლით. მის შუაგულში ფართო ეზოა და ქვებით ამოყვანილი ქედი. მთავარ შენობაში ქვის ამღლებული ადგილია, ისე, რომ მაზედ ასეა მხოლოდ საფეხურებით შეიძლება...“ (А. Олеарий, დასახ. ნაშრომი, გვ. 642).

¹⁶ შაჰ აბას I-ის დის შოსკერის შესახებ სხვა წყაროებში ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. რაც შეეხება ქარვასლის ამგების ვინაობას ოლეარიუსი წერს: „...ჩვენ გვიამბეს, რომ რომელიღაც მდიდარი ხანი, რომელმაც რაღაცა დააშავა შაჰ აბასის დროს, იძულებული იყო თავისი სიცოცხლის გადასარჩენად მოგზაურთათვის საუკეთესო ქარვასლა აეშენებინა...“ (А. Олеарий, დასახ. ნაშრომი, გვ. 624).

¹⁷ ცნობილია, რომ შაჰ სეფიმ შვილები და ქმარი მოუკლა თავის მამიდას (და არა პაპიდას), ისა-ხან ყორჩიზაშის ცოლს, შაჰ აბასის ქალიშვილს (თ. ნატროშვილი, მასობიუთი მალრიბამდე, თბ., 1974, გვ. 238). ცნობილია ისიც, რომ შაჰ სეფიმ სამი ვაჟი მოუკლა იმამყული-ხან უნდომაქს, მაგრამ მისი ცოლი იყო თუ არა შაჰ აბასის ქალიშვილი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

¹⁸ როგორც ვხედავთ, ა. რომანჩუკოვის მონაცემებით შაჰ სეფის დედა თავისი ქმრის, შაჰ აბასის ვაჟის მკვლელობას აბრალებს შაჰ აბასის დას, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონია ირანის მმრძანებელზე. ნასროლა ფალსაფი მიუთითებს: „...შაჰ სეფიმ... იმამყული-ხანი თავისი შვილებით დახოცა: მათი თავები კი შაჰმა თავის დედას გაუგზავნა, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა იმამყული-ხანის მოკვლით...“ (ისქანდერ მუნ-

Урустам хан Теврисской над всеми войском сибасалою, всегда стоит на границе против турского войска. И тот Урустам хан прибежав в Ыспогань поставил шах Сефия на государство. А шах Сефия став на государство, сам ушел в Оллакапы и сидел в Оллакапе 6 недель, бояс убойства и завоуду изменничья. А она, Шескер, в то время всю землю уговаривала с Урустем ханом. А в те поры шах дал Урустаму ханство и сибасалою его учинил. И нился сильным сибасалою и он в те поры пришедши с ханакак тот Урустам всех ханов подвел под свою руку и учинился сильным сибасалою и он в те поры пришедши с ханами шаха вынул из Аллакапы. А после шах Баса остался курчибаш, а был шаху зять, на дочери его женат.

А у шаха по всей земле три сардара: курчибашей да сибасала да куларагасы. И ныне стал сибасала первой. Пот сибасалою ханы: ширванской, генжинской, тефлинской, в Грузинской земле, реванской, ардевильской, лорийской, агаханмогодам кочевой, кошковонской, талышской, тожкескерской, босчалунской, фоминской да салтаны, кои собою владеют, не под ханами: кумикой, саравской, испирлинской, чюмичкезаявской, чевной, шахсовенской, агарской. А о кроме тех салтанов салтаны под ханами по три и по четыре под иными.

Под ширванским ханом: дербенской, ряшской, саянской, курцкой, алпауцкой. У генжинского: копанской, худоферинской, даңгилской, отуспаринской, бярдинской, 2 кочевных также и у иных ханов салтана по два и по три.

Курчибаш владел ханами: мещецким, геринским, морчанским, старобацким, марыгорода и лютчерским, а при шах Басе под его ж рукою были: кондагарской и багдацкой и ширазской.

Куларагасы владеет шаховыми кулы, а в которую сторону поедет на службу, и в той стороне ханы под его рукою живут. И после шах Абас(а), шах Сефий дяде своему курчибашью головы отсек, да Мамгулы хану Шеразскому и Курмынскому и Халыбскому да Зелен хану да Исуп Аге, которые всею землею у шах Абаса владели и все совет на них шахов лежал¹⁹.

А сказывают, что их казнил по духовной шах Басовой же. А отдал де тое духовную Урустам хану ж, а велел после себя три года спустя отдать шах Сефию. А как отдал Урустам хан и шах прочетши их безвинно казнил, а Зелен хана своими руками ссек ево ж саблею.»²⁰

¹⁹ ში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტის გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბ., 1981, გვ. 34).

²⁰ მ. სენაიძის გამოკვლევით შაჰ აბას პირველზე დიდ ზეგავლენას ახდენდა მისი მამიდა, დედით ქართველი ზეინაბ ბეგუმი, მაგრამ მისი შოსკერთან გაიგივების საფუძველი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ შაჰ სეფის გამეფების საქმეში ქართველმა ქალებმაც დიდი როლი შეასრულეს. ეს ვარაუდი მომავალში კვლევას მოითხოვს (მ. სენაიძე, ქართველი ქალები შაჰ-აბასის კარზე, „ლიტერატურული საქართველო“, 17 იანვარი, 1986).

¹⁹ მოხსენიებული ფაქტები სავსებით დასტურდება სხვა წყაროებით.

²⁰ შაჰ აბას I-ის მიერ თავისი შვილიშვილის სამ-მირზას (შემდგომში შაჰ სეფის) სასარ-

მოყვანილი ნაწყვეტის გარდა მითითებულ მოხსენებით ბარათში სხვაც ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული, მაგრამ საკითხები, რომლებსაც ისინი აშუქებენ, სცილდება ჩვენი კვლევის სფეროს.

ალექსი რომანჩუკოვი თითქმის ბოლომდე ახლდა თან პოლშტინის ელჩობას. უკან დაბრუნებისას, ასტრახანში მან შეიტყო, რომ მეფე მიხეილ თევდორეს ძე ძალზე უკმაყოფილო იყო მისი კეთილი ურთიერთობით ელჩ ოტობრუგემანთან, რომლის მიერ ხელისუფლებისათვის შეთავაზებული პროექტი კასპიისპირეთის პროვინციების დაპყრობის შესახებ იმჟამად მიუღებელი იყო შავრობისათვის. ამას შეეძლო ირანთან ურთიერთობის გათვლება, რაც არასასურველი იქნებოდა რუსეთისათვის. შეშინებულმა რუსმა დიპლომატმა თავი მოიკლა²¹.

Т. Г. ТИВАДЗЕ

СВЕДЕНИЯ РУССКОГО ДИПЛОМАТА О ВОЦАРЕНИИ В ИРАНЕ ШАХА СЕФИ

Резюме

В 1636 г. вместе с голштинскими послами Ф. Крузе и О. Бругеманом в Иран был отправлен посланник А. Романчуков, которому поручалось передать шаху Сефи грамоты царя Михаила Федоровича и собрать интересующие правительство сведения. Отчет А. Романчукова хранится в ЦГАДА (ф. 77, оп. I, 1636, д. № 1).

Наряду с другими интересными данными в указанном отчете сохранился материал, освещающий картину, созданную в Исфахане после смерти шаха Аббаса I, и роль иранского спасалара Ростом-хана Саакадзе в возведении на шахский престол царевича Сам-Мирзы (шах-Сефи).

Несмотря на то, что пока не все данные русского дипломата подтверждаются другими источниками, мы сочли нужным ознакомить с ними заинтересованный круг исследователей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ

გებლოდ ანდერძის დატოვებაზე მიუთითებს სომეხი ისტორიკოსი ზაქარია სარკაჯავი: „...შაჰ აბასმა ანდერძად დაუბარა თავის შვილიშვილს, რომელიც ირანის ტახტზე ასვლის შემდეგ შაჰ სეფის სახელით გახდა ცნობილი, ჩამოეშორებინა სახელმწიფოში აღზევებულნი პირნი, რათა ახალგაზრდა ხელმწიფისათვის ზიანი არ მიეყენებინათ...“ (თ. ნატროშვილი, მ. შრიყით მღორბამდე, გვ. 196). არქანჯელო ლამბერტის ცნობით, შაჰ აბასს თავისი ანდერძის განხორციელება მიუღწევია ზოსრო-მირზასათვის (იქვე, გვ. 237). იმავეს აღასტურებს მუჰამედ მასუმიც (Н. Г. Гелашвили, И. К. Павлова, დასახ. ნაშრომი, გვ. 89). მითითებულ წყაროებში ანდერძის სისრულეში მოყვანის ვადა მითითებული არ არის.

²¹ М. Полиевктов, Европейские путешественники... с. 201.

მე-6 კვანძი

ქრონოლოგიის საკითხები პარლან არეველის „მსოფლიო ისტორიაში“

ისტორია დროით იზომება. ჩვენი გარემომცველი სამყარო განუწყვეტელ მოძრაობაშია. არაფერია მასში მუდმივი და უცვლელი, ყველაფერი მოძრაობს და განიცდის ცვლებადობას. ყველა ეს ცვლილება მიმდინარეობს დროში, რომელიც მატერიის არსებობის ერთ-ერთი ფორმაა¹. ადამიანთა მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული დროსთან. ისტორიული დრო ის კატეგორიაა, რომელიც აკავშირებს ან აცალკევებს ისტორიულ მოვლენებს. ამ მოვლენების შეფასება, მათი ურთიერთკავშირების დადგენა, მათი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესწავლა შეუძლებელია დროის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის გარეშე². დროის ათვლის სისტემის შემუშავება ყოველთვის იყო კაცობრიობის ერთ-ერთი პირველი ამოცანა. არც ერთი მოვლენა არ შეიძლება გაგებული და ახსნილი იქნეს დროის გაუთვალისწინებლად, არც ერთი ისტორიული ფაქტის განხილვა არ შეიძლება დროისა და სივრცის გარეშე³. ფაქტი ისტორიულად ითვლება თუკი შესაძლებელია მისი განსაზღვრა არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც. ისტორიულ ქრონოლოგიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული მეცნიერებისათვის. ისტორიული ქრონოლოგიის მეშვეობით დგინდება დროის მონაკვეთი ისტორიულ ფაქტსა და ჩვენს შორის, იცვლება ისტორიულ წყაროთა ქრონოლოგიური მონაცემები ჩვენი წელთაღრიცხვის ერთეულებით⁴. თითოეული კონკრეტული ისტორიული ფაქტისათვის ადგილის მიჩენას ქრონოლოგიური თვალსზრისით თავისთავადი ღირებულება აქვს. ისტორიული ფაქტის სიზუსტე თუ უზუსტობა შესაბამისად მოქმედებს მასთან დაკავშირებული მოვლენების ქრონოლოგიაზე⁵.

ძველი სომხების დროის ათვლის სისტემა ისეთივე იყო, როგორც ეგვიპტელებისა. ძველი სომხური წელიწადი შედგებოდა 12 თვისაგან, თითოეულ თვეში კი 30 დღე იყო. წლის ბოლოს ემატებოდა კიდევ 5 დღე. წელიწადი შედგებოდა 365 დღისაგან. ასეთი კალენდარული სისტემა სომხეთში ირანიდან შემოვიდა⁶.

¹ С. И. Селешников. История календаря и хронология, М., 1977, с. 11; В. В. Цыбульский, Календари и хронология стран мира, М., 1962, с. 3.

² А. П. Пронштейн, В. Я. Кияшко. Хронология, М., 1981, с. 73.

³ И. П. Ермолаев, Историческая хронология, Казань, 1980, с. 3.

⁴ Э. Бикерман, Хронология древнего мира, М., 1975, с. 7.

⁵ ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, — „ცისკარი“, 1976, № 1, გვ. 118.

⁶ Е. И. Каменцева, Хронология, М., 1967, с. 66.

XIII საუკუნის სომეხი ავტორის ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“ მდიდარია ქრონოლოგიური მონაცემებით. ვარდანი იყენებს დათარიღების სამ წესს: 1) შედარებითი ქრონოლოგია; 2) ქრისტეს დაბადებიდან; 3) სომხური წელთაღრიცხვა.

დათარიღების უმარტივესი და უძველესი ხერხია შედარებითი ქრონოლოგია, რომელიც არ საჭიროებს სპეციალურ ქრონოლოგიურ სისტემას. ქრონოლოგიის ამ წესით ათვლა ხდება მხოლოდ დროის ცნობილი მომენტიდან, იგი გასაგებია მხოლოდ ზუსტ თარიღთან კავშირში⁷. შედარებითი ქრონოლოგიის ვარდანი უმეტესად თხზულების დასაწყისში იყენებს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: ეგვიპტეში X დინასტიის დროს, ისააკის მეფობის 72-ე წელს გამეფდა აპისი⁸; თავისი მეფობის 2ე-8 წელს ნაბუქოდონოსორმა ტყვედ ჩაიგდო იეზონია⁹.

დათარიღების მეორე წესსაც ვარდანი თხზულების დასაწყისში იყენებს. ქრისტეს დაბადებიდან დათარიღების შემთხვევები შედარებით ნაკლებია. მაგალითად: ქრისტეს დაბადებიდან 33-ე წელს გარდაიცვალა სპარსეთის მეფე არშაცირი¹⁰.

თხზულებაში ყველაზე ხშირად გვხვდება დათარიღება სომხური წელთაღრიცხვით. დათარიღების ეს წესი საერთოდ გაბატონებულია შუა საუკუნეთა სომხურ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, მხოლოდ სომხური წელთაღრიცხვით დათარიღებას იძლევა კირაკოს განძაკეცი თავის „სომხეთის ისტორიაში“.

ვარდან არეველცი დიდ ყურადღებას აქცევს მოვლენათა დროში განსაზღვრას. ყოველი ფაქტი თუ მოვლენა მას მეტ-ნაკლებად ზუსტ ქრონოლოგიურ საზღვრებში აქვს მოქცეული. ვარდანის თხზულებას ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემისას ახასიათებს მტკიცე ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა. ერთი და იმავე თარიღის შიგნით მემატთანე გადმოსცემს არა ერთ, არამედ რამდენსამე ქვეყანაში მომხდარ ფაქტსა თუ მოვლენას. მაგალითად, 1118 წლის ქვეშ ვარდანი ეხება იერუსალიმში, სპარსეთში, საქართველოში ამ წელს მომხდარ მოვლენებს: 1) 1118 წ. გარდაიცვალა იერუსალიმის გამგებელი ბალდუინი; 2) 1118 წ. გარდაიცვალა სპარსეთის სულთანი დაპარი, რომელმაც სიკვდილის წინ ბრძანა თავისი პირველი ცოლის მოკვლა; 3) ამ დროს გაძლიერდა საქართველოს მეფე დავითი, რომელმაც მუსლიმანთაგან ვაათაიისუფლა თბილისი; 4) ამ დღეებში ქალაქ ანისს განაგებდა მანუჩეს ვაჟი აბულასვარი, რომელსაც სურდა ქალაქი 60 000 დინარად მიეყიდა ყარსის ამირისათვის¹¹.

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ ცნობები მნიშვნელოვანი და უნიკალურია XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური საკითხების კვლევისათვის. ამ პერიოდში საქართველომ დაიწყო ბრძოლა მეზო-

⁷ А. П. Пронштейн, В. Я. Кияшко, Хронология, с. 72; Э. Бикерман. Хронология древнего мира, с. 57.

⁸ *Մեծին Վահանայ Բարբաբիւրեղեյով. Պատմութիւն տիեզերական, Մուսկայ.* 1861, გვ. 37 (ქვემოთ: ვარდანი).

⁹ ვარდანი, გვ. 39.

¹⁰ იქვე, გვ. 49.

¹¹ იქვე, გვ. 155—156.

ბელი სომხეთის სელჩუქთაგან გასათავისუფლებლად. ეს ბრძოლები წარმატებით დასრულდა, რის შედეგადაც ჩრდილო-აღმოსავლეთი სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა¹². საქართველოში მრავალ დამკვიდრდა უცხოელთა თარეშებით განაწამები, მშობლიური ქვეყნიდან აყრილი სომეხური მოსახლეობა. ბუნებრივია, მეტისმეტად იზრდება ისტორიული სომხეთის ფარგლებში და მის გარეთ მცხოვრებ სომეხ ისტორიკოსთა ინტერესი საქართველოს მიმართ. ეს კი იწვევს სომეხურ საისტორიო მწერლობაში კიდევ უფრო უხვი ცნობების გაჩენას, რომლებიც მეტად საყურადღებოა საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების, მათ შორის ქრონოლოგიის შესასწავლად¹³.

1. ვარდან არეველი გვაწვდის ცნობას დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შესახებ. მისი თქმით, დავითმა „იმეფა 33 წელიწადი, გარდაიცვალა თბილისში და დაკრძალულია გელათში წინაპართა სასაფლაოზე“¹⁴. ვარდანის შემთხვევაში უზუსტობას უშვებს. დავითმა როგორც ცნობილია, 36 წელი იმეფა. დავითი რომ გარდაიცვალა, ქართველი მემატიანის სიტყვით, „იყო მამონ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდასხუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი. ხოლო მეფობდა ოცდათექვსმეტ წელ“¹⁵.

2. 1130 წ. ქვეშ ვარდანს შემდეგი ამბავი აქვს მოთხრობილი: „ივანე აბულეთის ძემ მოისურვა დემეტრესა და მისი ძმის გიორგის მოკვლა. მამამისი აბულეთი მის წინაშე თეთრ წვერს იგლეჯდა და უკრძალავდა ამას. ისინი დანანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის რაღაც ხრიკების გამო, რაც გაიგო დემეტრემ... 1131 წ. ივანე აბულეთის ძემ ილაშქრა გარნისს... მეორე წელს დემეტრემ მზაკვრობით მოაკვლევინა მამაცი ივანე“¹⁶. ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე ეჭვი შეიტანა ამ ცნობის სისწორეში და გამოთქვა ორი სხვადასხვა პოსაზრება. ჯერ ერთი, მან ივარაუდა, რომ უფლისწული დემეტრე I-ის ძე დავითი უნდა ყოფილიყო; და მეორე, მისი აზრით, ვარდანს მხედველობაში ჰყავდა ყივჩაღთა მთავრის ასულისაგან შობილი დემეტრეს ნახევარძმა, ან დემეტრეს ბიძაშვილი, დავით აღმაშენებლის იმ ძმის შვილი, რომელსაც მათე ურპაეცის სიტყვით თოტორმე რქმევია¹⁷. ჯ. სტეფნაძე არ ეთანხმება ი. ჯავახიშვილს ამ ცნობის გაგებაში და აჯანყებულ უფლისწულად მიიჩნევს დავით აღმაშენებლის მეორე ვაჟს ცვატას, რომელსაც რეალურად არსებულ პიროვნებად თვლის¹⁸. რ. მეტრეველი იზიარებს მოსაზრებას, რომ ვარდანის მიერ მოხსენიებული უფლისწული დავითია¹⁹. მისაღები ჩანს შეხედულება იმის

¹² ჯაქ ტიციკოვიჩი აკობიძე, *სტეფანოს*, 1972, გვ. 240—241.

¹³ ა. აბდლაძე. XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 138.

¹⁴ ვარდანო, გვ. 157.

¹⁵ ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. — ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1955, გვ. 362—363. იხ. აგრეთვე, რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი. თბ., 1986, გვ. 28.

¹⁶ ვარდანო, გვ. 160.

¹⁷ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თხზულებები, II, თბ., 1983, გვ. 224.

¹⁸ ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს და XIII ს-ის I მეოთხედში, თბ., 1985, გვ. 69.

¹⁹ რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 116.

შესახებ, რომ ვარდანთან დასახელებული უფლისწული არის დავით აღმაშენებლის ვაჟი, დემეტრეს ძმა, რომელსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი²⁰ და ვახუშტი ბატონიშვილი²¹ უწოდებენ ვახტანგს, ხოლო დავითის 1125 წ. ანდერძში²² და დავითის სვინაქსარულ ცხოვრებაში ცვატა ეწოდება²³. ვარდანის ცნობათა საშუალებით ირკვევა, რომ ივანე იბრძვის დემეტრეს წინააღმდეგ არა პირადი განზრახვით, არამედ დემეტრეს ძმისათვის, რომელიც ეძიებდა მეფობას. ვარდანის თქმით, დმანისის ციხეში მყოფი ივანე ეუბნება დემეტრეს: „მე ხელში ჩაგვიდევ შენ შენი ძმა, მეფობა რომ სურდა, რომელიც შეიპყრო (მეფემ), თვალები დასთხარა და გაუშვა“²⁴.

ივანე აბულეთის ძის შეთქმულების თარიღი არ არის დადგენილი. ქართულ წყაროებში არ მოიპოვება ცნობები ივანეს გამოსვლის შესახებ დემეტრე I-ის წინააღმდეგ 30-იან წლებში. მხოლოდ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიაზე გვაწვდის მოკლე ცნობას დემეტრეს მიერ ივანეს მოკვლის შესახებ („დემეტრემ აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკვეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა“²⁵). ვარდანისა და ქართველი ისტორიკოსის თარიღები შორიშორს დგას ერთმანეთისაგან. ვარდანი 1132 წ. ასახელებს, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიაზე — 1145 წ. ამის გამო, ზოგიერთ მკვლევარს გაუჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვარდანი შეცდომით სხვადასხვა თარიღს ქვეშ (1130 და 1132) გადმოგვცემს ერთ წელს მომხდარ მოვლენებს. მას, ისევე როგორც ქართველ მემატიაწესს, მხედველობაში აქვს ერთი და იგივე მოვლენები. გ. ნადირაძის აზრით, 1145 წ. დემეტრემ ერთდროულად თვალები დასთხარა აჯანყებულ უფლისწულს და თავი მოჰკვეთა ივანეს²⁶.

ამ მოვლენების ქრონოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამუელ ანეცის ორ ცნობას: 1) 1137 წ. დემეტრემ დაატყვევა აბულეთი და ივანე და 2) 1145 წ. დემეტრემ მოკლა ივანე. იმავე წელს მოვიდა ამირების თავი და 40 დღის განმავლობაში ალყა შემოარტყა ციხე-სიმაგრე ტაუშს, აიღო ის²⁷. სამუელ ანეცის ამ ცნობის სიზუსტე მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ამ ციხე-სიმაგრის აღება მართლაც მოხდა 1145 წ.²⁸ სამუელ ანეცისა და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაწესის ცნობები საცესებით ემთხვევა ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ა. მარგარიანი უარყოფს ვარდანისეულ თარიღებს

²⁰ ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, გვ. 337.

²¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. — ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 159.

²² ანდერძი წმინდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა. — თ. ეორდანი. ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897, გვ. 51; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. ი. დოლიძის რედაქტორობით, თბ., 1965, გვ. 19.

²³ ე. გაბიაშვილი ტექსტში ნახსენებ ცვატას კითხვობს, როგორც ცოტა (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, თბ., 1968, გვ. 280—283).

²⁴ ვარდანი, გვ. 160.

²⁵ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაზე. — ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 238.

²⁶ გ. ნადირაძე, ნიკოლოზ ურბნელი საქართველოს ისტორიის მკვლევარი, თბ., 1973, გვ. 67—68.

²⁷ А. Г. Маргарян, К истории и хронологии внутриклассовой борьбы в Грузии и Северной Армении в 30—50-х гг. XII в. В кн.: Кавказ и Византия, вып. I. Ереван, 1979, с. 62.

²⁸ ჟ. Ալիշահ, Հայաստան, Բ. Բ. Վենետիկ, 1901, გვ. 386.

და ასკენის, რომ ივანე აბულეთის ძის შეთქმულება 1137 წ. მოხდა, ხოლო მისი დასჯა 1145 წელს²⁹.

შესაძლებლად მიგვაჩნია, მიღებულ იქნეს ივანე აბულეთის ძის შეთქმულების ვარდანისეული თარიღი — 1130 წ. მისი უარყოფელი ან შემავსებელი ცნობა ჯერჯერობით არ არსებობს. სამუელ ანეცი მხოლოდ აღნიშნავს, რომ დემეტრემ დაატყვევა ივანე აბულეთი. აქ არაფერია ნათქვამი შეთქმულების შესახებ, შეიძლება არსებობდეს მათი დატყვევების სხვა მიზეზიც. ამდენად, ვარდანის თხზულება ერთადერთი წყაროა XII ს. 30-იანი წლების საქართველოში შინაპოლიტიკური ბრძოლის შესასწავლად. შეთქმულების შემდეგ ივანე აბულეთის ძემ, როგორც ჩანს, შეძლო თავის გამართლება და ამის შემდეგ ის ისევ ჩანს სარბიელზე, სახელდობრ, 1131 წელს ლაშქრობს გარნისს. შესაძლებელია, დემეტრემ ივანე სწორედ იმიტომ გაათავისუფლა, რომ მან ხელში ჩაუგდო მეფეს მოღალატე ძმა. დასაშვებია, დემეტრემ შეთქმულებაში მონაწილეობის დროს მისცა ივანეს უგუნებლობის ფიცი, რის საფასურადაც ჩაიგდო ხელში თავისი ძმა, მაგრამ შემდეგ მაინც მოაკვლევინა მოღალატე ფეოდალი³⁰, როგორც არა მოკლე ხანში, როგორც ვარდანი ამბობს, არამედ მოგვიანებით, 1145 წელს, როგორც თვლიან სამუელ ანეცი და ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე:

3. ვარდანი გვაწვდის დემეტრე I-ის გარდაცვალებისა და გიორგი III-ის ზეობის თარიღებს. მისი აზრით, „ქართველთა მეფე დემეტრე 32 წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა, ჭკვიანმა და კეთილმა დავითმა. მან ციხიდან გამოიყვანა მამის მიერ შეპყრობილი თირქაში, დააყენა მხედართმთავრად და მეორე თვეში გარდაიცვალა. ზოგი ამბობს, რომ იგი მოკლულ იქნა სუმბატ და ივანე ორბელების მზაკვრობის შედეგად, რადგან მათ აღვილას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ ის დანიშნავდა მათ მხედართმთავრად. 1156 წ. გიორგიმ მიიღო სამეფო გვირგვინი“³¹.

ვარდანისაგან განსხვავებით, ქართული წყაროს მიხედვით, დავითის გამეფებისას დემეტრე ცოცხალი ყოფილა. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით, „შეიმოსა ჩოკა და იკურთხა სქემითა“³² და ბერად შედგა დემეტრე. საქართველოს სამეფო ტახტს დაეუფლა დავითი. მის შესახებ საუბრობს საქართველო მემატიანე მხოლოდ ერთი წინადადებით კმაყოფილდება: „დასუეს მეფედ ძე მისი დავით, იმეფა ექუს თუე და მოკულა“³³. შემონახუნებული დემეტრე სამეფო ტახტს დაუბრუნდა და თავის თანამოსაყდრედ გიორგი III დაისვა. ამის შემდეგ დემეტრეს დიდხანს აღარ უტოცხლია³⁴. წერილობით წყაროებში დემეტრე I-ის გარდაცვალებისა და გიორგი III-ის გა-

²⁹ А. Г. Маргарян, К истории хронологии внутриклассовой борьбы в Грузии и Северной Армении, с. 62.

³⁰ მ. ლორთქიფანიძე, ანისისათვის ბრძოლის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში, — წიგნში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1970, გვ. 114.

³¹ ვარდანი, გვ. 165.

³² ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 366.

³³ იქვე.

³⁴ ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 226. З. Бунятов, Грузия и Ширван в первой половине XII века — წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 285.

შეფების სხვადასხვა თარიღი მოიპოვება. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიაზე ორ სხვადასხვა თარიღს ვგაწვდის: 1154 და 1155 წწ.³⁵ თამარის მეორე ისტორიკოსი 1155 წ. ასახელებს³⁶. სტეფანოს ორბელიანი დემეტრეს სიკვდილის თარიღად 1158 წ. სდებს³⁷. ქართულ კინკლოსებშიც სხვადასხვა თარიღია აღნიშნული — ხან 1150 წ., ხან 1156 წ.³⁸ ვარდანის თარიღს ადასტურებს სამთავისის საყდრის კედლის წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ გიორგი III 1156 წ. გამეფებულა³⁹. ამგვარად, მართლდება ვარდანის თარიღი. ამ თარიღებისა და წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე, დემეტრე ბერად შემდგარა 1154—1155 წწ. იმავე წელს გამეფებულა დავითი, რომელსაც 6 თვე უცოცხლია. დემეტრეს თანამოსაყდრედ გაუხდია გიორგი 1156 წელს, ხოლო თვითონ 1157 წ. გარდაცვლილა.

4. ვარდან არეველცი ვრცლად ეხება გიორგი III-ის ბრძოლას ქ. ანისისათვის. მეფე გიორგი საგარეო პოლიტიკაში დავით აღმაშენებლის კურსის გამგრძელებელი იყო და ცდილობდა მაჰმადიან დამპყრობთა განდევნას საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებიდან. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში აუცილებელი იყო ანისის პრობლემის გადაჭრა⁴⁰. ვარდანის თქმით, „1161 წ. ქართველთა მეფე გიორგიმ ანისი წაართვა ამირა ფადლონს, რომელმაც შეცვალა თავისი ძმა შადაიდი“⁴¹. ეს ცნობა მთლიანად ეთანხმება ქართულ, სომხურ და არაბულ წყაროებს. თამარის პირველი ისტორიკოსი მხოლოდ ანისის აღების ფაქტს გადმოგვცემს, მას თარიღი არა აქვს აღნიშნული⁴². სომეხი ისტორიკოსები მათე ურჰაეცი⁴³ და სტეფანოს ორბელიანი⁴⁴ ვარდანის მსგავსად ანისის აღების თარიღად 1161 წ. ასახელებენ. არაბი მემატიაანის იბნ ალ-ასირის ცნობიდან ირკვევა, რომ ანისის ბრძოლა უნდა მომხდარიყო 1161 წლის ივლის-აგვისტოში⁴⁵. ამრიგად, ვარდანისეული თარიღი ეთანხმება და ამოწმებს სხვა წერილობითი წყაროების მონაცემებს, ამიტომ ის სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს.

³⁵ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაზე, გვ. 366, 367.

³⁶ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი. — ქართლის ცხოვრება, ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1959, გვ. 115. იხ. აგრეთვე მ. ქადაგიძე, ქრონოლოგიის საკითხები თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში, — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 4, გვ. 140.

³⁷ *ჟათაიერქინ ნაანაიქნ სჩასაკან, არარხაქ შათქანნიიქ ორრესან არრეხაქიყიყიქ სჩანხაგ, რჩიქიქა*, 1910, გვ. 430.

³⁸ მეორე ქრონიკები. ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოლიშელმა. თბ., 1968, გვ. 23.

³⁹ გ. სოხაშვილი, სამთავისის ტაძარი. — „მაცნე“, 1968, № 3, გვ. 193.

⁴⁰ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 228; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. II მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 268; ბ. სილაგაძე. XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. — წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში, გვ. 108.

⁴¹ ვარდანის, გვ. 165.

⁴² ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი — ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 6.

⁴³ *შათრხიი იღჯაქეჩქ, ჭათანაკაყიორქინ, სრქიან*, 1973, გვ. 291.

⁴⁴ სტეფანოს ორბელიანი, გვ. 382.

⁴⁵ Материалы об истории Азербайджана из «Тарих-Ал-Камиль». Полного свода истории Ибн ал-Асира. Баку, 1940, с. 125.

ანისისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ანისის დაკარგვა მაჰმადიანი ამირებისათვის მეტად ძნელი საქმე იყო. ანისის გარეშე ისინი არათუ საქართველოზე თავდასხმას, საკუთარი სამფლობელოების შენარჩუნებასაც ვერ შეძლებდნენ⁴⁶. ამიტომ, ვარდანის ცნობით, „50 დღის შემდეგ მოვიდა შაჰ არმენი დიდი ლაშქრით, დაესხა თავს ქალაქს... რა ესმა ეს გიორგის, დაბრუნდა და ხმლით რამდენი მოსრა, ვერავენ გაიგო, მაგრამ ტყვედ ჩაივდო 41 ათასი კაცი“⁴⁷. ვარდანის ეს ცნობაც მთლიანად დასტურდება ზემოთ დასახელებული ქართული, სომხური და არაბული წყაროებით. მაჰმადიანი ამირები თავდამოდებით ებრძოდნენ საქართველოს ანისის გამო. მ. ბროსესა და ი. ჭავჭავიძის აზრით, მეფე გიორგი იძულებული გამხდარა 1165 წ. ანისი გადაეცა არსლანისათვის⁴⁸. ბ. სილაგაძე ვარდანის ცნობაზე დაყრდნობით ამ ფაქტს 1167 წლით ათარიღებს⁴⁹. ვარდანის მონათხრობით, 1163 წ. საქართველოში ლაშქრობის შემდეგ ილდეგიზი „ქართველთა მეფის შიშით თავზარდაცემული გაიქცა და მიატოვა ტყვეები და მთელი ავღა-დიღება. მან შეაგულიანა სულთანი არსლანი, ძე მაჰმუდისა, მოიყვანა ანისში და ოთხი წლის განმავლობაში ეპყრა ქალაქი უყურადღებოდ და მოუსვენრობაში, ვიდრე ქართველთა მეფე გიორგიმ არ მოიწვია სულთანი არსლანი და მისცა მას ანისი, რადგან პირადად არ შეეძლო შეენარჩუნებინა ის ურჯულოთა მრავალრიცხოვანი შემოსევების გამო“⁵⁰. თუკი მართლა არსლანი 1163 წლიდან მოყოლებული ოთხი წლის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა ქალაქს, ვიდრე არ მიიღო იგი, მაშინ გიორგის ანისი 1167 წ. (1163+4) უნდა დაეთმო.

ვარდანის ცნობით⁵¹, „1174 წ. მეფე გიორგიმ მეორედ აიღო ანისი“⁵². აქ თარიღის სანდოობას ადასტურებს ალ-ფარიკი, რომელიც 1174 წ. ამბებთან დაკავშირებით სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ქართველებმა ქ. ანისი თავის სამფლობელოს შემოუერთეს და იქ საკუთარი მმართველი დანიშნეს⁵³. ა. აბდლაძეს ეჭვი შეაქვს ამ თარიღის სიზუსტეში და მოჰყავს 1172—1173 წწ. სომხური ანდერძ-მინაწერის ცნობა, რომლის მიხედვით ივანე ორბელსა და მის მეუღლე რუსუდანს დიდი აღმშენებლობა უწარმოებით სხვადასხვა ადგილას და, კერძოდ, მათი საკუთარი ქალაქის გავარში და თვით ანისშიც. ივანესა და რუსუდანის მიერ ანისის საკუთარ ქალაქად მიჩნევა,

46 ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 237; ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შესახებ, გვ. 108.

47 ვარდანის, გვ. 165.

48 ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 237.

49 ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შესახებ, გვ. 112.

50 ვარდანის, გვ. 166—167.

51 ი. ჭავჭავიძის ვარდანის ცნობაზე მითითებით აღნიშნული აქვს, რომ გიორგი III-მ ანისი ხელახლა აიღო 1163 წ. (ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 239) მაგრამ ვარდანის მიერ დასახელებული სომხური წელთაღრიცხვის 623 წ. შეესაბამება არა 1173 წ., არამედ 1174 წ.

52 ვარდანის, 169.

53 Al-Fariqi, Tarikh Mayy Fariqin, V. Minorsky, Studies in Caucasian history. London, 1953, გვ. 96.

მკვლევრის აზრით, იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის ანისი საქართველოს სამეფოს ფარგლებშია⁵⁴. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთი ანდერძ-მინაწერის ცნობა საეპარხოსო არ უნდა იყოს ორი სანდოდ მიჩნეული ისტორიული წყაროს მონაცემების უარსაყოფად. ამრიგად, ანისის მეორედ აღების თარიღად მიჩნეულ უნდა იქნეს 1174 წ.

5. ვარდანი გვაწვდის გიორგი III-ის გარდაცვალების თარიღს. ის წერს: „1184 წ. უძეოდ გარდაიცვალა ქართველთა მეფე გიორგი. დავითის ძე დემნა დაბრმავებული და განადგურებული იყო. გვირგვინი მიიღო მისმა ასულმა თამარმა“⁵⁵. ვარდანის ამ თარიღის სიზუსტეს ადასტურებენ ქართული და სომხური წყაროები. ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანის სიტყვით, გიორგი III-ემ „იმეფა ოცდარვა წელი და მიიცვალა სტაგირს კახეთისასა თუესა მარტსა ოცდაშვიდსა სამშაბათსა ვნებისასა და დამარხეს მცხეთას ქამის სიძნელისაგან და მასვე წელსა გელათს წაიყვანეს“⁵⁶. ე. ი. გიორგი III გარდაიცვალა 1184 წლის 27 მარტს. მართლაც, 1184 წლის 27 მარტი სწორედ ვნების კვირის სამშაბათს მოდიოდა. გიორგის გარდაცვალებას ვნების კვირას ადასტურებს თამარის პირველი ისტორიკოსიც⁵⁷. გიორგი III-ის გარდაცვალების თარიღად 1184 წელს სდებენ სხვადასხვა ქართული კინკლოსები⁵⁸ და სტეფანოს ორბელიანი⁵⁹.

6. ვარდანი მოგვითხრობს ზაქარია და ივანე მხარგრძელების შესახებ. განსაკუთრებით ვრცლად ეხება მათ სამხედრო მოღვაწეობას, გვაწვდის საყურადღებო ქრონოლოგიურ მონაცემებს. ვარდანი ჩამოთვლის მხარგრძელთა მიერ შემოერთებულ ტერიტორიებს და წერს, რომ მათ „მოკლე დროში თანეანთი მამაცობით წაართვეს თურქებს ბევრი ციხე-სიმაგრე და მხარე: 1196 წ. აიღეს ამბერდი, 1199 წ. ანისი, 1201 წ. ბიჯნისი, 1203 წ. დვინი, 1206 წ. ყარსი“⁶⁰. ამბერდისა და ბიჯნისის აღებას ახსენებენ ლაშა გიორგის ისტორიკოსი⁶¹ და კირაკოს განძაყეცი⁶². მაგრამ თარიღს არც ერთი არ ასახელებს. ამდენად, ვარდანისეულ თარიღებს უნიკალური მნიშვნელობა ენიჭება და ისინი ერთხმად არის გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში⁶³.

1206 წ. ყარსის აღებას ეხმაურება თამარის პირველი ისტორიკოსი: „აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა. წარავლინა ლაშქარნი გარემოდგომად და ცნეს

54 ა. აბდალაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის, გვ. 141.

55 ვარდანი, გვ. 173.

56 ლაშა-გიორგის დროინდელი მემბტიანე, გვ. 367.

57 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 24.

58 მცირე ქრონიკები, გვ. 25, 26.

59 სტეფანოს ორბელიანი, გვ. 391.

60 ვარდანი, გვ. 181.

61 ლაშა-გიორგის დროინდელი მემბტიანე, გვ. 368.

62 *Կիրակոս Փանծակեցի, Պատմություն Բայոց, աշխատասիրուրդամբ Կ. Մխիթ.—Օհանջանյան, Երևան, 1961*, გვ. 163.

63 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 271; ნ. შენგელია. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 324—325; ჯ. სტეფანაძე, საქართველო XII ს და XIII სს-ის დასაწყისში, გვ. 139—140; ბ. სილაგაძე, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ აღ-ასირის ცნობათა შუქზე, გვ. 114.

თურქთა, დაადგეს კარი და ივლტოდეს. ხოლო მეფემან აიღო და მიითულა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე⁶⁴. ყარსის აღების შესახებ თამარის მეორე ისტორიკოსი მოგვითხრობს⁶⁵. ყარსის გარემოცვის ამბავი ვრცლად აქვს მოთხრობილი იბნ ალ-ასირს. ის ვარდანის მსგავსად ყარსში ლაშქრობას 1206 წლით ათარილებს⁶⁶. ამრიგად, ვარდანის ეს თარიღი სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს.

7. ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი სადავო საკითხია თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი. ძირითადი მოსაზრებანი ასეთია: 1207 წ. — ს. კაკაბაძე, ბ. სილაგაძე, რ. კიკნაძე, ჯ. ოდიშელი; 1210 წ. — თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, შ. დარჩიაშვილი; 1212 წ. — მ. ბროსე, პ. ინგოროყვა; 1213 წ. — თ. ქორდანია, ი. ჯავახიშვილი, ი. ლოლაშვილი; 1216 წ. — კ. კეკელიძე.

თამარის გარდაცვალებას ეხება ვარდან არეველცი. მისი თქმით, თამარს ეპყრა ტახტი 23 წელიწადი⁶⁷. ვარდანისავე ცნობით, თამარი ტახტზე ავიდა 1184 წ.⁶⁸ ე. ი. გარდაიცვალა 1207 წ. ვარდანის ეს ცნობა ეხმაურება და ამოწმებს ორი თანადროული ქართული წყაროს მონაცემებს, კერძოდ, ლაშა-ვიორგის დროინდელი მემატანისა⁶⁹ და თამარის მეორე ისტორიკოსის⁷⁰ ცნობებს, რომელთა მიხედვით თამარმა 23 წელი იმეფა. თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წ. ასახელებს იბნ ალ-ასირი⁷¹. სამუელ ანეცის თხზულების გაგრძელებაში, რომლის ავტორად სტეფანოს ორბელიანს მიიჩნევენ, ნათქვამია, რომ 1206 წ. ზაქარიამ აიღო ყარსი. დაიბადა ივანეს ვაჟი ავაგი. მომდევნო წელს გარდაიცვალა თამარი. გამეფდა ლაშა⁷².

ვარდან არეველცის ეს ცნობა კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ვარდანის „მსოფლიო ისტორიის“ რუსული თარგმანის საფუძველზე ასკვნის, რომ აქ საუბარია არა თამარის, არამედ მისი მეუღლის დავით სოსლანის გარდაცვალებაზე. საქმე ის არის, რომ ნ. ემინის მიერ 1861 წ. შესრულებულ თარგმანში შეცდომაა. სომხური ტექსტის ორივე გამოცემიდან (მოსკოვისა და ვენეციის) აშკარად ჩანს, რომ თხრობა თამარის გარდაცვალებას ეხება. მოვიტანოთ სათანადო ადვალეები რუსული თარგმანიდან და სომხური ტექსტიდან.

რუსული თარგმანი:

«Во время царствования Тамары христиане усилились.
Она бросила русского своего мужа и взяла Оса Аслана,

64 ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი, გვ. 92.

65 ბასილი ეზოს მოძღვარი. — ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 143—144; მ. ქადაგიძე, ქრონოლოგიის საკითხები თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში, გვ. 141.

66 იბნ ალ-ასირი, გვ. 131.

67 ვარდანის, გვ. 183.

68 იქვე, გვ. 173—174.

69 ლაშა-ვიორგის დროინდელი მემატანე, გვ. 369.

70 ბასილი ეზოს მოძღვარი, გვ. 150; მ. ქადაგიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 141.

71 იბნ ალ-ასირი, გვ. 131.

72 შანრ ქამანსაკყორცილხსერ, XII—XVIII դ.დ. 6. I, ჯაყბის ე. ჯ. ჯაყორან, სერციან, 1951, გვ. 37.

наполнившего Иверию пленными и добычей, взятыми у Турок. У него родился единственный сын, которого он назвал Лашой. Он умер после двадцатидвухлетнего царствования. Вступил на престол Лаша»⁷³.

სომხური ტექსტის ჩვენი თარგმანი:

„თამარის მეფობის დროს გაძლიერდნენ ქრისტიანები. მიუხედავად ამისა, (თამარმა) მიატოვა რუსი ქმარი და გაჰყვა ოს სლანს, რომელმაც წაართვა ალაფი თურქებს და აავსო ივერია ტყვეებით. მისგან ეყოლა ერთადერთი ვაჟი და დაარქვა მას ლაშა. მას ეპყრა გვირგვინი 23 წელიწადი და აღესრულა. ტახტზე ავიდა ლაშა“.

ის, რომ აქ თამარის შესახებ არის საუბარი, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ცნობას მეფის (თამარის თუ დავითის) გარდაცვალების შესახებ მოსდევს წინადადება: ტახტზე ავიდა ლაშა, ე. ი. გარდაიცვალა სახელმწიფოს მმართველი, ტახტი დაიკავა მისმა მემკვიდრემ. აქ რომ დავითის სიკვდილი იგულისხმებოდეს, ჩვენი აზრით, ლაშას ტახტზე ასვლაზე არ იქნებოდა საუბარი, რადგან დავით სოსლანის სიკვდილის შემთხვევაში საქართველოს ეყოლებოდა მეფე თამარი და ტახტის მემკვიდრის გამეფებაც საჭირო არ იქნებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით სოსლანის გარდაცვალების თარიღის შესახებ რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ 1207 წლით ეს ფაქტი არ თარიღდება. ი. ჯავახიშვილის აზრით, დავითი 1205—1206 წწ. უნდა გარდაცვლილიყო⁷⁴. 1205 წლით ათარიღებს დავითის გარდაცვალებას რ. კიკნაძე⁷⁵. ბ. სილაგაძე და ჯ. ოდიშელი დავითის გარდაცვალების თარიღად 1204—1205 წწ. სდებენ⁷⁶.

ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ ვარდანი ერთმანეთში ურევს თამარისა და დავით სოსლანის გარდაცვალებას. მათი მსჯელობით, დავით სოსლანის სიკვდილის შემდეგ უცხოეთში ხმა გავრცელდებოდა საქართველოს მეფის გარდაცვალებაზე და ადვილი დასაშვებია, რომ ნაკლებად ცნობილი დავით სოსლანის გარდაცვალება მიეჩინათ თამარის გარდაცვალებად. ასევე უნდა აიხსნას, მათი აზრით, ვარდანისეული თარიღი⁷⁷.

ვარდან არეველცი ამ პერიოდის მოღვაწეა, აღწერს ამბებს, რომელთა თვითმხილველი და თანადამხედური იყო, ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში, რომელიც საქართველოს საზღვრებშია მოქცეული. ამიტომ, ვფიქრობთ, სარწმუნო არ უნდა იყოს, რომ ვარდანს ამგვარი მცდარი ინფორმაცია ჰქონოდა, ერთმანეთში არეოდა დავითისა და თამარის სი-

⁷³ Всеобщая история Вардана Великого. Перевод Н. Эмина, М., 1861, с. 171.

⁷⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 279.

⁷⁵ რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი“, თბ., 1975, გვ. 128.

⁷⁶ ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ აღასიის ცნობათა შუქზე, გვ. 125; ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, გვ. 120.

⁷⁷ თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა. — „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, გვ. 154.

კვდილი. ვარდანის ცნობას კიდევ უფრო მეტ სანდოობას ანიჭებს თანადროული ქართული, სომხური და არაბული წყაროების მონაცემები, რომლებიც სარწმუნოდ ითვლება.

8. ვარდანი გვაწვდის ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების თარიღს. წყაროების მიხედვით, ზაქარია გარდაიცვალა სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ (თამარის პირველი ისტორიკოსი⁷⁸, კირაკოს განძაკეცი⁷⁹), მაგრამ იმის შესახებ თუ რომელ წელს იყო ეს ლაშქრობა ან როდის გარდაიცვალა ზაქარია, ეს წყაროები არაფერს გვატყობინებენ. შედარებით სრული ცნობა აქვს დაცული ვარდანს. მისი მონათხრობით: „იგი (ზაქარია) დაბრუნდა ამ ხოცვა-ჟლეტიდან, აღსრულდა... დასაფლავებულია წმინდა სანაჰინის ჰონასტერში, 1212 წელს“⁸⁰. ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების თარიღად 1212 წ. ასახელებს სტეფანოს ორბელიანიც⁸¹. ვარდანის ამ ცნობის სიზუსტეს ადასტურებს სომხური ეპიგრაფიკის მონაცემები: 1210 წ. ჰალბატის⁸², ანისის⁸³, 1210—11 წწ. ბაგაენის⁸⁴ და 1213 წ. მორო ძოროს⁸⁵ სომხური წარწერები. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ვარდანისავე ცნობით, ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა მხითარ გოში⁸⁶. მკვლევრები მხითარ გოშის გარდაცვალებას 1213 წლით ათარიღებენ⁸⁷. ესეც უფრო მეტ სანდოობას ანიჭებს ვარდანის ცნობას. ამრიგად, ზაქარია მხარგრძელი გარდაიცვალა 1212 წელს.

როგორც ვხედავთ, ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიური საკითხების კვლევისათვის. ის ხშირ შემთხვევაში ადასტურებს ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებს, ზოგჯერ კი ახალ ცნობებს იძლევა სხვადასხვა ფაქტისა თუ მოვლენის დასათარიღებლად.

⁷⁸ ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი, გვ. 137.

⁷⁹ კირაკოს განძაკეცი, გვ. 185—186.

⁸⁰ ვარდანი, გვ. 183.

⁸¹ სტეფანოს ორბელიანი, გვ. 398.

⁸² *ქიქანსან თარხეჩრ, ლაქძეხე ლ. ლითანხანგე, შ-შხთხრეჩრეც*, 1913, გვ. 50—51.

⁸³ *გიქანს ზაქ ქიქაღლიცრან, I, სრქიან*, 1966, გვ. 58.

⁸⁴ ეს წარწერა უთარიღოა, დათარიღება ეკუთვნის შ. დარჩაშვილს (იხ. შ. დარჩაშვილი. XIII ს. დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის. — „მნათობი“, 1975, № 2, გვ. 153—154; И. А. Орбели, *Избранные труды*, Ереван, 1963, გვ. 466—467.

⁸⁵ შ. დარჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

⁸⁶ ვარდანი, გვ. 184.

⁸⁷ Б. Арутюнян, «Армянский судебник» Мхитара Гоша, — წიგნში: *Армянский судебник Мхитара Гоша*, Ереван, 1954, გვ. XVI.

Э. Г. КВАЧАНТИРАДЗЕ

ХРОНОЛОГИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ ВО «ВСЕОБЩЕЙ ИСТОРИИ»
ВАРДАНА АРЕВЕЛЦИ

Резюме

«Всеобщая история» Вардана Арвелци богата хронологическими данными. Автор использует три способа датирования: 1) сравнительную хронологию; 2) от рождения Христа; 3) армянское летоисчисление.

«Всеобщая история» Вардана особенно ценна тем, что во многих случаях подтверждает, а иногда существенно дополняет сведения грузинских источников, сообщая порой совершенно новый, уникальный материал, имеющий важное значение для изучения хронологических вопросов истории Грузии XII—XIII вв. Такими являются хронологические данные Вардана: дата смерти Давида Строителя, смерть Дэмэtre I, дата кончины Георгия III, смерть царицы Тамар, смерть Захария Мхаргрдзели; дата восстания против Дэмэtre I, дата воцарения Георгия III, даты борьбы Георгия III за город Ани.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

ალჯაყალთა ილენიზიკაციისათვის

ალჯაყალა//ახჩაყალა თურქული სიტყვაა **هلقه** აჟა, დიალექტ. **هلقه** აჟა და თეთრციხეს ნიშნავს. ამ სახელწოდებით ქართულ, სომხურ, თურქულ და სპარსულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტი იხსენიება, რაც საგანგებო კვლევის გარეშე ართულებს ტოპონიმის იდენტიფიკაციას. ხშირად გვაქვს მათი არასწორი ლოკალიზების შემთხვევა. შევეცდებით წინამდებარე წერილში თითოეული ალჯაყალის ადგილმდებარეობა შეძლებისდაგვარად დავადგინოთ.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს მხოლოდ ერთი ალჯაყალა, რომელიც როგორც დ. მუსხელიშვილმა გაარკვია, არის XI—XIII საუკუნეებში ცნობილი გაგის ციხე-სიმაგრე¹. თავად ტერმინი „ალჯაყალა“ ქართულ საისტორიო მწერლობაში ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება. იგი გვამცნობს, რომ 1487 წელს „გამოგზავნა ყენმან ხალიბეგ და დაუწყო შენობა ქაოზიანსა და არჯაყალის ციხესა“². ამ ცნობასვე ემყარება ვახუშტი ბატონიშვილიც: „...და აწ უწოდებენ ალჯაყალას (თეთრციხე) იაყუფ ყენისგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე“³ — წერს იგი.

გაგი-ალჯაყალას ნანგრევები მდებარეობს მდინარე დებედას ქვემო წელზე სოფელ ყუშჩის მახლობლად⁴.

გაგი-ალჯაყალას შესახებ ცნობები⁵ დაცულია ასევე სპარსულ და თურქულენოვან წყაროებშიც.

1604 წლის ამბების აღწერისას XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა უთითებს, რომ ამავე წელს ერევნის ციხის აღებაში შაჰ-აბასს (1587—1629) დიდი დახმარება გაუწიეს ირანის ვასალებმა — კახეთის მეფე ალექსანდრემ (1574—1605) და ქართლის მეფე გიორგიმ (1600—1605). ამის გამო „შაჰ-აბასმა გიორგი ქართლის მეფეს ირანში მისცა მთელი რიგი სოფლები... სანაცვლოდ შაჰმა მოსთხოვა ლორეს ოლქი და დებედას ხეობა... დებედას ხეობაში ბორჩაღუს თურქმანული ტომი ჩამოასახლა და ალჯაყალას გამგებელი დაუნიშნა“⁵.

1 დ. მუსხელიშვილი, ალჯაყალა-გაგის ციხე. — საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 113—140.

2 ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 343.

3 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 307.

4 დ. მუსხელიშვილი, დასახ. წერილი. გვ. 113.

5 მუსტაფა ნაიმა ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979, გვ. 30, თხზულებაში ორი — გაგი-ალჯაყალა და ერევნის ალჯაყალა (იხილეთ ქვევით) იგულისხმება, კომენტარებში კი მხოლოდ გაგი-ალჯაყალაა მითითებული.

როგორც ისქანდერ მუნში გვაუწყებს, 1625 წელს გიორგი სააკაძის მეთაურობით ირანის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის აჯანყების დროს „ქართლის ჭეფე სიმონ ხანმა ვერ მოასწრო თბილისის ციხეში შესვლა, რომელიც მისი მთავრობის სამყოფელი და სახელმწიფოს სატანტო ქალაქი იყო და ყარაბაღის ბეგლარბეგ მოჰამედ ყული-ხანთან ერთად აღჯაყალაში შევიდა და იქ გამაგრდა“⁶.

XVI ს-ის ოსმალთა ისტორიკოსის იბრაჰიმ რაჰიმზადე ჩავუშის ცნობით, 1587 წლის აგვისტოს თვეში ფერჰად ფაშამ დმანისში ყოფნისას დიარბაქირის ბეგლარბეგი ჰუსრევ ფაშა და სირიის ბეგლარბეგი სოქოლულიოღლუ ჰასან ფაშა ყაზახის ხანზე სალაშქროდ გაგზავნა. ყაზახ ხანმა უბრძოლველად დამორჩილება ირჩია, სარდალს წინ შეეგება, ხელზე ემთხვია და შეწყალება ითხოვა. ფერჰად ფაშამ ბევრ სხვა წყალობასთან ერთად თავისი სამემკვიდრეო მამული კვლავ მას უბოძა, ხოლო ყაზახ ხანმა კი სანაცვლოდ დანგრეული აღჯაყალის შეკეთება ივალდებულა⁷.

ყაზახი გაგის ციხის მახლობლად — მის სამხრეთით მდებარეობს. ტერიტორიული სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ ეს აღჯაყალაც იგივე გაგის ციხეა. იბრაჰიმ რაჰიმზადე 1588 წელს უკვე ყაზახ ხანს აღჯაყალის ბეგლარბეგად მოიხსენიებს. ყაზახ ხანის სამყოფელი ბორჩალოს აღჯაყალა არისო — წერს იგი⁸. ოსმალთა ალი ბეგმაღ ყაზახის ტომის საშველად გამწესებული 200 ზეომარი სწორედ ამ აღჯაყალაში გაგზავნა⁹.

გაგი-აღჯაყალა იგულისხმება ასევე არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“.

„გორი, ქალაქი, სამშვილდე, აღჯაყალა და დმანისი
ურუმთ ეპირა ერთპირად, ვით კარი, ანუ ანისი“¹⁰.

როგორც „დიდმოურავიანის“ ავტორი იოსებ სააკაძე გვამცნობს, საქართველოდან დევნილი გიორგი სააკაძე გაგი-აღჯაყალაში ორი კვირა გაჩერებულა, შემდეგ ცოლშვილი იქ დაუტოვებია, თავად კი შახ-აბასთან გამგზავრებულა¹¹. ეს რომ ნამდვილად გაგი-აღჯაყალაა იქიდან ჩანს, რომ ბოლო პუნქტი, რომელიც დიდმა მოურავმა ამ ციხეში მოსვლამდე გამოიარა, იყო იაღლუჯას მთა¹², რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით მდ. ალგეთის მდ. მტკვართან შეერთების ჩრდილოეთით მდებარეობს¹³, გაგი-აღჯაყალა კი

⁶ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ზ. ფუთურაძემ, თბ., 1969, გვ. 124.

⁷ Ibrahim Rahimizade Çavuş, Gencine-i Feth-i Gence, გვ. 22a—b, 22b—24ca. ვუთითებთ M. F. Kirzioğlu-ს წიგნის Kafkas-Ellerini Fethi (1451—1590)-ს მიხედვით. Ankara, 1976 გვ. 360—361.

⁸ Ibrahim Rahimizade Çavuş, Gencine-i Feth-i Gence, გვ. 132a—133a. ვუთითებთ B. Kütükoğlu-ს წიგნის Osmanlı—Iran Siyasi Münasebetleri (1578—1590) მიხედვით, ტ. I, Istanbul, 1962, გვ. 191; T. H. Danişmend-ის წიგნის İzahlı Tarihi Kronolojisi-ის მიხედვით, ტ. III Istanbul, 1961, გვ. 105.

⁹ გურჯინადე, თბილისის დაპყრობის წიგნი. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები ც. აბულაძისა, თბ., 1975, გვ. 32.

¹⁰ არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, „ჩვენი საუნჯე“, ტ. IV, 1960, გვ. 191.

¹¹ ი. სააკაძე, დიდმოურავიანი, „ჩვენი საუნჯე“. ტ. IV, გვ. 344.

¹² იქვე, გვ. 343.

¹³ ვახუშტი, გვ. 328.

სწორედ ამ ორი მდინარის შეერთების სამხრეთითა და, ცხადია, სპარსეთისაკენ მიმავალ დიდ მოუარეს გზად ამ ციხეში უნდა გაეგლო.

1983 წელს ჟურნალში „Советская Тюркология“ გამოქვეყნდა იუ. ნასიბოვის წერილი „О географическом термине „Агджакала“ из эпоса „Деде Коркут“, რომელშიც ავტორი „იზიარებს“ დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას აღჯაყალისა და გაგის ციხე-სიმაგრის იდენტურობის შესახებ, მხოლოდ უმატებს, რომ თურქული ტერმინი „აღჯაყალა“ გაჩნდა არა XV ს-ის 80-იან წლებში, არამედ ბევრად უფრო ადრე XI—XII საუკუნეებში და ამის დასტურად მოჰყავს ოლუზური საგმირო ეპოსიდან „დედე კორკუთის წიგნიდან“ ერთი დესტანი, რომელშიც ტყვედ ჩავარდნილი ყაზანბეგი შემდეგს ვგამცნობს: „აღჯაყალასთან დავაქენებდი მე ჩემსა ცხენსა... და დავაქევე კოშკი მათი თეთრი ციხისა“¹⁴. მართალია, „დედე კორკუთი“ XI—XII საუკუნეების ძეგლია, მაგრამ ჩაწერილ იქნა XIV საუკუნეში. ამდენად, შესაძლებლად მიგვაჩნია ტერმინი „აღჯაყალა“ გაჩენილიყო როგორც XI—XII საუკუნეში, ასევე უფრო მოგვიანებითაც.

„დედე კორკუთის“ ბართოლდისეული თარგმანის კომენტარებში მითითებულია, რომ აღჯაყალა მდებარეობს აზერბაიჯანში ნახიჩევანის ოლქში¹⁵, იგივეს იმეორებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე პ. ქოროლიცი¹⁶, ხოლო იუ. ნასიბოვი „დედე კორკუთის“ აღჯაყალად გაგის ციხე-სიმაგრეს მიიჩნევს¹⁷. თურქი მეცნიერები ფ. ქირზიოღლუ და ო. ვიოქაი ეპოსის აღჯაყალად დილორსა და კალიშმანს შორის დიდი იაღლუჯის მთის სამხრეთ კალთასთან მდებარე აღჯაყალას ასახელებენ. ფ. ქირზიოღლუ დასძენს, რომ ეს იგივე ვრევნის აღჯაყალაა და თალინის ახლოს მდებარეობს. იგი სალორ-ყაზან ხანის საზაფხულო სადგომი ყოფილა¹⁸.

როგორც ეპოსი გვაუწყებს, ერთ დღეს ყაზან ხანი//ყაზან ბეგი სანადიროდ წასულა. თურმე ბაში-აჩიკ დადიანისა და ახალციხის ციხიდან გიჟური მსტოვარი გამოსულა, ისინი შეუნიშნავს, თავის უფროსთან დაუსმენია, ამას კი ბრძოლა და ყაზან ხანის ვაჟის ურუზ ბეგის ტყვედ ჩავარდნა მოჰყოლია, მაგრამ ყაზან ხანს ხელმეორედ გაულაშქრია გიჟურებზე, შვილი გაუთავისუფლებია და უკან გზადმიმავალი ჭერ აღჯაყალასა და შემდეგ სურმელიში გაჩერებულა¹⁹.

რადგან აღჯაყალა და სურმელი ეპოსში ერთად მოიხსენიება, სავარაუდებელია, რომ ისინი ტერიტორიულადაც ერთმანეთის მახლობლად იქნებოდა განლაგებული.

¹⁴ Насибов Ю. М., «О географическом термине „Агджакала“ из эпоса „Деде Коркут“. — «Советская Тюркология», Баку, 1983, № 2, с. 45.

¹⁵ Книга моего деда Коркута, Перевод В. В. Бартольда, Издание подготовили В. М. Жирмунский, А. Н. Кононов, М. — Л.; 1962, с. 279, 11-ე დესტანის რიგით 27-ე კომენტარი.

¹⁶ Короглы Х., Орузский героический эпос, М., 1976, с. 166.

¹⁷ Насибов, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

¹⁸ Kırzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 347; Gökyay O. Ş., Dedem Korkudun kitabı, İstanbul, 1973, გვ. XCV.

¹⁹ Книга моего деда Коркута, с. 50, 52, 58; Orhan Şaik Gökyay, Dede Korkut hikâyeleri, İstanbul, 1980, გვ. 100, 120.

სურმელი, იგივე სურბ-მარი, მოიხსენიება სომეხი ისტორიკოსების არისტაკეს ლასტივერტეცი²⁰ და კირაკოს განძაკელის²¹ თხზულებებში. მდ. არაქსის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სურმელი//სურმარი სომხეთის აირარტის ნაჰანგის ჭკაატქის გავარს ეკუთვნოდა²², ამჟამად კი იგი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა და ყარსის ვილაიეთის ილდირის ოლქს ექვემდებარება²³. ფ. ქირზიოღლუსა და ო. გიოქაის მიერ ლოკალიზებული „დედე კორკუთის“ აღჯაყალა სურმელთან ბევრად უფრო ახლოა. ვიდრე გავის ციხესიმაგრე, ამიტომ თურქი მეცნიერების მოსაზრება უფრო სწორია, ვიდრე ნასიბოვისეული იდენტიფიკაცია.

სურმელი და „დედე კორკუთის“ აღჯაყალა XVI საუკუნეში ერევნის ვილაიეთში ირიცხებოდა. მუსტაფა ალი უთითებს რა ამ ვილაიეთში შემავალი ციხეების დასაცავად გამწესებული მოლაშქრეების რაოდენობას, აღნიშნავს, რომ აღჯაყალის დასაცავად 50 ადამიანი იქნა გამოყოფილი, სურმელისა კი 49²⁴.

1604 წლის ამბების გადმოცემისას ქათბი ჩელები და მუსტაფა ნაიმა ხშირად უთითებენ ერევნის ამ აღჯაყალას, როგორც მათი თხზულებებიდან ირკვევა, ერევნისა და აღჯაყალის მიდამოები შახ-აბასის სადგომი ყოფილა. ოსმალეთთან ყოველი შეტაკების წინ ირანის შახი ამ ადგილებში იზანაქებდა და აქედან აწარმოებდა თავდასხმებს²⁵.

არაქელ დავრიფეციის ცნობით, ერევნის აღჯაყალის ძველი სახელწოდება ერვანდაკერტი ყოფილა²⁶. ერვანდაკერტს უთითებს მეორე სომეხი ისტორიკოსიც არისტაკეს ლასტივერტეცი. იგი წერს: „არშარუნქში აღსანიშნავია ერვანდაშატი, ერვანდაკერტი, ბაგარანი, კაპუეტის ციხე-სიმაგრე“²⁷.

ერევნის აღჯაყალა ზემო და ქვემო აღჯაყალის სახელწოდებით 1886 წლის სტატისტიკური მონაცემების კრებულში ერევნის გუბერნიაში, ეჩმიადინის ოლქში, სარდარაბადის სანახებში, მეღრიბანის თემშია მითითებული²⁸. მისი დღევანდელი სახელწოდებაა ზემო და ქვემო ბაზმბაბერდი და იგი თაღინის რაიონს განეკუთვნება²⁹. ეს რომ ხსენებული ერევნის აღჯაყალაა მოწმობს ის,

²⁰ არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 174.

²¹ Киракос Гандзакечи, История Армении, Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1976, с. 166

²² არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 174.

²³ Kirzioğlu M. F., İç-Oğuzdan Agraçay; გვ. 31. უთითებთ Gökyaşay-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. XCIX.

²⁴ Ali. Kühn ul ahbar. გვ. 326 b. უთითებთ Акиф Фарзалиев-ის საყანდილატო დისერტაციის „Труды Мустафы Али-Эфенди как источник по истории Азербайджана конца XVI века-ს მიხედვით, გვ. 133.

²⁵ ქათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978, გვ. 214; მუსტაფა ნაიმა, გვ. 32—33, 112, 115.

²⁶ Ханларян Л. А., Аракед Давриджи, Книга историй. М., 1973, с. 61.

²⁷ არისტაკეს ლასტივერტეცი, გვ. 179.

²⁸ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков, 1886 г. Тифлис, 1893, Ериванская область.

²⁹ Армянская ССР. Административно-территориальное деление., Ереван, 1971, с. 257.

რომ მეღობანი, რომლის თემშიც, როგორც აღვნიშნეთ, ეს ციხე მდებარეობდა, დღევანდელი კათალიბიურია და ეს სოფელიც თალინის რაიონს ეკუთვნის³⁰.

იუ. ნასიბოვი გაგი-აღჯაყალის უძველეს სახელად სეფიდშეპრს ასახელებს³¹ და უთითებს XII საუკუნის არაბი ისტორიკოსის სადრ ად-დინ ალი ალ ჰუსეინის „სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას“, რომლის კომენტარებში სეფიდშეპრი მართლაც მდ. დებედას ქვემო წელზე მდებარე თეთრციხედია განმარტებული³².

თხზულებაში ნათქვამია, რომ სულთანმა ალფ-არსლანმა სეფიდშეპრზე გაილაშქრა. ალაპის წყალობით ქალაქი დაიმორჩილა და შემდეგ გაემართა ახალ-კალად (ახალქალაქი) წოდებული ქალაქისაკენ, რომელიც ასევე დაიპყრო³³.

როგორც ვხედავთ ალფ-არსლანი ჯერ სეფიდშეპრს მიადგა და შემდეგ ახალქალაქს, ე. ი. სეფიდშეპრი ახალქალაქის სამხრეთითაა, გაგი-აღჯაყალა კი ახალქალაქის დასავლეთით მდებარეობს. ამას გარდა, დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ 1064 წელს მოწყობილი პირველი შემოსევის დროს ალფ-არსლანი ახალქალაქს არ გასცილებია³⁴. თავად ნასიბოვიც ქართლის ცხოვრებაზე დაყრდნობით უთითებს, რომ მეფე ბაგრატ IV გაგის ციხე-სიმაგრე დაიპყრო 1069 წელს³⁵, ე. ი. 1064 წელს ალფ-არსლანის მიერ დაპყრობილი სეფიდშეპრი გაგის ციხე ვერაფრით ვერ იქნება.

ზოგიერთი ვეროპელი მეცნიერის მიერ სეფიდშეპრი გაიგივებულია ახალქალაქთან³⁶, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, 1064 წელს სულთანმა ალფ-არსლანმა დაიპყრო ორი, პუნქტი, ახალქალაქი და სეფიდშეპრი, ამიტომ ამ შემთხვევაში მათი გაიგივება შეუძლებელია და, მართლაც, ვ. მინორსკი იბნ ალფარიკისა და იბნ ალ-ასირის თხზულებათა შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ სეფიდშეპრი ეს არის იგივე პალაკაციოს (ჩილდირის) თეთრი ციხე და არა ახალქალაქი³⁷.

XVI—ს-მდე საქართველოს ტერიტორიაზე გაგი-აღჯაყალის გარდა მდებარეობდა კიდევ ორი აღჯაყალა: ერთი ზემომოხსენიებული ჩილდირის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და მეორე ხახულის მახლობლად. ეს უკანასკნელი 1549 წელს საქართველოში მოწყობილი დამსჯელი ექსპედიციის შედეგად ოსმალებმა ხელთ იგდეს³⁸.

როგორც ოსმალთა ისტორიკოსი ჯელალზადე გვაუწყებს, იგი ცნობილი ციხე ყოფილა და ოსმალებს დიდი ბრძოლაც დასჭირებიათ მის დასამორჩი-

³⁰ Географические наименования Армянской ССР, Ереван, 1951, с. 89.

³¹ Н а с и б о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

³² Садр ад-Дүн Алй ал-Хусайнй Ахбър ад-даулат ас Селджуканийя. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова, М., 1980, с. 190. მე-13-ე თავის მე-10-ე კომენტარი.

³³ იქვე, გვ. 49—50.

³⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 198.

³⁵ Н а с и б о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

³⁶ M. J. Saint-Martin, Memoires historiques et geographiques sur l'Armenie. Paris, 1818 გვ. 84, Joseph-Hammer, Geschichte des Osmanischen Reichs, ტ. II, Wien, 1828, გვ. 867.

³⁷ Minorsky V. Studies in Caucasian History, London, 1953, გვ. 97—98.

³⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 109.

ლებლად³⁹. ასეთსავე ცნობას გვაწვდის იბრაჰიმ ფეჩევიც „აღჯაყალა ბრძოლით იქნა აღებული“-ო⁴⁰. ევლია ჩელები მოგვითხრობს: „ახაყალა თორთუმის სანჯაყში შედის. იგი ულამა-ფაშას აუშენებია საქართველოს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად... თორთუმის ჩრდილოეთით მდებარეობს. ბაიანეთველი უფლისწულობის დროს ტრაბიზონში ვალის თანამდებობაზე რომ იყო, ამ ციხეს ალყა შემოარტყა და რადგანაც მისი დაპყრობა ძალიან გაუჭირდა, დაპყრობის შემდეგ მისი ზოგი ადგილი დაანგრევინა“⁴¹.

ქათიზ ჩელების ცნობითაც ხახულის აღჯაყალა თორთუმის მიდამოებში მდებარეობს, „თორთუმი არზრუმიდან ოთხი დღის სავალზე პატარა ციხეა. ახაყალა იმ მიდამოებში ამაღლებულ ადგილზე აშენებული მტკიცე ციხეა“ — წერს იგი⁴².

აღნიშნულ აღჯაყალას, 1549 წლის ამბების აღწერისას, „ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში“ უთითებს ჰამერიც⁴³.

არსებობს სულეიმან კანუნის (1520—1566) მიერ ჰაფსბურგთა იმპერატორ ფერდინანდ I-სადმი (1555—1564) გაგზავნილი დოკუმენტი, რომელშიც ოსმალთა სულთანმა ადრესატს ატყობინებს, რომ თორთუმისა და ნიხახის ციხეების შემდეგ აიღეს „აღჯაყალად წოდებული ცნობილი ციხე“⁴⁴.

იგივე აღჯაყალა იგულისხმება სამცხის რეგიონიდან გაგზავნილ ხეთ თურქულ დოკუმენტშიც, რომლებშიც XVI საუკუნის დასაწყისის, კერძოდ ყვარყვარი III-ის (1516—1535) დროინდელი სამცხე-საათაბაგოს ამბებია აღწერილი⁴⁵.

ამჟამად ხახულის აღჯაყალა მდებარეობს თურქეთში ჩორუხის ვილაიეთში სართვინის რაიონში არტანუჯის ოლქში⁴⁶.

ხახულის აღჯაყალის გვერდით იბრაჰიმ ფეჩევი ასახელებს მეორე აღჯაყალასაც: „ახაყალა ბრძოლით იქნა აღებული. ფანასკერტის ციხემა და მეორე ახაყალამა და ამით გარდა კიდევ თხუთმეტმა ციხემ მორჩილება გამოაცხადა“⁴⁷ — წერს იგი.

იმავეს გვაუწყებს ჯელალზადეც: ფანასკერტი... და მეორე აღჯაყალად წოდებული ცნობილი ციხე დამორჩილებულ იქნა“⁴⁸.

ორივე ისტორიკოსი ფანასკერტსა და „მეორე“ აღჯაყალას გვერდი-გვერდ ასახელებს. საგულგებელია, რომ ორივე ციხე ერთმანეთის მახლობლად მდებ-

³⁹ Celalzade, Gazavat-i Selim Hani. გვ. 332 a—b, ვუთითებთ Kirzioğlu-ს დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 201.

⁴⁰ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 27.

⁴¹ ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თურქულადან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურაძემ, თბ., 1971, გვ. 318.

⁴² ქათიზ ჩელები, გვ. 137.

⁴³ J. Hammer, დასახ. ნაშრომი. ტ. III, Wien, 1828, გვ. 287.

⁴⁴ A. Schaendling, Die Schreiben Süleymäns des Prächtigen an Karl V, Ferdinand I und Maximilian II aus dem Hof zu Wien, 1983, გვ. 26, დოკუმენტი № 11.

⁴⁵ თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თარგმანი, გამოკვლევა და შენიშვნები ც. აბულაძისა, თბ., 1983, გვ. 26—30—32—35—54—66.

⁴⁶ Danişmend, დასახ. ნაშრომი, ტ. II, 1948, გვ. 507.

⁴⁷ იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 27.

⁴⁸ Gelalzade, გვ. 332 b.

ბარეობდა, ამიტომ ეს „მეორე“ აღჯაყალა ფანასკერტის მიდამოებში უნდა ვეძებოთ.

ფანასკერტის სიახლოვეს აღჯაყალის სახელწოდებით ორი ციხე აღმოჩნდა. ერთი მდებარეობს ერზრუმ-ნარიმანის (ნამირვანის), მეორე კი ყარს-სელიმის ოლქში. იგი აღჯაყალა ჩუქურუს სახელითაა ცნობილი⁴⁹.

ამეამად, მასალის უქონლობის გამო, ძალზე ძნელია თქმა იმისა, თუ ამ ორი აღჯაყალიდან რომელია ფეჩევისა და ჯელაღზადეს მიერ „მეორე“ აღჯაყალად წოდებული ციხე. ფ. ქირზიოღლუ ამ ციხედ ერზრუმ-ნარიმანის აღჯაყალას ვარაუდობს⁵⁰. თუ ფანასკერტის ციხიდან ამ ორი ციხის (ერზრუმ-ნარიმანის და ყარს-სელიმის აღჯაყალის) ტერიტორიული სიშორის ნიშნის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ „მეორე“ აღჯაყალად ერზრუმ-ნარიმანის ოლქში მდებარე ციხე უნდა ვიგულოთ.

ზემოხსენებული ჩილდირის აღჯაყალის შესახებ ცნობები გვხვდება 1578 წელს საქართველოში ოსმალო სარდლის ლალა მუსტაფა ფაშას თავდასხმის ამბების აღწერისას.

მესხური მატიაწე გვაუწყებს, რომ მტერმა საქართველოში შემოსვლისთანავე „ქაჯის ციხე, ველი და თეთრციხე წაგუართუქს“⁵¹.

მუსტაფა ალი „ნუსრეთ ნამე“-ში წერს, რომ ოსმალებმა ველის ციხის აღების შემდეგ მეორე შაბათ დღეს შუადღის ნამაზდისათვის ახალაყალად წოდებული მაგარი ციხე დაიმორჩილეს⁵².

ანალოგიური ცნობებია დაცული ასევე აბუბექარ ბინ აბდულლაპის „ოსმან ფაშას ისტორიაშიც“, იმ განხვავებით, რომ მასში შედარებით დაწვრილებითაა გადმოცემული ახალაყალის დამორჩილების ამბავი. ავტორი გვამცნობს: „...ახალაყალად წოდებულ ციხეში მოვედით... სანამ სარდლის (მუსტაფა ფაშას — მ. ი.) უმაღლესობა და ჩვენ მოვიდოდით, მანამდე არტაანის ბეგმა აბდურაბმან ბეგმა ზემოაღნიშნულ ციხეზედ გაილაშქრა. შიგნით რამდენიმე ქაფირი იყო. ციხე ამათ არ მისცეს, გაჯიუტდნენ, რის გამოც აბდურაბმან ბეგმა ბრძოლა გაუმართა. ციხე ძალით, ვაჟაკურად აიღო. ქაფირთა ნაწილი გატყდა, ზოგი ტყვედ იგდო და რამდენიმე ქაფირის თავშითი ფაშას უმაღლესობას წინ შეეგება. ციხის დამორჩილების შემდეგ მუსტაფა ფაშამ ციხეს მცველები ჩაუყენა და ზარბაზნებიც გამოუყო“⁵³.

იმავე მოვლენების აღწერისას ჩილდირის აღჯაყალას უთითებს ჰამერიც⁵⁴. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ თანახმად, ეს აღჯაყალა ჩრდილის (ჩილდირის)) ლივას ეკუთვნოდა⁵⁵, ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარში კი დიდი არტაანის ლივას შემადგენლობაშია შეტანილი⁵⁶, ხოლო 1886 წლის

⁴⁹ Kirzioglu, დასახ. ნაშრომი. გვ. 110.

⁵⁰ იქვე, გვ. 203.

⁵¹ ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 47; ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 720.

⁵² *عالي نصرنامه* ვენური ნუსხა.

⁵³ *تاريخ عثمان پاشا ابوبكر بن عبد الله* გვ. 13.

⁵⁴ Hammer, დასახ. ნაშრომი, ტ. IV, Wien. 1829, გვ. 63.

⁵⁵ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი III, გამოკვლევა, თბ., 1958, გვ. 392.

⁵⁶ ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი 1694—1732 წწ. თურქული ტექსტი ქართულთა თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ, თბ., 1979, გვ. 180, 194.

აღწერისა⁵⁷ და დღევანდელი მონაცემების თანახმად იგი ყარსის ვილაიეთის ჩილდირის ოლქის შემადგენლობაშია. მისი მეორე სახელწოდებაა რაბათი⁵⁸.

ზემოჩამოთვლილი აღჯაყალების გარდა გვხვდება კიდევ სამი აღჯაყალა. ერთ მათგანს ქათიბ ჩელები ტრაპიზონის საყაზოების ჩამოთვლისას უთითებენ⁵⁹. მისი მეორე სახელწოდებაა გუმუშხანე — თორული⁶⁰. მეორეს შერეფ-ხან ბითლისი და ქათიბ ჩელები მოიხსენიებენ⁶¹. იგი დღევანდელი დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე მაჰმუდის ოლქის სამხრეთით მდებარეობს, მესამეს კი ორხან გიოქაი ყარსის ჩრდილოეთით არფაჩაის რაიონში უთითებენ⁶². ეს აღჯაყალა დასტურდება ზემოაღნიშნულ 1886 წლის სტატისტიკური მონაცემების კრებულშიც. იმხანად იგი ყარსის ოლქის ზარუშათის რაიონს ეკუთვნოდა⁶³.

ამრიგად, საქართველოს, სომხეთის, თურქეთისა და დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე ცხრა აღჯაყალა აღმოჩნდა: ესენია: გაგი-აღჯაყალა, ერევნის, ხახულის, ერზურუმ-ნარიმანის, ყარს-სელიმის, ჩილდირის, გუმუშხანეს, მაჰმუდის და ყარსის არფაჩაის აღჯაყალა.

აღჯაყალების ასეთი სიმრავლე გვაძლავს, რომ თითოეული მათგანის ლოკალიზებას დიდი გულისყურითა და სიფრთხილით მოვეციდოთ.

М. А. ИЛУРИДЗЕ

ДЛЯ ИДЕНТИФИКАЦИИ АГДЖАКАЛ

Резюме

Под названием Агджакала («Белая крепость») на территории Грузии, Армении, Турции и Западного Ирана подразумевается несколько географических пунктов, что весьма осложняет идентификацию топонима без специального исследования. Имеются случаи их неточной локализации. Зачастую Агдажкала, указанная в источниках, отождествляется с крепостью Гаги, которая Д. Мухелишвили идентифицирована как Агджакала. К примеру, Ю. Насибов под крепостью Агджакала Гаги подразумевает Агджакалу из Огузского героического эпоса «Книга моего деда Коркута». Такая идентификация вызывает сдвиг событий к северу Грузии, а это не соответствует истине, поскольку Агджакала, указанная в эпосе, расположена южнее, на территории Армении, близ Талина. Она известна под названием Ереванская Агджакала.

Мы постарались по мере возможности точнее установить местонахождение всех Агджакал.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კე-კელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

⁵⁷ Свод статистических данных, Карсская область.

⁵⁸ D a n i ş m e n d, დასახ. ნაშრომი, ტ. III, გვ. 742.

⁵⁹ ქათიბ ჩელები, გვ. 170.

⁶⁰ K i r z i o ğ l u, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

⁶¹ Шараф-хан Бидлиси, Шараф-Наме, т. I. Перевод, предисловие, примечания и приложения Е. И. Васильевой, М.; 1967, с. 525; ქათიბ ჩელები, გვ. 155.

⁶² S ö k y a u O. Ş., Dedem korkudun kitabı, İstanbul, 1973, გვ. XCV.

⁶³ Свод статистических данных, Карсская область.

П. Р. РАМИШВИЛИ

ВИДЫ ТРУДОВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ЦУХАРУМОВ СОГЛАСНО ДАНЫМ «КАППАДОКИЙСКИХ» ТАБЛИЧЕК*

Клинописные тексты из Каниша (совр. Кюль-тепе в Турции), известные под названием «каппадокийских» табличек и датированные началом II тысячелетия до н. э., содержат целый ряд данных о трудовой деятельности **цухарумов** («малых, молодых»)¹. Это были люди, работавшие в качестве подсобной рабочей силы, в основном, у купцов, а также у других лиц, которые торговлей не занимались.

Ниже мы подробно рассматриваем, в первую очередь, сведения текстов по интересующему нас вопросу, на основании которых далее мы делаем соответствующие выводы. Отрывки из текстов даны нами в переводе (с комментариями), так как по техническим причинам нет возможности привести транслитерацию рассматриваемых нами текстов. Как мы увидим ниже, в текстах отражены разные виды трудовой деятельности **цухарумов**: перенос груза, уход за скотом и за людьми. Приведенные нами отрывки из текстов сгруппированы именно по этим видам трудовой деятельности «малых».

а) Перенос груза

VIN 6, 84

„... (15)× одежду, (16) мою šitrum² — одежду, палатку (maškānum)³, (17) одну šitrum—одежду, (18)х пакет (riksum)⁴ (весом) одной мины и 10

* Список сокращений, используемых в статье, см. в CAD—The Assyrian Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago, vol. 1, part 1, Chicago, 1968, VII—XIX, Provisional List of Bibliographical Abbreviations.

¹ Купле-продаже этих людей мы посвятили специальную работу. См. Рамишвили П. Р., Сведения «каппадокийских» документов о купле-продаже **цухарумов**, «Археологические изыскания», Тбилиси, 1986, с. 147—156.

² Слово šitrum в АНw с. 1252 обозначает какую-то одежду (возможно, накидку). Однако К. Р. Веенхоф полагает, что šitrum—это тонкая ткань, сплетённая из шерсти, см. Veenhof K. R., Aspects of Old Assyrian Trade and its Terminology. Leiden, 1972, с. 174.

³ То, что maškānum—„палатка“, давно установлено исследователями, см. АНw с. 627; CAD, vol. 10, с. 369. Нужно предполагать что „палатку“ употребляли в процессе торговли, или во время перехода торговцев с одного места в другое.

⁴ Точное определение значения слова riksum затруднено и каждый учёный даёт своё толкование, см. G a g e l l i P., Les Assyriens en Cappadoce, Paris, p. 254; L a r s e n M. T., Old Assyrian Caravan Procedures. Leiden, 1967, с. 55; Янковская Н. В., Клинописные тексты из Кюль-тепе. Москва, 1968, с. 221; V e e n h o f K. R., ук. соч. с. 32. Из всех предположений наиболее убедительным выглядит мнение К. Р. Веенхофа. По его определению, riksum—это „пакет“, предназначенный, в основном, для перевозки олова (редко—золота и серебра) в небольшом количестве.

сиклей, (19) зеркало (*mušalum*)⁵, (20) 10 ка кунжутового масла, (21) 1¹/₂ ка высшего сорта масла—*arzalum*⁶, (22) всё это цухарумы тебе принесли...“

Этот отрывок из текста является письмом купца Ашшур Мутабиля, адресованным неизвестным нам людям — мужчине Карунуве и женщине Кунание (по всей вероятности, людям свободного происхождения). Из отрывка хорошо видно, именно какие предметы перенесли **цухарумы**. Это — разные одежды, палатка (о назначении которой в тексте не указывается), какой-то пакет с определенным весом, предмет домашнего обихода — зеркало (видимо, металлическое) и масло разного сорта, также с определенным весом. Рассматриваемый нами отрывок не дает возможности точно установить общий вес перенесенных **цухарумами** товаров. Нам известно, что вес пагета, кунжутового масла и масла — *arzalum* равнялся 1 мине 10 сиклей + 10ка + 1¹/₂ ка, т. е. приблизительно десяти килограммам. Вес же остальных вещей не известен, однако ясно, что товары, перенесенные **цухарумами**, в итоге весили больше, чем десять килограммов. Из отрывка не видно, именно сколько **цухарумов** участвовало при переносе груза (в тексте указывается «цухарумы»), ввиду чего невозможно уточнить, сколько килограммов груза приходилось на одного **цухарума**.

RA 58, 1964, Tablette 2

«...(78) (так как) человек (из) Ненаши *sikkum* сделать (19) не может, (20) **цухарумы** вместе с ослами (21) каждый по таланту или по два таланта меди (22) пусть привезут...».

Данный отрывок взят из письма купца ПузурАшшура, хорошо известного из «каппадокийских» табличек бизнесмена. Письмо он адресует своему компаньону ИлиВедаку. В нём речь идёт о поставке крупной партии меди и серебра. ПузурАшшур просил прислать 20 талантов высококачественной меди, количество же серебра он не указывает. (20 талантов меди, примерно, равняется 606 килограммам). Из приведённых нами строк узнаём, что некий человек из Ненаши⁷ (ненашец) не смог сделать для ПузурАшшура *sikkum*⁸. Далее, как видим, автор письма просит ИлиВедака прислать **цухарумов** вместе с ослами, каждого с одним или двумя талантами меди.

Из контекста можно сделать вывод, что довольно тяжелый груз — 606 кг меди **цухарумы** должны были перевозить с помощью ослов (они же являлись основным средством транспортировки грузов), число которых в тексте не указывается. Однако, если каждый осёл мог перевозить один талант, т. е. 30 кг меди, то для перевоза 20 талантов

⁵ В числе перенесённых **цухарумами** вещей назван и этот предмет домашнего обихода *mušalum*, которое было изготовлено, по всей вероятности, из металла, см. ANw, с. 681; CAD vol. 10, с. 257.

⁶ Возникают некоторые трудности при определении значения слова *arzalum*. В. Фон Зоден предполагает, что *arzalum* растение, но какое именно — не известно. См. ANw, с. 73; CAD, vol. 1, p. 2, с. 324.

⁷ O r l i n L. L., *Assyrian Colonies in Cappadocia*, The Hague — Paris, 1970, с. 37. Город Ненаша, по предположению автора, локализовался поблизости Аксарая, к подступам Конийского плато.

⁸ См. ANw, с. 1042; CAD, vol. 15, с. 254. Оба словаря дают перевод слова *sikkum* как «кайма, кромка одежды», что вряд ли соответствует действительности. Тут имеется в виду, по всей вероятности, какой-то предмет.



меди понадобилось бы соответственно 20 ослов. Исходя из отрывка, осёл мог перевозить и 2 таланта меди. В таком случае весь груз могли перевозить с помощью 10 ослов (возможны и другие варианты: часть ослов перевозила по одному таланту, а другая часть — по два таланта меди). Для нас интересно то, что в рассматриваемом нами отрывке **цухарумы** выступают в роли ответственных за перевоз тяжёлого груза лиц.

ТС III 211

«... (34) 15 мин меди цухарум АшшурТаба (35) я передал...»

Автор документа анонимен. Текст представляет собой пространный перечень денежных сумм, предназначенный для целой группы людей, названных поименно. В их числе фигурирует и АшшурТаб, цухаруму которого доверили передать хозяину, т. е. АшшурТабу 15 мин меди, что, примерно равняется 8 кг и 275 гр. Ясно, что цухарум АшшурТаба этот груз перевёз сам. Упомянутый в тексте **цухарум**, имя которого не названо, являлся человеком определенного лица — торговца АшшурТаба. Автор-анимим в конце текста сообщает, что документ был составлен в городе Тимилкна⁹, который неоднократно упоминается в «каппадокийских» табличках.

ТС II 22

«...(47) Пушукену говорит (КурубИштар): 1 мину (48) гематита, о котором ты мне написал, (49) мы купили и твой цухарум принесёт его (т. е. гематит) тебе».

Письмо, из которого взят этот отрывок, примечательно тем, что одно одновременно адресовано ИмдИлуму и Пушукену — двум самым крупным оптовикам эпохи «каппадокийских» табличек¹⁰. КурубИштар, автор письма, сообщает обоим торговцам разные сведения в связи с торговыми сделками.* Лишь в конце письма он отдельно обращается только к Пушукену докладывает о выполнении его заказа насчёт приобретения 1 мины гематита¹¹. Видно, **цухарум** Пушукена находился у КурубИштара, но из письма не видно, где находился сам КурубИштар и был ли послан **цухарум** Пушукеном именно за 1 миной гематита. Не исключено, что **цухарум** находился у КурубИштара в связи с выполнением какого-либо задания Пушукена. Ясно, что груз, который должен был перенести **цухарум**, не был тяжёлым — он весил всего 505 граммов.

BIN 4, 48

«...(21) пусть пакеты (весом) 10 мин (22) и 15 мин сделают и (23) пусть цухарумы (24) в город внесут...»

⁹ Orlin L. L., ук. соч. с. 39. Этот город Л. Л. Орлин локализует в восточном регионе анатолийского плато.

¹⁰ Подробнее об ИмдИдуме и Пушукене см. Ichisar M., Les Archives Cappadoiciennes du Marchand Imdilum, Paris, 1981, с. 17; Larsen M. T., The Old Assyrian City-State and its Colonies, Copenhagen, 1976, с. 82.

¹¹ Особо должны отметить появление гематита, по-аккадски ḥṣarum, в данном тексте, так как этот минерал не часто встречается в «каппадокийских» письменных источниках. В отличие от К. Р. Вееenhoфа и М. Ичхисара, М. Т. Ларсен считает, что гематит — драгоценный камень и обозначается не словом ḥṣarum, а словом šadwānum. См. Larsen M. T., ук. соч. с. 198-199; А также см. ANw, с. 360; CAD, vol. 6, с. 257.

Этот отрывок взят из безусловно самых интересных писем среди множества текстов, отражающих трудовую деятельность **цухарумов**. Автор письма некий Бузазу, находившийся в городе Шалатуваре¹², ждал товара из Тимилки. Дорога в Шалатувар из Тимилки проходила через город Хураму¹³, где местные власти брали пошлину за провоз товара. Чтобы уклониться от уплаты пошлины, Бузазу велел своим компаньонам разделить один талант олова на части в «пакетах» (*riksum*) и в таком виде внести в Хураму (см. стрк. 19—20). Вместе с оловом Бузазу советовал так же тайком внести в город ткани (см. стрк. 13). Всё это должны были сделать **цухарумы**. В случае неудачи операции Бузазу и **цухарумы** подверглись бы строгим мерам наказания со стороны местных (анатолийских) властей. Аналогичные попытки пронести контрабанду в виде металла, тканей и другого вида товара, не раз имели место в древней Малой Азии, о чём повествуют и другие «каппадокийские» документы¹⁴.

Приведённый выше отрывок позволяет вычислить приблизительный вес контрабандного олова. Он равнялся одному таланту, т. е. 30,3 кг. Каждый «пакет» олова, по совету Бузазу, не должен был весить больше 10 и 15 мин, т. е. 5 и 10 кг, провоз которого, несомненно, был бы удобнее, чем груз весом в один талант. В тексте не указано число **цухарумов**, участников этого незаконного действия, которые должны переносить груз на довольно большом расстоянии (т. е. из Тимилки и в Шалатувар через Хураму), хотя можно предположить, что **цухарумы** груз перевозили с помощью ослов до и после Хурамы, где они вынуждены были разделить груз на «пакеты» по отмеченной выше причине.

ССТ 4, 6 с

«... (8) цухарумов за (9) утварью должен послать...»

Купец ИлиНада в своём письме, из которого приведён отрывок, адресованном ПузурАшшуру, помимо ряда поручений, велит этому последнему послать **цухарумов** за утварью. В отрывке для обозначения «утвари» употреблён термин *uutum*¹⁵ и не конкретизируется, о каких именно вещах тут идёт речь. Из отрывка не ясно, в данном случае, сколько **цухарумов** использовали для транспортировки «утвари» ИлиНада.

ССТ 3, 41 в

«(2) ...две таблички (3) цухарум пусть унесет...».

Отрывок приведен из письма АшшурМутабиля, который отдаёт распоряжение Варкутиму, чтобы он послал **цухарума** с двумя клинописными табличками, (*turru*). В тексте не указывается, куда отправляют **цухарума**, или что было написано на табличках. Исходя из 2—3 строк, **цухарума** использовали и для доставки письма — ви-

¹² Orlin L. L., ук. соч. с. 37. Автор этот географический пункт помещает между Нигде и конийским плато.

¹³ Orlin L. L., ук. соч. с. 43. Как считает Л. Л. Орлин, Хурама находилась поблизости от Анти-Тавра, западнее Евфрата.

¹⁴ Veenhof K. R. ук. соч. с. 305—321, тексты: ССТ 4, 18 а; КТН 13; ССТ 4, 29 а; ССТ 1,25; КТС 59 d; ВИН 6, 186; ОИР XXVII; и, особенно АТНЕ 62, о котором речь пойдет ниже.

¹⁵ См. АНв, с. 1422.



димом, какого-то важного сообщения. Поручение выполняет один цухарум, не названный именем.

BIN 6, 52

«... (5) пока цухарумы здесь (6) находятся, (7) напиши относительно *uṭḡaru* овец (так): «Цухарумы (8) твоих овец не пригнали...»

Как видно из этого отрывка письма Далаша к Малаваши, цухарумам был поручен перегон *uṭḡaru* — овец¹⁶, но они не выполнили поручения. Далаша, автор послания, сообщает об этом владельцу овец Малаваши. В тексте не говорится о причинах невыполнения поручения цухарумами, которые обычно чётко выполняли все дела, порученные им своими хозяевами. Контекст не уточняет ни количества цухарумов, ни их имен.

б) Уход за скотом TTC 17

« (1) Таким (образом) Хинаиа (2) АшшурНаде и ДанАшшуру (3) говорит: Если Кулума (4) ушел и часть (5) из моей меди взял, (6) (то пусть) ваш отчёт (об этом) придёт ко мне (7) и (пусть) мои цухарумы (8) позаботятся об ослах (9) и (пусть) накормят их...»

Автор письма приведенного нами контекста Хинаиа своим представителям поручает три задания: 1. прислать ему отчет о меди, которую взял Кулума (скорее всего, для продажи); 2. накормить ослов с помощью цухарумов, принадлежащих Хинаие и 3. присоединить свои ткани для продажи к высококачественным контрабандным тканям АшшурНады и ДанАшшура (об этом поручении речь идёт в стк. 13—16 письма). Из письма не видно, где находились цухарумы Хинаии. Ясно, что они принадлежали автору письма. Не исключено, что они сопровождали ослов с грузами, ввиду чего Хинаиа был заинтересован в том, чтобы его цухарумы их накормили, хотя из текста не видно, откуда цухарумы должны были брать корм для ослов.

JCS, vol. XIV, № 1, 1960, Tablette 3

«... (28) одного осла в доме Нанна я оставил. (29) Так (им образом) сказал ты мне: «Пусть (30) осёл отдохнёт немного». (31) Что касается цухарума, (32) (то) я его оставил возле осла...»

¹⁶ Цитируемый отрывок примечателен и тем, что в нем упомянуты *uṭḡaru* — овцы. В АНв., с. 1444, это слово переводится как «какая-то порода овец» под вопросительным знаком. Кроме BIN 6, 52, *uṭḡaru* — овца встречается ещё в четырех «каппадокийских» текстах: ССТ 4, 50 в; ТС 3, 113; ТС 3, 101 и ТС 3, 102. Редкое употребление указанного слова наводит на мысль, что оно обозначало какую-то дорогую породу овец. Вообще, изучению слова *uṭḡaru* исследователи пока еще не уделили должного внимания. Один лишь Е. Бильгич попытался объяснить его значение. По его мнению, *uṭḡaru* всегда встречается вместе с UD и, наверное, означает породу, вид овцы. Внешне слово похоже на хурритское *uṭḡuru* — «сторона, бок» и на *ud-ḡuru* в KUB XXVIII — переведённое Э. Ларошем как «ты град». Но на самом деле эти совпадения совершенно случайны и не имеют никакой связи с главным значением слова. Bilgic E. Die einheimischen Appellativa der kappadokischen Texte und Ihre Bedeutung für die anatolischen Sprachen, Ankara, 1954, с. 79-80.

Отправитель письма — Эннасин. Он отчитывается перед Ивана. Наряду с другими поручениями, ЭннаСин особо подчеркивает, как видно из данного отрывка, что осла (который, видимо, принадлежал Инане), оставил в доме некоего Наниа. Неясен вопрос: чей цухарум присматривал за ослом — Инани, ЭннаСина или же владельца дома Наниа.

в) Уход за людьми ССТ 2, 40 а

«... (9) цухарумов (10) предупреди, чтобы они (11) накормили их (т. е. людей)...»

В начале письма (сткк. 1—8) купец ПузурАшшур поручает Кулуме в первую очередь расплатиться с представителями из Қаниша, привезшими под его печатью медь, а потом, как это видно из отрывка (сткк. 9—11), накормить их. Кормление указанных людей поручалось цухарумам.

г) Упаковка товаров КТН 14

«...(12) его проводник и мой цухарум упаковали (медь). (13) Ящики запечатали и (14) в Вахшушану они понесут...».

Отрывок взят из письма ШуИштара, адресатами же являются ХанаНарум, ИтурЭл и ПузурАшшур. ШуИштар сообщает своим компаньонам о торговой сделке, которую он заключил с «раби сиккатим» из города Вахшушаны¹⁷. Сделка касалась поставки большого количества меди «раби сиккатиму»¹⁸, за что он платил серебром и золотом. Непосредственными участниками операции являлись проводник — (gādiu)¹⁹ «раби сиккатима» и цухарум ШуИштара, упаковавшие в ящики медь. Затем они запечатали ящики и приготовили их для отправки в город Вахшушану. Сопроводжать груз должны были они же, т. е. проводник и цухарум.

TCL 4, 43

«... (10) я пришлю моих цухарумов для упаковки вещей (11) (а, затем) пусть они pirikānpi — ткани принесут вместе с вещами...»

В данном случае купец специально посылает своему представителю цухарумов для упаковки вещей, вместе с которыми он должен был отправить pirikānpi — ткани²⁰.

д) Купля-продажа товаров КТН 14

«... (7) мой проводник и твой цухарум (8) пусть медь (9) за серебро или золото (10) отдадут (т. е. продадут)».

¹⁷ Orlin L. L., ук. соч. с. 87. Согласно автору, Вахшушану следует искать на территории современного Нигде.

¹⁸ Социальный термин «раби сиккатим», по мнению Н. Б. Янковской, означал «главного казначея города», См. Янковская Н. Б., ук. соч., с. 220.

¹⁹ См. АНУ, с. 941.

²⁰ По мнению К. Р. Вееenhoфа, pirik ānpi — это шерстяная грубая ткань, из которой готовили одежду. Автор особо отмечает, что pirikānpi — ткани изготовляли в Анатолии и посылали крупными партиями в разные регионы Малой Азии, а также экспортировали в страны, где находились международные торговые центры. См. Veenhof K. R., ук. соч., с. 124.

Один отрывок из текста КТН 14 мы уже рассмотрели выше. В данном контексте документа ШуИштар поручает проводнику «раби сиккатима» и своему цухаруму продать очень важный для производства бронзы металл — медь.

ССТ 4, 12в

«... (26) ...цухарума (27) немедленно пришлю и серебро (28) пусть они ему (т. е. цухаруму) отвесят (29) А я это (т. е. факт о получении серебра) печатью закреплю и (30) пришлю вам...»

Письмо принадлежит купцу по имени Эльведак, который и посылает своего цухарума за серебром. Серебро Эльведаку причиталось, видимо, после какой-то коммерческой сделки. Как видим, купцы в рассмотренных нами последних двух случаях полностью доверяли своим цухарумам вести денежные операции.

ССТ 6, 37а

«...(1) Медь — *ṭiru*²¹, которое (2) ты мне должен, (3) положи на мою медь, чтобы в Бурушхаттум (4) отнесли и, чтобы серебро до последней мины (5) пришло ко мне здесь, дабы сердце моё (6) ликовало. Там (7) моим цухарумам сообщи, (8) если цены на ослов (9) хорошие в Бурушхаттуме, (10) то пусть продадут ослов за серебро, (11) если же цены на ослов (12) в Бурушхаттуме не подходящие, (13) (то) сообщи мне (об этом) в письме...».

Как уже отмечалось, после образования Османской империи турки на урумов наложили не только иго законов, но и иго языка, насильно навязывали им свой язык — язык тюркского корня. В этих условиях в среде урумов наступил период вынужденного двуязычия: бедственное положение принудило их против своего желания привыкнуть к чужому языку. В начальной стадии такого двуязычия (в период интерференции) происходило отклонение от норм обоих языков. Чуждый урумам язык подвергался изменению под влиянием внутренней формы и законов развития родного греческого языка, с другой стороны, под влиянием турецкого языка греческая звуковая и грамматическая системы стали также постепенно трансформироваться. Впоследствии вышеуказанные экстралингвистические (политические и социальные) факторы привели к ослаблению интерференции. Из-за неравных положений взаимодействующих языков начался процесс интеграции, который привел к постепенному переходу от греческого языка к языку тюркской системы. При этом на всех уровнях языка урумов произошли значительные типологические изменения, реорганизовалась его структура.

После переселения урумов на территорию Грузии, в регионы, изолированные от турецкого этнического массива, их язык, не имеющий устойчивой письменной традиции, находится в тесном контакте с русским языком, который наложил и продолжает накладывать отпечаток на все его стороны: прежде всего обогащает его письменно-литературными элементами, очищает его от эксцессов

просторечья, вносит в его синтаксис упорядоченную систему и т. п.

Не без влияния русского языка происходила анализация строя этого языка, дифференциация лексико-грамматических его классов, на всех структурных его уровнях формировались специфические категории индо-европейского языкового типа.

Заметное влияние на развитие этого языка, в частности на его ретюркизацию, оказывают и другие иносистемные языки — грузинский и армянский. С другой стороны, в настоящее время происходит коррекция этого языка в сторону говоров азербайджанского языка.

Контрастивное изучение инноваций, вызванных иноязычным влиянием на язык урумов, в социалингвистическом и внутрилингвистическом аспектах позволяет констатировать, что этот язык в ходе своего развития приобрел ряд специфических фонетических и лексико-грамматических особенностей, которые подчеркивают его своеобразие и выделяют среди родственных ему языков огузской группы тюркских языков в качестве самостоятельной языковой единицы.

Сами урумы язык, на котором они общаются, называют «мусурманджа». Термин этот конфессионального происхождения и далеко еще не говорит о том, какой это именно язык, так как мусульманским можно назвать любой другой язык народов, входящих в орбиту влияния ислама. Интересно при этом то, что урумы, правильно называя турецкий язык «туркча» или «османныча», никогда так не называют свой язык, что также свидетельствует о том, что они отмежевывают свой язык от турецкого, с которым, несомненно, он имеет много общего.

Основная масса иноязычных греков за время, прошедшее после их переселения из Турции на территорию Грузии, стала двуязычной: языком школы и делопроизводства у них является русский язык. Причем некоторая часть урумской интеллигенции свободнее говорит по-русски, чем на своем языке. Однако и у них элементы общепотребительного языка прочно сохраняются в сферах внутрисемейного и внутрисельского обиходного словаря. Частная переписка, массовые мероприятия, допросы на судах, выступления на собраниях и т. п. осуществляются на русском и на своем разговорном языке, который представляется возможным назвать урумским. На этом языке урумы думают, поют песни, слушают сказки, прощаются с покойниками, изъявляются в чувствах, встречают праздники и т. п.

В условиях добровольного и сознательного двуязычия урумы в настоящее время приобщаются к достижениям мировой культуры и науки в основном через посредство русского языка.

9. Культурно-экономическое положение урумов до установления Советской власти в Грузии.

Переселение урумов из Турции на территорию Грузии имело огромные прогрессивные последствия: оно вырвало этот народ из того хозяйственного тупика, куда завело их турецкое господство, избавило их от тяжелой эксплуатации и ассимиляции, обеспечило им свободу и независимость, а после установления Советской власти в Грузии привело к резкому подъему культурно-экономического уровня их жизни, ускорило процесс приобщения их к великой русской культуре и культуре других народов СССР, в первую очередь, грузинского народа.



Однако приходится отметить, что и в царской России урумы оставались угнетенным народом. Особенно трудно приходилось им в первые годы после переселения, т. к. многие из них вынуждены были оставлять родные места в одни сутки, жертвовать всем своим имуществом. К тому же, они пропускали время сева и жатвы, в пути испытывали невероятные трудности. Все это в конечном итоге привело их в бедственное состояние. На пороге зимы у них не было фуража для скота, достаточного запаса хлеба. Поручик Кацнер, который специально проверял экономическое состояние переселенцев, в своих рапортах Тифлисскому военному губернатору сообщал, что он объехал все деревни, в которых увидел «много бедных, не имеющих дневного пропитания», что многие режут скот для поддержания своей жизни, что к весне не останется «скота для хлебопшества», что нужно отпустить пшеницу, а также деньги для заготовки фуража¹.

В целом экономическое развитие урумских деревень до установления Советской власти в Грузии шло крайне медленно. Переселенцы испытывали недостаток в земле. «Большая часть надела состояла из голых, каменистых пространств и лощин, не пригодных даже для пастбы скота, под пашни едва годилась одна пятая всего надела»². Из-за недостатка земли между переселенцами происходили споры. Из-за низкой техники земледелия, отсутствия удобрения, затягивания сельскохозяйственных работ и т. д. крестьяне получали низкий урожай: сельскохозяйственная продукция от животноводства и земельных угодий обеспечивала самые скромные потребности семьи в течение 7—8 месяцев в году, а в остальное время урумы вынуждены были искать пропитание за пределами района.

Первое время переселенцы жили в землянках, которые пристраивались друг к другу, в результате чего деревни выглядели как беспорядочное нагромождение жилищ. Часто крыши домов служили двором и улицей. Изредка только у отдельных состоятельных урумов в некоторых селах были дома с черепичной кровлей.

Из-за недостатка топлива крестьяне вынуждены были топить жилье один раз в день, обычно когда нужно было готовить пищу. Большой частью топливом служил кизяк, в котором также был недостаток. Даже обыкновенные спички не были доступны многим крестьянам, поэтому для разведения огня они сохраняли в золе тлеющие куски кизяка (антх) или занимали огонь друг у друга.

Население из-за недостатка продуктов питалось однообразной и скудной пищей. Хлеб выпекался сразу на 1—2 недели, за это время он становился черствым и несъедобным. Хроническое недоедание и антисанитария в деревнях создавали почву для распространения массовых заболеваний, которые при отсутствии соответствующей медицинской помощи уносили ежегодно сотни молодых жизней. Из всех рождавшихся детей только половина выживала до пятнадцатилетнего возраста¹: корь, оспа, скарлатина, коклюш и др. детские болезни беспощадно свирепствовали среди детского населения. Массовое распространение среди населения получали тиф, трахомы, малярия, туберкулез и др. заболевания. Из-за отсутствия врачей

¹ ЦГИА ГССР, фонд 1105, д. «Переписка о греческих семействах...».

² Эрицов А. Д. Экономический быт государственных крестьян Борчалинского уезда Тифлисской губернии, Тифлис, 1887.

лечением населения занимались цирюльники, знахари, костоправы, разные гадалки и бабки, которые большей частью калечили больных, хотя и некоторыми из них применялись и рациональные способы лечения ран, переломов и т. п. При тяжелых заболеваниях урумы прибегали к магии, давали обещание принести святым церквям и святыням жертвы. Используя темноту и отсталость населения, разные шарлатаны грабили людей.

В семейно-бытовом укладе урумов в прошлом сохранилось много пережитков патриархальщины. Он отличался жесткостью, бесправностью женщин, на которых распространялась неограниченная власть мужчин. Жена во всем должна была подчиняться мужу, на женщину смотрели как на служанку и производительницу потомства. Девушки нередко выдавались замуж без их согласия, иногда в несовершеннолетнем возрасте, что приводило к большой смертности прежде всего женского населения. Например, по данным камерального описания 1873 г., на Цалке у урумов на 100 мужчин считалась 91 женщина, в 1885 г. на 100 мужчин — 93 женщины (на Цалке в 1873 г. проживало 6425 урумов и 5766 урумок)². Особенно тяжелым было положение молодой невестки. Чтобы испытать ее ловкость, умение и выносливость, а также послушность, поручали ей выполнять непосильную работу.

Она должна была вставать раньше всех и ложиться позже всех, выполнять самые разнообразные работы по дому и буквально изнемогала под их тяжестью, но вместе с тем она была лишена права разговаривать со взрослыми, а в крайнем случае — не называть мужа по имени. Родственников мужа она тоже не должна была называть по именам, а давать им особые почетные имена (кадаш, каинаха и др.).

Женщина, как правило, не должна была учиться. Достаточно сказать, что по переписи населения 1926 г. среди взрослого населения грамотных мужчин было 8%, а женщин — лишь 2%. А до установления Советской власти на Цалке среди коренных урумок вообще не было грамотных. В деревнях царствовала беспросветная темнота: редко можно было отыскать урума, который умел расписываться. Грамоту знали лишь священники, учителя, которых к началу XX века в Цалкском районе было всего восемь, из них пять греческих, один русский, один немец и один армянин. Не было ни одного среднего учебного заведения, а существовавшие начальные школы не отвечали элементарным требованиям школьного образования. К тому же они могли охватить лишь незначительную часть детей школьного возраста. Поэтому урумы обивали пороги разных учреждений в Манглиси, Тбилиси и в др. городах с мольбами допустить их детей в школы. И, несмотря на исключительную тягу урумов к просвещению, редко кто из них в прошлом мог получить соответствующее образование.

В народной памяти все это оставило глубокий отпечаток

10. Современный быт и культура урумов.

Нужны были большие социальные сдвиги, которые усилили бы процесс освобождения урумов от турецкого влияния и вековой

¹ Эриксон Э. В. Об условиях быта и санитарном состоянии цалкинских поселений. МСИКМО, 61, 1898.

² Эрицов А. Д. Экономический быт государственных крестьян Борчалинского уезда Тифлисской губернии, Тифлис, 1887.



отсталости. И это стало возможным после установления в Грузии Советской власти, которая возродила обнищавший, неграмотный народ к новой жизни.

Урумы восторженно встретили Великую Октябрьскую социалистическую революцию, которая открыла широкий простор для активной творческой деятельности многомиллионным массам трудящихся, принесла социальное и национальное освобождение всем народам России, равно как и урумам. Угнетенные в прошлом урумы за годы Советской власти поднялись до уровня передовых народов: за это время произошли радикальные преобразования во всех сферах их жизни, в их этническом развитии, в духовном облике и языке.

В результате коллективизации сельского хозяйства были созданы условия для уничтожения в деревне пережитков патриархальщины и преобразования общественно-бытового уклада жизни урумского крестьянства. Преобразился облик триалетских сел и деревень: исчезли в них землянки и кровнородственные кварталы. Сейчас высокий уровень материального благосостояния урумов-тружеников позволяет им строить благоустроенные дома городского типа на свободных приусадебных участках. Во многих селах появились отделения связи, радиоузлы, современные водопроводы, клубы, дома культуры и др. культпросветучреждения.

Если Цалка в прошлом была краем бездорожья, то сейчас здесь проложены современные автомагистрали, установлено регулярное автобусное сообщение между отдельными селами и Тбилиси, а также др. городами республики, проложена современная железнодорожная линия, на р. Храми воздвигнут каскад мощных гидроэлектростанций и т. д.

С первых же дней Советской власти большое внимание уделяется медицинскому обслуживанию населения, в результате чего резко снизилась смертность, намного увеличилась продолжительность жизни.

При Советской власти осуществилась вековая мечта урумов дать образование своим детям, пробудились их духовные потенции. Получая общее среднее образование на русском языке, они выдерживают конкурсные экзамены в престижные вузы страны и успешно их оканчивают, так что в урумских селах ныне насчитывается сотни высококвалифицированных врачей, агрономов, учителей, инженеров, зоотехников, экономистов и др. специалистов. С большим интересом теперь во всех школах изучается родной (греческий) язык.

В быт урумской семьи вошло советское законодательство о полном равноправии женщин. Интересы семьи теперь основываются не на экономических соображениях, а на духовной и идейной близости: материальная сторона, национальная принадлежность, различия в сословном происхождении уже перестали быть фактором в установлении брачных отношений. Навсегда исчезли браки по принуждению, обручение в детском возрасте, затворничество. В среде урумов все больше становится браков с представителями других наций — грузинами, русскими, армянами и др. народами.

Победа социализма в деревне привела к изменению сознания крестьянства, оживлению старых патриархальных обычаев и нравов, связанных с религиозными верованиями. Традиции же гостеприимства, уважения к старшим, учтивости, родственной взаимопомощи, патриотизма в современных условиях получили большое развитие и наполнились новым содержанием. Наряду с этим, появились новые обычаи, например, отмечать день дружбы народов (триалетоба),

праздновать окончание учебного заведения, день начала и окончания сельскохозяйственных работ, призыва в ряды Советской Армии и увольнения из ее рядов и т. п.

В условиях общего подъема культуры населения оживляли старые и выковывались новые моральные качества: активная общественная деятельность, чувство нерушимой дружбы с народами СССР, понимание долга перед Родиной и партией. Новые общественные отношения у урумов сейчас базируются на взаимной помощи, дружбе и коллективизме, на экономическом и политическом равноправии всех членов общества. Индивидуализм, частнособственнические инстинкты, суеверие, ненависть и недоверие к другим народам и т. п. стали рецидивами прошлой жизни урумов.

Приобщение их к основам науки и техники, а также к передовой культуре сказалось на самом характере их речевого обихода, в который широким потоком проникали и проникают книжные слова и выражения из русского, грузинского и др. языков.

На протяжении многовековой истории у урумов мало было светлых дней. Только Октябрьская революция 1917 года подняла их к творческой созидательной жизни. В развитие народного хозяйства республики, ее сельского хозяйства сегодня вносят значительный вклад десятки тысяч урумов, возрожденных социалистическим строем.

На базе современной науки и техники развивается многоотраслевое сельское хозяйство, особенно животноводство и овощеводство. Для развития сельского хозяйства тут построены и строятся современные животноводческие комплексы, ирригационные сети, созданы специализированные совхозы, оснащенные передовой техникой, открыты филиалы крупных республиканских фабрик и заводов. За годы Советской власти выросли здесь опытные животноводы, механизаторы, растениеводы, строители и др. специалисты.

Так в Советской Грузии осуществлялись вековые мечты урумов о счастливой жизни и свободном труде на благо всего общества.

Представлена кафедрой истории народов Тбилисского педагогического института им. А. С. Пушкина

ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა

გვიანფეოდალური ხანის, კერძოდ XVI—XVII საუკუნეების ქართულ მონუმენტურ ფერწერაში განსხვავებულმა ტენდენციებმა იჩინა თავი, რაც, პოსტიზანტიური კულტურის საერთო დაქვეითების ფონზე, მოხატულობათა ჯგუფების მრავალფეროვნებით განისაზღვრა. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდს ძნელბედობად მოიხსენებენ, მაგრამ მიუხედავად მძიმე ისტორიული ვითარებისა არ შეწყვეტილა შემოქმედებითი მოღვაწეობა, რაც სახვითი ხელოვნების ძეგლების მრავალრიცხოვნებაშიც გამოვლინდა.

XVI საუკუნის მონუმენტურ მხატვრობაში გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება — ე. წ. პროფესიული ნაკადი, რომლის ნიმუშები დაკავშირებული არიან პოსტიზანტიურ ხელოვნებასთან და მართლმადიდებელი სამყაროს ცენტრის, ათონის სამონასტრო სკოლის მოხატულობებზე იღებენ ორიენტაციას. ამ მიმართულების ძეგლებში განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ერთი ჯგუფი კახეთის მოხატულობებისა — ხაშში, ნეკრესი, ახალი შუამთა, ალვანი, გრემი და სხვა (XVI ს.). მათი დიდი ნაწილი ლევან მეფის დაკვეთით რყო შესრულებული. კახეთის პოლიტიკურმა მომძლავრებამ, აგრეთვე მეფის მჭიდრო კავშირმა ათონის ქართულ მონასტერთან განაპირობა მაღალოსტატური მოხატულობების შექმნა¹. ამ ჯგუფის ძეგლებში წარმოჩნდა ის სიახლეები, რაც იტალო-კრეტულმა სკოლამ დასავლური რენესანსის გავლენით შემოიტანა ათონზე². სწრაფვა ილუზორულობისაკენ, სიბრტყის განთავისუფლება სპეციფიკური პალეოლოგოსური დანაწევრებისაგან ახალი შუამთისა და ნეკრესის მოხატულობებში აშკარად შეინიშნება.

მეორე მიმართულება ე. წ. „ხალხური“ ნაკადია, რომლის ნიმუშები ნაწილობრივ დაკავშირებულნი არიან პოსტიზანტიურ ხელოვნებასთან, მაგრამ ძირითად ხაზებში აგრძელებენ ქართული მონუმენტური ფერწერის ადგილობრივ ტრადიციებს. განსაკუთრებული გრაფიკულობა, კომპოზიციის აგების სიბრტყოვანება, ფიგურის წამყვანი მნიშვნელობა, დამახასიათებელი ნათელი კოლორიტი განსაზღვრავს ამ ჯგუფის ძეგლთა მხატვრულ სახეს. (ქორეთი, შალა, მღვიმევი, გელათის ელია XVI ს. და სხვა)³.

¹ М. Вачиадзе, Кახетинская школа живописи XVI в. и ее связь с Афонской живописью, IV межд. симп. по груз. искусству, Тб., 1983.

² Лавревш. К вопросу о «греческой» манере итало-греческой и итало-критской школах живописи. Ежегодник Института истории искусств, 1952.

³ ი. ხუციკვაძე, ვიანი შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი ასპექტი, ძეგლის მეგობარი, № 11, 1982, გვ. 104. ი. შალა და მღვიმევი, Народная струя в грузинской монументальной живописи XVI в., 11 межд. симп. по груз. искусству, Тб. 1977

XVII საუკუნიდან სურათი მნიშვნელოვნად იცვლება. ხალხური ნაკადი წყვეტს არსებობას, თუმცა საკმაო კვალს ტოვებს სახვით ხელოვნებაში. პროფესიულ მოხატულობათა წრეში ეცემა ოსტატობა, მხატვრული დონე. ყოველივე ეს კი ხელოსნობის გაზრდასთან არის დაკავშირებული. ამავე დროს შეიმჩნევა განსხვავებულ ტენდენციათა და სტილისტური ჯგუფების მრავალფეროვნება. მათ შორის გამოირჩევა ბერძნული ტიპის ნიმუშები, რომლებიც პალეოლოგოსთა ტრადიციის შემდგომი გადაშეშვების გზით ვითარდება. სწორედ მათში მხატვრული სახის გამოფიტვა შეინიშნება (სვეტიცხოველი, სამთავისი, ჟუმათი, ცაიში და სხვა).

ახალი ფორმების ძიებამ ეროვნული ნიშნების აღზევება გამოიწვია, რასაც ისტორიულმა ფონმავე შეუწყო ხელი — სპარს-თურქებთან ხანგრძლივმა ბრძოლამ გაამძაფრა ეროვნული თვითშეგნება, საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ წამოიჭრა საქართველოს ერთიანობის იდეა, რეალური ნაბიჯები გადაიდგა მის განსახორციელებლად⁴. ათონიდან შემოჭრილი რენესანსული ნიშნები სწორედ ამ ნიადავს დაემყნო. ილუზორულობის მოკარბება გრაფიკულ საწყისს დაუკავშირდა. მსგავსი ტენდენციები გვხვდება როგორც კედლის მხატვრობაში და მინიატურების ერთ ჯგუფში, ასევე მოგვიანებით ხატებშიც: სვეტიცხოველის ცხოველმყოფელი სვეტის მოხატულობა, ანანური, მარტვილი, ნიკორწმინდა, შემოქმედის გუმბათიანი ეკლესიის ჩრდ. მკლავი და სხვ.

ეპოქისათვის დამახასიათებელი შემოთაღნიშნული ტენდენციების ნაირგვარობამ განაპირობა მოხატულობათა ერთი ჯგუფის „ეკლექტური“ ხასიათი — ისინი მეტწილად ბერძნული ტიპის ნიმუშებს უახლოვდებიან, მაგრამ ჩანასახის სახით მათში ახალი სტილის ნიშნებიც მკლავდება — ფიგურათა პროპორციების დაახლოვება ნატურალურთან, სცენათა რედაქციების შერჩევასა და ტიპაჟში ქართული ტრადიციის გამოძახილი, სახეთა წერის ილუზორული პრინციპი. სწორედ ამ კუთხით წარმოვაჩენთ ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობას.

ქ. ხონში, ქვის მალალი გალავნით შემოვლებულ მყუდრო ეზოში დგას წმ. გიორგის ეკლესია. მთლიანად მწვანე სუროში ჩაფლული, მალალი ხეებით დაბურთული, გალავანი შეუმჩნეველს ხდის ეკლესიას გამელელის თვალისათვის, ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მცირე ზომის სამრეკლოა. თვით ეკლესიამ ჩვენამდე სამწვანო ბაზილიკის სახით მოაღწია⁵. თავდაპირ-

⁴ გაერთიანების ინიციატორი აღმოსავლეთ საქართველო აღმოჩნდა. ქართლის მეფის ვახტანგ V-ის ხელისუფლება 1660-იან წლებში დასავლეთ საქართველოზე გაერკვლა. მთელი რიგი მატანეები ინახავენ ცნობას იმის შესახებ, რომ 1660 წლის ახლო ხანებში ვახტანგმა ცოლად შეირთო იმერეთის დედოფალი დარეჯანი. 1661 წელს კი დიდი ჭარით გადავიდა დასავლეთ საქართველოში, დაამარცხა ვამეყ დადიანის ლაშქარი, თუმცა მისი ძალაუფლება აქ ხანგრძლივი არ ყოფილა. იხ. თ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 125, დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII სს.), თბ., 1965, გვ. 440.

⁵ ეკლესიის საფუძვლიან გადაკეთებას ე. თაყაიშვილი XIV ს. სამშენებლო ფენას უკავშირებს. ძეგლზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების აღწერილობაში ტაძრის გაფაროვნება XVII საუკუნიით არის დათარიღებული (აღწერილობა ინახება წულუკიძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

ველად, როგორც ჩანს, დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა. მხატვრობა მხოლოდ ეკლესიის ცენტრალურ სივრცეს ამკობს. მხატვრობის კედლებზე განთავსების სისტემა, აგრეთვე მისი დაზიანების ხარისხი გვაფიქრებინებს, რომ ტაძარი XVII საუკუნის შემდეგ გადაკეთდა სამნავიან შენობად. ამავე პერიოდში დააგრძელეს აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძიც, რის გამოც დაიღუპა მხატვრობა ეკლესიის მთელ ქვედა ნაწილში და დასავლეთის კედელზე. მხატვრობა შემორჩა კამარებში, კედლის დეკორატიულ თალებსა და საკურთხეველში. იგი სატრიუმფო თაღზე მოთავსებული ვრცელი ბერძნული წარწერით თარიღდება 1676—1677 წლებით⁶.

ეკლესიაში ძირითადი ფენის ქვეშ მოჩანს XIV ს. მოხატულობის ფრაგმენტები — საკურთხეველში სამი მღვდელმთავრის ფიგურა, კამარაში ხარებისა და შობის სცენები, საკურთხევლის მიმდებარე დეკორატიულ თაღებში წმ. გიორგის ურმის თვალზე დაკვრისა და დიოკლეთიანეს წინაშე წარდგენის სცენები.

როგორც გადარჩენილი ნაწილებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ეკლესიის მოხატულობის ძირითადი ფენის მთლიანი პროგრამა დამორჩილებულია ერთ ძირითად იდეას, უფლის დიდების თემას, რომელიც მის მეორედ მოსვლას უკავშირდება. ყველაზე ნათლად ამას საკურთხევლის პროგრამა ადასტურებს. კონქში გამოსახულია „ვედრება“, რაც ამ ხანის პროფესიული ნაკადის ძეგლებისათვის იშვიათია. კონქში ძირითადად ჩვილელი ღვთისმშობელი გვხვდება ხოლმე. უფლის დიდების — „ვედრების“ გამოსახვა კონქში აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციას უკავშირდება და ფართოდაა გავრცელებული ქართულ მონუმენტურ ფერწერაში⁷. პოსტიზნანტიურ ხანაში ეს თემა „ხალხური“ ნაკადის კონქის მოხატულობისათვის არის ჩვეული. პროფესიულ ძეგლებში კი ხონის მხატვრობასთან ერთად „ვედრება“ გვხვდება სამთავისის, შემოქმე-

⁶ 6. თ. ყაუხჩიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ტ. 11, 1914, მეკლესიის მოპყავს აღმოსავლეთის ფასადის შუა ნაწილზე მოთავსებული ასომთავრული წარწერა: „წმინდა გიორგი, შეიწყალე გიორგი კურაპა (ლატი და) ივანე“. უშეუბეს რა, რომ წარწერაში გიორგი I-ია მოხსენიებული, იგი ტაძრის აგებას მისი მეფობის წლებით (XI ს. დასაწყისი) განსაზღვრავს.

⁷ მხატვრობა ნაგების გამყოფ თაღებს ქვემოთ სრულიად განადგურებულია, რაც მხოლოდ ხელოვნური ჩარევის შედეგი უნდა იყოს. მხატვრობის მცირე ნაგლეჯები შემორჩენილია აქამად მხოლოდ ნაგების გამყოფ ბურჯების შევარდნებზე, რომლებიც თავდაპირველად წარმოადგენდნენ კედლის პილასტრებს, რომელთაც დარბაზული ეკლესიის საბერძნეთო თაღები ეყრდნობოდა. ჩვენს მოსაზრებას მრავალი არქიტექტურული დეტალიც ადასტურებს: თუ გვიან გაპირილი თაღის სპეციალური ექვსი საექვნით არის გათლილი, რაზეც ქვის ზედაპირის დამუშავება მიგვანიშნებს, უფრო ძველ, ნახევარსვეტების ზედაპირზე ფართო ჩამონატყრება ჩანს. დასავლეთის ახლად ამოშენებულ თაღებსა და ნახევარსვეტების კაპიტელებს განსხვავებული ფორმა აქვთ.

⁸ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951. ამ ნაშრომში მეკლესიის მოპყავს თარიღის აღმნიშვნელი ბერძნული ასოები, მაგრამ არ არის მოცემული მათი განმარტება. 1983 წ. ძეგლის ხელმეორედ მონახულებისას ავტორმა დაადგინა ასოების მნიშვნელობა, ამოიკითხა ზუსტი თარიღი, 1676/7 წლები.

⁹ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფლის დიდების თემა, გადმოცემული „ვედრების“ კომპოზიციის სახით, ესოდენ გავრცელებული კლასიკურ ხანაში (დავით გარეჯის უდაბნოს მთავარი ეკლესია, ზემო კრიხი, XI ს, სვანეთის ძეგლები, XI—XII სს., ფანისი, XII ს. და სხვ.) პალეოლოგთა ხანაშიც გადმოვიდა (დავით ნარინის ეკტერი, ავი — XIII ს., საფარა, უბისი, სორი (IVX ს.).

დის ბაზილიკისა და გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთის ეკვდრის მოხატულობებში (რომელიც თავისი სრული პროგრამით როგორც ცალკე ეკლესია, ისე გაიაზრებოდა).

„ვედრების“ ხონისეული რედაქცია, სადაც საყდარზე მჯდომი ქრისტეს ორსავე მხარეს, წინამდგომთა ფიგურების გარდა, გამოსახულნი იყვნენ მთავარანგელოზები და აგრეთვე ქერუბინი და სერობინი, ე. ი. წინასწარმეტყველთა ხილვის მოტივები, ხშირად გვხვდება XVI—XVII სს. მხატვრობაში (ყულაში, სეფეთი, ქორეთი, გელათი, სამთავისი). სწორედ „ვედრების“ მსგავსი ვარიანტი, სადაც აპოკალიფსური და წინასწარმეტყველური ელემენტებია შეყვანილი, იყო ძველთაგანვე გაბატონებული ქართულ კედლის მხატვრობაში, მას აღმოსავლურ ქრისტიანულ წარმოდგენებს უკავშირებენ¹⁰.

ეს სცენა ძლიერ არის დაზიანებული — შემორჩა მხოლოდ მაცხოვრის ფიგურის და საყდრის ნაწილი, აგრეთვე კომპოზიციის მარცხენა მხარე — სერობინი საყდრის გვერდით, იოანე ნათლისმცემლისა და გაბრიელ მთავარანგელოზის ფიგურები. ისინი მაცხოვრისკენ არის მობრუნებულნი, ვედრებად მიმართულნი.

ფრაგმენტულობის მიუხედავად ჩანს, რომ მაცხოვრის ფიგურა გამოყოფილი იყო არა მარტო კონქის კომპოზიციაში, არამედ მთლიან მოხატულობის ანსამბლში თავისი დიდი ზომით, რაც იერარქიული აგების პრინციპზე მიგვანიშნებს და ძველი ქართული მონუმენტური ფერწერის ტრადიციასთან კავშირს გვიჩვენებს.

ნათლისმცემელს ქიტონი და ჰიმატიონი მოსაეს. პალეოლოგთა ხანიდან პოპულარული გახდა ბიზანტიურ სამყაროში ვედრების რიგის კომპოზიციებში ნათლისმცემლის გამოსახვა აქლემის ტყავში — განდგომილის იერი მის სახეს ასკეტურ ხასიათს უქმნიდა, დრამატულს ხდიდა¹¹. ქართულ სახვით ხელოვნებაში ბოლომდე უპირატესობას ანიჭებენ მის ქომაგ და მთხოვნელ ბუნებას, ნათლისმცემელს ქიტონსა და ჰიმატიონში გამოსახავენ, როგორც მოციქულს, ან წინასწარმეტყველს¹².

„ვედრების“ კომპოზიცია მოხატულობის მთლიან ანსამბლში ჩაზღვრულია როგორც ფიგურათა დიდი ზომებით, აგრეთვე ერთმანეთზე გადაბმული მედალიონთა მწყრივით, რომელიც უწყვეტად შემოუყვება გარს „ვედრების“ აცენას, გამოყოფს კონქის კომპოზიციას აბსიდის კედლის რეგისტრისაგან და გადადის აბსიდის მომიჯნავე კამარის ზედაპირზე¹³. მედალიონებში ჩაწერილია

¹⁰ იხ. Н. Аладашвили. Композиции алтарной конхи в церквях Сванети, IV межд. симпозиум по груз. искусству, Тб., 1980; Е. Привалова, Роспись Тимофеевской церкви, Тб., 1980, с. 16.

¹¹ О. С. Попова. Икона «Иоани Предтеча» середины XIV в. из «Эрмитажа», Искусство Западной Европы и Византии. Москва, 1978, с. 22—34.

¹² იოანე ნათლისმცემლის კავშირი ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან და მისი მისიის კავშირი წინასწარმეტყველებასთან მისი ჩასახვის მომენტში იქნა განცხადებული: „და შენ, ყრმაო, წინასწარმეტყველ მალის იწოდო, რამეთუ წარსდღე შენ წინაშე პირსა უფლისასა განზადებდად გზათა მისთა (ლუკა 1,7).“

¹³ მედალიონთა ვიწრო რეგისტრის შეყვანა მოხატულობის ანსამბლში ფართო გავრცელებას პოულობს პალეოლოგთა ხანიდან (ლიხენ, ბედია). პოსტპალეოლოგთა ხანაში კი ჩვეულებრივად გახდა, მაგ., ბუგეული, ჭლა, ბოლნისი, გელათის წმ. გიორგი, გელათის მთავარი ტაძრის ჩრდ. ეკვტერი, ლიხაური და სხვა. უკანასკნელ სამ შემთხვევაში, ბონის მსგავსად, მედალიონებში წინასწარმეტყველება გამოსახულია.

წინასწარმეტყველთა ბიუსტები გაშლილი გრაგნილებით ხელში, რომლებზეც ბერძნულენოვანი საწინასწარმეტყველო ტექსტებია აღბეჭდილი. ტექსტებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ ქარტიებზე მოყვანილია განკითხვის დღის ხილვის მომენტები, მასთან დაკავშირებული იგავები თუ ქადაგებანი. ამრიგად, წინასწარმეტყველთა გრაგნილების წარწერები განსაზღვრავენ და განმარტავენ კონქის კომპოზიციის ძირითად იდეას, უფლის მეორედ მოსვლას, ამით ხაზი ესმება კონქის, როგორც მოხატულობის მთლიანი სისტემის მთავარი აქცენტის სიძლიერეს. ბერძნულენოვანი ტექსტი ქარტიებზე (მაშინ, როდესაც სახელის აღმნიშვნელი წარწერები წინასწარმეტყველთა თავებთან ასომთავრულითაა აღნიშნული) გვაფიქრებინებს, რომ მათი შესრულების დროს მხატვარს კონკრეტული ბერძნული პროტოტიპები უნდა ჰქონოდა. წინასწარმეტყველთა იკონოგრაფიული ტიპებიც ათონურ ძეგლებში პოულობენ პარალელებს¹⁴.

მედალიონთა რეგისტრის ქვემოთ საკურთხეველში მოთავსებულია „ზიარება“ ორი სახით. გვიანდელი ხანის იკონოგრაფიისათვის დამახასიათებელი ჰომენტია მაცხოვრის წარმოდგენა მღვდელმთავრის სამოსში. მსგავსი გამოსახულებები XIII საუკუნიდან „ზეციური ლიტურგიის“ სცენებში ჩნდება და პოსტბალეოლოგთა ეპოქაში ფართოდ ვრცელდება ათონის მონასტრებში და მასზე ორიენტირებულ ქართულ ძეგლებში (ნეკრესი, გელათის მთავარი ეკლესია და სხვა). როცა საკურთხეველში ორივე სცენაა გამოსახული, „ზეციური ლიტურგია“ და „ზიარება“, მაშინ უკანასკნელში მაცხოვარი ჩვეულ ქიტონსა და ჰიმატონშია ხოლმე, ხოლო როდესაც მხოლოდ უკანასკნელი სცენაა მოცემული, გვხვდება ქრისტე — მღვდელმთავარი. ამრიგად, პოსტბიზანტიურ ეპოქაში „ზიარების“ სცენამ, სადაც მაცხოვარი წარმოდგენილია, როგორც უპირველესი და უმთავრესი მღვდელმთავარი, შეითვისა ზეციური ლიტურგიის პომენტიც. ზიარების მსგავსი რედაქცია საქართველოში წარმოდგენილია აღვანში, ხონში, ციაშში და სხვა¹⁵;

ხონისეულ „ზიარების“ სცენაში კომპოზიციის ცენტრალური ნაწილისაკენ გვეკუთვნის მოციქული მიემართება. ღვინით ზიარებას იღებს თომა, ხოლო პურით პეტრე. ჩვეულებრივ ამ სცენის მთავარი პერსონაჟები პეტრე და პავლე არიან, რაც გვიდასტურებს, რომ ეს სცენა აღრიდანვე შორდება რეალური სახარებისეული ამბის თხრობას და სიმბოლური ხასიათი აქვს (პავლე სახარებისეულ სერობის სცენაში არ მონაწილეობდა. იქ დამსწრეთა რიცხვში იყო ოუდა, რომელიც ბალეოლოგამდელ ხელოვნებაში არ გამოისახებოდა)¹⁶. ჩვენს

¹⁴ მსგავსი ბერძნულენოვანი ქარტიები და ქართული სახელის აღმნიშვნელი წარწერები გვხვდება გელათის მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთის ეკედრის მოხატულობაში (XVII ს.).

¹⁵ პოსტბიზანტიური პერიოდის მონუმენტურ ფერწერასა და ხატებში მაცხოვარი მღვდელმთავრის სამოსში „ვედრების“ რიგის გამოსახულებებშიც გვხვდება, რაც ამ პერიოდში ქრისტიანული სიმბოლიკის გართულებას და მის ლიტურგიასთან დაკავშირებულ მოგვიანდელ (მაგ. შემოქმედის დარბაზული ეკლესიის კონქში გამოსახული „ვედრება“, VII ს.). რუსულ ხელოვნებაშიც „ვედრების“ მსგავსი რედაქცია ხშირი შემთხვევაა და ქრისტეს ამ კომპოზიციაში სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებენ, მაგ., ნაზარი ისტომინის ხატზე — „მეფე-მეფეთა“. ასეთ გამოსახულებებს ვხვდებით ხობის საკურთხეველის მიმდებარე ბურჯზე და აგრეთვე შემოქმედის დარბაზული ეკლესიის საეპისკოპოსო საყდარზე (XVII ს.).

¹⁶ XIII საუკუნიდან პავლეს ნაცვლად „ზიარების“ სცენის ამ ადგილას იოანე გვხვდება ხოლმე, მაგ., 1265 წ. სოპოხანის მოხატულობა სერბიაში, R. Haman-Maclean and H. Hallensleben, Die Monumentalmalerei in Serbian und Makedonien, 1963.

მოხატულობაში გადმოცემული იშვიათი იკონოგრაფიული სქემა შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, აქ აისახა სახარების ის მომენტი, როდესაც ამაღლებამდე მოციქულთათვის მოვლენილი მაცხოვარი მათ ჭეშმარიტი რწმენის მქადაგებელთა ფუნქციას ანიჭებს. აქ მაცხოვარი პეტრეს და თომას ერთ-მანეთს უკავშირებს და პირველებს სწორედ მათ ასახელებს: „იყვენს ზოგად¹⁷ სიმონ-პეტრე და თომა, რომელსაც ერქუა მარჩბივ და ნათანაილ, რომელ იყო კანათ გალილესაჲთ (იოანე 21,2). ამ სცენის იგივე რედაქცია გვხვდება ბულგარეთში, არბანისის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაში (XVII ს.).¹⁸

სცენის ყველა პერსონაჟი მაცხოვრისაკენ არის მიმართული, გარდა იუდასი, რომელიც კომპოზიციის მარჯვენა ნაპირთანაა გამოსახული. იგი ზურგშექცევით დგას, მარცხენა დაშვებულ ხელში ქისა უჭირავს. მხარზე დიდი ღამიანის სახის ფრთოსანი ეშმაკი აზის. მას ბრჭყალები იუდას სახესთან აქვს მიტანილი. იუდას ზურგშექცევით გამოსახვა პალეოლოგთა ხანიდან ხშირად გვხვდება საქართველოში (ლიხნე, ბეღია, შემოქმედი, ხობი და სხვა), მაგრამ ეშმაკის შეყვანა საკუროთხევლის მოხატულობაში იშვიათი შემთხვევაა და გვიანი ხანის გავლენებს შეიძლება დაუკავშირდეს. მსგავსი გამოსახულებები ათონის სამონასტრო სკოლაში გვხვდება, რასაც ანესტი კონსტანტიდის ერმინიაც გვიდასტურებს¹⁹. ეშმაკის შეყვანით კომპოზიციაში სცენა რეალურ ტექსტობრივ საწყისს უკავშირდება. სახარებაში სერობის დროს ეშმაკი იუდას ღალატთან კავშირში ორჯერ არის ნახსენები და სიმბოლოდან უკვე სახიერ ფორმას იძენს — „და ვითარცა სერობაჲ იგი იყო, და ეშმაკი შესრულ იყო გულსა იუდაჲსსა, სუმონ ისკარიოტელისასა, რაჲთა განსცეს იგი“... (იოანე 13,2); და შემდეგ: „მიუგო იესუ და თქუა: რომელსა მე დავაწო პური და მიეცე, იგი არს და დააწო პური და მისცა იუდა სიმონისსა ისკარიოტელსა და შემდგომ მიღებისა იუდაჲსა საზრდელისა მის შევიდა მისა ეშმაკი“... (იოანე 13,27). ამრიგად, სახარების მიხედვით იუდა სწორედ მაცხოვართან ზიარების ჰომენტში შეიპყრო ეშმაკმა. იუდასა და ეშმაკის ამ სცენაში შეყვანით ოსტატი მას რეალურ სახარებისეულ ამბებს უკავშირებს და უფრო კონკრეტულ საფუძველს აძლევს კლასიკური ხანის მონუმენტურ ფერწერაში გაბატონებულ ამ სიმბოლურ სცენას, რაც პალეოლოგთა და, განსაკუთრებით პოსტპალეოლოგთა ხანის მხატვრობისათვის დამახასიათებელ თხრობითობაზე მიგვანიშნებს.

აბსიდის მოხატულობის ქვედა რეგისტრი აღარ შემორჩა. იატაკის დონიდან დაახლოებით სამ მეტრზე ნალესობა მთლიანად ჩამომტვრეულია, რაც ეკლესიის გვიანი გადაკეთების შედეგი უნდა იყოს (ეკლესიის სამწავიან ნაგებობად გადაკეთების დროს საკუროთხევლის ორსავე მხრიდან პასტოფორიუმებში გასასვლელი კარები გაჭრეს). მოხატულობის შესრულების პერიოდისა და მისი

¹⁷ „ზოგად“ სახარებისეულ ტექსტში ერთობის მნიშვნელობით იხმარება, ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თსუ, 1989, გვ. 211.

¹⁸ B o s c h k o v. Bulgarische Malerei.

¹⁹ ერმინია 1885 წლით თარიღდება. აქ ევქარისტის ტექსტში ნათქვამია: «По сторонам Спасителя двенадцать апостолов в наклонном положении. Они взирают на Христа... Иуда сзади их поворачивается назад; Демон восходит в уста его»: Покровский. Стенные росписи в древних храмах греческих и русских», Труды седьмого археологического съезда в Ярославле (1988 г.). Москва, 1890 г., т. I.

ხასიათის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქაც აბსიდის ცენტრისაკენ მიმართული მღვდელმთავართა პროცესია იქნებოდა გამოსახული. ამჟამად ამ ადგილას ვხვდებით ძველი ფენის მოხატულობის (XIV ს.) ნაშთებს, რომელზეც სამი მღვდელმთავრის ფიგურა განირჩევა სამ მეოთხედში მოზრუნებულნი.

საკურთხეველის მოხატულობის ძირითადი იდეა სატრიუმფო თაღის წარწერაშია გადმოცემული: „მოსავთა შენთა დამამტკიცებლო, უფალო დამამტკიცე ეკლესია შენი, რომელი მოიყიდე სისხლითა შენითა წმიდითა“. წარწერაში უფლის დიდების თემა ეკლესიის სიმტკიცეს უკავშირდება, რაც ზიარების სცენაში ხორცშესხმულ ქრისტეს მსხვერპლს ემყარება.


როგორც ვხედავთ, აბსიდში, ტაძრის ლიტურგიულად უმთავრეს ნაწილშივე მქდავდება მხატვრობის ხასიათი, მისი ეკლექტიკური ბუნება. თუ კონქის კომპოზიცია ძველი ქართული მონუმენტური მხატვრობის ტრადიციას ითვალისწინებს, ქვედა ორი რეგისტრი პალეოლოგთა ხანიდან ბიზანტიური ფერწერისათვის ჩვეული ლიტურგიული შინაარსის ხაზგასმას და თხრობითი ელემენტების შეყვანას გვიჩვენებს და ათონურ ფერწერულ სკოლაზე იღებს ორიენტაციას.

ასეთივე ხასიათის არის ტაძრის ცენტრალური ნავის ფრესკებიც. აქ ძირითადად ორი ციკლი იქნებოდა წარმოდგენილი — ათორმეტი დღესასწაულის ციკლი, გამდიდრებული მაცხოვრის ვნებათა ამსახველი ორი სცენით — „ფერხთაბანითა“ და „თომას ურწმუნოებით“, და აგრეთვე ღვთისმშობლის ცხოვრების ციკლი, რომლიდანაც ამჟამად ორი სცენაა შემორჩენილი — „ტაძრად მიყვანება“ და „ღვთისმშობლის მიძინება“. ქრისტოლოგიური ციკლის სცენები განლაგებულია კამარებსა და კედლების ზედა ნაწილში, ხოლო ღვთისმშობლის ციკლის სცენები თავსდება კედლების თაღებში. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ცენტრალური ნაწილის თაღების მხატვრობა. საბჭუნ თაღზე გამოსახულნი არიან მოწამეები მედალიონებში. ღვთისმშობლის ციკლის სცენების ორსავე მხარეს კი, კუთხეებში მხარებელთა ოთხი ფიგურაა წარმოდგენილი, პიუბიტრებთან, თავის სიმბოლური გამოსახულებებით, რაშიც ჩანს გუმბათიანი ეკლესიების მხატვრობის სქემისათვის დამახასიათებელი ელემენტების გამოყენება და მათი შეთავსება დარბაზული ნაგებობის ინტერიერისათვის: სახელდობრ, მხარებელთა გამოსახულებებს, რომლებიც ჩვეულებრივ გუმბათქვეშა ტრომპებზე ან აფრებზე თავსდებოდა, მხატვარმა მოუძებნა ადგილი სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების ცენტრალური თაღების კუთხეებში, სადაც აფრისმაგვარი მონაკვეთები იქმნება²⁰. მხარებელთა ამგვარი განთავსების შედეგად დარღვეული აღმოჩნდა გამოსახულებათა იერარქიული ურთიერთშეფარდება, რომლის მიხედვითაც მხარებლებს, სადვით წერილის ავტორებს და ქრისტიანობის პირველ გამავრცელებლებს, უპირავეთ უშალედური ადგილი ეკლესიის უმაღლეს, ზეციურ სფეროს, ე. ი. გუმბათსა (ქრისტე — პანტოკრატორი, მთავარანგელოზები) და საუფლო დღესასწაულთა ზონას შორის. ამ შემთხვევაში ისინი მოექცნენ ქრისტოლოგიური

²⁰ მხარებელთა მოთავსება დარბაზულ ინტერიერში კედლის სიბრტყეზე გამოყოფილ ტოპონიმისმაგვარ მონაკვეთზე გვხვდება სასხორის მოხატულობაში (XVII ს.), ბიზანტიანო-პროტანონის ეკლესიაში (XIV ს. ათონის მთა) და პლევალის წმ. სამების ეკლესიის მოხატულობაში (XIV ს. ბულგარეთი).

ციკლის ქვემოთ. სასურათო სიბრტყის ზედა კუთხეში მახარებლების სიმბოლოთა გამოსახულებებია მოცემული, ეს დეტალი მახარებელთა ამ ტიპს აპოკალიფსურ ხილვას უკავშირებს, რაც თავის მხრივ „ვედრების“ ესქატოლოგიურ შინაარსს უკავშირდება. პიუპიტრებთან მჭდომარე მახარებლები (მთელი ტანით) ბიზანტიური სამყაროსათვის იყო დამახასიათებელი. ქართულ ძეგლებში, შუა საუკუნეებში, უმეტესად გვხვდება მახარებელთა ბიუსტები მედალიონებში.

ხონის მოხატულობის პროგრამის გარკვეული ლაკონიურობა მხატვრობის არქაული ორიენტაციით შეიძლება აიხსნას²¹, თუმცა სწორედ გვიანი ხანის



1. ხონის წმ. გიორგი. საკურთხეველის აფსიდის მოხატულობა (სქემა).

²¹ ამ პერიოდის ქართულ ძეგლებში, რომლებიც მკაფიოდ ამკლავნებენ პოსტბიზანტიურ ორიენტაციას, ციკლები მეტად არის გაფრცობილი, ამას გარდა ხშირად გვხვდება სხვადასხვა წმინდანის ცხოვრების აპოკრიფული სიუჟეტები, მაგ., ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ცხოვრ-

პროფესიული ნაკადის მხატვრობებისათვის არის დამახასიათებელი ტაძრის კედლებზე ისტორიული ციკლის გაშლა²².



2. ხონის წმ. გიორგის ეკლესია. კონქის მოხატულობის დეტალი.

როგორც აღვნიშნეთ, საკურთხეველის კონქის კომპოზიციის გადაწყვეტა განვითარებული შუა საუკუნეების მხატვრობის მონუმენტური ტრადიციებიდან მომდინარეობს, თუმცა გამოსახულებანი, მიუხედავად დიდი ზომებისა, არ ქმნიან მონუმენტურ შეგრძნებას. კონქის გარშემომჭერი მედალიონების ერთმანეთზე გადაბმისას ოსტატი არ ითვალისწინებს სატრიუმფო თა-


ზის ამსახველი სცენები (ხობი, შემოქმედი); ასევე — რენესანსულ კულტურაში პოპულარული წმინდანის, ქრისტეფორეს გამოსახულებანი (შემოქმედი, ხობი) და სხვა.

²² გვიანდელი ხანის საქართველოს „ხალხური“ მიმდინარეობის ძეგლებისათვის, კლასიკურ ხანაში გავრცელებული მიდგომის მიხედვით, ერთი თეოლოგიური იდეით გაერთიანებული სცენების შერჩევა უფრო მისაღები აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ დროის ნაშანი, თხრობითობის გამჟღავნება აქაც საგრძნობია (წითელისხევი, გელათის ელია, ქორეთი და სხვა).

ღის საფეხურებს, მედალიონების გადაბმა ამ ადგილას ისეთივეა, როგორც გლუვ კედელზე, რაც არქიტექტურული ფორმების უზღუდბელყოფის მაჩვენებელია. სატრიუმფო თაღზე ბერძნული წარწერა თავსდება. ის ჩასმულია კიბისებრ ორნამენტში. სატრიუმფო თაღის შემკობის ორი ზერხი, დეკორატიულად გადაწყვეტილი წარწერით და ორნამენტული მოტივით, ქართული კლასიკური ხანისათვის კარგად არის ცნობილი, მათ სიერცის მორგანიზებული ფუნქცია ენიჭებათ. ხონის მხატვრობაში წარწერა კარგავს კონქის გამმიჯნავი აქცენტის მნიშვნელობას, იგი ამჟამად სპეციალური დაკვირვების გარეშე არც აღიქმება ტაძრის ინტერიერში.

გამოსახულებათა განაწილებისას ხონის ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში მხატვარი გარკვეულად ანგარიშს უწევს ინტერიერის არქიტექტურას. კომპოზიციებს იგი კამარისა და კედლის საბჯენი თაღებითა და პილასტრებით შემოსაზღვრულ მონაკვეთებზე ათავსებს. კამარის ცენტრში, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კალთების გასამიჯნავად, ოსტატი ფართო, მცენარეულ ორნამენტთან ზოლს იყენებს. ნაგებობის გამყოფი ბურჯები ხონში ერთმანეთისაგან არათანაბრად არიან დაშორებულნი, რის გამოც საბჯენი თაღებითა და პილასტრებით დაყოფილი კამარისა და კედლის სიბრტყეები არათანაბარი გამოდის. ყველაზე ფართოა ცენტრალური თაღი, ყველაზე ვიწრო აღმოსავლეთისა. შესაბამისად მხატვარი აღმოსავლეთის მხარეს თითო სცენას ათავსებს, ცენტრალურ მონაკვეთში ძირითადად ორ-ორს, მაგრამ არ იცავს შესატყვისობასა და თანაფარდობას მოპირდაპირე კედლების გადაწყვეტაში; მაშინ, როდესაც კამარის სამხრეთ კალთაზე, ცენტრალური თაღის ზემოთ, მხოლოდ ერთი სცენაა — „შობა“, მის საპირისპიროდ, ჩრდილოეთის კალთაზე ორი სცენა. „ნათლისღება“ და „ფერისცვალება“ თავსდება. თითო მონაკვეთზე ორ-ორი სცენის მოთავსება ანაწევრებს კედლის ზედაპირს და მონუმენტური ფერწერის პრინციპებიდან დაშორების მაჩვენებელია. ამგვარი ასიმეტრიულობა კომპოზიციების განაწილებაში საერთოდ დამახასიათებელია პოსტბიზანტიური ხანის შოხატულობათა სისტემისათვის. ხონის მოხატულობის ოსტატი ამ საკითხში ერთგვარ ზომიერებას იჩენს — როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კედელზე რეგისტრების გამყოფი ჰორიზონტალური ზოლები ერთ დონეზეა გაგლებული, დატულია თანაფარდობა და ერთიანობა სცენების გამყოფ ვერტიკალურ ზოლებს შორის, რაც კლასიკური ხანის მხატვრულ ტრადიციას უკავშირდება. მაგრამ ტაძრის საკმაოდ დიდ, ხალვათ სიერცეში მინიატურული სცენებისა და ფიგურების მოთავსება, აგრეთვე კედლის სიბრტყის მაქსიმალური შევსება გვიმწვადენებს პალეოლოგთა ხანიდან შემოსულ ტენდენციებს, რომლებმაც განსაზღვრეს გვიანფეოდალური ხანის კედლის მხატვრობის ხასიათი.

ცალკეული სცენების იკონოგრაფიული რედაქციები განსხვავებული ხასიათის ნიმუშებიდან მომდინარეობს. ხონში „ნათლისღების“ კომპოზიცია დიდი ფიგურებისაგან შედგება — მაცხოვარი, ნათლისმცემელი და სამი ანგელოზი, მაშინ, როცა პალეოლოგთა ხანიდან მოყოლებული ამ სცენას მეტად გავრცობილი ხასიათი აქვს. მასში გვხვდება ხოლმე დამსწრეთა ჯგუფები, პერსონიფიკაციები და სხვა. პოსტბიზანტიურ ხანაში ახალი, გავრცობილი რედაქციის გვერდით ძველი — ლაკონიურიც განაგრძობს არსებობას. საქართველოში მონუმენტურ მხატვრობაში უპირატესობა სწორედ კლასიკურ სქემას ენიჭება (მარტივი, კულაში და სხვა).



3. ხონის წმ. გიორგი. სამხრეთის კედლის მოხატულობა (სქემა).

ასევეა „ფერისცვალება“ — ხონის მოხატულობაში წარმოდგენილია მაცხოვრის უშუალოდ გარდასახვის მომენტი, წინასწარმეტყველებით და სამი დამხობილი მოციქულით. პალეოლოგთა ხანიდან ბიზანტიურ ძეგლებში გავრცელდა კომპოზიციის სამნაწილიანი ვარიანტი, როდესაც თვით ფერისცვალებას ემატება მოციქულთა მთაზე ასვლა და დაბრუნება. მსგავსი თხრობითობა პოსტბიზანტიური კულტურის სულიერ მოთხოვნებს პასუხობს და უცხოა კლასიკური ხანის სიმბოლური აზროვნებისათვის. პოსტბიზანტიურ სამყაროში ამ ორი რედაქციის თანაარსებობის პირობებში საქართველოში კვლავ პრორატეტს პირველ მთავანს ანიჭებენ (კულაში, მარტვილი, ხონი).

„ჯვარცმის“ სცენაში ძირითადი პერსონაჟების გვერდით (ჯვარცმული ჭრისტე, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი) წარმოდგენილი არიან ლონგინოზ ასისტავი და კიდევ ორი მარიამი, ამგვარი იკონოგრაფიული ტიპი გავრცელდა XIII ს-ის ქართულ ფერწერაში. ნეიტრალური კედელი, რომელიც კომპოზიციის ფონს ქმნის, აგრეთვე ამ პერიოდიდან გვხვდება „ჯვარცმის“ კომპოზიციის საქართველოში საკმაოდ ხშირია ხონის მოხატულობაში წარმოდგენილი რედაქცია (კულაში, ხობი, მარტვილი და სხვა). თუმცა კი ამ ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული სხვაგვარი, გავრცობილი რედაქცია, აგზავთა ჯვარცმითა და სხვა დრამატული მომენტებით დატვირთული.

ამ სცენების გვერდით ხონის მოხატულობაში არის აგრეთვე აშკარად ათონური ნიმუშების მიხედვით შესრულებული კომპოზიციები. მათ შორის ყველაზე ტიპურია „შობა“. ცენტრში მოთავსებულია ყრმა ბავაში და მის წინაშე მუხლმოყრილი ღვთისმშობელი, ჩვილისკენ ვედრებად მიმართული ნ. კონდაკოვი „ჩვილის თაყვანისცემის“ ამ სიუჟეტს იტალიურ წარმომავლობას ანიჭებს და მის ძირებს XV ს. რენესანსულ ხელოვნებას უკავშირებს²³.



4. ხონის წმ. გიორგის ეკლესია. ფერხთა ბანა.

შთელი რიგი მეცნიერებისა ამ თემის აღმოსავლური წარმოშობის მომხრეა და მას აღმოსავლურ ქრისტიანულ ლიტურგიას უკავშირებენ²⁴. მიუხედავად ამ ორი თვალსაზრისის ურთიერთგამომრიცხველობისა, ჩვენთვის ყურადსაღებია, რომ „შობის“ მსგავსი რედაქცია ბიზანტიურ სამყაროში გაჩნდა მხოლოდ პოსტბიზანტიურ ხანაში და ძირითადად ათონურ ძეგლებში გვხვდება. საფიქრებელია, რომ საქართველოში ამ რედაქციამ ათონიდან მოაღწია და

²³ Кондаков. Иконография Богоматери, связь греческой и русской иконописи с итальянской живописью раннего возрождения. СПб, 1911, с. 101.

²⁴ ამ სცენის აღმოსავლური წარმოშობის მომხრეა ვიუნტერ რისტოვი. იგი ეყრდნობა რა ლიტერატულ ტექსტებს (მენაიონი 146 ა, 222 გ), ღვთისმშობელს ამ შემთხვევაში უფლის მსახურის ფუნქციას ანიჭებს Ristow, G. Geburt Christi—Reallexikon zur byzantinischen Kunst“. S. II. გვ. 170. ამ აზრს იზიარებს ჩილენგაროვიც: Влияние Дюрера и современной ему немецкой графики на иконографию поствизантийского искусства“, Древнерусское искусство. Зарубежные связи, Москва, 1976, с. 329.

11. „მაინე“, ისტორიის სერია, 1989, № 2

მყარად მოიკიდა ფეხი — მარტვილი, კულაში, გელათის მთავარი ეკლესიის ჩრდ-გვედერი, ჟუმათი, ნიკორწმინდა და სხვ.

ხონისეულ „შობის“ სცენაში არის კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ამ სცენას ათონურ ნიმუშებს უკავშირებს: აქ მოგვები ორჯერ არიან წარმოდგენილნი, ერთხელ მსვლელობის პროცესში, ცხენზე ამხედრებულნი, მეორედ კი ბაგასთან, ჩვილის წინაშე. საქართველოში ასეთი რედაქცია ხონის გარდა გვხვდება მხოლოდ ნიკორწმინდაში, რაც ასევე ჩვილის თაყვანისცემის მომენტის ხაზგასმას უნდა ემსახურებოდეს.

ხონის მოხატულობის ეკლექტიკურ ბუნებას გვიმჟღავნებს აგრეთვე ძეგლის სტილისტური ნიშნებიც. ცალკეული კომპოზიციები თავისთავად, ერთნაწილისაგან დამოუკიდებლად აღიქმება, პალეოლოგთა ხანაში გაბატონებული მონუმენტური ფერწერის პრინციპის ხატთან დაახლოების მიხედვით (ჯვარცმა, ნათლისღება, ფერიცვალეობა, ამადლება, სულიწმინდის მოფენა). მიუხედავად ლაკონიური რედაქციებისა, კადრის სიმციროს გამო სცენები გაჭედლია, მაქსიმალურად არის შევსებული, მაგრამ აქვე თავს იჩენს კლასიკური ხანისათვის დამახასიათებელი კომპოზიციის აგების პრინციპი — მთავარი პერსონაჟის გამოყოფა და ხაზგასმა. ხონის ოსტატი ამ მიზნისათვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს — ფიგურის ზომის გადიდებას (ბზობა, თომას ურწმუნოება, ფერხთაბანა), შარავანდის გაზრდას (ბზობა, ფერხთაბანა), პაუზას მაცხოვრის ფიგურაზე გადასვლისას (თომას ურწმუნოება), მის გამოყოფას ფერადოვანი ლოკალური ლაქის საშუალებით (ბზობა) და არქიტექტურული ფონის საშუალებით (ფერხთაბანა, თომას ურწმუნოება).

პალეოლოგოსურია ფიგურათა დიდი ნაწილის სილუეტები, ოდნავ წავრძელებული და გაფუყული, პატარა თავებით (ზიარება, ნათლისღება, ჯვარცმა). მაგრამ აქვე გვხვდება კონქის „ვედრების“ სცენაში შედარებით მონუმენტური ფიგურები, დიდი თავითა და ხელის გაზრდილი მტევნებით, რაც უფრო აღრინდელ ხანის მხატვრობას მოგვაგონებს.

ფიგურათა ზედაპირი მაქსიმალურად არის დაქუცმაცებული — სამოსის ნაოჭების დახლართული ნახატი აცდენილია სხეულს რეალურ ფორმებს და ორნამენტულ ხასიათს ატარებს, თუმცა ზოგიერთ ადგილას იგი პირობითად წიანიშნებს სხეულის ფორმებს (მუხლისთავეებისა და იდაყვების გამოყოფა). სამოსის წერისას ოსტატი ფართო გამოთეთრებას ხმარობს, რაც აქუცმაცებს და შლის ფორმას. ნახატის მსგავსი დაქუცმაცება იწვევს სილუეტის „გაბუნდოვნებას“. მოხატულობაში ხშირად არის ნახმარი სამოსის ძირითადი ტონისაგან განსხვავებული ფერის გაღიაება (თომას ურწმუნოება). მსგავსი ხერხი პალეოლოგთა აღზევების დროს ფერწერული რეფლექსების რენინისცენაციაა.

ხონის მოხატულობაში სახის ორგანო ტიპს ვხვდებით — ზოგი ბერძნულ ტიპს ამჟღავნებს: მოგრძო სახის ოვალი, პალეოლოგთა სახეებისათვის დამახასიათებელი განვითარებული სახის ქვედა ნაწილით. ნუშისებრი თვალის მტრით (ზიარება, ნათლისღება, შობა, ჯვარცმა), ხოლო მეორე აღმოსავლურს. მათი მრგვალი სახეები, გამოწვეული ყვრიმალეობით, დაბალი შუბლით, ფართოდ გახედილი თვალებით, სახასიათო, ზემოთ აზნექილი წარბების რკალით, გაწყვილი უღვაშებით ემოციურ დატვირთვას ანიჭებს პერსონაჟებს. ეს გულუბრყვილო, ბუნებრივი ემოციურობა „ხალხური“ ძეგლებისათვის დამახასიათებელ თვითმყოფად გამომსახველობას უახლოვდება (ბზობა, ფერხთაბანა, ღვთისმშობლის მიძინება და სხვა). ხონის მოხატულობაში პორტრეტებს რა-

მოდენივე ოსტატი ასრულებდა, მათგან გამოვეყოფთ ერთს, რომელიც სანკირის ზღოვეისფერ ტონს მთლიანად სქელი ვარდისფრით ფარავს და ზემოდან აღარ აქუშავებს. ამგვარი ჩანასახი სახის წერის ილუზორული პრინციპისა ხონში საკმაოდ უხეშად მეღვენდება.

კომპოზიციის უკანა პლანი დატვირთულია სხვადასხვა სახის რაკურსში გამოსახული შენობებით, რომელთა ნაწილი, აივნებიანი და რიკულებიანი ნაგებობები, ამავე დროის მინიატურებში პოულობს პარალელს (ფერხთაბანა, მძინება, ტაძრად მიყვანება და სხვა). მთიანი ლანდშაფტის გადმოცემისას ოსტატი ძველ ხერხს მიმართავს. ნაცვლად ტიპიური პალეოლოგოსური „ბაქნებისა“ ხონის მოხატულობაში ჩვენ ვხვდებით უწყვეტი, დენადი ნახატის საშუალებით გადმოცემულ მთებს, რაც კლასიკური ხანის მოხატულობათა მთიან პეიზაჟს მოგვაგონებს, თუმცა განსხვავებულია თეთრას სქელი ზოლებით მათი დამუშავების ხასიათი.

ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობის კოლორიტი აგებულია ძირითადად მუქ ლურჯ, მოწითალო და ოქროსფერ ფერებზე. საღებავი ძალიან თხელ ფენად ედება, მის ქვეშ გამოსჭვივის რუხი გრუნტი, რაც ლოკალურ ფერში თეთრას უხვ შერევასთან ერთად ფერადოვან ლაქას სიმკვრივეს აკარგვინებს და წარწერას ერთგვარ „წყალწყალა“ იერს ანიჭებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ გამოყენებული პიგმენტების სიღარიბე. ეკლესიაში გამოყენებულია აურიპიგმენტი და სინგური, არ არის მიწის ფერები (ძალიან ცოტაა ოქრა), რაც განაპირობებს მოხატულობის ცივ ფერადოვან გამას.

ამრიგად, როგორც ხონის ეკლესიის მოხატულობის მაგალითზე დავინახეთ, XVII ქართული მონუმენტური ფერწერა იაზრებს რა პოსტიზანტიური ხანისათვის დამახასიათებელ პროგრამის გართულებას, მის დაქვემდებარებას ლიტურგიასთან, იღებს რა მისგან მრავალ იკონოგრაფიულ დეტალს მაინც არ კარგავს კავშირს ქართული შუა საუკუნეების მონუმენტური ფერწერის ტრადიციებთან.

Н. М. АЛЕКСИДЗЕ

РОСПИСЬ ЦЕРКВИ СВ. ГЕОРГИЯ В ХОНИ

Резюме

В монументальной живописи позднего средневековья в Грузии отразился ряд сложных тенденций, наметившихся в культурной жизни страны. С одной стороны, рост национального самосознания и, в связи с этим, на базе допалеологовской традиции наслаивание ренессансных влияний с запада, а с другой — дальнейший упадок художественного уровня в т. н. позднепалеологовских памятниках и преобладание ремесленничества.

Эти различные тенденции обусловили художественный облик настенной живописи в церкви св. Георгия в Хони. Роспись полностью примыкает к т. н. постпалеологовскому стилю живописи афонских монастырей, хотя здесь в зачаточном виде уже проявляются новые тенденции этого времени.

Лаконичность в подборе программы христологического цикла (в основном двенадцатые праздники с добавлением двух страстных сцен), пропорции фигур, приближенные к реальным человеческим, тип лица местного происхождения, отказ от типичных палеологовских «лещадок» в изображении пейзажа, их более рельефное решение отражают в данном памятнике живые традиции грузинской монументальной живописи.

Некоторая иллюзорность в разработке лиц, что сказывается в покрытии санкирья общим грязно-розоватым тоном, свидетельствует о влиянии ренессансных начал.

В статье предпринята попытка выявления своеобразного «эклектического» характера настенной росписи церкви св. Георгия в Хони.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ზერიძემ



Н. Т. ЧУБИНИШВИЛИ

ЗООМОРФНЫЕ КИНЖАЛООБРАЗНЫЕ ПРИВЕСКИ

При анализе археологического материала в недалеком прошлом ряд ученых, сталкиваясь с предметами древнего искусства, видели в них в лучшем случае лишь источник «немного восхищения» и конкретная оценка той или иной единицы зависела от того, насколько реалистично изготовлена последняя. Некоторые ограничивались поисками подтверждения существующих этнографических данных, или же ставили задачи, связанные с нахождением тематического единства в различных регионах, в различных археологических культурах.

При этом, чаще всего основное, характерное оставалось за пределами их интересов, а именно то, что является отличительной чертой предметов искусства (стиль, манера, трактовка художественного образа). Разумеется, высказанное мнение не может быть распространено на всех. Именно наличие в некоторых работах диаметрально другого подхода и стало отправной точкой того, что в последнее десятилетие наметился качественно новый подход к предметам древнего искусства, логическим выводом которого является рассмотрение предметов древнего искусства как носителей этногенизирующих признаков¹, более того, как некоей семиотической системы, в которой кодируется информация², являющаяся в силу многоплановости функции предмета древнего искусства также многосторонней³. Исходя из вышесказанного, как нам кажется, становится очевидной значимость изучения предметов древнего искусства в понимании процессов, происходящих в древности.


Наша работа посвящена изучению малых бронзовых пластических форм с территории древней Колхиды эпохи раннего железа⁴. В ходе изучения пластических единиц наметилась возможность проследить поэтапные изменения (точнее, выделить стадии), происходящие в пластическом мышлении вышеназванной эпохи. Данная статья посвящается одной группе пластических форм — т. н. кинжалообразным привескам. Нам кажется, что на данной группе наглядно можно продемонстрировать поэтапность изменения трактовки художественного образа, т. к. на сегодняшний день их известно более полутора десятка единиц, объединенных как единством темы, так и функцией предмета, т. е. в нашем распоряжении сериал.

¹ Антонова А. Е. Древнейшие государства Средней Азии (опыт реконструкции). стр. 40—41, М., 1984.


² Раевский Д. С. «Модель мира Скифской культуры (Проблемы мировоззрения ираноязычных народов евразийских степей I тысячелетия до н. э.) стр. 77—92, М., 1985.

³ Мириманов В. В. «Первобытное и традиционное искусство» из серии «Малая история искусств». стр. 45, 50, 55. Москва-Берлин, 1973.

⁴ Чубинишвили Н. Т. «Художественные изделия поздней бронзы раннего железа древней Колхиды (малые пластические формы)». Тб., 1987, рукопись.




1




2




3




4




5



7




8




9




10




11



12




13




14



15



16



17

Подавляющее их большинство происходит с могильников Эргета⁵. По одной они обнаружены на Красномаяцком⁶ могильнике, Палурис Садзле⁷ и на могильнике в с. Дгваба⁸. Формально они представляют собой имитацию бронзовых кинжалов, точнее, клинков, которые завершаются объемными изображениями морд хищников вместо рукояти. Все они имеют сквозное отверстие для подвешивания, просверленное, чаще всего, в шее персонажа. Сами клинки повторяют форму распространенных в древней Колхиде кинжалов с линзовидным сечением (к сожалению, их сохранность не всегда позволяет говорить о форме острия. Более того, некоторые экземпляры дошли до нас лишь в виде объемных голов).

В тематическом отношении — это изображения хищников. Об этом свидетельствует следующая иконографическая схема: морда с оскаленной пастью с указанием верхнего и нижнего ряда зубов, с навостренными, торчащими кверху ушами, мощной шеей, переходящей в плечи. Изделие смотрится с двух сторон — в профиль и фас, хотя и следует отметить, что более полно оно воспринимается в профиль. Что же касается определения персонажа как вида животного, то тут мы сталкиваемся с трудностью. Скорее всего, это существо синкретично, хотя и возможно назвать его «Гвери», являющимся, вполне вероятно, пережитком тотема собаки-волка, столь распространенного в древней Колхиде⁹. Но можно и соотносить его с конкретным, антропоморфным образом, т. е. антропоморфным божеством, изображенным в одном из своих инкарнационных видов в соответствии с конкретной функцией. Касательно интерпретации самих предметов следует заметить следующее: как предметы, они являются индивидуальными, т. е. были принадлежностью определенного индивида. Это обстоятельство позволяет сделать следующее заключение, что независимо от того, являются ли они тотемами или иконостасами божества, в любом случае они являются знаками, как символами наличия в конкретном социуме (древней Колхиде) целого ряда индивидов (на сегодняшний день в количестве более полтора десятков — носителей одной социально-религиозной функции,

⁵ На сегодняшний день с могильников с. Эргета Зугдидского р-на известно 14 единиц. Как и все остальные экземпляры, они изготовлены в технике «литья по утраченной форме» и их размеры не превышают 16 см. (см.: Микеладзе Т. К., Мигдисова Н. Г., Папуашвили Г. И. с 1984 г. Чубинишвили Н. Т. «Отчеты Колхидской археологической экспедиции» ПАИ, Тб., 1977—87.

⁶ Трапш М. М. «Труды» т. 2, стр. 126. Сухумы, 1969.

⁷ Барамидзе М. В., Пхакадзе Г. Г., Квирквелия Г. Т. Квацная В. К. «Полевые археологические исследования в 1976 г.» (Археологические разведки в Абхазской АССР). стр. 80. Мецниереба, 1979.

⁸ «Отчет Колхидской археологической экспедиции за 1987 г.» Микеладзе Т. К. «Могильники центральной Колхиды эпохи раннего железа», стр. 126—136, рукопись; Иванов В. В. «Сходные черты в культе волка на Кавказе, в древней Малой Азии и на Балканах» в сб. «Кавказ и Средиземноморье», изд. Тбилисского государственного университета, 1980.

⁹ Куфтин В. А. «Материалы к археологии Колхиды», т. I, стр. 85—86. Тбилиси, 1949; Мещанинов И. И. «Змея и собака на вещевых гамятниках архаического Кавказа». Записки восточного отдела Русского Археологического Общества, стр. 26; Миллер А. А. «Изображение собаки в древностях Кавказа». Известия Российской Академии материальной культуры, т. 2. Петербург, 1922.

т. е. при наличии коллективных родовых погребальных ям подтверждается существование в общественной структуре индивидов, чья социальная функция овеществляется через этот предмет. Особенно это важно при наличии родовых коллективных погребений, где мы видим несколько единиц в одной погребальной яме, т. е. среди представителей одного рода есть несколько индивидов с общей функцией и в противовес этому, наличие аналогичных изделий в индивидуальных погребениях. Если это явление расценивать с точки зрения распада родового строя, то при наличии данного круга изделий можно считать его документально доказанным (в этот же круг включаются нашивки, булавки, привески с пластическими формами, или гравированные пряжки и топоры). Что же касается этих изделий, как феномена пластических форм, то к их анализу мы сейчас и приступаем.

Мы анализируем 16 единиц (с № 1 по № 16). Их последовательность соответствует нашему пониманию развития пластического мышления, т. е. от схематически-иконографического к этапу абстрагированности путем прохождения т. н. «художественной» стадии.

Первая из них (табл. 1) кажется нам одним из ранних экземпляров. В пользу этого должно говорить то, что в основе трактовки образа ведущее место занимают элементы иконографического порядка; голова животного представляет собой выступающую вперед змееподобную морду. На вздутой ее поверхности точками даются ноздри и глаза. Пасть оскалена. Между челюстями (т. е. верхней и нижней формой) — два ряда плотно сжатых зубов, которые прорисовываются каждый в отдельности (причем, их величина возрастает от задних к передним) и покрываются цветной пастой. При взгляде сверху усеченная, вздутая кверху треугольная форма расширяется к ушам. Морда вырастает из дугообразной, выгнутой формы с эллипсовидным сечением шеи, которая книзу сжата с двух сторон, образуя плечи, служащие переходом к клинку. Итак, вышеприведенное описание позволяет сделать следующий вывод: образ представляет собой хищника с подчеркнутой агрессивностью, выраженной как через архитектонику, так и посредством выделения иконографических элементов. Аналогичные моменты с незначительными изменениями мы видим в следующих четырех единицах (заметим, что три из них происходят с одной погребальной ямы). Все они сохранились по-разному, хотя и везде сохранились объемные головы (табл. 2, 3, 4, 5). В отличие от предыдущего экземпляра в разбираемых единицах исчезает дугообразный изгиб шеи (у трех единиц), за счет этого морда крепится по-разному к основанию, т. е. к шее. У двух из них она образует угол 90° (табл. 2, 3, 4), у одного она запрокинута (табл. 5) и лишь у одного хищника основание дугообразно, но именно у него появляется новый элемент — надгубники, т. е. выступающие над зубами формы. С появлением надгубников ноздревая часть становится акцентированной формой, которая венчает морду сверху. Зубы также прорабатываются прорисовкой и они опять-таки плотно сжаты. Завершает эту стадию экземпляр, который был обнаружен в погребении с тремя вышеприведенными единицами (итак, в одной погребальной яме было четыре кинжалообразные привески). Сохраняя иконографические элементы, здесь на передний план выдвигается «натуралистичность» (табл. 6), что прежде всего выражается в вздернутой ноздревой части над пастью. И в этом экземпляре при взгляде сверху поверхность морды — треугольная форма, но с появлением ноздревой части

геометризация скрадывается, а форма надгубников придает оскалу да и всему образу более наивно-удовлетворенный характер. Исчезает агрессивность. Шея, точнее, ее внешний абрис, прорабатывается с пластической точки зрения, ей придается вид холки.

На следующей стадии пластический образ претерпевает ряд существенных изменений, и, как нам кажется, трактовка образа идет по двум направлениям. Первое: в сторону «натурализма», второе: в сторону абстрагированности. Но в обоих направлениях на данном этапе развития образ трактуется в свете совмещения иконографических и художественных задач, выдвигая на передний план художественные задачи. Первое направление прослеживается на примере изделия из Краснояцкого могильника погребения № 58 (табл. 7). Иконографическая схема не меняется: это опять-таки хищник с раскрытой пастью и стоящими торчком ушами, но при этом пасть передается иначе: вместо двух рядов зубов она раскрыта и в ней указываются клыки. Здесь более чувствительна лепка формы мягкими пластическими переходами с указанием лобной доли, по бокам которых отщепом даются уши. Глаза — врезанные кружочки, ноздревая часть подчеркивается вылепом, а не читается как ранее, отдельной формой. Шея также прорабатывается, под мордой образуется прогнутая форма, т. е. прорабатывается участок подбородка и переходы его к шее, т. е. происходит свето-моделировка. Кроме объемно моделированной головы, у этого экземпляра по клинку и основанию рукояти нанесен графический рисунок: с передней стороны на клинке изображается собакообразное существо, на основании — два усеченных конуса с линиями внутри, а с обратной стороны изображается рыба и бабочкообразный орнамент, состоящий из двух треугольников с соединенными вершинами.

Второе направление в общих чертах ближе к ранним экземплярам. Мы имеем в виду мотив сжатых челюстей, но что касается остального, разница существенна: морда становится более вытянутой, плоской, хотя при этом ее абрис становится более эмоциональным (табл. 8). Она более выступает над шейей, верхняя форма морды чувствительно прогнута, резким подъемом к ноздревой части, а наличие надгубников создает иллюзию натуралистичности, зубы и не прочерчиваются каждый в отдельности и не выделяются цветом. И еще одна существенная деталь: у всех ранее разобранных экземпляров отверстия делалось в шее, а у двух (табл. 8, 9) оно находится на самой морде, на месте глаза. Здесь, как нам кажется, произошло художественное осмысление утилитарного элемента — отверстия — в художественный прием.

На дальнейшем этапе пластический образ становится более абстрагированным за счет исчезновения элемента плотно сжатых зубов, т. е. исчезает даже идея агрессивности. Выделенные выше два направления продолжают развиваться и дальше. Первое из них идет по пути придания морде шарообразной формы (табл. 15). Судя по оставшемуся фрагменту, шея была цилиндрична. Голова задрана кверху, маленькие уши расположены по бокам, пасть приоткрыта, ноздревая часть приплюснута, нижняя форма морды — прямолинейная плоскость, заостряющаяся вперед, но при этом в основе трактовки лежит шарообразная форма. Пасть приоткрыта, но зубов нет и это можно рассматривать как реминисценцию, объясняемую традицией. Экземпляр с могильника Палурис Садзвле сохранился плохо (табл. 16), но мы с уверенностью можем отнести

его к заключительной стадии в силу исчезновения основных элементов иконографической схемы.

Второе направление на заключительной стадии представлено несколькими единицами. Прежде всего, это — экземпляр с Дгвабского могильника (табл. 10). Схема та же: хищник с оскаленной пастью, навострившимися ушами, но по пластическим приемам изменилось многое. Объемная морда практически стала шарообразной, но впереди она сжата с двух сторон, за счет чего боковые стороны образуют плоскость, на которой проработкой даются надгубники, чуть заметны ноздри, пасть раскрыта и хотя она — цельная форма, зубы не обозначаются. Лишь при взгляде на нее спереди от ноздрей книзу прочерчивается чуть выступающая вертикаль (кстати, этот же прием используется при проработке морды хищника на обухе топора с тлийского могильника с погребения № 51¹⁰, но об этом ниже). Уши хотя и изображаются, но они тракуются уже не торчком, а свисают. В следующей единице намеченные моменты усугубляются (табл. 13). Морда уже почти практически — шар, на котором сверху маленькими отщепами даются формы ушей, а что касается пасти, это — врезанные, эллипсовидные выемки с двух сторон.

Завершение поиска мы видим в двух единицах: это прежде всего экземпляр, который являет собой совершенство абстрагированности пластической мысли (табл. 11). Персонаж изображается с выступающей вперед и задранной кверху мордой, торчком стоящими ушами, но все это читается лишь в профиль, по абрису. На самом же деле это — одна пластическая форма. Здесь полностью исчезли оскаленная пасть, зубы и только вылепом дается трактовка образа, в котором полностью исчезла дифференциация. Формы как бы перетекают одна в другую. Шея почти цилиндрична, лишь изгибом на месте соединения с головой создает иллюзию перехода к черепу. Под ушами — проем для подвешивания, практически это — абстрагированный глаз (ср. табл. 8, 9). Аналогичные моменты заметны и в следующем экземпляре (табл. 14). К сожалению, он дошел до нас фрагментарно и то, что дошло, состоит из двух деталей: шеи и объемной морды. Относительно объемной морды заметим, что она полностью абстрагирована, что же касается шеи, она цилиндрична. Особо следует отметить наличие горизонтальных прорезей, скорее всего, этим было заменено отверстие для подвешивания.

Итак как видно из вышеприведенного описания и анализа, все разобранные единицы представляют собой соотношение вертикали (клинки и рукояти) и выступающей над ней горизонтально пластической формы головы (см. табл. 1). Если бы наш обзор не был начат с тех экземпляров, где иконографическая схема представлена полностью, то по завершающим экземплярам было бы невозможно восстановить семантику образа.

Соответственно вышеизложенному, мы получаем следующую картину: самые архаичные экземпляры (табл. 1—6) являются носителями зарождения иконографической схемы, на втором этапе происходит совмещение двух моментов — сохраняются иконографические элементы, но ставится художественная задача (табл. 7—10) и, наконец, на третьем этапе образ абстрагируется, становится лишь художественным осмыслением определенной темы (табл. 11—16).

¹⁰ Техов В. В. Бронзовые топоры Тлийского могильника, стр. 68, рис. 153. Мещниереба, 1988.

Аналогичная схема развития пластического мышления, как нам кажется, прослеживается и на других группах бронзовых малых пластических форм, относящихся к археологической культуре древней Колхиды эпохи раннего железа¹¹. Этот период датируется VII—VI вв. до н. э.¹² К сожалению, на сегодняшний день не приходится говорить об абсолютной датировке конкретной единицы. Это обстоятельство обусловлено многими причинами, среди которых выделим следующие: мы не знаем временного диапазона бытования предмета до попадания последнего в захоронение. Также не знаем причин, обуславливающих их наличие в составе погребального инвентаря. Кроме того, невозможно на сегодняшний день внести дробную хронологическую шкалу для погребального инвентаря в коллективной погребальной яме, т. к. из-за специфики обряда невозможно выделить комплексы внутри последнего¹³. Но мы надеемся, что будущие археологические разыскания прольют свет на данные проблемы.

Представлена Центром археологических исследований Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

¹¹ Чубинишвили Н. Т. «К вопросу об особенностях малой пластики древней Колхиды эпохи раннего железа (V—VI в. в. до н. э.)» Тезисы доклада на республиканской конференции молодых ученых и аспирантов, посвященной столетию со дня рождения академика Г. Н. Чубинашвили. ср. Табукашвили М. Н. «Двуликость в зооморфной бронзовой пластике (Колхская культура)» Тезисы IV международного симпозиума по Грузинскому искусству, Тбилиси, 1983.

¹² Лордкипанидзе О. Д., Микеладзе Т. К. «Колхида в VII—IV вв. до н. э.» рукопись. стр. 21.

¹³ Микеладзе Т. К. «Колхидские могильники эпохи раннего железа. Урсский и Нигвзанский могильники». (на грузинском языке). стр. 7—8, 13—20, 88—93. Мецниереба, 1985.

ალექსანდრე ორჯონიძე


მტკვარ-არაქსის კულტურის ახალი მასალები
ჯავახეთის კლატორდან

მტკვარ-არაქსის კულტურის მნიშვნელობა საქართველოს უძველეს ისტორიაში კარგადაა ცნობილი. სადღეისოდ ეს კულტურა საკმაოდ მასშტაბურადაა შესწავლილი საქართველოს არაერთ რეგიონში. ძირითადად განსაზღვრულია მისი გავრცელების არეალი, გამოყოფილია ლოკალური ვარიანტები, შემუშავებულია ქრონოლოგია-პერიოდიზაციის სქემა და სხვ. მიუხედავად ამისა, დღემდე ნაკლებად გამოკვლეული რჩება ამ კულტურის ხანაში ინტენსიურად ათვისებული ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონი, როგორც ჯავახეთის მაღალმთიანი პლატო. ეს პლატო ძველთაგანვე აღმოსავლეთ საქართველოს უმთავრეს საზაფხულო საძოვარს წარმოადგენდა, რომელსაც უკვე აღრებრინჯაოს ხანიდან იყენებდა ქვემო და შიდა ქართლის მოსახლეობა¹. ამ პლატოს მტკვარ-არაქსული ძეგლების შესწავლის გარეშე ძნელია არუწყოფილი წარმოდგენის შემუშავება სამხრეთ-საქართველოს მთიანეთისა და საერთოდ, საქართველოს უძველესი ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ამ ძეგლების შესწავლამ უნდა განსაზღვროს როდის, ამ კულტურის განვითარების რომელ ეტაპზე იწყება და როგორ მიმდინარეობდა ამ მხარის ათვისება, როდის ჩნდება აქ პირველი სტაციონარული დასახლებები, როგორია იმდროინდელი სოფელი, მისი გეგმარება, არქიტექტურის ხასიათი; საიდან, ამიერკავკასიის რომელი მხრიდან ამოდის აქ პირველი მოსახლეობა, მისი შემდგომი ბედი და სხვა.

ამ საკითხების გარკვევის მიზნით არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა უკვე დაიწყო დაზვერვითი სამუშაოების წარმოება ახალქალაქისა და ბოგდანოვის რაიონებში, რის შედეგად გამოვლინდა მტკვარ-არაქსის კულტურის არაერთი ძეგლი და შეგროვდა მრავალფეროვანი მასალა ჯავახეთის პლატოს სხვადასხვა პუნქტში: თოკში (სურ. I 1—5, 11—14), მოდეგამში (სურ. I 8), ჩუნჩხაში (სურ. I 7, 15), სათხეში (სურ. I 6, 12, 13, 16), კარწახში (სურ. I 10), ჯიგრაშენში (სურ. II) და სხვ.² ჯიგრაშენის ნასახლარა და ახალქალაქის ამირანის ვორაზე დაკვირვებით დღვინდა, რომ აქ გავრცელებული იყო ტერასულად ნაგები ქვის ოთხკუთხა არქიტექტურა, რითაც ჯავახეთის ნასახლარები გან-


1 ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ., 1981, გვ. 11; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 65.

2 სტატიაში გამოყენებულია ბორჯომისა (სურ. III 3) და ახალქალაქის (სურ. III 1, 2) მუზეუმებში დაცული და მ. კინწურაშვილის, გ. მინდიაშვილისა და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები.



სხვაელებიან შიდა ქართლის წნულ-თიხალესილი, კუთხეებმომრგვალებული შენობებისაგან და აგრეთვე, სომხეთის შიდა რაიონების მრგვალი ნაგებობები-საგან. ამ ნიშნებით ისინი უფრო ახლოს დგანან სამცხის, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიისა და სომხეთის შირაქის სინქრონულ ნასახლარებთან.





ჭავჭავთის ძეგლებზე შეგროვილი კერამიკა უმთავრესად შავპრილა ვარდისფერსარჩულიანი ან მოწაბლისფრო-პრილა ტიპიური მტკვარ-არაქსული ნაწარმია. მასში ყველაზე ადრეული ხანისა უნდა იყოს ახალქალაქის მუზეუმში დაცული წყვილი ირიბი რელიეფური ზოლით შემკული ღრმა ჯამი



0 2 4 6

(სურ. III 2), რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებს ქვემო ქართლისათვის დამახასიათებელ ადრემეტკვარარაქსულ ჭურჭლის ფორმასა და ორნამენტს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჯავახეთის პლატოს ათვისება იწყება ამ კულტურის ადრეულ ეტაპზე ქვემო ქართლის მოსახლეობის მიერ³. თუმცა, მობოვებული

³ ჯავახეთის პლატოზე მტკვარ-არაქსის კულტურის უშუალო წინამორბედი ხანის ძეგლები უცნობია. იხ. ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, დასახ. ნაწრომი, გვ. 14.



მასალის უმრავლესობა შედარებით მოგვიანო ხანას განეკუთვნება და იმაზე მიუთითებს, რომ ამ პლატოს ათვისებას ინტენსიური ხასიათი უფრო ამ კულტურის განვითარებულ და მოგვიანო ეტაპებზე ეძლევა, ე. ი. იმ დროს, როცა აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობის მოსახლეობა თავისი სამეურნეო საქმიანობით მჭიდროდ უკავშირდება მთიან ზოლს⁴. ამასთან აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე სამხრეთ საქართველოს მთიანეთის რიგი ოლქები ახლო ურთიერთობას უფრო შიდა ქართლთან ავლენენ⁵, რაც ჯავახეთის მასალაშიც აისახა (სურ. III 3). მაგრამ შემდეგში,

ეს კავშირები თანდათანობით სუსტდება. სამაგიეროდ, ძლიერდება ამ კულტურის სომხეთის მთიანეთისათვის დამახასიათებელი ვარიანტი⁴. დაზვერვითი მონაცემებით ირკვევა, რომ ეს ვარიანტი ჯავახეთის პლატოსაც აღწევს. სოფ. სათხეს, ჯივრაშენის და სხვ. ნასახლარების ჩალარულ-ამობურცული სპირალური სახეებით შემკული თიხის ჭურჭელი ახლო პარალელებს პოულობს ამ ვარიანტს მიკუთვნებულ ძეგლების მასალებში (სურ. I. 12, 13; II. 3).

არ არის მთლად ნათელი, თუ რა მდგომარეობა იქმნება ჯავახეთის პლატოზე მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოს. არსებული მონაცემებით, თითქოს აქაც ადრეყორღანულმა კულტურამ მოიკიდა ფეხი, ნაკაწრი ხაზებით შემკული თიხის ზოგი ნაწარმი ამ მოსაზრებას უნდა უჭერდეს მხარს (სურ. I 7—9, 11).

ჯავახეთის პლატოზე დაზვერვებით მოპოვებული მასალებით ჩანს, რომ ეს მაღალმთიანი ზოლი ძვ. წ. III ათასწლეულში საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული და რომ აქ მოსახლე ტომები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მტკვარ-არაქსის კულტურაში. ამიტომ, ამ ძეგლების გამოვლენა და მათი გეგმაზომიერი შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს მტკვარ-არაქსის კულტურის კვლევას, გარკვეულ სინათლეს მოჰფენს ამიერკავკასიის უძველეს ისტორიას.

А. З. ОРДЖОНИКИДЗЕ

НОВЫЕ МАТЕРИАЛЫ КУРО-АРАКСКОЙ КУЛЬТУРЫ ДЖАВАХЕТСКОГО ПЛАТО

Резюме

В результате археологических разведок на Джавахетском плато было выявлено множество памятников куро-аракской культуры.

Исследование этих памятников сыграет важную роль в деле изучения данной культуры, более полно осветит древнейшую историю Южного Кавказа.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

⁴ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 110; ო. კ ი კ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

⁵ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

⁶ იქვე, გვ. 113.

გიორგი მინდიაშვილი

„არქეოლოგიური ძიებანისა“ და „ზეიანის № 2
გორასამარხის“ შესახებ

„არქეოლოგიური ძიებანი“, რომელიც ძირითადად არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიაზე მოსმენილ მოხსენებათა კრებულს წარმოადგენს, ბოლო დროს, მისი რედაქტორის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ რ. რამიშვილის დაუღალავი მცდელობის წყალობით, თითქმის სისტემატურ გამოცემად იქცა. ეს კრებული დიდ სამსახურს უწევს არქეოლოგიის სფეროში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერთა შემოქმედებით ზრდისა და ჩამოყალიბების საქმეს. კრებულში ქვეყნდება საინტერესო არქეოლოგიური კომპლექსები, ხდება მათი მეცნიერული გააზრება. და თუმცა მეცნიერთა ახალგაზრდობის ცენზი ყოველთვის არ არის დაცული (თუ ქვემოთ რეცენზირებულ წერილს არ მივიღებთ მხედველობაში), ამით ის ნაკლებად ზარალდება.

ჩვენი აზრით, კრებულისათვის გაიკლეზებით საზიანო ის გარემოებაა, რომ მასში წარმოდგენილ ნაშრომებზე ჭერჭერობით არ გვხვდება რამდენადმე სერიოზული გამოხმაურებანი. იმისათვის, რომ ეს ნაკლი რამდენადმე შეიძინე გამოსწორდეს, ორიოდ სიტყვით განვიხილავთ ბოლო დროს (1986 წ.) გამოსული „არქეოლოგიური ძიებანის“ ერთ-ერთი ავტორის მ. კაპანაძის წერილს „ზეიანის № 2 გორასამარხი“.

მ. კაპანაძის წერილი „ზეიანის № 2 გორასამარხი“ მოიცავს მანქანით ნაბეჭდი ტექსტის 11 გვერდს, მითითებული ლიტერატურის ორგვერდიან სიას და 4 ტაბულაზე მოცემულ საოლუსტრაციო ნაწილს. ტექსტი შედგება შესავლის, სამარხის აღწერილობითი, მასალის (კერამიკის) აღწერილობითი და განმარტავადებული ნაწილისაგან.

შესავლის პირველ აბზაცში ავტორი აღნიშნავს რა იმას, რომ კახეთში მთელი სერიაა ადრეული ყორღანებისა, გამოქვეყნებულ ყორ-

ღანთა შორის ასახელებს ნაომარი გორის ადრებრინჯაოს ხანის იმ სამარხს, რომელიც არ არის ყორღანი, ამასთან უთითებს ჩვენ ნაშრომს, რომელშიც ამის მსგავსი არაფერი წერია. იმავე (პირველი) აბზაცის მეორე შეცდომად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ავტორი გამოქვეყნებული ადრეული ყორღანების ჩამოთვლისას მუშაობის განადგურებული ყორღანების გვერდით, რატომღაც იგივეებს ალაზნის ველის იმ ყორღანებს, რომლებსაც საგანგებოდ მიექვანა აწ განსვენებული შ. დედაბრინშვილის წიგნი «Курганы Алазанской долины». რაც შეუძლებელია არ იცოდეს ამ საკითხზე თუნდაც შემთხვევით მომუშავე მკვლევარმა. ჩანს, ამ წიგნის არსებობის შესახებ იცის მ. კაპანაძემაც, რადგან გრანდიოზული ყორღანების ჩამოთვლისას იგი ასახელებს ამ ყორღანებს, მაგრამ რატომღაც შ. დედაბრინშვილის ეს წიგნი სრულიად უმარტებულად იგნორირებულია მის მიერ (გვ. 12).

უხეში ფაქტობრივი შეცდომით იწყება წერილის მეორე აბზაციც, სადაც ადრეული კოლექტიური სამარხების ჩამოთვლისას პირველ რიგშია დასახელებული დიდუბე, რომელიც ამოსახარის კულტურულ ფენას წარმოადგენს¹. ამ შეცდომას ავტორი კვლავ იმეორებს იმავე აბზაცში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთაგან განსხვავებით, იგი იცნობს ისეთ საბუთს, რომელიც დიდუბის კოლექტიურ სამარხობას ამტკიცებს. ასეთ შემთხვევაში კარგი იქნებოდა, რომ ავტორს მიეთითებინა ეს მნიშვნელოვანი წყარო.

იქვეა დაშვებული უკვე განზოგადებით ხასიათის შეცდომაც, როცა ავტორი წერს, რომ „ადრეულ კოლექტიურ სამარხებს (...) მოგვიანებით ცვლის ინდივიდუალური სამარხები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი გრანდიოზულობით (...)“². ეს აზრი მცდარია იმდენად,

1 იხ. დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955, გვ. 8—9, 74—75; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 70; თ. ჭადარბიძე. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 7.

2. „მაინე“, ისტორიის სერია, 1989, № 2



რამდენადაც ავტორის მიერ ჩამოთვლილ ადრეულ კოლექტიურ სამარხებსა და ადრეულ ინდივიდუალურ გრანდიოზულობით გამოჩენულ ყორღანებს შორის დაახლოებით 500—700 წლიანი შუალედი უნდა არსებულებოდა, ხოლო ამ შუალედში კი ინდივიდუალური ჩვეულებრივი სამარხები იჭერენ წამყვან ადგილს (ძაღინა, ქვაცეცხლა, ხიზნანთ გორა, ამირანის გორა, ნაომარი გორა, ფევრები და სხვ.), თუმცა მათ გვერდით კვლავ განაგრძობს არსებობას კოლექტიური სამარხის ფორმაც, რომელიც უკვე ყორღანის ხასიათს იძენს (ტყვიანი 1, სტეპანაკერტის №№ 113, 119, 125, კაპურეთის № 3, ნახიდურის ქალის № 3, ქისტაურისა და სხვ.). ისე, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სამარხის ერთი სახის მეორეთი შეცვლასთან (კოლექტიურის — ინდივიდუალური ყორღანით), არამედ ძველის გვერდით თვისობრივად ახლის გაჩენასთან, აღმოცენებასთან, გენეზით — დანერგვასთან. სამარხთა სახეობების ცვლის მ. კაპანაძეს უკვრადეს ეწინააღმდეგება ის გარემოებაც, რომ თვით კოლექტიური სამარხების გვერდით მტკვარ-არაქსის კულტურაში ცნობილია ინდივიდუალური სამარხებიც (კიკეთში — № 7, კოდა — ორმოსამარხები, ამირანის გორა და სხვ.).

ვფიქრობთ, დღეისათვის საკმაოდ მოძველებულია ავტორის მიერ მოტანილი, ჩვენში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ თითქმის ყორღანების კულტურაზე მსჯელობა გვიხდება მხოლოდ გორასამარხების მიხედვით; მოძველებულია, ვინაიდან საკმაო ხანი გაჟღერდა მის შემდეგ, რაც კახეთში, ილტოს ნამოსახლარზე, ადრეული ყორღანების თანადროული კულტურული ფენა გაითხარა ორმოსამარხებთან ერთად. გარდა ამისა, მკვლევართა ერთმა ნაწილმა საკმაოდ საფუძვლიანად დააკავშირა ადრეული ყორღანები მტკვარ-არაქსულ ნამოსახლართა ფინალური ეტაპის სამშენებლო დონებთან და სამარხებთან². ისე, რომ სურვილის შემთხვევაში, ადრეული ყორღანების

ჩვენში გამოჩენის საკითხის შესწავლა შესაძლებელია ამ მონაცემების გათვალისწინებით.

გარკვეულ უხერხულობას იწვევს ის ფაქტიც, რომ მ. კაპანაძე „ზეიანის № 2 ყორღანზე“ მსჯელობისას არ უთითებს „ПАИ № 1982 I“-ში (გვ. 19—21) გამოქვეყნებულ კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის იმ ანგარიშს, რომლის ერთ-ერთი თანაავტორიც თვითონაა, მითუმეტეს, რომ აღნიშნული ანგარიშში, რომელშიც მოცემულია ზეიანის ყორღანების ზოგადი თარიღები, უკვე 1985 წელს გამოვიდა წიგნის მალაზიებში და სარეცენზიო წერილის ავტორს, უმჯველია, შეეძლო სურვილის შემთხვევაში გაცნობოდა მას.

ვიღრე წერილის იმ ნაწილზე გადავიდეთ, რომელიც „ზეიანის № 2 ყორღანის“ აღწერას წარმოადგენს უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი შესუსტაობა — მე-13 გვერდზე გაკეთებულ პირველ შენიშვნაში ვკითხულობთ, რომ „ყორღანის გათხარაში მონაწილეობდნენ კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრები: ბ. მაისურაძე, ვ. ვარაზაშვილი, დ. ყვავაძე, მ. ჯალაბაძე, გ. გოგოჭური, ზ. მახარაძე“. ამის შემდეგ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ წერილის ავტორი რომელიმე მათგანს დღითერთ ისარგებლებდა, მაგრამ, როგორც აქვე გავუთქვით მეორე შენიშვნიდან ვიკვებთ, სამარხი ნაგებობის და დაკრძალვის წესის აღწერისას, იგი კ. ფიცხელაურის დღითერთს ეყრდნობა, რომელიც, რატომაც ამ ყორღანის გამოხრელთა შორის არ არის დასახლებული. ჩვენს ექვს, რომ მ. კაპანაძეს კ. ფიცხელაურის დღითერთ არ უსარგებლია აძლიერებს აღწერაობის ძალიან ბუნდოვანი ხასიათი. აღწერაობის მიხედვით ძნელია იმის გაგება ძაბრისებური ჩაღრმავება ქვის ყორღანის სამხრეთით, მის გარეთ შეიმჩნეოდა თუ — ქვის ყორღანის სამხრეთ ნაწილში; ან — ყორღანის ზედა ნაწილზე ბრტყელი ქვის ფილების რიგი ამ ყორღანის ჩრდილო-დასავლეთით მოჩანდა, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თუ აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ავტორის მიხედვით ქვის ფილების ბოლო უნდა იყოს; ან საქმეში, სამწუხაროდ, ვერც თან დართული გეგმა გვშველის, რადგან მისზე არაა მითითებული ჩრდილოეთი (გვ. 13, ტაბ. 1).

სამარხი ნაგებობის აღწერისას არსად არ არის მითითებული თან დართული გეგმა-პირილბე და, როგორც ჩანს, ეს შემთხვევითი არაა, რადგან მოტანილი გეგმებიდან და ქრონოლოგიებიდან (სულ 9 ნახაზი) მხოლოდ ზუთი ეკუთვნის ზეიანის № 2 ყორღანს, რომელსაც წერილი ეხება. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ მ. კაპანაძე ნახაზებშიც ვერ უნდა

² К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубиншвили, Древние культуры Южного Кавказа, Ленинград, 1970, გვ. 62; Ш.Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы. Труды Кахетской археологической экспедиции I, Тб., 1969, 57—59. ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, გვ. 95; ა. ორჯონიძე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983, გვ. 156—109.



ერკოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უნდა ამოეღო საილუსტრაციო ნაწილიდან ის 4 ნახაზი (ტაბ. II—III), რომლებსაც ზეიანის № 2 ყორღანთან საერთო არაფერი აქვთ.

სამარხის კონსტრუქციის აღწერას მოსდევს დაკრძალულთა ნაშთების მდგომარეობა — მდებარეობისა და დაკრძალვის წესის აღწერა — რეკონსტრუქცია, რომელშიც ბუნდოვანი თხრობის გამო საკმაოდ ჭირს ვარკვევა. ამასთან, აღწერილობის სანდოობას ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს ერთ შემთხვევაში დასაკრძალავ კამერაში დრომოსთან დასვენებული მიცვალებულის პოზის შეუსაბამობა გვეგმაზე მოტანილთან, რადგან აღწერილობის მიხედვით ის მარცხენა გვერდზე ჩანს დაკრძალული, ნახაზი კი მარჯვენა გვერდზე მწოლარედ წარმოგვიდგენს მას (გვ. 15, ტაბ. IV).

დაუდევრობის ნიშნუს ვხვდებით მ. კაპანაძის წერილის იმ ნაწილშიც, რომელსაც „ინვენტარი“ აქვს სათაურად. აქ აღწერილია ზეიანის № 2 ყორღანში მოპოვებული სამი თიხის ჭურჭელი და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ავტორი პირველად უთითებს ტექსტში საილუსტრაციო მასალას და აქაც სამივე შემთხვევაში შეტყობობს (გვ. 17, ტაბ. I).

წერილის მომდევნო ნაწილში, როგორც მ. კაპანაძე საეხებით მართებულად აღნიშნავს, „...ყველაფერი ეს სათანადოდ ახსნა-დასაბუთებას მოითხოვს და“ გვიპრეტება, რომ შეეცდნება „შემძღებისდავარად ამ ამოცანის შესრულებას“ (გვ. 18). ამის შემდეგ იგი წერს: „აქ აღარ გავიმეორებთ სამარხის ფორმისა და კონსტრუქციის აღწერილობასო — და აგრძელებს, რომ — მის მსგავსად (იგულისხმება ზეიანის № 2 გორასამარხი — გ. მ.) ქვის მშრალი წყობით ნაგები სამარხები (კონსტრუქციის ეს თავისებურება აღწერილობით ნაწილში რატომღაც არ იყო აღნიშნული — გ. მ.) გათხრილია თამარისში, კიკეთში (8), სამშვილდეში (7), ამირანის გორაზე № 16 და № 36 (10) და არდასუბანში (4. გვ. 42). მაგრამ უყვლა ეს სამარხი ნაღისებური ფორმისაა...“ დასძენს იგი და ამას მოსდევს მსჯელობა კონსტრუქციის პარალელებზე, რაც ერთ გვერდს მოიცავს, ამ დროს, როგორც კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1982 წლის იმ ანგარიშიდან ირკვევა, რომლის თანავტორი მ. კაპანაძეცაა (ПАИВ 1982 г), არავითარ ქვის მშრალ წყობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან ზეიანის № 2 ყორღანის კამერის კედლები მიწისაა (ПАИВ 1982 г. გვ. 19). ექსპედიციის ანგარიშის სისწორესვე ადასტურებს მ. კაპანაძის წერილთან დართული კამერის ჭრილიც (იხ. ტაბ. IV), რომლის მიხედვი-

თაც აქ არავითარი მშრალი წყობით ამოყვანილი კედელი არ უნდა ყოფილიყო.

აღნიშნულის შემდეგ, ზეიანის № 2 ყორღანის კონსტრუქციის შესწავლისათვის, რაღაც უნდა, არავითარი აზრი არა აქვს მ. კაპანაძის მიერ წერილში მოტანილი ქვით ნაგები მტკვარ-არაქსული აკლდამების პარალელებს და მათზე მსჯელობას, მაგრამ ვნახთ რამდენად მართებულად აქვს წერილის ავტორს ეს ე. წ. პარალელები მოტანილი. როგორც შემოწმებამ გვიჩვენა წერილის ავტორი ამ შემთხვევაშიც სცოდავს: — მართალია, სამშვილდეში აკლდამები ტალახის თუ თიხის სნარის გამოყენებით არ არის ნაგები, მაგრამ აქ ქვების ნაცვლად სხვადასხვა ზომის ლოდებია აქმნარი; არ არის სამშვილდეში არც მ. კაპანაძის მიერ აღნიშნული ნაღისებური აკლდამები. ასევე, მშრალი წყობით არ არის ნაგები არც ამირანის გორის № 16 ნაღისებური აკლდამა, იგი, როგორც ამას ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, საკმაოდ ღრმა ორმოში ყოფილა დიდი ქვებითა და ტალახით ნაშენი.

გაუგებარია ისიც, თუ რას გულისხმობს მ. კაპანაძე, როდესაც მე-19 გვერდზე წერს, რომ „ზეიანის № 2 გორასამარხის მსგავსად ქვებით შემოსაზღვრული სამარხები გათხრილია თრელიგორებზე (13)“. გაუგებარია, რადგან ზეიანის № 2 ყორღანს ქვის სარტყელი არ ჰქონია, ხოლო სამარხი კამერის ფსკერზე კედლის ძირში შემოყობილი თხრილის რიყის ქვით შევსების შედეგად თრელიგორების № 26 სამარხის (ყორღანის) ყრილის ნაპირთან შემოვლებულ ქვის (სარტყელთან სრულიად გაუმართლებელია და ამიტომ არც პარალელად შეიძლება ჩითივალის (თბილისი I, გვ. 45, ტაბ. XII).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ იმ ე. წ. პარალელების მოშეღებით, რომლებსაც მ. კაპანაძე მიმართავს, გაკეთებულია ერთობ ლოგიკური დასკვნა, „რომ ზეიანის № 2 გორასამარხს თავისი კონსტრუქციით ბევრი რამ აქვს საერთო მის მსგავს ძეგლებთან და ამავე დროს მაინც რიგი ნიშნებით განსხვავდება მათგან...“. ამ შემთხვევაში ძნელია არ დავთანხმო წერილის ავტორს, მაგრამ რომელია ზეიანის № 2 გორასამარხის მსგავსი ის ძეგლები, რომლებთანაც მას კონსტრუქციით ბევრი რამ აქვს საერთო, საბოლოოდ მაინც გაუგებარი რჩება.

წერილის ავტორი რამდენიმეჯერ ეხება კამერაში ცეცხლის გამოყენებისა და მიცვა-

3 შტრ. გ. მი რ ც ხ ლ ა ვ ა, სამშვილდე, გვ. 35—37.

4 ტ. ჩუ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ამირანის გორა, გვ. 37.

ლებულთა დაკრძალვის წესის საკითხს (გვ. 16, 20, 21) და ცდილობს დაკრძალვის წესში კრემაციის ჩანასახების დასახვის, თუმცა მის მიერ შემოთავაზებული დაკრძალვის წესის რეკონსტრუქცია დამაჩერებლად არ გამოიყურება. დაუჭერებლად მოჩანს აგრეთვე დროის მოკლე მონაკვეთში, როგორც ჩანს, ხით გადახურულ კამერაში ცეცხლის ორჯერ დაწება — პირველად, როცა დასავლეთის კედელთან დაკრძალული მიცვალებულები (6 მიცვალებულის უკვე არეული ნაშთები — გ. მ.) დაწვეს, ანდა მითი დასვენების შემდეგ სამარხი განწმინდეს..., ხოლო მეორედ კი, აღმოსავლეთის კედელთან დასვენებულ ორ მიცვალებულთან, რამაც გააჩინა დრომოსის მიღგომი კედელის და კარის ამოშორავე ქვები“ (გვ. 21).

ძნელი დასაჯერებელია წერილის ავტორის მოსაზრებაც კამერაში და დრომოსში დაკრძალულთა ერთდროულად ან თითქმის ერთდროულად დახრკვის თაობაზე (გვ. 20), რადგან ორივეგან ერთი პერიოდის კერამიკის აღმოჩენა ამის საბუთად მაინცდამაინც არ გამოდგება, ვინაიდან ერთგვაროვანი იგრის კერამიკა, განსაკუთრებით განვითარების ადრეულ ეტაპზე, შეიძლება მთელი ასწლეულისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაშიც ყოფილიყო ხმარებაში.

ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელია წერილში მოტანილი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დრომოსში აღმოჩენილი მიცვალებულთა ცალკეული ნაწილები ადამიანის მსხვერპლად შეწირვას უნდა ასახავდნენ. ეს მოსაზრება პირდაპირ იმეორებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშს (ПАИ в 1982 г. გვ. 19). ყოველგვარი მითითების გარეშე, რაც ისევე როგორც ზეითი შენიშნული ცრუ მითითება უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეთიკურ ნორმებს. ვფიქრობთ, ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის საბუთად იმის მოტანა, რომ დრომოსში აღმოჩენილ ძვლებს ცეცხლის კვალი არ ეტყობა ნაკლებად, ვაშლისადევი, ვინაიდან ცეცხლის კვალი, როგორც აღწერილობიდან ჩანს, არ ეტყობა არც კამერაში დაკრძალული წყვილის ნაშთებზე. ვერ დასაბუთებებს მსხვერპლად შეწირვის ფაქტს ვერც ის გარემოება, რომ დრომოსში მთელი ჩონჩხების ნაცვლად მიცვალებულთა ნაწილებია დაკრძალული, რადგან მსხვერპლად შეწირვის შემთხვევაში, როგორც ამას ზოგი მაგალითი გვიჩვენებს, მთლიანად უნდა ყოფილიყვნენ ჩატანებული შეადარეთ ბედენის № 5 და ალაზნის ველის II ყორღანი; და კიდევ იმით, რომ მტკვარ-არაქსის კულტურაში ცნობილია მიცვალებულთა ცალკეული ნაწილების ყოველგვარი მსხვერპლად შეწირ-

ვის გარეშე დაკრძალვის შემთხვევები (ტყვიანის I ყორღანი, კიკეთის № 2—5 სამარხი).

ჩვენი აზრით, უფრო რეალური იქნებოდა თუ ვივარაუდებდით, რომ იმ ოჯახმა, რომელსაც ზეიანის № 2 ყორღანი ეკუთვნოდა, კამერაში უკანასკნელად დაკრძალული ორი მიცვალებულის შემდეგ, იმის გამო, რომ დრომოსით ვეღარ შეაღწია კამერაში, სხვა მხარეში დახოცილ თავის მიცვალებულთა ნაშთები ან ნაწილები ფილაქვის სახურავით კარგად დაცულ დრომოსში დასვენა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წერილის ავტორს სწორად აქვს მოტანილი ზეიანის № 2 ყორღანის თიხის ჭურჭლების პარალელები. ამ პარალელებით რა თქმა უნდა შესაძლოა განსაზღვროს ყორღანის ძვ. წ. IV ათასწლეულში გადატანაც, მაგრამ ის ფაქტი, რომ ზეიანის № 2 ყორღანის ნამდვილი კონსტრუქციის ზოგი დეტალი და კოლექტიური ხასიათი ისეთ გვიან ძეგლებთან პოულობს მსგავსებას როგორც სტეპანაკერტის, კაჭრეთის № 3 და გორშეგარდენის ყორღანებია, არ იძლევა უფლებას კატეგორიულად ვიყოთ კომპლექსის უადრესობის მტკიცებისას.

წერილის 21-ე გვერდზე ავტორი, თვლის რა ცეცხლის კვალს მტკვარ-არაქსის კულტურაში მიცვალებულთა კრემაციის ჩანასახოვან ფორმად, ცდილობს განმარტოს ის რწმენა-წარმოდგენები, რომლებიც კრემაციისთან არის დაკავშირებული, რისთვისაც დაკრძალვის ხეტორი რიტუალს იშველიებს, ჩვენი აზრით, ავტორი ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც სამარხი კამერის გამოგონილი კონსტრუქციისათვის პარალელების მოტანისას, მცდარ გზას ადგება ვინაიდან: 1. თვით კრემაციის ფაქტი ზეიანის № 2 ყორღანში დადგენილად არ შეიძლება ჩითვალოს (დამწვარი არაა უ. წ. ძირითადი მიცვალებულები) და 2. ერთმანეთს არ შეიძლება შეუდარდეს რიგით მეთემეთა (ზეიანი) და ხეტორი საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელთა დაკრძალვის რიტუალი. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ზეიანის № 2 ყორღანში დაკრძალული „ღდი ოჯახის“ ორი, თუნდაც განსაკუთრებით პატივსაცემი წევრის ნაშთები მათმა შთამომავლებმა წინა ეტყვის მსგავსად კედელთან აღარ მიხვეტეს, ალბათ უფრო იმიტომ, რომ დრომოსით შესვლა კამერაში ვეღარ მოახერხეს. რაც შეეხება შ. კაპანაძის პოზიციას ადრე დაკრძალულ მიცვალებულთა ძვლების კედელთან მიწვევის თაობაზე, რომლის მიხედვითაც „ძნელი საფიქრებელია, რომ „ღმერთად გამხდარის“ სული „შეეშფოთებინათ“ (ხეტორის მსგავსად აქაც კრემირებული მიცვალებული იგულისხმება — გ. მ.) მის სამ-

ყოფელში ახალი მიცვალებულის დაკრძალვით. მით უარესი, კედლისკენ მიეხვედათ მათი ძვლები (7, 8) და ახალი მკვდრები უფრო მეტი პატივით დაეკრძალათ როგორც ეს ზეიანის № 2 გორასამარხშია, უნდა ითქვას, რომ იმ მტკვარ-არაქსული სამაროვნების მიხედვით, რომლებზეც საოჯახო აკლდამებთან გვაქვს საჭმე, ძველი მიცვალებულის ძვლების მიხვეტადოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია და არა რომელიმე მკვლევრის ვარაუდი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თუ ზეიანის № 2 ყორღანის კამერაში ორი ერთდროულად დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი ანატომიურ

წესრიგში დახვდა არქეოლოგებს ეს უფრო იმის ბრალი უნდა იყოს, რომ მათ შემდეგ ამ კამერაში აღარავინ არ დაუკრძალავთ.

